იკა ქადაგიძე

ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!

იკა ქადაგიძე

ვის მივყიდით ქართულ

მწერლობას?!

თბილისი
2009 წელი

ეძღვნება ჩემი უძვირფასესი მამის
შალვა ქადაგიძის ხსოვნას

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა;
პუბლიცისტიკა, ესეისტიკა;
წიგნი 1942 წლის შეთქმულების შესახებ;
„ჯონქა ხორნაული“ დაბრუნება;
XX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან
„ოტარიდი“;
პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების
საკითხი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში;
პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების
საკითხი „გივი შადურის“ მიხედვით;
ფიქრები ხახულის ტაძრის ერთ რელიეფზე;
ქართული წიგნის ბედი თანამედროვე ბაზარზე;
ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?;
ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისა“;
დიმიტრი ყიფიანი - საქართველოს სინდისი
(დაბადებიდან 190 წლისთავის გამო);
„დაწყევლილი თაობის ღირსეული წარმომადგენელი“.
(შალვა მჭედლიშვილის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით);
ეთერ ციციშვილის „რუსულ-ქართულ პოპულარულ სიტყვათა კონა“;
ჟურნალ „ზედაშეს“ წარდგინება;
„კრონოსის სარკის ანარეკლი“ კონნე სპერელი - ტერენტი გრანელის
მივიწყებული მეგობარი;
„ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების“ შესახებ;
სიტყვა სიკვდილის მაცნე - (თემურ ფირცხალაიშვილის მოსაგონარი);
დრამატული პარალელები (ნიკო სამადაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი);
ქართველი კომპოზიტორის პორტრეტისათვის;
ბონდო გაგნიძის შესახებ („რაეოს“ რედაქტორის ხსოვნას);
ქართული ჭედური ხელოვნების ფერთამეტყველება (კობა გურული 75 წლისაა);
ეთერ ქავთარაძის მონოგრაფია: „დავით ყიფშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“;
შთაბეჭდილება ბადრი თევზაძის წიგნზე: „პარიზში წასვლას რა უნდა“!;
ჩვენი აჭარელი თანამოკალმე (დავით თედორაძის შესახებ);
აკაკი ბრეგაძის „საკითხავნი ყმაწვილთათვის“;
მიხეილ ღანიშაშვილის „კავკასიური პოემების“ შესახებ;
‘’პოეზია სულიერების განაჩენი და სისპეტაკე“;
კულტურისა და ცივილიზაციის გზაჯვარედინზე;
მწიგნობარი მხატვრის მსუბუქი სიმძიმე (რეზო ადამიას პორტრეტისათვის);
„ლიტერატურული მესხეთი“ (ავთანდილ ბერიძე);
ოქრო ბიჭების ტრაგედია;
შალვა მჭედლიშვილის გამოსათხოვარი;
ნიკო სამადაშვილის ხორკლიანი სინათლე;
მართლმადიდებლობა და სექტანტიზმის პრობლემა;

„ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“;

(ჯემალ მეხრიშვილის: გინდოდა გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა“)?!;

ამერიკაში მოღვაწე ქართველი პროფესორის გლობალური საფრთხის და „ანტიტყაოსნის“ შინაური საფრთხის გზაჯვარედინზე;

სვანური სიმღერა;

ღია წერილი ბატონ როსტომ ჩხეიძეს;

მცირე რეპლიკა (მარსიანი);

სისხლიდან ცრემლი (რეზო ადამიას წიგნი ტერენტი გრანელზე);

ერთი დღე პოეტების ცხოვრებიდან;

მარტოობის ტრაგედია (ტატო ბარათაშვილის, ფრიდრიხ ჰოლდერლინი);

ჩვენში ჩარჩენილი მეამბოხე გმირები;

პოეტი პოეტის სასჯელია?!;

მუხისა და ჭადრის სიმფონია;

დაჩაგრული ნიჭის ტრაგედია (მარსიანის შემოქმედების შესახებ);

ქვიშის მონოლოგი;

თარგმანი ვ. სოლოვიოვის „მოკლე თხზულება ანტიქრისტეს შესახებ;

მხატვრული პროზა „თეთნულდის მთვარე“ , „შეხვედრა“;

ბოლო თქმის ნაცვლად.

გამოვიდა შესანიშნავი ახალგაზრდა პოეტის, მეცნიერის და რომანისტის რომანი, რამაც მწერალის თაყვანისმცემელი მკითხველები ძალიან გაახარა. მითუმეტეს, რომ ახლა ძალიან საჭიროა ასეთი ტიპის რომანები ქართველი საზოგადოებისათვის, რადგან ყოველმხრივ უტევენ ჩვენს წმინდათა-წმინდა რწმენას მართლმადიდებლობას.

მე, როგორც მკითხველი და თაყვანისმცემელი ქალბატონი იკას შემოქმედებისა გულწრფელად ვამბობ: - რომანი დიდი გამარჯვებაა, როგორც მწერლის აგრეთვე ჩვენი თანამედროვე ქართული ლიტერატურის. არ მეგულება თანამედროვე ლიტერატურაში ამ თემაზე დაწერილ რომანში ერთი კალმის მოსმით დახატული იყოს ამდენი საინტერესო და მაღალი სულიერ ცხოვრებას ნაზიარები ლიტერატურული პერსონაჟი. ჩემი აზრით რომანი „ვარსკვლავმორბედი“ პოეტურ პროზას განეკუთვნება, სადაც დიდებულადაა დახატული ლაზარეს, მართას, მაგდალინელის, იონას, ბარაბას, იუდას და სხვათა ტიპები... აქვე დავძენ ამ რომანის კითხვისას ჩემდა უნებურად ამეკვიატა ადრიან სიყრმეში წაკითხული ერთი მწერალის გამონათქვამი: -„შემოქმედებითი წყარო მხოლოდ შეიძლება ეთიკა ყოფილიყო, მაგრამ ერთიცა და მეორეც დაშრა, ეშმამ და მკვლელმა დაიბანეს მასში ხელები. დიახ, დღევანდელ სამყაროში სწორედ ასეთი ვითარებაა, ამიტომაა დროული ამგვარი რომანები შეიქმნას. „სულში დაიქცა საყდარი“ (თადეოს რუჟევიჩის სიტყვებია) ჩემი ღრმა რწმენით ასეთი ტიპის რომანები, სულში დანგრეული საყდრის აღდგენას ემსახურება. სწორედ ასეთი ნაწარმოებები გაამხნევებს ჩვენს მრავალჯერ იმედგაცრუებულ ქართველობას და თავისი სათაყვანო ღმერთივით ჯვარცმულს. „ისტორია ნამდვილად მეორდება“. განა ახალგაზრდა მწერალის მიერ აღწერილი ძველისძველი შავბნელი დრო, რომის ცენტურიონების ქმედება დღევანდელობას არ გაგვახსენებს - იმას რაც კვლავ XXI -ე საუკუნეში ხდება.

შალვა მჭედლიშვილი, პოეტი

იკას წლების მანძილზე ვიცნობდით, როგორც ლიტერატურული ცხოვრების აქტიურ თანამონაწილეს, მისი გამოსვლები ყურადღებას იქცევდა თავისი ეროვნული პათოსით, გაბედული შეფასებებითა და ღრმა ანალიზით. მიუხედავად სიახალგაზრდავისა თავი დაიმკვიდრა არა მხოლოდ როგორც ნიჭიერმა ლიტერატორმა, არამედ სწორი ორიენტაციისა და ჩამოყალიბებული პრინციპების მქონე პიროვნებამ. საერთოდაც იგი მკვეთრი ინდივიდუალობით და ლიდერის ბუნებრივი თვისებებით გამოირჩევა. მის პიროვნულ ხასიათს განსაკუთრებულ იერს ანიჭებს ქალური მომხიბვლელობისა და ვაჟური შემართების თავისებური ნაზავი და ეს იშვიათი შერწყმა მის შემოქმედებაშიც ხელშესახებია.

„ჩვენი მწერლობა“.

დიდი ხანი არ არის რაც გამოქვეყნდა ორიგინალური აღნაგობის წიგნი „დედისერთა სივრცე“.

ორიგინალური აღნაგობის იმიტომ, რომ აქ თავი მოიყარა ლექსებმა და ნოველებმა და უმთავრესი ნიშანი, რაც ამ ორი ჟანრის თხზულებებს აერთიანებდა, ის რომანტიკული სულია, ის „ძველმოდური“ მოწიწება ამაღლებულის წინაშე, ასე ნიშანდობლივი რომ არის იკა ქადაგიძის მხატვრული ძიებისათვის.

ახალგაზრდა ქალი იმთავითვე გაემიჯნა მოდურ გავლენებს, მოჩვენებითად ეფექტურ სვლებს, გამომწვევ პოზას, ეპატაჟის ხერხებს და დაადგა გზას, რომელიც, ძნელად სავალობისდამიუხედავად, ნამდვილ შემოქმედებით სიხარულს განაცდევინებს ყველას, ვინც საამისოდ მოწოდებულია.

რატომ გავიხსენე ის წიგნი?

ცხადია, არამარტო იმიტომ, რომ „დედისერთა სივრცე“ აუცილებლად გასათვალისწინებელია იკა ქადაგიძის მხატვრულ ძიებებზე საუბრისას.

ვინც მის პირველ რომანს - „ჯანდაბისფერი მზე“ - გაეცნობა. დამეთანხმება, რომ აქ აღწერილი ამბები დღის სინათლეზე გამოტანაა იმ ლიტერატურული და საზოგადოებრივი გარემოსი, სადაც ჩვენს ახალგაზრდობას უხდება ძიებაც და საკუთარი თავის დამკვიდრებაც, და სადაც ავტორმა მოახერხა რომანტიკული სულის შენარჩუნება თავის თავში.

ავტორისათვის რომანტიკული განცდა მხოლოდ ტრადიციით გადმოცემული კი არ არის, არამედ სულიერი ძიებითაც მოპოვებული და ამიტომაც არ შეიძლება იყოს დროებითი, ადრე თუ გვიან დასავიწყებლად გასამეტებელი მსოფლაღქმა.

ჯანდაბისფერი მზე...

აქამდე ვიცოდით ათასგვარი მზე, მკვდრის ზეცა და მზიანი ღამეც. და, აი, კიდევ ერთი მოულოდნელი რაკურსი, კიდევ ერთი საგულისხმო ხედვა, კიდევ ერთი ცდა - ეძიო დაფარული, ეძიო ჩვენი სინამდვილის იდუმალი ფონიც და ადამიანის ბედიც არეულ დროში.

როსტომ ჩხეიძე

იკა უნიჭიერესი პიროვნებაა. სულ მიკვირს ასე ახალგაზრდამ ასეთი განათლების მიღება როდის მოასწრო. მისი რადიოგადაცემები პირდაპირ საოცრებაა, გაოგნებული ვუსმენ ხოლმე სხვათაშორის, ჩვენმა დიდმა ოსტატმა ზინა კვერენჩხილაძემ იკას გადაცემა რომ მოისმინა, მითხრა, იკას მწერლურ ნიჭთან ერთად შესანიშნავი მეტყველებაც აქვსო.

იკას პიროვნულ თვისებებზე აღარ ვსაუბრობ, შინაურულად მას „დედა ტერეზას“ ვეძახი სიკეთის გამო. იგი ყველას ეხმარება.

საზოგადოებას მინდა ვაუწყო, რომ სულ მალე საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი დათო თოთიბაძე-შალიკაშვილი, რომელიც სორბონის უნივერსიტეტის პროფესორია, ფრანგულ ენაზე გამოსცემს ქართული პოეზიის ანთოლოგიას, რომელშიც თვალსაჩინო პოეტებთან ერთად იკას ლექსებიც დაიბეჭდება. ეს იკას დიდი წარმატებაა და ვულოცავ.

რეზო ადამია, მხატვარი

ყოველთვის, როცა ნიჭიერ შემოქმედთა ნაწარმოებებს ვეცნობი, გული მწყდება, თუ მომდევნო ნაწარმოები წინა ნაწარმოებზე უარესია. ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანი კმაყოფილდება, რაც შექმნა; საბედნიეროდ, იკა ქადაგიძის შემოქმედება დღითიდღე იზრდება, ყოველი მომდევნო ნაწარმოები უფრო უკეთესია, ვიდრე წინა. ის არ კმაყოფილდება მიღწეულით. იკას აზროვნების სტილში დევს ის განსხვავება , რაც ასე იტაცებს ყველას. არც ის არის შემთხვევითი, რომ „ვარსკვლავმორბედში“ მთავარ პერსონაჟად ლაზარე აირჩია და მთელი რომანის ქარგა სწორედ ლაზარეს ემყარება. სახარებისეულ მოტივთა გამოყენება მწერლობაში არ არის პირველი. მაგრამ, როცა ამას შენეულად მიუდგები და უკვე მრავალთა მიერ თქმულში საკუთარ სათქმელს გამოარჩევ, მიმაჩნია, რომ ეს არ არის სწორედ შემოქმედის გამარჯვება. ლაზარე რა საკვირველია ხატ-სახეა ჩვენი მკვდრეთით აღდგომისა. ეს რომანი დიდი კლასიკური მემკვიდრეობის გზის გამგრძელებელია.

ერეკლე საღლიანი, პოეტი

იკა ქადაგიძე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული მწერალია. იგი ავტორია მრავალი ლექსისა და მოთხრობის, აქვს ორი რომანი, ნაყოფიერად მუშაობს კრიტიკისა და პუბლიცისტიკის სფეროშიც. მისი შემოქმედება გამოირჩევა ღრმა ეროვნულობით, რაც მისი თაობის (90 -იანელთა) ხელოვანთა შორის არცთუ ისე ხშირი მოვლენაა. იკა ქადაგიძის პოეზიაში მეტაფიზიკური ხატოვანება წამყვან ადგილს იჭერს, რაც ასევე ნაკლებ ახასიათებს მისი თაობის პოეტებს, რომელთა შემოქმედებაში ხშირად თავს იჩენს კოსმოპოლიტიზმი, ეროვნული ფესვებიდან მოწყვეტა. იკა ქადაგიძე აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციითაც გამოირჩევა. იგი ყოველთვის ცდილობს წარმოაჩინოს საზოგადოებისაგან მივიწყებული თუ იგნორირებული ნიჭიერი ხელოვანნი, რომელთა „დანაშაული“ ეროვნული იდეალების ერთგულებაა. პირად ურთიერთობაშიც იკა უაღრესად გულისხმიერი, მკაცრად სამართლიანი და უკომპრომისოა. როგორც ქართული ლიტერატურის ორგანული ნაწილი, სიღრმითა და თვითმყობადობით რომ არის აღბეჭდილი.

მარსიანი

ქვიშისფერი უკვდავება

„თქვენ რომ დღეს მნახოთ, უეჭველად შეგეშინდებათ
ვირჩვები სხვათა დასანახად, როგორც ღიღილო,
ახლოს თუ მოხვალთ განვიბნევი ძრწოლის შინდებად
და რა მომელის ღმერთმა უწყის რომ ვერ მიხილოთ“!..

ამ სიტყვებით შემოვიდა იკა ქადაგიძე ჩემი სულის მოღუშულ სივრცეში, ბავშვურად აფერადებულ კიდობანთან დიდხანს შეჩერდა, იქაურობა გაანათა და მერე უბრალოდ დარჩა...

ეჰ, ღმერთო ჩემო, არც კი მახსოვს როდის იყო, თუმცა რა დამავიწყებს. ახლად ფეხადგმული გაზაფხული, აპრილით ჩამოდიოდა მთაწმინდიდან, ჯადოსნურ ფერებს უხვად არიგებდა ქუჩებში, ქაშვეთთან კი ხარკს უხდიდა სისხლისფერი ტიტებით ჯვარცმულ მოგონებებს და თავისას მაინც არ იშლიდა.

მაშინ ხშირად გავდიოდი, ტერენტისეული აქლემისფერი მიდამოების მოსალოცავად, გულში კი ამოტვიფრული „მარტოსულის ფიქრები“, სადღაც შორს „ფოთოლთცვენის ვალსს უკრავდა“.

„სიზმარეულ ჩონჩხების ხეზე,
დროდადრო ცრემლი არონინდება,
ჩიტებში გაცვლის სულს ვერონეზე,
შენ ფოთოლთცვენის ვალსი გინდება“...

იმ ფრთააშლილ ყვავილობასთან, ფოთოლთცვენის ვალსი მინდებოდა, მერე კი ამ ორის ერთმანეთთან შერევით - ქვიშისფერი უკვდავება გამოვიდა.

აპრილის ნისლში გახვეული, ხევსურულ ჩოხიანი ქალის სილუეტი შევნიშნე, რომლის სულს აღარც მახსოვს, როდიდან ვიცნობდი, მიახლოვდებოდა პოეტი ქალი, და ასე უბრალოდ - გაზაფხულის გზის პირას გავიცანი - უფრო სწორედ შევხვდი იისფერ იკა ქადაგიძეს. გაცნობა უფრო ადრე მოხდა - „ჯანდაბისფერი მზე“ რომ ანათებდა, შემოდგომის სევდაში დამხრჩვალ ძალებს.

მერე კი ისევ იკა მშველოდა:

„ნუ მიეცემი ნურასდროს სევდას,
თორემ ცხოვრება დაგაბეჩავებს
ღმერთი ზეციდან ყველაფერს ხედავს
და ბოლოს მაინც წყალობს ბედშავებს“ ...

დღეს კი ბავშვობისდროინდელი კიდობანი შევაკეთოთ. ის პირველად შედის აზვირთებულ ტალღებში, ვიჩქაროთ იკა ზარი რეკავს სინანულისა, სული წრფელი შევავედროთ უფალს და ცოტა ხანში გავინაპირებთ იქ, სადაც გველოდება მზე, მარადიული რიცხვის ...

მღვდელი პეტრე (კვარაცხელია)

მწერალთან ერთად გზააბნეულ მკითხველსაც ყველა მხრიდან აჩეჩებენ ყველაზე მეტად „გაყიდვადი“ მწერლების „ანტირომანებს“, ანტილექსებს, „აბსურდულ“ პიესებს, პორნოგრაფიულ ფილმებს.

ასეთ დროს რაოდენ გულის საამურია ეროვნული მწერლობის შეთხელებულ რიგებს როცა ახალგაზრდები ავსებენ სწორედ ნიჭიერნი, ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე დაფიქრებული „ალგეთის ლეკვები“.

იკა ქადაგიძე ერთ-ერთი თავისებურად გამორჩეულია იმ ახალგაზრდა შემოქმედთა შორის, ვინც მწარედ დაფიქრებულია ქვეყნის ავ-კარგზე. წარსულის შეხსენებით ცდილობს ბრბოდ ქცეულ საზოგადოებას, უფრო სწორედ საზოგადოების ნაწილს თვალი აუხილოს, დაანახოს ბარაბას გზით სიარულს რომ ეძალებიან, მტრის გულისანი რომ ხდებიან.

გიგი ხორნაული, მწერალი, მკვლევარი

იკა უდავოდ ნიჭიერი პოეტია. მისი ლექსები იმიტომ მოწონს, რომ ქვეყანა ბევრის მსგავსად სკამზე არ გაუცვლია. ეროვნული შემოქმედია და ამის გამოცაა დასაფასებელი. წინსვლას ვუსურვებ.

ნოდარ ჯალაღონია / პოეტი

ეს ულამაზესი და უნიჭიერესი გოგონა ჯერ პიროვნულადაც მშვენიერი და დამატყვევებელია, უშურველად გეხმარება, ნიჭის წარმოსაჩენად ყველას ხელს უწყობს. სრულყოფილი ლექსები აქვს.

მიმოზა ცანავა, პოეტი

იკას ვიცნობ, როგორც ძალიან სამართლიან პიროვნებას. თქვენ იცით, მამაჩემი, ნიკო სამადაშვილი, როგორ იდევნებოდა, იკა კი საღამოებს აწყობდა მისი სახელის წარმოსაჩენად. დღევანდელ დღეს ვულოცავ და პოეტ ნუნუკა გურიელის მიერ მიძღვნილ ლექსს გადავცემ მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად.

მზია სამადაშვილი

იკა ნამდვილი, ეროვნული პოეტია, თავისი ქვეყანა უსაზღვროდ უყვარს და ეს მის ლექსებში კარგად ჩანს. მინდა გამძლეობა ვუსურვო ჩვენს დროში.

ლია ნაროუშვილი, პოეტი

იკა ქადაგიძის შემოქმედებას და პიროვნებას ძალიან ვაფასებ. შესანიშნავი ახალგაზრდაა, მისაბაძი ადამიანი, რომელიც თაობებს ერთმანეთთან აკავშირებს. მისი ეროვნული ხედვა გამოკვეთილია, დიდ საქმეს უანგაროდ აკეთებს. აი, ეს არის მთავარი.

ლინა ბარათაშვილი, პოეტი, ჟურნალისტი

ბედნიერი ვარ, რომ დღეს ამ საღამოს ვესწრები. მხოლოდ სულიერი ადამიანი ქმნის კარგ ნაწარმოებს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა გაგრძელდება. გარდა ყველაფრისა ამ ადამიანს აქვს ნიჭი, რომ მასზე უკეთესი უყვარდეს. მუდამ ამ გზით ევლოს.

შალვა დავითაშვილი, კომპოზიტორი

სასიხარულოა, როცა კარგ ნაწარმოებს უკან უდგას პიროვნება, მორალურად და ზნეობრივად სუფთა, რომელიც არაფერზე არ იყიდება. ჩვენ კარგად გვახსოვს განვლილი წლები. ძალიან ბევრი ადამიანი მრუდე გზით წავიდა. იმ წლებში ვაკვირდებოდი იკას და ახლაც ვაკვირდები როგორც მწერალს, შემოქმედს, ვხედავ და მსიამოვნებს, რომ იკა არ იცვლის თავის მრწამსს, მსოფლმხედველობას, თავის არჩევანს და ამ კარგ პოეზიას და პროზას კარგი პიროვნება უმაგრებს ზურგს. მივესალმები იკას შემოქმედებას, ვულოცავ დღევანდელ დღეს.

მიშა ღანიშაშვილი, მწერალი

ვინც არ იცნობს იკას ფიზიკურად და გაეცნობა მის შემოქმედებას, ვერაფრით წარმოიდგენს, რომ ასეთი ახალგაზრდა ქალი ასეთ ნაწარმოებებს ქმნის. ჩემთვის სასიამოვნოა და გასაოცარი, რომ ახალგაზრდა ასაკის მოუხედავად არის პროზაიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, მეცნიერი, ამავე დროს შესანიშნავი საქმის თაოსანი, ლიტარატურული სალონის მეთაური და მესვეური. ამ დარბაზში რომ ხალხი მოვიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხალხს უყვარს იკა ქადაგიძე და პატივს სცემს მას. დალოცვილი ყოფილიყოს იგი და დიდხანს ეცხოვროს ჩვენდა სასიხარულოდ.

აკაკი ბრეგაძე, მწერალი, მთარგმნელი

აი, ასეთი იყო პოეტ შალვა მჭედლიშვილის დანახვა და იქიდან მიღებული პირველი შთაბეჭდილება. მართალია, მერე არა და არ გამოჩნდა ჩვენი შეხვედრა-გაცნობის ბუნებრივი შემთხვევა, მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა. როცა მწერალმა და მეცნიერმა, ქალბატონმა იკა ქადაგიძემ უყოყმანოდ მათხოვა თავისივე შედევრული წინასიტყვაობადართული და თვით ჯვარცმული ავტორის ავტოგრაფით უკვდავყოფილი შალვა მჭედლშვილის შავმოელვარე, მკვრივ ყდაში ჩასმული ორას ოცდაოთხ გვერდიანი პოეტური კრებულის პირველი ტომი „ოდეს გიჭირდეს ჭირთა თმენა“

ჯემალ მეხრიშვილი, მწერალი, კრიტიკოსი

ლორელო (ალგეთისპირული ეტიუდები)

ჩვეულებრივზე გვიან დავწექი დასაძინებლად. ჯავრად ის ჩამყვა, რომ დასაწერი მრჩებოდა ერთი შესანიშნავი ახალგაზრდა მწერლის, პოეტისა და პროზაიკოსის, პუბლიცისტისა და მეცნიერის იკა ქადაგიძის ბიოგრაფია ჩემი მრავალტანჯული გამოუცემელი შრომისათვის „ქართული მწერლობის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი“. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ საჩქარო არაფერია, იკა ქადაგიძის ბიოგრაფიას დავწერ თუნდაც ერთი კვირის, თუნდაც ერთი თვის შემდეგ, ვინმე მაძალებს, დააჩქარე, ლექსიკონი უნდა გამოვცეთო თუ რა. ბევრი მცდელობის მიუხედავად ვერ დავიძინე. 29 მაისი უნდა გათენებულიყო. ღამის მესამე საათი დაიწყო. როგორმე უნდა დავიძინო თორემ ხვალ აღარაფრის არაქათი აღარ მექნება. ისევ მივდე თავი ბალიშზე, ვცდილობ ფიქრებში ჩავიძირო. ტვინი, რომ დავღალო ვიხსენებ ქართველი მწერლების გვარებს ასო ა-ზე. მერე ბ-ზე და ა.შ. ამასობაში გამოვფხიზლდი, მივხვდი რომ ამაოა ტვინის ჭყლეტვა. მაინც აღარ დამეძინება. ავდექი. გადავიცვი. მაგიდას მივუჯექი. დავიწყე მშვენიერი იკას ბიოგაფიის წერა. მე ხომ თავიდან იკა ბიჭი მეგონა, არადა რა ვიცოდი, ბედი მასთან შეხვედრას მიმზადებდა, მასთან ერთად სურათის გადაღებასაც და სატრაპეზოდ მის წინ ჯდომასაც, გამომშვიდობებისას ლოყაზე ამბორსაც. კიდევ კარგი მომზადებული მქონდა მისი ხელითვე დაწერილი და ჩემთვის გადმოცემული მისივე ავტობიოგრაფია. „მწერლის გაზეთში“ და „რაეოში“ გამოქვეყნებული მისი ლექსები, მედეა გიორგიშვილის, ერეკლე საღლიანის, თამარ ლაბაძის წერილები იკა ქადაგიძის შემოქმედებაზე. გამოვიყენე ეს მასალები და არა უშავს, დავწერე რისი დაწერაც მინდოდა. ამასობაში ღამის ოთხი საათიც შესრულდა. მაშინ აღმოვაჩინე და გავაცნობიერე, რომ იკა ქადაგიძის ბიოგრაფია დამიწერია მის დაბადების დღეს.

მისტერიის და მისტიკის ტყვეობაში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ შეუძლებელი იყო არ გამეფიქრა, ნუთუ იმიტომ არ დამეძინა, რომ რაღაც უხილავი და შეუცნობელი, ზებუნებრივი ძალა მთხოვდა საოცარია ადამიანის, მწერლისა და მოაზროვნის იკა ქადაგიძის ბიოგრაფია დამეწერა მაინცა და მაინც მის დაბადების დღეს? იქნებ სწორედ იმ საათებში მოევლინა ქვეყნიერებას მშვენიერი იკა, როცა მე მის ბიოგრაფიას ვწერდი?

შალვა ამინაშვილი

იკა ქადაგიძე იმ ნიჭიერ მწერალთაგანია, რომელიც პასუხისმგებლობით და სიყვარულით ემსახურება მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას, ეფერება ქართულ სიტყვას. მისი ლექსები, რომანები, პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები დიდი მუხტის მატარებელია. სიყვარულით და გემოვნებით წარმართავს საპატრიარქოს რადიოში ლიტერატურულ სალონს. არა ერთ ქართველ მწერალს, მთარგმნელს, მხატვარს, ქართული კულტურის მოღვაწეს მიაგო პატივი და რადიომსმენელს შეახსენა სამშობლოსათვის თავგანწირული მოღვაწეების ღვაწლი, როგორიც იყვნენ: კოტე ხიმშიაშვილი, ნიკო სამადაშვილი, შალვა მჭედლიშვილი.

განათლებული ახალგაზრდა შემოქმედი ლიტერატურულ სალონ „დიაოხს“ ხელმძღვანელობს. მართავს როგორც ლიტერატურულ საღამოებს და გამოფენებს, ისე ახლად გამოსული წიგნების წარდგინებას, არა ერთ ახალგაზრდა შემოქმედს დაულოცა გზა ლიტერატურულ სამყაროში, მისცა რჩევა-დარიგება. დიდი არტისტიზმით წარმართავს იკა მწერალთა შემოქმედებით საღამოებს, იშვიათი მრჩეველი, მეგობარი და ქველმოქმედი ლიტერატურული საქმიანობით დატვირთული, დიდი სიყვარულით უთავსებს ოჯახის, დედის და მეუღლის მოვალეობას, სამშობლოს, ქართული ლიტერატურის და ისტორიის, მოყვასის სიყვარულით ზრდის თავის პატარა შვილებს.

ელენე (ლია) გუსევა, გ. ლეონიძის
სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო
მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგე.

მკითხველო ჩემო, გულთამხილავო!

უკიდეგანო მღელვარება მომიტევე, რაც თავი მახსოვს მუდამ შენ მოგმართავ, ეკლიან სიმართლესაც შენი თანადგომის მოსაპოვებლად ვერთგულებ. გამხელილი და გაუმხელელი ტრიუმფისა და მარცხის აღწერა ხელოვანისაგან შეულამაზებელ სიმართლეს მოითხოვს. სიყალბის ჩრდილქვეშ ქართული მწერლობა დიდხანს იჩაგრებოდა. დროთა განმავლობაში ორგანიზებულმა სიცრუემ ეროვნული ცნობიერება დააზრო. ხელოვნური ლაბირინთიდან როდის-როდის ჭაპანწყვეტით გამოვაღწიეთ. არც ახლა გვილხინს.

მკითხველო ჩემო, გონებაგამჭრიახი კაცი უსიტყვოდ მიხვდება გაუცხადებელ ომში ურიცხვ, გავლენიან მტერთან გამკლავება რარიგ ჭირს. მამასისხლად შერჩენილი გამძლეობის ხარჯზე მავანთა მიერ აღმართულ შეუვალ ზღუდეს რატომ ვეხლებით. ამის დასტური აკრძალული წერილებია მათ შორის რამდენიმე ჩვენი მწერლობის ავტორიტეტულმა მოღვაწეებმა ერთხმად შედევრად რომ დაასახელეს, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო (ამას ალღოიანი ადამიანი ულაპარაკოდ მიხვდება) წერილობით განცხადება არ მოხერხდა. უფლებას ვიტოვებ კოლეგებს ამის უხერხულობა თავიდან ავარიდო და მათი ვინაობის გამჟღავნება სამომავლოდ გადავდო.

ადრე თუ გვიან არსებული უსამართლობა უთუოდ ჩასწორდება და ყველაფერს სახელი დაერქმევა.

არაკეთილსინდისიერ გავლენიან მედროვეთა კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად პუბლიცისტური კრებულის გამოცემა ისედაც უღვთოდ გაჭიანურდა.

წუწუნისაგან ღმერთმა დამიფაროს უხერხულია მკითხველს ის საქმე დაამადლო, რომლის გარეშეც სიცოცხლე არაფრად გიღირს მრავალჭრიგადავლილი ქართველი კერძო სატკივარით რა სინდისით უნდა დაამძიმო, მაგრამ ჩემი წუხილი ორმაგი დარდითა და შფოთითაა გაჟღენთილი. იმ გაუნელებელი პროტესტით საზრდოობს რომელიც უფლებას არ გვაძლევს სიფხიზლე მოვადუნოთ, რასაც ეროვნული ძარღვის კვდომა მოჰყვება. საჯაროდ ჩემს პირად ტკივილზე საუბარი მიძნელდება, თუმცა უთქმელადაც აღარ ეგების, ჩაგუბებული სათქმელი ოდესმე კალაპოტს გაჭრის და თავის სადინარს აუცილებლად მოძებნის.

ჩემი წიგნის დაბადება წუთისოფლიდან უახლოესი ადამიანის გავლას დაემთხვა. დიახ, გლოვა მმართებს და სიმარტოვეში დანთქმა, მაგრამ როცა ხათრის გატეხვა არ მოგდგამს და კოლეგის დაჟინებულ თხოვნას დაჰყაბულდები, მის მხარდასაჭერად პირად უბედურებას წუთით მაინც თვალს მოუხუჭავ. კერძო სატკივარი ასე და ამრიგად მკითხველო ჩემო უნებლიედ თავი სამგლოვიარო „სპექტაკლზე“ ამოვყავი, სადაც პოეზიის დასასამარებლად შეუდარებელი ქართული საგალობლების ფონზე ცინიკური სადღეგრძელოებით საქართველოს ნაგავსაყრელს უწოდებდნენ, ნატანჯ წინაპართა სულებს მასხარად იგდებდნენ და აბაიბრუებდნენ: ამ მომცრო დარბაზში შეყუჟულ „გრანდებს“ უსაზღვრო ფინანსურ-ელექტრონული სივრცე გარს აკრავს, მათ ჩვენი სამშობლო ეთაკილებათ, უფრო მეტიც დასამცირებლად აქციების გამართვა საყველპურო ხელობად გაუხდიათ და

გამიზნულ განქიქებასა და გესლის ნთხევას საკაცობრიო მნიშვნელობის ნოვატორობად ასახელებენ.

როგორც ჩანს უკიდურესი განსაცდელის ჟამს იღბალმა დამცინა. შემთხვევითობას დღენიადაგ ვუფრთხი და თურმე რაღაც გაუგებარ ძალას იმ დღეს სწორედაც შემთხვევითობის მძევლად გავემწესებინე.

წინასწარი შეთანხმებით სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. გულთბილი ავტოგრაფით დამშვენებული წიგნი წინდახედულად მისახსოვრეს. თეატრალიზებული „სამგლოვიარო აქციის“ ორგანიზატორებმა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად მომაკვდინებელი ნომერი მოგვიმზადეს. დაუვიწყარი ეფექტის მოსახდენად ფსალმუნების კითხვაც მოიწადინეს. საგანგებოს მეჩვიდმეტე კანონი შეარჩიეს საქართველო „ნაგავსაყრელი“ სარწმუნოებრივადაც რომ შეეჩვენებინათ.

მკითხველო!

მამის სულის მოსახსენებლად მეც ზუსტად მეჩვიდმეტე კანონზე შევჩერდი და ალბათ ხვდებით ამგვარი „დამთხვევა“ ჩემზე როგორ ზემოქმედებას მოახდენდა. თავის მოთოკვაში დაპირებული სიტყვის მოლოდინი დამეხმარა. ამჯერადაც უნდა მეთქვა დაუფარავი სიმართლე, რომელიც მუდამ უამრავ დაბრკოლებას მიქმნის, მაგრამ ყბადაღებულ იღბალს სხვაგვარად მოეგუნება. საღამო ისე მიიწურა თავისიანების რეკლამით გართულ ამხანაგს დაპირებული სიტყვა აღარ გახსენებია. როგორც ჩანს მკაცრად გაწერილი სცენარის დაცვა განუხრელად უბრძანეს და მეც, ამ აქციის მონაწილეებთან თუ მესაფლავეებთან ჭკუის დამრიგებლურ ვრცელ გმზნებარე გამოსვლას მოკლე სიტყვა ვამჯობინე იქ, სადაც ნამდვილ ჭირისუფალს ნებაყოფლობით სიტყვას არ აძლევენ, პოეზია ცოცხლობს!

ყელში მოწოლილი სათქმელი დინჯად ამოვთქვი, მთავარ მესაფლავეს ყალბავტოგრაფიანი წიგნი უკან დავუბრუნე და სამარისებული დუმილით გარინდული დარბაზი დავტოვე. (დარბაზში ამ „მკვდარი“ წიგნის გასასაღებლად აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ).

ეს მართლაც ბოლო წვეთი გამოდგა. ჩემი პროტესტი (კოლეგიის შეფასებით ერთობ დახვეწილი მეკუბოვეთა საზოგადოებისათვის) სიტყვით ჩარჩოს უდავოდ ვერ გასცდებოდა.

ჩვენში უღვთოდ გაიშვიათებული საჯარო პროტესტის წაყრუების სრულყოფილი სისტემა ჩამოყალიბდა. რა დასამალია მწარე სიმართლე ბევრს ხელს არ აძლევს. მსგავსი აქციების შეკოწიწებით მავანი საზოგადოებას აჩვევს თითქოს საქართველოში პოეზია მოკვდა, ეროვნული სული დაიმარხა, საქართველო ნაგავსაყრელია (მკითხველმა მომიტევოს ამ მკრეხელობის გამეორებისათვის) თუ მართლაც ასეა უკვდავი მესაფლავეები თვითონ ასე გაძლიერებით რის მისაღწევად ფუთფუთებენ?

ერთი მუჭა ნიჰილისტების მკვდარ სურვილს თავზე რა უფლებით გვახვევენ?

ახლახან თქვენი მონა-მორჩილის მოწადინებით გამართულ ღონიძიებაზე ეროვნული შინაარსის მწერლობასთან ზიარება საზოგადოებას იმდენად მოსწყურდა, თეატრმა კარს მომწყდარი ხალხი სანახევროდაც ვერ დაიტია. დავიჯერო თანამედროვედ გარემონტებულ სარდაფში შეყუჟულ მესაფლავეებს ეს ამბავი გამოეპარათ?

არავინ უშლის თავიანთი თავი თეატრალურად გამოიგლოვონ, ქართულ პოეზიას და საქართველოს კი ერთხელ და სამუდამოდ დაეხსნან! საქმე ისე არ წახდება, საქართველოში სულ მცირე ათი კაცი არ გამოიძებნოს, ვინც თავის

ეროვნული მრწამსს ნებისმიერი დაბრკოლების მიუხედავად დაიცავს და მტრის საჯიჯგნად არ გახდის.

უპირველეს გულშემატკივრად და მსაჯულად შენ მეგულები მკითხველო ჩემო, შენ მუდამ შეუმცდარად ასხვავებ მტერსა და მოყვარეს.

ქართულ მწერლობას უშენოდ ვერც ვერავინ მოისყიდის და ვერც გაძარცულ მიწა-წყალივით ურცხვად მიისაკუთრებს.

მკითველო და მსმენელო ამავდროულად, ეროვნული სიტყვის შესამეცნებლად შენი უპირობო მზაობა იმედით მავსებს, შენი დაუზარელი მხარდაჭერა და გამოხმაურება ძალას მმატებს სიმართლე ბოლომდე გავიტანო. წინაპრებმა შეუდრეკელი ბუნება დაგვანათლეს და უფლება არ გვაქვს ქართული სიტყვა შინაურ თუ გარეულ არაკეთილმოსურნეს უბრძოლველად დავანებოთ.

დიახ, საქართველოში პოეზია (მწერლობა) ცოცხლობს და მას ვერანაირი ხრიკებით ვერავინ ჩაკლავ!

ჩვენ მრწამსს ყალბი სპექტაკლებით ვერავინ შებღალავს, ერთმანეთს სიმართლის სიყვარულში თუ შევეცილებით!

მკითხველო და მსმენელო ჩემო! გულიდან ამოხეთქილ სიტყვას გიწვდი, დაე თავად განსაჯე ვინ მამლუქია, ვინ გლადიატორი, მესაფლავე თუ მეციხოვნე, ვისაც ქართული სიტყვის მსახურება ერთდროულად უზენაეს პატივსა და პასუხისმგებლობას აკისრებს!

იკა ქადაგიძე

წიგნი 42 წლის შეთქმულებაზე

გამორჩეულ ადამიანთათვის ცხოვრება განსაკუთრებით მკაცრია. მოკვდავთაგან განსხვავებით სხვაგვარ სუსხში გამოიწრთობიან ისინი, მძიმე ტვირთს ეზიდებიან და შესაძლოა ჟამმა დროებით ზურგი შეაქციოს, მაგრამ ბოლოს მაინც ჟამია მათი დამამკვიდრებელი. დრო აწესრიგებს სამყაროში ქაოტურად მოარულ ძალებს და სიმართლისთვის ჯვარცმული პიროვნება აღზევდება. იგი არც არასდროს დავიწყებიათ. უბრალოდ, მისი აზროვნება ეხამუშათ და აკრძალეს.

XX საუკუნე მრავალთათვის იქცა სისხლიან საჭუჭრლედ, ვინაიდან ახალი სენის სახით მოვლენილმა უბედურებამ ყოველი დროის და ეპოქისთვის დამახასიათებელი სისასტიკით ერთბაშად იჩინა თავი. ეს საყოველთაო ავადმყოფობა, ბოლშევიზმად სახელდებული, მანამდე არნახულ საშიშროებას წარმოადგენდა. უკიდურეს ძალმომრეობასა და ჯანსაღი აზროვნების აღმოფხვრას მან კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი — უღმერთობა დაუმატა, უღმერთობა, რომელიც ერის ფსიქიკის სიჯანსაღის საბოლოოდ ხრწნასა და ცინიზმით შეცვლას ისახავდა მიზნად. ამიტომაც შეიქმნა ახალი ისტორია, წარმოიშვა ახალი, უღმერთო ადამიანი და ფეტიშის საგნად იქცა ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ ნაკარნახევი, მისთვის სასურველი აზროვნება, რომელსაც გადაგვარებული, იმპერიისთვის საჭირო მონური სულისკვეთების ადამიანები უნდა აღეზარდა. და დაიწყო მარადიული ჭიდილი უსასტიკეს რეჟიმს და მეამბოხე ადამიანთა შორის, რომელთაც ვერ იგუეს ხელოვნური, დეფორმაციული წნეხი და მასობრივ ტერორს ჯანსაღი აზროვნება და სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია დაუპირისპირეს. ისტორია კი დუმდა, მაგრამ 1942 წლის შეთქმულების შესახებ — ყველაზე დიდხანს და ჯიუტად.

1942 წლის შეთქმულება, სისხლხორცეული ნაწილი ჭეშმრიტი ისტორიისა, დაუნდობლად ამოგლიჯეს და სავსებით განსხვავებული ელფერი მიანიჭეს. მათ სულის ჩამდგმელებს “მოღალატეები” და “ხალხის მტრები” ეწოდათ, თუმცა იმდროინდელ პრესაში რატომღაც არ გამოქვეყნებულა 17 სიკვდილმისჯილის გვარი. თითქოსდა უკვალოდ უნდა გადაგებულიყო პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელთაც ვერ მოასწრეს ჩანაფიქრის განხორციელება, ვერ მოასწრეს და უმკაცრესად დაისაჯნენ იმისთვის, რომ იმპერიული აზროვნების მოდელს ვერ მოერგნენ. მათ არ შეეძლოთ სხვნაირად ეცხოვრათ, რადგანაც თვითონაც რეპრესირებული ოჯახებიდან იყვნენ და კარგად მოეხსენებოდათ ჭეშმარიტების არსი. ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულთ უნივერსიტეტში უორკეცდებოდათ რწმენა, სადაც მამულის სიყვარულს უნერგავდნენ გამორჩეული პიროვნებანი. ამ თაობას, რომელიც 30-ინი წლების მეორე ნახევარში გამოვიდა ასპრეზზე, დაწყევლილი ეწოდა — თავს დამტყდარი ხვედრის გამო. მათ ძალზე მძიმე ტვირთის ზიდვა მოუხდათ, ვინაიდან ისტორიის ჩარხი მათ საწინააღმდეგოდ ბრუნავდა. ისინი მაშინ მოევლინენ ქვეყნიერებას, როდესაც რუსეთის იმპერია თავისი სიძლიერის აპოთეოზში იმყოფებოდა. დაწყევლილი ეწოდათ, თუმცა მათ ჰქონდათ უმთავრესი — სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია და ეროვნული თავმოყვრეობა, რომლისთვისაც უცხოა მორჩილება. მათ ჰყავდათ რამდენიმე, მაგრამ ჭეშმარიტი მოძღვარი, რომლისგანაც მაგალითს იღებდნენ. საკმარისია დავასახელოთ

ერეკლე ტატიშვილი, შესანიშნავი პიროვნება და ერუდიტი, რომელიც ზნეობრივ მაგალითად ესახებოდა იმდროინდელ ახალგაზრდობას. მისი ავტორიტეტი ბევრი შეთქმულის პიროვნული სიძლიერისა და სწორი აზროვნების ქვაკუთხედად იქცა. ბოლშევიკთა რეპრესიებმა არც ის დაინდო და არაერთი გადასახლებითა და დევნით გაუმწარა სიცოცხლე. ერეკლე ტატიშვილის უნივერსალობა მის მთარგმნელობით მოღვაწეობაშიც ნათლად ვლინდება. ამის ნიმუშია "ესე იტყოდა ზარატუსტრა", რომლის მაღალმხატვრული დონე დიდ სიამაყეს იწვევს. ეს იყო კაცი, რომელზეც მოგვიანებით ნიკო სამადაშვილი იტყვის: "შენ რომ წახვედი, ასე მგონია, მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე". იყვნენ მცირედნი, თუმცა შეძლეს ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც ეპოქის კატაკლიზმს არ შეუშინდა და პირველმა გაილაშქრა უკეთურობის წინააღმდეგ.

1942 წლის შეთქმულება დაწვრილებით უნდა იქნას შესწავლილი, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიისა. ამიტომ დიდი როლი ენიჭება როსტომ ჩხეიძის წიგნს "დაწყევლილი თაობა", რომელიც პირველი ცდაა, პირუთვნელად გავიაზროთ, თუნდაც ზოგადად გავეცნოთ მის მიზანსა და დანიშნულებას. ეს ახალი ეტაპია საქართველოს ისტორიის, სადაც სიმართლე მარტოოდენ მადლიერების და ხსოვნის შარავნდედში არ იკარგება, არამედ არსებულ დოკუმენტაციას ეყრდნობა. ჭეშმრიტი ისტორის რეალურ ფაქტს ანიჭებს უპირატესობას და მასთან მიმართებაში ხსნის ყოველივე დანარჩენს. ჟამმა ჩამორეკა, როდესაც ჩვენ უნდა ვისწავლოთ საქართველოს ნამდვილი ისტორია, ვისწავლოთ ფაქტებზე დაყრდნობითა და სიმართლის მოძიებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევძლებთ გავისიგრძეგანოთ ვერც მამულის სიყვრული და ვერც მისთვის ზვარაკად შეწირულთა ღვაწლი.

1942 წლის შეთქმულთა პაროლი "ვარ უმტკიცესი რვალისა" ფრიად საგულისხმოა ამბოხებულთა სულისკვეთების შესაცნობად. უპირველესად მაინც ამ ორგანიზაციის მიზანი გვაინტერესებს. ცხადია, შეთქმულთა წევრები მარტოოდენ მაღალფარდოვანი ფრაზებითა და ცარიელი საუბრებით ვერაფერს მოიმოქმედებდნენ. როგორც გაირკვა, არსებობდა საიდუმლო, გაშიფრული ბარათი, რომელიც გერმანულ ენაზე იყო შედგენილი. მეორე მსოფლიო ომმა ახალგაზრდებს იმედი გაუღვივათ. გერმანელების წინსვლა კავკასიონთან მათ ხელსაყრელ პირობად დასახეს, რომლის მეოხებითაც თავს დააღწევდნენ რუსეთის იმპერიას და გერმანიასთან სიტყვიერ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. როგორც ჩანს, შეთქმულებს კონკრეტული მიზანდასახულება ამოძრავებდათ, მათ სურდათ გადარჩენა საქართველოსი, რომელიც ორ უძლიერეს იმპერიათა გზაჯვარედინზე მოექცია ბედისწერას. ამიტომ ამოქმედნენ, თუმცა სამხედრო ტრიბუნალის მიერ შეიარაღებული აჯანყების მცდელობა დაედოთ ბრალად, რაც არ ესადგება სიმართლეს. უფრო მეტიც, შეთქმულების ერთიან ორგანიზაციად ჩამოყალიბება არ დასცალდათ. აქ თავმოყრილი ახალგაზრდები საერთო სატკივარს აემღვრია და ეროვნული კლიმატის შექმნას ცდილობდნენ. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ როგორ წარმოედგინათ გერმანელებთან მოლაპარაკება. ზემოთ ხსენებული გაშიფრული ბარათი გადაეცა საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთ შეურიგებელ მოწინააღმდეგეს სოლომონ (ცუგრი) თევზაძეს. როდესაც გერამნიის ჯარი კავკასიას გადმოლახავდა, ს. თევზაძე სამხედრო კომისარს უნდა დაკავშირებოდა, რომლის მეოხებითაც თვითონ დაინიშნებოდა საქართველოს (ან მთელი კავკასიის) კომენდანტად, და სრული უფლემამოსილებით აღჭურვილი ჩაერეოდა გერმანიის ჯარების მოქმედებაში. ასეთ შემთხვევაში საქართველო ფიზიკურად გადარჩებოდა,

ხოლო სანაცვლოდ გერმანია რეალურ დასაყრდენს მოიპოვებდა საბჭოთა ყოფის აღმოსაფხვრელად. ყოველივე ეს როგორ განხორციელდებოდა, დღეს ამის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ რუსეთი ამას არ დაუშვებდა და უთვალავი ჯაშუშის შემწეობით დარწმუნდა, რომ ტყუილად არ მიუტანია ეჭვი იმ ახალგაზრდებზე, რომელთა ფხიზელი გონება მარტოოდენ რომანტიზმის მიმანიშნებელი არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც არ დაახანა და ცრუ ბრალდებებით ჰიპერბოლიზებული სახე მისცა შეთქმულთა სახეს.

ჯგუფის იდეური ხელმძღვანელი კოტე ხიმშიაშვილი ძალზე ნიჭიერი მწერალი იყო. ლიტერატურა მისთვის თავგამოხტვის საუკეთესო საშუალებად იქცა. პირველმა წარმატებამაც არ დააყოვნა. თავისი მინიატურა "გაქცევა გადასახლებიდან" თვითონვე თარგმნა ინგლისურად და "მოსკოუ ნიუსს" გაუგზავნა გამოსაქვეყნებლად. იქ ძალზე მოეწონათ მისი სტილი და ინგლისური ენის ცოდნა და "მნათობს" მისწერეს იმის გასარკვევად, თანამშრომლობდა თუ არა მათთან ასეთი პიროვნება. ადვილი წარმოსადგენია, "მნათობი" რასაც უპასუხებდა, ვინაიდან "მოსკოუ ნიუსს" მინიატურა აღარ დაუბეჭდავს. ხიმშიაშვილის სტილის ორიგინალურობა ნათლად გამოიკვეთა ნოველაში "გლობუსი", რომელიც მის თანატოლთა სიამაყისა და საერთო მოწონების საგნად იქცა. მართლაც გასაოცარია, 18 წლის ჭაბუკის მიერ დანახული ბოგანო, უღირსი პიროვნება, რომელიც ძალაუფლების ხელშიჩაგდებისთანავე სათამაშოდ გაიხდის დედამიწას. ნოველის სიმბოლიკა ძალზე ცხადია. კოტე ხიმშიაშვილი ქვეცნობიერად გრძნობს მოახლოებულ მომაკვდინებელ საფრთხეს, რომელიც თავს დაატყდება კაცობრიობას უღირსი, პატივმოყვარე მმართველის ხელში. ასეთი მასშტაბური თვალთახედვა დეკორატიული იუმორის სირღმეში ტრაგიზმს წარმოაჩენს, დაძაბულ ფიქრს მომავალი ყოფისა. მისი ხელწერა უფრო სრულად "ჯონქა ხორნაულში" ვლინდება, სადაც ახალგაზრდა კაცის მაძიებელი სულიერი სამყაროა წარმოდგენილი და არა იმდროისთვის გაბატონებულ-მისასალმებელი ტენდენცია საკოლმეურნეო ცხოვრების აღწერის და ხოტბისა. კოტე ხიმშიაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ცალკე საუბრის თემაა, ამიტომ ამჯერად მოკლე მიმოხილვით ვიფარგლებით. ერთი რამ ცხადია, იგი უაღრესად ნიჭიერ ახალგაზრდებს განეკუთვნება, რომელთაც საშუალება არ მიეცათ სრულად გამოევლინათ თავიანთი პოტენციალი და თვითმყოფადობა. ისინი შეუფერებელ დროს დაიბადნენ და ჩანასახშივე გაიწირნენ, რის გამოც დაწყევლილები ეწოდათ. ჯარში გაწვევიასას განჯაში მდგომ სამხედრო ნაწილში იგი გაიხმო გიორგი იმერლიშვილმა და სამშობლოს გადარჩენაზე ფიქრი გაუზიარა. გიორგი ჯერ თავის ნათესავებს გაენდო, მერე რამდენიმე მეგობარს, მაგრამ მალე ფრონტზე გაგზავნეს და ყველაფერი კოტეს გადააბარა. შეთქმულთა მეგობრების უმეტესობა ავჭალის სამხედრო ნაწილში მსახურობდა და მთავრი ქსელიც იქ გააბა. კოტე ხიმშიაშვილს კავშირი ჰქონდა ძირითად ბირთვთან: კოტე ჯოგლიძესთან, მიხეილ იმერლიშვილთან, შალვა შავიანეძესა და გიორგი ძიგვაშვილთან. განჯაში შეხვედრამ განპირობა ის ისტორიული კანონზომიერება, რომლის ძალითაც კოტე ხიმშიაშვილი ამ ორგანიზაციის იდეურ ხელმძღვნელად იქცა. მისი ოცნება ისტორიული საქართველოს მთლიანობის აღდგენას დაუკავშირდა, თუმცა შესანიშნავად უწყოდა, რომ ეს პროცესი სწრაფად და უმტკივნეულოდ ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ საბოლოო მიზნად სწორედ ამას ისახავდა. კოტეს პოზიცია იმაშიც გამომჟღავნდება, რომ მას არ სურდა ემიგრანტების ჩარევა შინაურ საქმეებში, ვინაიდან განსხვავებულად ესახებოდა სახელმწიფოს მოწყობა, გიორგი ძიგვაშვილთან ერთად იგი დემოკრატიული წყობის მომხრედ გვევლინება, თუმცა

მენშევიკთა პოლიტიკურ კურსს ნეგატიურად აფასებდა, კოტე ხიმშიაშვილი უფრო მოქნილი, ელასტიური დ შორს გამიზნული პოლიტიკის განხორციელებას ისახავდა მიზნად, ამიტომ ცდილობდა სომეხ ინტელიგენციასთან დაემყარებინა კონტაქტი.

კოტე ხიმშიაშვილი კოლმეურნეობების გაუქმებასაც ადგილობრივი პირობების გათვალიწინებით სახავდა. ეს პროცესი თანდათან უნდა განხორციელებულიყო. გიორგი იმერლიშვილს ამ საკითხთან დკავშირებით რადიკალური პოზიცია ეკავა. იგი კოლმეურნეობის დაუყოვნებლივ აღმოფხვრას გერმანელთა ჯარის დახმარებით ხედავდა. შეთქმულებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს ეკონომიკურ-მატერიალურ სიძლიერეს კერძო საკუთრების შემოღება და არსებული რესურსების გონივრული გამოყენება შექმნიდა. ისინი რეალიზმიდან იღებდნენ ამოსავალს და ყოველ ნაბიჯს დაკვირვებით აანალიზებდნენ. ქვეყნის დამოუკიდებლობას ერის ფიზიკურ-ზნეობრივი ღირსების ამაღლებასა და საკუთარ შესაძლებლობათა რაციონალურ გამოყენებას უკავშირებდნენ.

შეთქმულთა ორგანიზატორი კოტე ჯოგლიძე საოცარი გონიერებითა და მასშტაბური აზროვნებით გამოირჩეოდა. მის თხზულებათაგან მხოლოდ თეზისებიღა შემოგვრჩა ვაჟა-ფშაველას "გველისმჭამელზე". სწორედ მან ჩამოაყალიბა საიდუმლო ჯგუფის სტრუქტურა და რომ არ დაეხვრიტათ, ეროვნულ პარტიასაც ჩაუყრიდა საფუძველს. ორგანიზაციის სტრუქტურა ე. წ. ჯაჭვურ სისტემას ემყარებოდა, რომელიც რომელიმე წევრისა თუ ჯგუფის ჩავრდნის შემთხვევაში ორგანიზაციის გადარჩენის იმედს სახავდა. თვითონ ჯოგლიძემ ცენტრისა თუ ბიუროს ხელმძღვანელობა ითავა. შალვა შავიანიძე მდივნად აირჩიეს, გიორგი ძიგვაშვილი და მიხეილ იმერლიშვილი — ბიუროს წევრებად. ეს იყო ავჭალის სამხედრო ნაწილში შეთქმულების ძირითადი ბირთვი, რომელსაც რამდენიმე წევრი შეემატა: ივანე ლაპიაშვილი, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე და მიხეილ კაციტაძე. კოტე ჯოგლიძე აპირებდა ცენტრის შტაბად გარდაქმნას, რათა გერმანელების მიერ კავკასიონის გადმოლახვის შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწია ბოლშევიკებისათვის. კოტე ჯოგლიძე აპირებდა მომავალი პარტიისათვის "სამნო" ეწოდებინა, რომლის ვარიაციული სახეცვლილება "სამანი" შემდგომში შეთქმულთა საქმის გამგრძელებელ ორგანიზაციას ეწოდა (რაც ნიშნავს: საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ნაციონალური ორგანიზაცია). ამ ორგანიზაციას ადამ ბობღიაშვილი ხელმძღვანელობდა.

კოტე ჯოგლიძემ თურმან შანშიაშვილს დაავალა როგორმე რადიოკავშირი დაემყარებინა გერმანელებთან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, ისევე, როგორც ვერ განხორციელდა კოტეს მეორე ჩანაფიქრი, როდესაც გიორგი ძიგვაშვილს დაავალა დაკავშირებოდა ინგლისელთა სამხედრო მისიას და მოლაპარაკება გაემართა მათთან. შეთქმულები არსებული ხელისუფლების შეიარაღებითაც იყვნენ დაინტერესებულნი. გიორგი ძიგვაშვილი შვიდი ნოემბრის პარადზე აპირებდა დასწრებას ტანკების დასათვალიერებლად.

როგორც მთლიანობაში ჩანს, შეთქმულები საკმაოდ სერიოზულად და მიზანდასახულად ცდილობდნენ ჩანაფიქრის განხორციელებას, თუმცა შეიარაღებული გამოსვლა მოგვიანებით დაანათლეს სუკის ჯურღმულებში, რაც ვერ დაუმტკიცდათ, თუმცა ამას აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. ასეთია უზოგადესი სურათი 1942 წლის შეთქმულებისა, რომელმაც ქვეყნის ბედზე გულშემატკივარი ახალგაზრდების სიცოცხლე შეიწირა.

დახვრეტა მიესაჯათ: დიმიტრი ბურდიაშვილს, მიხეილ იმერლიშვილს, სოლომონ იმერლიშვილს, ლევან თორაძეს, შალვა შავიანიძეს, გიორგი ძიგვშვილს,

კოტე ჯოგლიძეს, თურმან შანშიაშვილს, გიორგი იმერლიშვილს, კოტე ხიმშიაშვილს, გიორგი ქადაგიძეს, რომან ბატიაშვილს, გიორგი ახობაძეს, მიხეილ კაციტაძეს, ზურაბ მისაბიშვილს, გივი თარგამაძეს, მიხეილ საბაშვილს.

აღსანიშნავია ზურაბ მისაბიშვილის დიდბუნებოვნება, როდესაც თვითონ სასიკვდილოდ განწირული, მეგობარს, ლეო კვაჭაძეს ულოცავს გადარჩენას. ასევე შალვა შავიანიძის კეთილშობილება, რომელიც ბარათის მიმტანის ვალს ისტუმრებს.

ასე დასრულდა 1942 წლის შეთქმულება. დახვრეტილთა შორის საკმაოდ ნიჭიერი მწერლები იყვნენ: კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, გიორგი ქადაგიძე, თურმან შანშიაშვილი. ჯალათებმა არც მათი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაინდეს და მცირე ნაწილის გარდა აღარაფერი შემოგვრჩა.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ლადო ასათიანი:

“მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები,

მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს.”

ცხადია, მარტოოდენ ჭლექი არ იყო ამ შორსგამჭვრეტი, ტრაგიკული ფრაზის მამოძრავებელი. ლადო ასათიანმა საკუთარ თავზე გამოსცადა დაწყევლილთათვის ნიშნეული ეპოქალური სირთულე და უკუღმართობა ჟამისა.

დედის გადასახლებით გამოწვეულ ტკივილს ლექსით ვერ იქარვებს და აღმოხდება, რომ “ჩვენი სახლ-კარი ააწიოკეს, დაუბანელმა გლეხის კაცებმა”.

ლადო ასათიანი აქამდე უცხო სპექტრში წარმოჩინდება. პოეტი, რომლის ლექსებსაც დაუნდობლად ამახინჯებდა ცენზურა და რასაც ვერ ეგუებოდა მისი ნატურა. ჭაბუკი მგოსანი, რომელიც მოუთმენლად ელოდა პირველი კრებულის გამოსვლას და რომელიც მოსპო, ცეცხლს მისცა ინკვიზიციამ, ვინაიდან დითირამბებს არ აღავლენდა ბელადთა მიმართ და წინაპრების საქმეს აგრძელებდა. კრებულის დაღუპვამ დააჩქარა მისი ნაადრევი სიკვდილი, ხოლო არნახულმა სიმკაცრემ მგოსანს ათქმევინა: “წინათ თუ ღვინოს დაგაძალებდნენ, დღეს წყალსაც არვინ დაგალევინებს”. იგი შეთქმულებთან მეგობრობდა და ყოვლად შეუძლებელია მათი მრწამსის გამზიარებელი არ ყოფილიყო.

1942 წლის შეთქმულების პარალელურად საქართველოში არსებობდა მე-2 ორგანიზაცია “სამანის” სახელწოდებით, რომელსაც სათავეში ედგა ლეგენდარული ადამ ბობღიაშვილი. მისი ლექსების ძირითადი ნაწილი თუშურმა სიმღერებმა შემოგვინახა. ტრაგიკული და საინტერესო ხვედრი გაიზიარა მან, როცა რეპრესიაში მოყოლილი თუშეთის მთებში გადავარდა, რათა იქიდან შერკინებოდა უზარმაზარ სახელმწიფოს, მარტო დასჭიდებოდა იმპერიას. მან არ ისურვა საბჭოთა ჯარისკაცთა რიგებში ჩადგომა და მთებში გაიჭრა, ვინაიდან სძულდა სისხლისღვრა და ძალმომრეობა. თავისუფლებისმოყვარე მთიდან აზვირთდა წინააღმდეგობრივი მოძრაობა, რომელიც საქართველოს მორღვეული მთლიანობისა და ეროვნული თვითდამკვიდრების ამაღლებას ისახავდა მიზნად. 1942 წლის შეთქმულთა მსგავსად სამანელებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ გერმანელებთან მოლაპარაკება ეწარმოებინათ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, ხოლო თუ მათი მცდელობა ნაყოფს ვერ გამოიღებდა, საკუთარი სიცოცხლე შეეწირათ ზვარაკად. ადამ ბობღიაშვილს ნატვრა შესრულდა. მან თავის მიწაზე დალია სული და არა უცხო ცის ქვეშ. თორღვას ხეობაში გამცემის ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე, როდესაც სასიკვდილოდ განწირულ მეგობარს მივარდა გადასარჩენად. მთაში თოფით გავარდნილ ადამ ბობღიაშვილს კაცის სისხლი არ დაუღვრია. ალბათ, ამიტომაც შეიმოსა ლეგენდარული შარავანდით, მისი ტრაგედია კიდევ ერთხელ ნათელყოფს პიროვნებისა და სახელმწიფოს ჭიდილს. მართალია, პიროვნება,

ფიზიკურად მარცხდება, მაგრამ მორალურად იმარჯვებს. ამიტომ საკრალურ ელფერს გადაიკრავს თვით ბობღიაშვილის სახელიც — ადამი — უძველესი შრეებიდან ამოტივტივებული და მარადისობის თანამგზავრი.

საქართველოში არსებობდა აგრეთვე პოლიტიკური ჯგუფი "საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი", რომელსაც სული ჩაუდგა შესანიშნავმა მწერალმა და პიროვნებამ ლევან გოთუამ, რისთვისაც მან 22 წელიწადი გადასახლებაში გაატარა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები თავდაუზოგავად ებრძოდნენ იმ წეს-წყობილებას, რომლის დამკვიდრებასაც ბოლშევიკებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს. ისინი დაუპირისპირდნენ იმ სტრუქტურას, რომელმაც მთლიანად დაანგრია მანამდე არსებული სამყარო. მოხდა მარადიულ ფასეულობათა გადაფასება, ჭეშმარიტება სიცრუედ გამოცხადდა, ზნეობა — უზნეობად, შრომა — უსაქმობად, კოსმოპოლიტიზმი — სამშობლოს სიყვარულად.

სწორედ ამგვარმა გაუკუღმართებულმა ხედვამ შეძლო ადამიანთა ფსიქიკაში შეღწევა და მისი ამოყირავება, დამახინჯება, თუმცა გარკვეული ჯგუფი ადამიანების გადაურჩა ამ საყოველთაო ნგრევას. მათ შეგნებაში ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ ფესვი ვერ გაიდგა და ამიტომ დასაღუპად გაწირა.

ასეთი ადამიანები თავიდან გვაჩვევენ აზროვნებას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არტახებში იყო მოქცეული. ისინი განასახიერებენ მოდელს ახალი, ძლიერი ადამიანისა, რომელმაც უნდა მართოს მომავალი საქართველო წინაპართა საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობითა და სწორი მოქალაქეობრივი პოზიციით.

ასეთია გამორჩეულ ადამიანთა ბედი, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში დავიწყებას მისცეს, მაგრამ დრომ ყველას საკუთარი ადგილი მიუჩინა. დრომ — ყველაზე მაღალმა, ცვალებადმა და სასტიკმა კატეგორიამ ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა, ვინაიდან ნეტარ არიან ისინი, ვინც სამართლიანობისთვის იბრძვიან და მოწამეობრივ გზას ირჩევენ მიზნის მისაღწევად!

1994 წელი

დაიბეჭდა როსტომ ჩხეიძის წიგნში "დაწყევლილი თაობა" (მეორე ნაწილი) 1995 წელი.

"ჯონქა ხორნაულის" დაბრუნება

კოტე ხიმშიაშვილი იმ პიროვნებათა რიგს განეკუთვნება, რომელთაც ისტორიის წრებრუნვის შედეგად დაუმსახურებელი ხვედრი გაიზიარეს. მისი შემოქმედება იმ თაობის საერთო სატკივარია, ორმოციან წლებში რომ გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და ხმის ამოღებისთანავე ყველაზე მეტად იწვნია კომუნისტური იმპერიის მარწუხები. მოახლოებული კატაკლიზმების ფონზე წინასწარმეტყველურად გაისმა მწერლის სიტყვები: "— ჩვენს თაობას იმდენი რამ განუცდია, რომ სიბერის ცდა აღარ არის საჭირო, ახლავე შეგვიძლია მემუარების წერას შევუდგეთ".

ძალზე საინტერესოა რომანი “ჯონქა ხარნაული”, იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების იშვიათი გამონაკლისი. კომპოზიციურად მკვრივად შეკრული თხზულება, ისევე, როგორც თხრობის ვრცელი მანერა, სირთულეს არ უქმნის ავტორს. მანამდე სტუდენტთა ცხოვრება არასდროს ყოფილა ლიტერატურის ინტერესისა და ყურადღების საგანი. არავის უცდია ესოდენ ამომწურავად აესახა სტუდენტი ახალგაზრდობის ყოფა, მიზანსწრაფვა, დანიშნულება, ურთიერთობა საზოგადოებასთან.

ამ მხრივ “ჯონქა ხარნაული” უდავოდ სიახლეა. მან ხარკი არ მოუხადა გაბატონებულ ტენდენდიას, ხელოვნება არ დაიყვანა საბჭოთა უნიჭობის ერთგვაროვნებაზე. შეკვეთით მოძალებული კოლმეურნეებისა და აქტივისტი კომკავშირლების ფონზე “ჯონქა ხორნაული” მართლაც უჩვეულოდ გამოიყურება. მკითხველი სასიამოვნო დილემის წინაშე აღმოჩნდა. მის თვალწინ გადაიშალა მანამდე უცნობი, გაუშუქებული სამყარო, რომელიც ახალგაზრდა პიროვნების მაძიებელ სულთანაა დაკავშირებული, მისი არსებობა გარემო პირობითობაზეა დაფუძნებული და ცდილობს საკუთარი ადგილი იქ მოიძიოს, სადაც პიროვნული ნიჭისა და ღირსების შესაფერისი გარემო იქმნება. ჯონქას სურს სულიერი შრეებიდან ამოზრდილ უწესრიგობაში გაერკვეს. უკეთ გაითავისოს დახვეწილი, ამაღლებული და ინტელექტუალური სამყარო, ადამიანები, თუმცა ბოლომდე არ უგულებელყოფს საკუთარ ნიადაგს. არც მაშინ, როდესაც ციხისელების ოჯახში სტუმრად მოსული მოდურ ტანისამოსს ისწორებს, ხელახლა აფასებს თავის ჰაბიტუსს და წამში უძველესი შრეების სიღრმეში დაინთქმება. დენდივით გამოწყობილ ჭაბუკს მამამისის, ფშაველი მეცხვარის ოდნავ ცბიერი მზერისა და ოთხკუთხა, დაქანებული შუბლის მქონე ორეული შეახსენებს თავს.

მამის გამომეტყველებასთან მსგავსებას თეთრი საყელო აძლიერებს, რომლის წყალობითაც ხორნაულს კისრის ძაღვები აქვს დალურჯებული. სარკის წინ დაწყებული ძვრა ინტენსიურ გრადაციაში გადაიზრდება. ხორნაული საკუთარ თავს და, ამავე დროს, მამას ეკამათება. “ინტელიგენტობა მოგინდა” — ლუკა ხორნაულს ირონიული ძახილი ყურში უწივის, თუმცა გრძნობს, რომ ჩვეულებრივი ნიშნის მოგებით შიგნით საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ინსტინქტი უჯანყდება. გონს მოსული ჯონქა თვალსა და ხელშუა განიცდის მეტამორფოზას. პირველქმნილ პრიმიტივიზმს დაწმენდილი, აზრიანი გამოხედვა ცვლის. მწერალი გვიჩვენებს, რომ ადამიანი აუცილებელი არის მთლიანად მოსწყდეს თავის პირველსაწყისს. პირიქით, მის გაფართოებასა და დახვეწაზე უნდა იზრუნოს. წინსვლა მხოლოდ ძირეულ ფესვებზე დაყრდნობითა და ერუდიციის შერწყმის შედეგად მიიღწევა. ხორნაული კულტურული ადამიანის მოდელს მოიაზრებს, რისთვისაც მზადაა თვალსაწიერიდან აღიქვას საკუთარი სამყარო. ჯონქას მეამბოხე ბუნება სხვაგვარადაა მოწყობილი, უფრო ქმედით და ფასეულ ძვრებში ჰპოვებს გამოსავალს. მტანჯველი ყოყმანისა და გაორების მიუხედავად, ჭაბუკი უმაღლესი საზოგადოების წიაღის შეცნობას ლამობს.

ციხისელების სადარბაზოს კიბეზე მდგარი ხორნაული იმდენად დაუცველი, მოუხეშავი და ახირებულია, უნებურად მარტინ იდენს გვაგონებს. იმდენის მსგავსად უზომო გულწრფელობითა და შინაგანი სიფაქაზით შეიარაღებულმა არ იცის უხერხულად აწურულ მხრებსა და უადგილო სიწითლეს რა მოუხერხოს, ვის დაელაპარაკოს ან სად გაჩერდეს. სამშვენისებით მორთულ ინტერიერს უარესი შფოთი შემოაქვს, დახვეწილი დიზაინი სინათლეგაუმტარ ზღუდედ აღმართულა, მეტი გაუცხოებით ჭრის პერსონაჟის გაუწაფავ თვალს, და, ამავდროულად, მისი დაბნეულობის ზრდას განაპირობებს.

ნებისმიერი დაბრკოლების მიუხედავად ხორნაული ის პიროვნებაა, ვისაც ძალუძს უკეთესი გახდეს. ჯონქა საკმაოდ ძლიერი ნებისყოფის პატრონია. უნდა ითქვას, რომ ამ თვისებას აბსტრაქტული თეორიებისა და წიგნის ფურცლებიდან შენაძენი ფრაზებით კი არ ისრუტავს, არამედ ინტენსიურ ქმედებას ემყარება.

“მოწაფეობისას ერთ მასზე უფროს ბიჭთან აჭიდებდნენ ხოლმე ჯონქას. ბიჭი ყოველთვის ჯობნიდა, რადგან ხნოვანებითაც მეტი იყო, წონითაც და ღონეც მეტი ჰქონდა. მაგრამ ლუკაანთ ყმაწვილი ჯიუტობდა, მაინც გულდაგულ ეჭიდებოდა და მუდამ ცხვირგადაყვლეფილი და მუხლებდალურჯებული დადიოდა. ტოლებს მოსწონდათ თავგამეტებული ჭიდილი და დღე ისე არ გავიდოდა, რომ ერთმანეთს არ დაეტაკებინათ. უფროსი ჯერ ადვილად სჯობნიდა, მაგრამ შემდეგ პატარა ხორნაულის უტეხმა ჯიუტობამ და გააფთრებამ შეაშინა და ერთხელაც უარი თქვა მასთან დაჭიდებაზე”.

ეს მონაკვეთი გადამწყვეტია ხორნაულის პიროვნების განსაზღვრისას. მოზრდილი ბიჭი თვითონ ცხოვრებაა, რომელთან ჭიდილსაც ჭაბუკი არასდროს წყვეტს. მაშინაც, როცა ძალთა თანაფარდობა მის სასარგებლოდ არ იხრება. ჯონქა ახერხებს ცხოვრების ორომტრიალში თავისთავადობა შეინარჩუნოს. მართალია, არაერთი სიძნელის, იმედგაცრუებისა და დანაკარგის ფასად, მაგრამ მაინც იგი საბჭოთა ადამიანის სტერეოტიპსაც შეძლებისდაგვარად უვლის გვერდს. სასიყვარულო მარცხისა და ცხოვრებაში დაკანონებული სიყალბის გაცნობიერებით კიდევ უფრო წამახული, ბოროტებასთან მუდმივად შეურიგებელი ხდება მისი თვალთახედვა, უმაღლესი საზოგადოების სნობური უსივრცობა მას არ აკმაყოფილებს და მშობლიურ ფესვებს უბრუნდება მომავლის რწმენითა და დაუშრეტელი ენერგიით გაორმაგებული. მართალია, ჯონქამ ქალაქური ცხოვრების ყაიდა ვერ მოირგო, თუმცა ბევრი სასარგებლო რამ მაინც აითვისა ცივილაზიის მეოხებით. ხორნაულის შემდგომი გზის ასახვა მწერალს არ დასცალდა, თუმცა რომანის დასასრული მიგვანიშნებს, რომ ჭაბუკის ბედი საბოლოოდ არა არის გადაწყვეტილი. შესაძლოა მას კვლავ ხმაურიანი ქალაქის დინამიკასთან გაჯიბრებულს შევხვედროდით, მაგრამ “ჯონქა ხორნაულის” ავტორს ზნეობრივ სიმაღლეზე დგომა სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ინტელიგენციის ჯანსაღი და გადაგვარებული ნაწილის კონფლიქტი რომანის ერთ-ერთი ძირითადი თემაა. კოტე ხიმშიაშვილი თაობათა ცვლის ჯაჭვური რეაქციის გზით გვიჩვენებს ამ მომენტს. ჯონქასა და მისი მეგობრის, ჩაგუს გვერდით, ე. წ. პერსპექტიულ ახალგაზრდებს: იოთამ ხიზირელსა და თამაზ იათიძეს ვხვდებით, პროვინციიდან ჩამოსული თანატოლების ხალასი ნიჭი, ენთუზიაზმი და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება რომ ენატრებათ. ინტელიგენციის განხეთქილება დავით ციხისელისა და ეგნატე ლაზიშვილის სახით უფრო გამძაფრებულ ფორმას იძენს. ციხისელის შთამომავლობითი ინტელიგენტობა მოჩვენებითია. პროფესორი ის პიროვნებაა, რომელიც ჭეშმარიტ ღირებულებასა და ზნეობას არ ცნობს, რის გამოც ცუდი ზეგავლენის ქვეშ ადვილად ექცევა. კომუნისტურ რეჟიმთან დაპირისპირება მისთვის მხოლოდ ხელსაყრელი საფარია, რასაც იქამდე იყენებს, სანამ საჭიროება მოითხოვს. ციხისელის რაფინირებული ნიჰილიზმი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს სწორ მოქალაქეობრივ პოზიციის უქონლობას კარგად ეთვისება. იმდენად დიდია ციხისელის ტენდენციურობა, რომ იგი უნივერსიტეტს უნიჭობის ინკუბატორად ნათლავს. “- სწავლა სარფიანი გახდა, სარფიანი და ამიტომ ეტანება სოფლის ხალხი. ასეთი სულიკვეთების მქონე თაობით შეუძლებელია მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას მოველოდეთ”.

ციხისელის სრული ანტიპოდი ეგნატე ლაზიშვილია, რომლის პროტოტიპიც ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მტარგმნელი ერეკლე ტატიშვილია. იგი ბევრისთვის იქცა შთაგონების წყაროდ, ზნეობის გარკვეულ ეტალონად, რომლის კეთილისმყოფელ ზეგავლენასაც ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ვერც ერთი პროგრესულად მოაზროვნე ხელოვანი ვერ ასცდა. ეგნატე ლაზიშვილის სახით ავტორი იმ უმცირესობას გვიხატავს, ვინც კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც შეძლო ეროვნული მრწამსის შენარჩუნება. ამიტომ ციხისელის ორაზროვან შეკითხვას თამამ პასუხს უხვედრებს, იგი ნებისმიერ დროსა და ვითარებაში თავის ხალხს ემსახურება. პროფესორს მხოლოდ ხარვეზზე არ გადააქვს აქცენტი. მანკიერების მიღმა სინათლესა და რწმენას ხედავს, რისი განჭვრეტა ბევრს აღარ ძალუძს. "- მე ვფიქრობ სწრაფვა სრულყოფილი ადამიანის მთლიანობისკენ თითქოს ბუნებსი კანონია".

პიროვნული ჰარმონიულობისაკენ ლტოლვას ჭაბუკი ლაზიშვილის მეშვეობით ეზიარა. შემთხვევითი არ არის, რომ პროფესორი ისტორიის მეოხებით აღვივებს პიროვნულ სიჯანსაღესა და სრულფასოვნებას. იგი მოძღვარია. ჯონქა ხორნაულისა და ჩაგუს ტიპის ახალგაზრდობის სულიერი მამა, ვისაც პიროვნების ფორმირების მომენტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ჯონქა საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ ლაზიშვილთან საუბრის შემდეგ იღებს. ამიტომ უზომოა მისდამი პატივისცემა და სიყვარული. უნივერსიტეტში ლეგენდად ქცეული მოაზროვნის ღვაწლს მწერალმა კუთვნილი პატივი მიაგო.

რომანში საკმაოდ აქტუალურია ქალაქის დაპყრობის იდეა, რომელსაც კოტე ხიმშიაშვილი საინტერესო ფორმით გვთავაზობს. თხზულების გმირები აგრესიულად არ არიან განწყობილნი თბილისიის მიმართ, ისინი განათლების მეშვეობით აპირებენ ქალაქის დაპყრობას.

ჭეშმარიტ შემოქმედს მომავალი თაობები აფასებს უტენდენციოდ, ზოგჯერ თანამედროვეთა შორისას გვხვდება ბედნიერი გამონაკლისი. კოტე ხიმშიაშვილის ზნეობრივი სისუფთავე და მწერლური პატიოსნება შეუმჩნევი არ დარჩენიათ: ლეო ქიაჩელს, მიხეილ ჯავახიშვილს... თანატოლთაგან კი მისი ნიჭიერებისა და სხვა პიროვნული ღირსებათა დამფასებელი ლადო ასათიანიც აღმოჩნდა. "ჩვენს პატარა წრეში ბევრი არაა ისეთი, რომ "რამეზე" ფიქრობდეს, "რამე" აწუხებდეს, უფრო სწორად, მე მიყვარს პატიოსანი მწერლები, მე მგონი გამიგებ, რა პატიოსნებაზეც ვლაპარაკობ. ეს წმინდა ლიტერატურული პატიოსნებაა, რომლისგანაც ძალიან შორს დგას ბევრი ქართველი მწერალი..." მისწერს ლადო ერთხელ და კოტე ხიმშიაშვილს სწორედ ლიტერატურული პატიოსნების გამომხატველად მიიჩნევს.

გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" 1997

“XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან”

(რუსუდან ნიშნიანიძის წიგნის რეცენზია)

ნებისმიერი ერის სულიერი თუ მატერიალური კულტურა ისტორიიდან იღებს დასაბამს.

ჩვენ, ქართველებს, ზოგჯერ ნაგვიანევად გვიხდება ისტორიული კანონზომიერების აღიარება, ვინაიდან რთული ეპოქალური კატაკლიზმი ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას წინააღმდეგობრივი რაკურსით გვთავაზობს.

XX საუკუნე უკვე ისტორიის საკუთრებად იქცა, თუმცა უამრავი რამ კვლავ შეუსწავლელი და გაუშუქებელი რჩება, რადგან ჯერ ისევ ჭარბობს ნომენკლატურული სულისკვეთება, მართლის მიჩქმალვის დაუძლეველი ტენდენცია, ასერიგად რომ გასჯდომია თითოეული ჩვენთაგანის მსოფლმხედველობას.

საბედნიეროდ, ბოლო დროს გამონაკლისის სახით ჭეშმარიტ ფასეულობათა დაბრუნების შემსწრენი ვხდებით.

ათასგვარი შეფერხებების მიუხედავად, თანამედროვე ქართული ლიტერატურა განვითარების გზას ადგას.

ამჯერად მხედველობაში მაქვს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ავტორიტეტული მეცნიერის რუსუდან ნიშნიანიძის ნაშრომი, რომლის სახელწოდებაა: “XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.”

უთუოდ დამეთანხმებით, მეტად საჭირბოროტო, მრავლისმეტყველი სათაურია.

წიგნის შინაარსი საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შეფასებული ისტორიული მოვლენები მდიდრული პარალელებისა და უნიკალური ფოტო მასალის თანხლებით სრულად გავისიგრძეგანოდ.

აქ ბევრი რამ ახლებურადაა გააზრებული და რაც მთავარია, ეს სიახლე სახიფათო ტენდენციის დამკვიდრების ნაცვლად ეროვნული ცნობიერების მისაღებ მოდელს გვთავაზობს.

ვფიქრობ, ეს ნაშრომი კოსმოპოლიტიზმით ძლეული საზოგადოების დროული გამოფხიზლებაა და არა მხოლოდ მათთვის, ვინც თავსმოხვეულ მოდას ქედი მოუდრიკა, არამედ თითოეული საღად მოაზროვნე ქართველისათვის, ვისაც წლების მანძილზე გამეფებული უჰაერო ვაკუუმის გარღვევის სურვილი ამოძრავებს.

“XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან” ჩვენი ქვეყნის ერთ დროს საბედისწეროდ დამახინჯებული პერიოდის ასახვით იწყება.

მკითხველი 1926 წლის სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის დინამიკაში ერთვება, უშუალოდ განიცდის თითოეულ პასაჟს, რასაც ავტორის დახვეწილი გემოვნება და მკვლევარის შეუმცდარი ალღო განაპირობებს.

“ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ისტორიაში ყოველივე თანდათან იხვეწება, თავის ადგილზე ლაგდება-ეს ობიექტური ისტორიული პროცესია, მაგრამ ამავე დროს არსებობს ადამიანთა არანაკლებ ბუნებრივი მისწრაფება, რომ ზოგიერთი რამ თანამედროვეთა ყურადღების სფეროში მოაქციონ.”

ეს თავად მკვლევარის დამოკიდებულებაა ისტორიული მოვლენებისადმი, რასაც ბუნებრივ მისწრაფებად ნათლავს, თუმცა ნაშრომში ჩაღრმავებისას ვრწმუნდებით, რომ სიმართლისადმი მიდრეკილება მაშინ ძალზე მცირედს გააჩნდა.

სამწუხაროდ, უკეთესობისკენ სწრაფვა არც თანამედროვე ადამიანს ეტყობა.

მწერალთა ყრილობაზე მომხდარი არაერთი ინციდენტი ორგანული ნაწილია დღევანდელობისა, ოდინდელი დაპირისპირება საშუალო ადამიანსა და მოაზროვნეს, ჩინოვნიკსა და შემოქმედს შორის.

მწერალთა ყრილობაზე გამოტანილი ულმობელი განაჩენი ექოსავით გადმოსწვდა თანადროულ საზოგადოებას, რომელიც საერთოდ ვეღარ ურიგდება იმ ფაქტს, რომ მწერლობის აღმოფხვრა ქვეყნის კულტურული ღირებულების გარდუვალ კრახს მოასწავებს.

ისტორია არავის ინდობს. ადრე თუ გვიან, დაფარული გაცხადდება, დღევანდელ არეულობასაც საჭირო ახსნას გამოუძებნიან, მაგრამ ყველაზე გულსატკენი ის გახლვთ, რომ მაშინ, იმ მრისხანე წლებში მწერლები საკუთარ სიცოცხლეზე მეტად ეროვნულ ენერგიას უფრთხილდებოდნენ. ქართული კულტურის გადასარჩენად დამღუპველ პირდაპირობაზეც არ უთქვამთ უარი.

ეს ხდება 1926 წელს, ბოლშევიკების სისხლიანი მმართველობის ხუთი წლისთავზე და აქვე, შთამბეჭდავი ფოტო: ისტორიული ქარტეხილის შუაგულიდან ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი გადმოგვყურებენ.

მოგვიანებით ვიღაც მედროვე გამსახურდიას მიაყვირებს - ჩოხა რა უყავიო.

მწერალთა პირველი ყრილობა ავტორის მიერ ამგვარად ფასდება:

“დღევანდელი დღე ქართულ ლიტერატურაში ახალი ეპოქის დაწყების თარიღია.

ერთ რამეში უდავოდ უნდა დავეთანხმოთ ავტორებს. ამ დღეებიდან ახალი ეპოქა იწყება, ეპოქა გამორჩეული თავისი სისასტიკით.”

ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ ჩვენ ამ ეპოქის ტვიფარი სულიდან დღემდე ვერ ამოვძირკვეთ.

ავადმაუწყებელი 37 წლის სუსხი უპირველესად მწერლებს შეეხოთ.

კომუნისტური პარტიის მუშაკებმა კარგად იცოდნენ წმენდა საიდან დაეწყოთ, თავდაპირველად ვინ ამოეღოთ მიზანში.

დღეს არაერთგზის გაისმის, რომ მწერლობა ერის ზნეობრივ დასაყრდენს აღარ წარმოდგენს, რომ თანადროულმა ყოფამ ამგვარი საჭიროება გააუფასურა, ძნელი მისახვედრი არ არის, რაოდენ სახიფათო განაცხადია. დაუშვებელია XX საუკუნის სისხლიანი კატაკლიზმი ამ ერთი შეხედვით უსისხლო დეგრადაციის სახით გაგრძელდეს.

ისტორიას მსგავსი რამ ძალუძს.

ნაშრომში თავმოყრილი მასალა ძირითადად საქართველოს გასაბჭოების პროცესს აანალიზებს.

პირუთვნელი შეფასება თითოეული თანამედროვის მოღვაწეობის გამოწვლილვით მიიღწევა.

საბჭოური ანარქიის საუკეთესო ილუსტრაციად “დიდი იოსებია” მოხმობილი. ნოველა, რომელიც ლიტერატურული ღირსების პარალელურად ყურადსაღებ ისტორიულ სიმართლეს აღწერს.

აქ მტრის სახის კონკრეტიზაცია ხდება: თავდამსხმელები “წითლები” ე.წ. “ბოლშევიკები” არიან, რომლებმაც დაპყრობილ ქვეყანაში ნაძირალათა დაუსჯელობის სინდრომი შემოიტანეს. მკვლევარი ისტორიული მთლიანობის წარმოსაჩენად ემიგრანტულ ლიტერატურას მიმართავს. იმ თვითმხილველებს იმოწმებს, ვინც უშუალოდ საკუთარ თავზე გამოსცადა საქართველოს დამოუკიდებლობის წაგვრის ტრაგედია.

რუსუდან ნიშნიანიძე ბოლომდე არჩეული პრინციპის ერთგული რჩება: ისტორიული გადასახედიდან მრავალმხრივ გაიაზიაროს ლიტერატურული პროცესები, წარსულში არაერთ ცნობილ რეპრესირებულ მოღვაწეს ობიექტური ჭრილი მიუსადაგოს.

გრიგოლ რობაქიძის სილუეტის ასახვისას ავტორი საკმაოდ ვრცელ ციტატებს იშველიებს. მეტიც, უცხოურ პრესას გვაცნობს, სადაც რობაქიძის სახე დაუმახინჯებლად შემოუნახავთ.

ჯერ მარტო დიდი გერმანელი მწერლის სტეფან ცვაიგის დასკვნა რად ღირს, რომელსაც "გველის პერანგის" შესახებ გამოთქვამს. მან ამ "არაჩეულებრივ, ლიტერატურის არც ერთ კატეგორიასთან მიუკუთვნებელ წიგნს უმაღლესი შეფასება მისცა.

ცვაიგის წინასიტყვაობა 1928 წლით თარიღდება. კიდევ ერთი ისტორიული პარადოქსი: საზღვარგარეთ იძულებით დევნილი შემოქმედი ახერხებს მსოფლიო კულტურის განვითარებას არ გამოწყდეს მაშინ, როდესაც მისი თანამოაზრენი გაუგონარი დილემის წინაშე დგანან: შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა მათ სიკვდილს უქადის.

საქართველოში არჩევანის უფლება აღარ არსებობს. მორიგი ბრალდება: უცხოეთში მოღვაწე მწერალი "ნაცისტად" ინათლება. აქვე ავტორის კომენტარი:

"გრიგოლ რობაქიძეს "თვლიან ნაცისტად" იმ ორი ბროშურის გამო, რომელიც მან დაწერა მუსოლინისა და ჰიტლერის შესახებ, პირველი 1941 წელს, ხოლო მეორე 1939 წელს. მაგრამ კომუნისტად არავინ არ თვლის მას, მიუხედავად იმისა, რომ 1924 წელს, თბილისში ჟურნალ "კავკასიონში" ლენინის შესახებ, სხვათა შორის წერდა: "ვისაც განუცდია თუ რა არის: თავისუფლება, მონობის მოსპობა, ადამიანის ღირსების აღდგენა, ქვეყნის გადახალისება, ერთა თვითდამყარება,- მას არ შეუძლია არ ახსოვდეს სახელი ლენინისა, განურჩევლდ პარტიული დაყოფისა და პროგრამებისა."

ეს ხელოვანის დამოკიდებულებაა ზოგადად პოლიტიკისადმი. აღქმა, რომლის პლაზმი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების სინთეზს ემყარება.

მწერალი რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დადგმულ "ლამარას" ცალკე მიმოიხილავს. პიესის შესახებ გამოთქმული შენიშვნები ფრიად ობიექტურია და ანგარიშგასაწევი. ავტორის თვალთახედვიდან აღქმული მორიგი მცდელობაა ბუმის სახით ატაცებული უცხო ტალღის მოსაგერიებლად.

"საუკუნეთა ვდგავარ წინაშე" გალაკტიონის უბის წიგნაკებისა და დღიურების ძირითად ქარგაზეა აგებული. მკითხველს საშუალება ეძლევა გენიოსი შემოქმედის ცოცხალ სახეს ჩასწვდეს. მიაგნოს იმ ნამდვილ გალაკტიონს, რომელიც მარტოოდენ ლირიკულ შედევრებს როდი ქმნიდა. მის ენამახვილ კალამს ბევრი საგულისხმო აღმოჩენა ეკუთვნის.

თავად განსაჯეთ ეს გამონათქვამი როგორ ჟღერს:

"მოგვეცით არა ყრუ ხნის ინტლი-გენტები,

არამედ ნამდვილი ინტელიგენცია."

გალაკტიონის შემოქმედების კვლევისას ყველაზე ღირებული ის გახლავთ, რომ მეცნიერი პოეტის მანამდე შუქ-ჩრდილში მოქცეულ მხარეს წარმოაჩენს. კერძოდ, ეროვნული ენერგიით დამუხტულ შემოქმედს, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბედზე საკმაოდ ბევრს ფიქრობდა.

რუსუდან ნიშნიანიძემ შეძლო ზოგადი სქემატურობიდან გენიოსის უცნობი სახება ამოეზიდა, რომელსაც მისი მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგენი საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ.

დღეს საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს ცნობილი ლექსის: “პოეზია-უპირველეს ყოვლისა” თავდაპირველი ტექსტი.

“საქართველო-უპირველეს ყოვლისა”. - ამბობს გალაკტიონი საქართველოში დამყარებული რეჟიმის გაუგონარმა აბსურდულობამ მას საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა.

“ეს არ იყო თვითმკვლელობა, ეს იყო მკვლელობა. ნახევარი საუკუნის შემდეგ საქართველოში გასროლის გარეშე განმეორდა წიწამური.”(რ.ნ.)

ამგვარი გახლავთ ისტორიული სინამდვილე.

ნამდვილი, რაც ესოდენ ენატრებოდა ტოტალური სიცრუისა და უნიჭობის ჩარჩოში გამომწყვდეულ ტიტანს, ეს “მწუხარებაა ჩვენი, ქართული” მისსავე სიტყვებს რომ დავესესხოთ, ავადმოსაგონარი 37 წლის ტერორის თავიდან აურიდებლობა.

განაჩენი, რომლის გადავადებაც იგივე ფინალს გვთავაზობს. “ისტორია ის შენობაა, რომელსაც ვერავითარი ჩალით ვერ დახურავ.”

ეს მოსაზრებაც გალაკტიონს ეკუთვნის, რომლის უაღრესად დახვეწილი ენის ჰაეროვანი ჩუქურთმები მის სულში შეფარული ეპოქალური სიმძიმის მარადიული გამოძახილია.

ნიკოლო მიწიშვილის სახით ავტორი კიდევ ერთ ტრაგიკულ, საინტერესო მოღვაწეს წარმოგვიჩენს, რომელიც იმდროინდელი ცხოვრების ურყევი წესისამებრ აღესრულა: იგი დახვრიტეს. ნიკოლო მიწიშვილი- საზოგადო მოღვაწე თავად გახლდათ ავბედითი მოვლენების თვითმხილველი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ დატოვებული დოკუმენტური პროზა, რეალური მატიანე ტაბუირებული სიმართლისა.

“ეპოპეას” გაცნობისას ვრწმუნდები, რაოდენ აუცილებელია მნიშვნელოვანი პიროვნებების ავტობიოგრაფიებისა და მემუარული მემკვიდრეობის შესწავლა, დოკუმენტური პროზის ათვისება, რაც ისტორიული მოვლენების გაშუქების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სიმართლის საჭიროება, რომელიც განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნისთვის ჰაერის ტოლფასია.

საყოველთაო სიმხდალისა და უზნეობისადმი შეუგუებლობა ნიკოლო მიწიშვილს დაუფარავად ათქმევინებს:

“თქვენ გაყიდეთ საქართველო. თქვენ მიყიდეთ ის გერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს, ყველას თქვენ მიყიდეთ. თქვენ გადააქციეთ საქართველო ბარდელად, რომელშიაც ყოველი კაცი შედის და ფულსაც კი არავინ იხდის!”

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ყველაზე სავალალო ის გარემოებაა, რომ იმ დროიდან სასიკეთოთ არაფერი შეცვლილა.

დღესაც ანალოგიური პრობლემის წინაშე ვდგევართ და დიდ მიღწევად მიგვაჩნია, როცა აკრძალულ სიმართლეს დავიწყების ჭუჭყს გადავფხეკთ. არავინ ფიქრობს რამდენად მიზანშეწონილია ბუმერანგივით უკან მობრუნებული სამარცხვინო სიმართლის ზიდვა.

სხვა თუ არაფერი, ჩვენი ეპოქალური გულგრილობა ყოველთვის ერთი და იმავე შეცდომის დაშვების ტენდენცია მაზოხიზმის ტოლფასია.

მარადიული გულისტკივილის დამღა ვერც ემიგრაციაში თავშეფარებულ პოეტს სიმონ ბერეჟიანს ასცდა, რომელიც 1918-21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ღირსების დასაცავად გამართულ უკლებლივ ყველა ბრძოლაში მონაწილეობდა. საერთო ტრაგიზმს მისი ბურუსით მოცული გარდაცვალება ამძაფრებს. სულიერი

აშლილობის შედეგად იგი ჰოსპიტალში მოათავსეს, საიდანაც ყოველგვარი კვალი იკარგება.

კიდევ ერთი უსამართლოდ დაკარგული ეროვნული მოღვაწე ლადო ბალიაური, რომელიც 1942 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილეა.

1942 წლის შეთქმულების შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოსცა ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ სათაურით: "დაწყევლილი თაობა". ისტორიულ-დოკუმენტურ ფონზე აკრძალული სიმართლის აღდგენა ძალით ამოგლეჯილი სინამდვილის გამთლიანების საშუალებას იძლევა. სამანელების მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ზეობის ხანას დაემთხვა, ამიტომ არნახულად უშეღავათოა განაჩენი. უნივერსიტეტის 17 უნიჭიერესი ასპირანტი ულაპარაკოდ დახვრიტეს, მათ შორის უმრავლესობა დიდი შემოქმედებითი პოტენციითა და ნიჭით გამოირჩეოდა. მაგალითისთვის კოტე ხიმშიაშვილის დასახელებაც იკმარებს.

ლადო ბალიაურს ხანგრძლივი გადასახლება ხვდა წილად. "დაგვიანებით აღმოჩენილი არაერთი პოეტისა თუ მწერლის შემოქმედების გათვალისწინების გარეშე უთუოდ გავაღარიბებდით ამ საუკუნის ქართული მწერლობის პანორამას,"- წერს რუსუდან ნიშნიანიძე.

უეჭველად ძალზე ბევრს დავკარგავდით, არადა ჭეშმარიტ ფასეულობათა ორიენტირის წვდომა დღეს ერთობ გაძნელებულია.

"XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" კიდევ ერთ, მნიშვნელოვან სიახლეს გვაწვდის. წიგნში უნიჭიერესი ქართველი პოეტის ნიკო სამადაშვილის შემოქმედების ანალიზია წარმოდგენილი.

რუსუდან ნიშნიანიძემ პირველმა მოჰკიდა ხელი სამადაშვილის შემოქმედებისა და ცხოვრების ღრმა შესწავლას. თავის დროზე მან ამ მოვიწყებულ თემაზე დისერტაცია დაიცვა, რომლის მეშვეობითაც ქართულ პოეზიას უსამართლოდ განწირული დიდი შემოქმედი დაუბრუნა.

ნიკო სამადაშვილი ცნობილი ქართველი მოაზროვნის, მთარგმნელის და პედაგოგის ერეკლე ტატიშვილის უმცროს მეგობრად არის მიჩნეული. ამიტომ ორმაგად მისასალმებელია ის გარემოება, რომ მკვლევარი მაღალმხატვრულ დონეზე ახერხებს ნიკო სამადაშვილის უჩვეულო პოეტური სამყაროს ღრმად წვდომასა და სკრუპულოზურ ანალიზს.

"XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" მართლაც ღირებული შენაძენია ქართული ლიტერატურისათვის, საუკეთესო მაგალითი მაღალპროფესიული დონისა და გემოვნებისა, ახალი, მისაბაძი მიმართულება თანამედროვე მკვლევართათვის ვინაიდან მხატვრულ-მეცნიერული ოსტატობის გარდა იგი მადლიანი ეროვნული მუხტით გახლავთ გაჯერებული. წიგნში საუკეთესო ქართულ ტრადიციებზე აგებული აზროვნება დომინირებს, რაც ისტორიული სინამდვილის მიუკერძოებელ ასახვაში ვლინდება.

ნაშრომის უმთავრესი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რუსუდან ნიშნიანიძის ფართო ინტელექტისა და ერუდიციის მეშვეობით საქართველოს ლიტერატურულ-ისტორიულ სინამდვილეს მასშტაბურად შევიგრძნობთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი სიტყვის წარმოთქმა ავტორმა ყოველგვარი გადაჭარბების მიუხედავად მოახერხა.

2000 წელი

ფიქრები ხახულის ტაძრის ერთ რელიეფზე

მე არ ვყოფილვარ სამხრეთ საქართველოდ სახელდებულ მიწაზე, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს ჩვენ აღარ გვეკუთვნის.

საკუთარი თვალით არ მომიხილავს ხახული, ზარზმა, ოპიზა, ბანა, ოშკი, შატბერდი, ჯერ არ აღმიბეჭდავს ჩემი ნატერფალი იმ სულკურთხეულ ქართულ მიწაზე, რომელსაც დასაბამიდან განუყოფლად ვეკუთვნი. არც ის ვიცი, ოდესმე შევძლებ თუ არა ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის აღსრულებას. საუკუნეთა მანძილზე უწყვეტი ტკივილით გადახნულ მეხსიერებას დროდადრო ფარღალალა ფურცელი შველის, რომელზედაც ჩვენდა სავალალოდ გასხვისებული ტაძრებია ჩახატული.

დღეს ჩემი მზერა ხახულის ტაძარს იმახსოვრებს, მის ღირსებაშემკულ სილამაზეს იხანგრძლივებს. თითოეული ჩუქურთმის განუმეორებელი ხვეულებით სულდგმულობს და კვლავ ჟამისგან უსამართლოდ დახშულ ფიქრთსაცავს უბრუნდება.

ხახულის ტაძრის სამხრეთ პორტალის რელიეფზე მგლის ხახაში სანახევროდ მოთავსებული კაცია გამოსახული. კაცი, რომელსაც ორი თევზი რქასავით გამოზრდია თავის ქალადან. შთაბეჭდილებებით დაძაბულ ტვინში ათასმაგი ფიქრი რძევდება. ხუროთმოძღვრის გაბედული ჩანაფიქრი უკიდეგანოდ მიპყრობს. რაზე ფიქრობს იგი, როდესაც მგლის ხახაში წელამდე ჩამჯდარ ქვისავე კაცს ძერწავს? იქნებ თევზის სტომაქში გამომწყვდეული იონა წარმოუდგება თვალწინ: ვეშაპის წყვდიადნარევ სხეულში ჩაკარგული იონა არ იბნევა, იგი ლოცულობს, ღმერთს შესთხოვს თავზე დამტყდარ შეჭირვებისგან დაიხსნას.

ოსტატი რელიეფს ძერწავს. მისი გულისთქმა იონას აჩქარებულ გულისცემას თანხვდება. უხილავი განზომილების მეოხებით თითქოს ხელშესახებად განიცდის ვეშაპის შიგანში მომწყვდეული ადამიანის ვნებათაღელვას.

მაინც რისი თქმა სურს ხელოვანს საუკუნეთა გზაჯვარედინზე გახირული კაცობრიობისათვის?

რისი გამოხატვა სწადია შეფარულად? რისი მოტანა გადაუწყვეტია ჩვენამდე, ვინც მის გულისთქმას თუნდაც ფურცლის მეშვეობით ჩასწვდება?

უტყუარი ალღო კარნახობს, რომ მომავალ თაობას ხმა მიაწვდინოს, დროში განივრცოს, იმაზე მეტს მიაღწიოს, ვიდრე თუნდაც ხუროთმოძღვრების მონუმენტურობა ჰპირდება! მგლის ხახაში მოქცეული კაცის გაშლილ, ძირს დაშვებულ ხელისგულებში ამოუცნობი საიდუმლო იმალება.

ეს სხვა ჯიშის მგელია. მას საერთო არაფერი აქვს მეფის მუზარადზე ამოტვიფრულ მონათესავე ოთხფეხთან. სისხლში ჩაძირული ძარღვი შემხვედრად მოძრაობს.

ტვინში კი უხმაუროდ ხმიანობს: ”მოვიდა მგელი იგი...” მას შემდეგ რამდენი საუკუნე გასულა!

ადამიანური თვალთახედვით აღქმული მგლის ბუნება ყველას და ყველაფრის უკითხავად აღდგენილია.

კვლავ კაცისკენ მივმართავ მზერას.

რქების სანაცვლოდ განლაგებული ორი თევზი იდუმალ ჩანაფიქრს, ბუნდოვან ელფერს მატებს.

საცაა თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელი ცდუნება გადამძალავს და რქის ალაგს მოთავსებულ თევზებს სიურეალისტურ გამოცხადებად აღვიქვამ. კიდევ ერთი გამოწვევა სტერილურად გამოყვანილი ადამიანების გამოსაფხიზლებლად: სიურეალისტური წინასწარმეტყველება თვით ტაძრის კედელზეა ამოკვეთილი, ამავდროულად თევზი ადრექრისტიანული სამყაროს სიმბოლოა და მაინც, რისთვის გვამზადებდა ათასწლეულებს მოყურადე ქართველი ოსტატი?

იქნებ სულაც წარმოსახვით შეფერადებულ გულის კარნახს იყო აყოლილი. ვინძლო საკუთარ სულში ქვად ნაკვეთ ამბოხს აძლევდა გასაქანს. ან თავისუფალი ნების მაძიებელს თავისებურად გარდაეთქვა ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება, მტკიცედ განეზრახა რქის ალაგს ნაგულისხმევი "სიცარიელე" თევზის სიმბოლური მნიშვნელობით ამოევსო, მაგრამ თუ რელიეფზე გამოსახული კაცი სატანად სახელდებულ უკეთურ ძალას მიაკუთვნა, რაღა მაინცდამაინც თევზის სახით "დაუმშვენა" დამრეცი ფიქრით ამღვრეული თავის ქალა? იქნებ რომელიმე ახლობლის მოჩვენებითმა მორწმუნეობამ გააღიზიანა და ტაძრის რელიეფზე ფარისევლის ნიღბით თავმომწონე ცოდვილი ამხილა? იქნებ იონაზეც ფიქრობდა და ფსალმუნის ერთ-ერთ მუხლზე ამავდროულად, რომელიც ქადაგებს: "იმედს ნუ დაამყარებთ ადამის ძეზე, რომელსაც არ შეუძლია შველა, როცა ამოუვა სული, დაუბრუნდება თავის მიწას და იმ დროს გაქრება მისი ფიქრები".

2005 წელი

გაზეთი "რაეო" 2005 წელი

ქართული წიგნის ბედი თანამედროვე ბაზარზე

წიგნის ბედს თანამედროვე ბაზარზე გამომცემლობათა საქმიანობა განსაზღვრავს. საყოველთაო ფორმების ისტორიის ფონზე, ტელეეკრანიდან ომახიანად გვიკიჟინებენ, რომ თანამედროვე ბაზარზე წიგნის ფასის დარეგულირებას (ეს გავლენიანი აჩემებული ტერმინია) დიდი პერსპექტივა აქვს, რომ საქართველო ოთხიოდე მოდური წიგნის მაღაზიისა და კაფე-მარაზიის ამარა არ უნდა დარჩეს, რომ მომხმარებელთა ინტერესი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, რომ საქწიგნის რეორგანიზაციის კვალდაკვალ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ბიბლიოთეკების წიგნებით დროული მომარაგება აღდგება...

მოკლედ, კეთილდღეობა სამომავლოდაა დაგეგმილი. დღეს კი ერთი რამ ცხადია: ქართულ წიგნს, ნამდვილად, არ ულხინს. უფრო სწორად, ჩაგრულის ხვედრს გადაშენების გზაზე შემდგარი მკითხველი იზიარებს, რადგან გამომცემელთა გუნება-განწყობაზე დამოკიდებული წიგნი იმდენად ძვირად ფასობს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ჩაუხედავ კაცს ეგონება, თითქოს, საქართველოში სასურველი წიგნის შესაძენად ნებისმიერ თანხას არ იშურებენ. სავალალო გამოცდილება კი საწინააღმდეგოს გვკარნახობს: საეჭვოდ მომრავლებულ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილებს წიგნი სრულებით არ სჭირდებათ, მაინცდამაინც თუ

მივეძალებით, იმას აირჩევენ, რასაც სნობური მენტალიტეტი უკარნახებთ. ნამდვილ მკითხველს, დღეს, საარსებო თანხა არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, მისთვის წიგნი ფუფუნების საგანს უტოლდება.

ქართული წიგნის უპირველესი პრობლემა ქართულ გამომცემლობათა მიერ უგულებელყოფილი ელემენტია.

დღეს ახალგაზრდა კადრის არაპროფესიონალიზმი და არაეროვნულობა თვალში საცემია, გამოსავალს არც იოლად გასასაღებელ ე. წ. ბესტსელერთა სიმრავლეში უნდა ვხედავდეთ, რაც ნამდვილი ლიტერატურის დაჩრდილვას გამოიწვევს.

ჰარი პოტერის მიერ ატეხილი აჟიოტაჟი ამის თვალსაჩინო დასტურია. წიგნთან მიმართებაში ხელის მოთბობის პრინციპით, ქართულ მწერლობას კომერციულ საფანელთან შენივთული საშიში იდეოლოგიური საფრთხეც ემუქრება. მით უმეტეს, როცა საქმე საბავშვო ლიტერატურას ეხება.

ქართულ გამომცემლობათა კიდევ ერთი სერიოზული აქილევსის ქუსლი უცხოური ლიტერატურის უპირატესობის დაკანონებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ არაერთგზის გამოცემულ თხზულებებს გამუდმებით გამოსცემენ, მაშინ, როდესაც მაღალმხატვრული ქართული ლიტერატურა ყურადღების მიღმა რჩება.

მნიშვნელოვანი წიგნის წარდგინებაზე შესაბამისი საელჩოების წარმომადგენელთა მოწვევა უსათუოდ მისასლმებელია, რაც მაღალი კულტურის მაჩვენებელთა რიგებში ჩაგვაყენებს, მაგრამ სხვისი კულტურული მემკვიდრეობით გატაცებულნი, უცხოელ მოღვაწეს როგორ ავუხსნით, რომ ათასმეერთე თარგმანის პარალელურად, ჩვენსავე კულტურას სათანადოდ არ ვიცნობთ.

მაგალითად, რას ვეტყვით დანიელ მოღვაწეს, როცა დანიური ბალადები ათ უზარმაზარ ტომად გვაქვს შესწავლილ-გამოცემული, ქართული ბალადების უმრავლესობა კი, მოთმინებით ელის კეთილსინდისიერ მეცენატს.

ახლა, ქართული წიგნის სხვა პრობლემაზე გადავინაცვლოთ. მართალია, “გემოვნებაზე არ დაობენ”, მაგრამ დახლზე დახვავებულ ე. წ. თანამედროვე ყაიდის წიგნებს” საფუძვლიანად თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ მათი შიგთავსი მანკიერების გაღვივებას ემსახურება, უგულებელყოფილია ელემენტარული კანონზომიერება. ჩვენი თანამემამულეებისთვის, თანამედროვე ბაზარზე გავრცელებული წესები ჩინური ანბანივითაა. ქართულ ბაზარზე დაწესებული წიგნის ფასი არც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება (რითაც თავმომწონეობა მუდამ გვეხერხება) და არც ქართველი კაცის სოციალურ მდგომარეობას ითვალისწინებს.

ბოლო დროს, კრიზისული ვითარებით სპეკულაციაც აღარ ჭრის, რადგან სიძნელე ყველგან არსებობს. მაგალითისთვის, რუსეთის დასახელებაც იკმარებს, გარდამავალი ხანის ქაოსმა სოლიდურ რუსულ გამომცემლობებსაც სერიოზული დარტყმა მიაყენა, მაგრამ პროფესიონალიზმისა და საკუთარი ქვეყნის სიყვარულის წყალობით, მათ შეძლეს კრიზისიდან თავის დაღწევა. დღეს რუსეთში საგამომცემლო საქმე წარმატებით ვითარდება.

რუსმა გამომცემლებმა გაუძლეს გამოცდას. საკუთარი ქვეყნის სამსახურის სურვილმა რუსული წიგნი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა. იაფი, კარგად გამოცემული რუსული წიგნი ქართულ ბაზარსაც თავდაჯერებულად იპყრობს. როცა სახელგანთქმული ფილოსოფოსის ნაღვაწი შედარებით იაფად იყიდება, არჩევანისას, ორჭოფობის განცდა აღარ გიპყრობს. აქ ორი პრინციპი მოქმედებს: ფასი და ხარისხი. საუბედუროდ, ორივე ფაქტორი უცხოური წიგნის სასარგებლოდ “მუშაობს”.

ტექნიკური აგრესიის მომიზეზება, ამჯერადაც, თავდაცვის გაცვეთილი ფანდია, ვინაიდან წიგნის მკითხველის დაბრუნება წარმატებით განხორციელდა ევროპის არაერთ ქვეყანაში, მაგალითად, ჩეხეთსა და იტალიაში.

ლიტერატურის თარგმნის ინტენსივობით რუსეთს, ადრეც გვარიანად ჩამოვრჩებოდით. დღეს კი ჩვენში, შესაშური მეთოდურობით, ძირითადად, საეჭვო იდეოლოგიური და მხატვრული ღირებულების პროდუქცია ითარგმნება. ცხადია, არ ვგულისხმობ ჩვენს გამოჩენილ მთარგმნელებს (თუმცა ასეთი ერთეულებიღა მოგვეძევება), რომლებიც თავიანთ საქმეს, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც ღირსეულად ემსახურებოდნენ.

რომელი ჭკუათამყოფელი გადაიხდის ათ ლარს (ან უფრო მეტს) "პროვოკაციულად" გაფორმებულ წიგნში (დიზაინს კიდევ არა უშავს — "თანამედროვე" მოთხოვნებს მიესადაგება), რომლის შიგთავსიც გაუგონარ სიბინძურეს აფრქვევს.

დღეს, გინება ისედაც "ყველგან უფასოა", რა საჭიროა, ათასი პრობლემით დამძიმებულმა მოქალაქემ გვარიანი თანხა იმისთვის გაიღოს, ყველასგან უღმერთოდ შეგინებული და დაწიხლული აღმოჩნდეს.

არადა, გინების "ნიჭით" დაჯილდოებული ავტორები, როგორც წესი, სადღეისო პოპულარობით, სატელევიზიო ყურადღებითა და უწყვეტი მხარდაჭერით სარგებლობენ.

ვთქვათ, ნავსი გატყდა და რომელიმე გამომცემელმა ელიტური ჯგუფის მიერ ათვალწუნებული საქართველოს ისტორიის ამსახველი წიგნის გამოცემა მოიწადინა, წიგნის ფასი (სულ მცირე, 15 ლარი) ისე გაფრთხობს, მაღაზიიდან უკანმოუხედავად გარბიხარ, თუ ეს წიგნი განათლების გრიფით არის დადაღული, საინტერესოა, სკოლის მოსწავლის მშობელმა (ძირითადად უმუშევარმა) ერთ წიგნში 15 ლარი როგორ უნდა გადაიხადიოს?

ღმერთმა ნუ ქნას, მალე საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საჭიროება შეიქმნას, მე კი ისღა დამრჩენია, სტატისტიკური მონაცემების ნაცვლად, წიგნის თაობაზე 1910 წელს, დიდი მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული გულისტკივილი შეგახსენოთ:

"შარშან რუსულად დაბეჭდილია 22000-ზე მეტი წიგნი, ქართულად — 108, სომხურად — 190, თათრულად — 180 და სხვა. თითოეულ ქართულ წიგნზე მოდის 220 რუსული. მაგრამ რა სათქმელია სიტყვა "წიგნი". იბეჭდებოდა მხოლოდ ორგროშიანი ბროშურები, ავლაბრელი პოეტების "ლექსები" და "სახელმძღვანელოები". უკანასკნელ ხუთ წელიწადში ათი ხეირიანი წიგნიც არ გამოსულა!"

დღეს მთლად ასეთი მდგომარეობა არ არის, მაგრამ ქართული წიგნის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. დროზე მივხედოთ....

2004 წელი. "გაზეთი თბილისი" 2004 № 1, 2005

ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?

თანამედროვე სამწერლო ცხოვრება დინების უამრავ შენაკადს მოიცავს. ლიტერატურული პროცესის განვითარების კვალდაკვალ გარკვეულ რეგრესსაც ვაწყდებით, მაგრამ აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წლობით დაგროვილი პრობლემები ერთი ხელის დაკვრით არ გადაიჭრება. საამისოდ შესაფერისი ნიადაგია მოსამზადებელი, თუმცა ჩვენ დროს ისედაც საკმაოდ ჩამოვრჩით და ისღა დაგვრჩენია, უახლოესი ლიტერატურული კოვლენები სათანადოდ შევაფასოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უახლესი ლიტერატურის ისტორია კვლავ ძველებურად გაყალბდება ან მორიგი ავანტიურისტული ჩანაფიქრის ხვედრს გაიზიარებს.

დაუსრულებელი პოლიტიკური ბატალიების ფონზე ლიტერატურული ციებ-ცხელება შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, როგორც იტყვიან, ყველას თავისი მრევლი ჰყავს და მწერლობასაც საკუთარი, საკმაოდ სერიოზული პრობლემები გააჩნია, რომელთა შეხსენება მარტოოდენ არსებობაზე გადაგებული საზოგადოებისათვის სწორედაც უპრიანია. სულხან-საბასი არ იყოს, ვისაც რა სტკივა, იმაზე წუხს. დაგროვილი სირთულეების სრული ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, ამიტომ უმჯობესია მწერლობაში არსებული პრობლემების მოკლე ფორმულირებებს დავჯერდეთ.

XXI საუკუნის ქართული მწერლობის წინაშე მდგარი პირველი და უმთავრესი პრობლემაა ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რაც თავის მხრივ რამდენიმე განშტოებად იყოფა: აქამდე არსებული სამწერლო სტრუქტურის ელვისებურ სისწრაფეზე გათვლილი დემონტაჟი და თაობათა სახით მამათა და შვილთა ოდინდელი დაპირისპირების ნორმალიზაციის საკითხი. ძალაუფლების გადანაწილებისათვის ბრძოლა ქართულ მწერლობაში საკმაოდ უშეღავათოდ მიმდინარეობს: საყოველთაო გლობალიზაციის ეპოქაში კუთვნილი ადგილის დასაკუთრების მცდელობის სურვილი ძველ ფასეულობებს ეჭვქვეშ აყენებს. ამის საილუსტრაციოდ მწერალთა კავშირის ახლანდელი მდგომარეობა გამოდგება.

კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა მწერალთა კავშირის არსებობის საჭიროება. დღეს ჭირს ზუსტად განსაზღვრო სინამდვილეში რას წარმოადგენს მწერალთა კავშირი: მსგავსი მსოფლმხედველობის მქონე შემოქმედთა დასაყრდენს თუ ძველი ინერციით შემორჩენილი ძალაუფლების ავტორიტარულ იარაღს?

ამ საკითხზე მსჯელობისას კიდევ ერთი სირთულე იჩენს თავს.

მწერალთა კავშირის ალტერნატიულ შემცვლელად ახლახანს დაარსებულ მწერალთა ფედერაცია მოიაზრება, რომლის სტრუქტურაც გამოკვეთილად დემოკრატიულ საწყისებზეა ორიენტირებული: ფედერაციას არც თავმჯდომარე ეყოლება და არც თავის დაქვემდებარებაში შესულ დამოუკიდებელ ლიტერატურულ გაერთიანებებს დააკისრებს რაიმე ვალდებულებას. აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პრინციპი იძენს.

აქედან გამომდინარე, წინა პლანზე თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა გადმოინაცვლებს, თუმცა ამავე დროს იქნება კონკურენციის არათანაბარი პირობები. დაუწერელი კანონის თანახმად, ვინც მეტ გრანტს მოიზიდავს, ლიტერატურას

მხოლოდ ის შემორჩება, რაც შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საუბედუროდ, ადამიანი ძირითადად სუბიექტური აზროვნებისკენ არის მიდრეკილი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ობიექტურ სინამდვილეს ნაკლებად უწევს ანგარიშს. ახალი იდეოლოგიის გასავრცელებლად იგი ახალი გარემოს შექმნის პრეტენზიას გამოთქვამს და ამდენად, იძულებულია სინდისის ქენჯნის გარეშე იმოქმედოს.

ერთეულთა სინდისზე ქართული მწერლობის ბედის მინდობა, დამეთანხმებით, დიდი ვერაფერი ნუგეშია. ძიძების ხელში თანამედროვე ლიტერატურა აღმავლობას განიცდის თუ დაქვეითებას, ამას დრო გვიჩვენებს.

ჯერჯერობით კი სერიოზული დაფიქრება გვმართებს: ორ სოლიდურ მწერალთა დაჯგუფებას შორის არსებული დაპირისპირება კვლავ ეჭვნარევ კითხვას აღძრავს. რომელი მათგანი შეძლებს უპირატესობის მოპოვებას? საქმით რომელი უფრო წაადგება კრიზისში შესულ წიგნიერ საზოგადოებას?

ერთი რამ უდავოა: საყოველთაო განხეთქილების ფონზე ქართული ლიტერატურა მნიშვნელოვან რეფორმას საჭიროებს. საკითხავია, ძირეული გარდაქმნა ვის როგორ ესახება.

აქტუალურ საკითხად რჩება თაობათა ცვლის კანონზომიერი აღდგენა. მწერალთა კავშირის აქილევსის ქუსლი სწორედ ახალი თაობის ჯიუტ იგნორირებაში იკითხებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათ რიგებში მოხვედრილი ყველაზე "ახალგაზრდული კადრი" ორმოცდაათ წელს გვარიანად იყო გადაცილებული.

ახალი ხელმძღვანელობა უპირველესად ამ ხარვეზის ჩასწორებას ცდილობს. გამორიცხული არ არის ნაგვიანევად მიღებული სწორი გადაწყვეტილება მწერალთა კავშირს სასიკეთოდ აღარ მოუბრუნდეს, თუმცა მოვლენები იმდენად სწრაფად და გაუთვალისწინებლად ვითარდება, წინასწარ ძნელია მოსალოდნელი შედეგი განჭვრიტო.

თავის მხრივ ახალი თაობა რამდენიმე კატეგორიად იყოფა. მათი ურთიერთობა ერთიანი იდეოლოგიის დეფიციტის ფონზე განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ ძალთა უშეღავათო ჭიდილს წარმოადგენს.

იქ ე.წ. ტელევიზიის შვილობილებს პრივილეგირებული მდგომარეობა უკავიათ. მუდმივად რეკლამირებული მწერლების კასტას საინფორმაციო ომის მოგება უდავოდ გარანტირებული აქვს.

ეს ძალა ახალ იდეოლოგიას ამკვიდრებს, საზოგადოებას აჩვევს ექსპერიმენტული ხასიათის "გამოხტომები" ნამდვილი ხელოვნების აუცილებელ ატრიბუტად გაასაღოს და ამგვარი იმიტაციის საშუალებით ერონული თვითშეგნება უცხო დეკორით შეწამლული აზროვნებით ჩაანაცვლოს.

ამდენად, მათთვის უცხოა ქართული, ტრადიციული მიდგომა მწერლობისადმი, რასაც დანარჩენები თუნდაც მომგებიანი პოზიციის გასამყარებლად იშველიებენ.

ტელესამყაროს შვილობილებს კომუფლაჟი არ სჭირდებათ. ისინი აგრესიულ კოსმოპოლიტიზმს ქადაგებენ და "გათიშე" და იბატონეს" პრინციპით ხელმძღვანელობენ, რაც უმეტეს შემთხვევაში მართლებს კიდეც.

მწერალთა ფედერაციის მიერ წამოწყებულ რეფორმატორულ მოძრაობას ულტიმატუმის ხაზი გასდევს. მათი ინიციტივით მწერალთა კავშირს დაქვემდებარებული სასახლე მწერალთა სასახლედ უნდა გადაკეთდეს, რაც ლიტერატურულ ასპარეზზე მეტ-ნაკლებად თავჩენილ შემოქმედებით გაერთიანებებს საშუალებას მისცემს მწერლებისთვის განკუთვნილ, კეთილმოწყობილ დარბაზში საკუთარი უნარი სრულად გამოავლინონ და თოთო

ოთახსაც დაუმადლებლად დაეპატრონონ. თითოეული სამუშაო ოთახი დამოუკიდებელი ლიტერატურული ცხოვრებით გაიჟღინთება. თუმცა, შესაძლოა თანამედროვე შპესარტის ციხე-დარბაზში მოღვაწე მწერლებმა პარტიული ლიდერებისათვის დამახასიათებელი გამოცდილება შეიფერონ და ფართო კიბეზე კოლეგებს არც გზა დაუთმონ და ერთმანეთის მისამართით ხეირიანი მისალმებაც არ გაიმეტონ.

მთავარი ერ სასახლეში მეზობელ ოთახებში შეკედლებული და ხელახლა მოსაპოვებელი პრივილეგიების გადანაწილება როდია. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული XXI საუკუნის ქართული მწერლობის მომავალია, რომელსაც ეროვნული ღერძიდან ამოვარდნა საბედისწერო საფრთხეს უქმნის; ჩვენთვის მსოფლიური სიახლით აღტკინება ხშირად თვითმყოფადობის აღმოფხვრის ხარჯზე ხორციელდება. ყბადაღებული საიდუმლო სპეცსამსახურის შესწავლისა თუ დაკვირვების გარეშეც იოლი მისახვედრია, რომ ქართველს მუდამ სხვისი იზიდავდა, სასხვისოს საკუთარივით უფრთხილდებოდა, საკუთარს კი შესაშური გულუხვობით ასხვისებდა.

ჯერჯერობით არც ერთი პრობლემა არ არის დაძლეული. "გიგანტების" ბრძოლაში ყველაზე მეტად კვლავ უადგილო ნიჭისა და არათანადროული ენთუზიაზმის ამარა დარჩენილი ახალგაზრდები ზარალდებიან. მათი ხვედრი რეზერვაციაში მომწყვდეული მსხვერპლის ბედს წააგავს: ეროვნული თვითშეგნებით დაღდასმულებს ახლოს არავინ იკრებს.

თაობა, სახელმოხვეჭილი მამებისა და ფულიანი თანატოლების მიერ არცნობილი, დაუფასებელი, უარყოფილი, რომელიც ანგარიშვალდებულია გამარჯობაზე ხშირად თავი შეგახსენოს... ცოცხალი ურთიერთობა თუ საეჭვო ნაცნობობის მოიმედე თაობა, რომელმაც სატელევიზიო ბარიერი ვერ გადალახა და რომლის დანიშნულებაც ძნელია ზუსტად მოვძებნო. წიგნიერ მამელუქთა თაობა, რომელსაც გაუგონარი, მანამდე არნახული საფრთხე ემუქრება: ქართულ მწერლობაში გამოკვეთილი ახალი ტენდენციის თანახმად უპირატესობა ენიჭებათ იმ მწერლებს, რომლებიც ყოველივე ქართულს სამარცხვინოდ გამოაცხადებენ, უცხოური ხიბლით გაჯერებულ აზროვნებას ღიად დაუჭერენ მხარს.

უპრეცედენტო რამ უხმაუროდ ხორციელდება: ქართველ მწერლებს გავლენიანი არაქართველები მეთოდურად ეპატრონებიან. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, ვინ ვის გვარსაა ამოფარებული, მთავარი ერთმნიშვნელოვნად მტრული დამოკიდებულებაა ყველაფრისადმი, რასაც ქართული ეწოდება. ის, რაც ქართველებს დაგვავიწყდა: ნებისმიერმა მხარემ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ მათ ერთ სარბიელზე, ერთმანეთის მხარდამხარ მოუწევთ საერთო საქმის კეთება. სხვა საკითხია ამგვარი რეალობა ვისთვის რამდენადაა მისაღები ან ინტერესთა თანხვედრა რამდენად მომგებიანი პერსპექტივის წინაშე აყენებს. დროა, ქართველმა მწერლებმა გაიხსენონ, რომ ისინი უპირველესად საქართველოს ინტერესებს უნდ იცავდნენ. თუ ეს არ მოხდა, მალე ნამდვილი ქართველი მკითხველი სანთლით საძებარი გახდება და დიოგენეს აჩრდილიც ვეღარაფერს გვიშველის. ჩვენ დავთმეთ ჩვენი მიწა, უპატრონოდ დავტოვეთ ეკლესია-მონასტრები, ქართულ მრავალხმიანობას ბერძნულ მონოტონურობას ვამჯობინებთ.

ახლა ნებაყოფლობით ვთმობთ ქართულ მწერლობას. წვრილმან ინტრიგაზე ვხურდავდებით, ვქიშპობთ. პირად მტრად მიგვაჩნია ის, ვინც შუღლის დროს გვერდს არ გვიმშვენებს. მოდით, ხმამაღლა, თამამად ვაღიროთ, კაროჟნასავით

არაერთგზის დაწუნებულ ქართულ კალამს რომელსაც დონორ ორგანიზაციაზე ვყიდით!

პატიოსნად გამოვტყდეთ, რომ ქართული ენის გარდა უკვე ყველაფერი გაიყიდა და დაგირავდა და აი, ბატონებო, ეს დროც კარს მოგვადგა.

თერგდალეულები გადაშენდნენ, ჩვენ კი ოკეანენაყლაპი მწერლების სუბსიდიებს ხელგაწვდილი ველოდებით:

ქართული კალამი იყიდება! ქართველი მწერალი მზადაა უცხოურ გრანტს ტყვედ ნებაყოფლობით ჩაბარდეს. საინტერესოა ქართულ მწერლობას ვის მივყიდით?

ჟურნალი "თავისუფალი თემა", 2004წელი.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის "იესო ძე კაცისა"

თანდათან იშვიათდება განცდა, როდესაც წიგნის მეოხებით ოდესღაც დაკარგულ სამოთხეს ვუბრუნდებით. თანამედროვე სამყარო ერთპიროვნულად მოწოდებულია უპირატესობა ეჭვსა და სკეპსისს მიანიჭოს, მხოლოდ მათთან მონათესავე ფიქრსა თუ ნააზრევს გაუფართოვოს კალაპოტი.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის რომანთან შეხებამ დამარწმუნა თითქოს საუკუნეებიდან გამოხმობილი კაცი გვიბრუნდება უკან, ტომით არაბი, მრწამსით ქრისტიანი, მოწოდებით პოეტი და ამავდროულად საკუთარ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი, რომელიც დაწერს: "ნუ იკითხავთ სამშობლომ თქვენთვის რა გააკეთა, იკითხეთ: თვითონ რა გააკეთეთ მისთვის."

და მიუხედავათ ამგვარი მრწამსისა, ჯიბრანმა წარმატებას მაშინ მიაღწია, როცა ორად გაიხლიჩა და იძულებული გახდა საუკეთესო თხზულებები მსოფლიოში გაბატონებულ ინგლისურ ენაზე დაწერა.

შემოდის ჩემში ხალილ ჯიბრანი, როგორც ოდესღაც ქართლისკენ გამოჩქარებული აბო თბილელი იკვალავდა გზას ქრისტიანულ წიაღში. მხოლოდ XIX საუკუნეში დაბადებულ ჯიბრანს აბოს მონოლითური სულისკვეთება დაუკარგავს. იგი წუთისოფელს ისე გამოეთხოვება, ხმამაღლა არასდროს აღიარებს, რომ სულით ხორცამდე ქრისტიანია მაშინ, როცა აბო გაცხადებულად ეგებება კარზე მომდგარ სასიკვდილო განსაცდელს.

და მაინც, ჯიბრან ხალილი დაუფარავ თაყვანისცემას გამოხატავს ქრისტესადმი იმის მიუხედავად, რომ მწერლის აღმსარებლის მისი წარმომავლობის გენეტიკურ კოდს არ ემთხვევა.

არაბი ხელოვანი თხზულების თითოეულ სტრიქონს აღმოსავლური სურნელებით ჟღინთავს. არასდროს ავიწყდება დასაბამიდან ადევნებულ ფიქრს ახალამოყრილი ყლორტივით სათუთად მოუაროს, პოეტური იდუმალებითა და კოსმიური ხიბლით მოავარაყოს ის, რაც ლიბანის მთებად სახელდება შემოქმედ სულში და ლიბანური მტევნის მადლით მარად მსხმოიარობს ეპოქალური ეჭვითა და გაუბედაობით დაძარღვულ სიღრმეში, რომელიც მარტოდმყოფ მღვიმეს წააგავს.

ლიბანური მთების შორეული სიახლოვე ჯიბრანისთვის ნამდვილი გოლგოთაა, სახეცვლილი მეხსიერების გაუნელებელი შურისგება მშობლიურის დათრგუნვის

გამო. აქ უნებლიედ ილიას ცნობილი სტრიქონები მიცოცხლდება: “სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავს, მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა...”

ილიამ დანაპირები შეასრულა. სძლია უცხოურ ხიბლს და თვითონ იქცა მშობლიურ სიმაღლედ, რომლის დაძლევაც პირუკუ დაქანებას მოასწავებს.

ხალილ ჯიბრანი ლიბანის მთებს გაუნაპირდა, შეელია, გაუუცხოვდა. წინააღმდეგობრივი სული ჩაიდგა თითქოს და მაიც, იგი უძღები შვილივით (რომანის გავლით) უბრუნდება ლიბანურ მთებს. მან არ იცის, რომ ქართლში, იქ, სადაც მოგვიანებით აბო ქრისტესთვის ევნო, უფლის კვართს ჩაკონებული მორწმუნე ქალის სიდონიას საფლავზე სწორედ ლიბანურმა კედარმა აიყარა ტანი. ლიბანური წარმოშობის ხემ იხარა და ამ ხისგან აიგო სვეტიცხოველი.

ჯიბრანს ეს არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ აბო თბილელს აუცილებლად ჩააწვეთებდნენ ლეგენდადქცეულ ამბავს, არაკად გარდაქმნილ სინამდვილეს უთუოდ აზიარებდნენ, იმ საუფლოში შეუძღვებოდნენ, სადაც მხოლოდ რჩეული შეაბიჯებს, ვინც ყოფიერების პროზაულობას უშრეტი პოეტური შთაგონებით უმასპინძლდება და ქვეშეცნეულად არაერთგზის აღიარებს თუ ააშკარავებს უძველეს კულტურათა შიგთავსში დაწნეხილ თანასწორ თანამყოფობას უზენაეს სიმართლესთან. ჭეშმარიტება კი ღაღადებს, რომ საკუთარ ფესვთან მოურიგებლობა კვდომის ტოლფასია. “ღმერთი მკვდრებისა კი არ არის არამედ ცოცხლებისა, რადგანაც ყველა ცოცხალია მისთვის.” (ლუკა.20.37-38გვ.) დროდადრო ჯიბრანისთვის ამქვეყნად არსებობა სადავოა.

იქ, სადაც უფლის საფეხური წაშლილია, ხილულ განზომილებაში პიროვნების კვალს ვეღარ წააწყდები.

ამჯერად, ჯიბრან ხალილი მუდამ იესოს ძიებაშია და შთაგონების მწვერვალს სწორედ ქრისტიან ღმერთთან მიახლოებისასა აღწევს.

“იესო ძე კაცისა” პოეტურად აკინძული ფიქრისა და ზმანების კონაა, უწყვეტად რომ კვებავს მოყვასის სიყვარულით გამსჭვალული პიროვნების მეხსიერებას.

არაბი მწერლისთვის ქრისტე სულით მონათესავე, იქნებ ყველაზე ახლობელი მოყვასია, რომლის შემწეობითაც სიმარტოვის სრულყოფილებას ეზიარა. მან ღვთაებრივი სიმარტოვე მიუსაჯა საკუთარ თავს, როცა არაბული მრწამსი უკუაგდო და “სხვის” სამყაროს შებედა. ჯიბრანი ამ თვისებითაც ენათესავებოდა იესოს.

მწერალი კაიაფა მღვდელმთავარს ათქმევინებს, რომ ვინც სჯულის კანონს დაარღვევს: ““სუფთა”, აუმღვრეველი სინდისით უნდა მოიკლას.” ამ ულმობელი, თუმცა სავსებით ცხოვრებისეული ლოგიკით ჯიბრანმა საკუთარ თავს თავად გამოუტანა განაჩენი. სიკვდილის დროს, როცა გულახდილობის გამომჟღავნება ქვეყნიერების გამოწვევად აღარ აღიქმება, მან უფალსაც დაუმალა სინამდვილეში რა ასულდგმულებდა. მარადიული სამყაროს მისადგომთან თავი ქრისტიანად არ ცნო. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ დანახული იესო გაუხუნარი სიყვარულითაა გაჯერებული და თვით ყველზე უარყოფითი გმირის სიძულვილის საპასუხოდ ავტორის დაუფარავი კეთილგანწყობა ახლავს თან.

ამგვარ ტრაგიზმს კიდევ ერთი ხელშესახები გარემოება ართულებს, რომანი ინგლისურ ენაზე დაიწერა. ჩვენ კი ტექსტს არაბული თარგმანის მეშვეობით ვეცნობით.

მთარგმნელმა (გიორგი ლობჟანიძემ) უტყუარად შეიგრძნო გაორებული ხელოვანის ჭეშმარიტი მისწრაფება და უპირატესობა მშობლიურ ენზე შექმნილ ვარიანტს მიანიჭა.

მთარგმნელს აქ გარკვეული უხერხულობის დაძლევა მოუხდა. დაუწერელი კანონის თანახმად მშობლიურ ენაზე შექმნილი თხზულება გაცილებით დამაჯერებელია ვიდრე "მეორადი" ენის სუროგატული სურნელით "შერბილებული ძალადობა" ხელოვნების ნიმუშზე, რომელიც თითქოსდა უხილავად ხორციელდება.

ამ დროს პირველქმნილი სიწრფელე ძალაუნებურად უკან იხევს და ენობრივი თავისებურების წარმატებული დაძლევის შედეგდ წინა პლანზე ხელოვნურად დაგეგმილი ქმნილება ისხამს ხორცს.

მაგალითისთვის გრიგოლ რობაქიძის დასახელება იკმარებს.

გერმანული ენის რეფორმატორად აღირების მიუხედავად იგი სულით ხორცამდე ქართველი მწერალია.

არც პედანტიზმში შემჩნეულ ინგლისელებს გამორჩენიათ ჯოზეფ კონრადის პოლონურით ნასაზრდოები ინგლისური და დაფასების მიუხედავად ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ცნობილ მოღვაწეს დასწავლილი ენის მწერლად მოიხსენიებდნენ.

თქმა არ უნდა ხალილ ჯიბრანი შეუმცდარად გრძნობდა დასწავლილ ენასთან მიმართებისას აღძრულ უხერხულობას, თუმცა საყოველთაო აღიარების მოსაპოვებლად უკანდასახევი გზა თვითონ მოიჭრა. იგი სხვაგვარი მარცხისთვის იყო განწირული. არამც და არამც ლიტერატურული მარცხისთვის, რომლის ბრწყინვალებასაც უილიამ ფოლკნერი სიცოცხლის ბოლომდე მიელტვოდა. მრავალთათვის ამ აუხსნელი თავგანწირვითაც წააგავდა ჯიბრანი იესოს.

უფლისგან მადლშესხმული არაბი მწერლის მსოფლგანცდა ბიბლიურ ტექსტთან უწყვეტი სიახლოვით ხასიათდება, თუმცა თვალნათლივ იგრძნობა, რომ საუკუნეთა მდინარება სათქმელის გამოხატვის ფორმას ცვლის.

აქ აღმოსავლური ფერადოვნება და ევროპული სტილისთვის დამახასიათებელი ლაკონურობა იშვიათ სინთეზად თანამყოფობს. ორი ურთიერთგამომრიცხავი საწყისი ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის, რაც რომანს განუმეორებელ ელფერს ანიჭებს. თავად რომანის სახელწოდება:" იესო ძე კაცისა" თითქოსდა გამომწვევია და გამოუცდელ მკითხველს აფიქრებინებს, რომ ხალილ ჯიბრანი იესოს ცალსახად ასახვის ნაცადი გზით შეეცადა უკვდავებას ზიარებოდა.

სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. პავლე მოციქული რომაელებისადმი მიმართულ ეპისტოლეში ამბობს: "რომ ყველა, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღმრთის ძეა."

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ნაწარმოების კითხვისას არაერთგზის ვრწმუნდებით, რომ მწერალი უფლის სულის შთაგონებით აღწერს ყოველივეს, ღმერთის ძე მისი გზამკვლევია და დამარწმუნებული ამავდროულად. პერსონაჟებზე დაკვირვება არაბი ხელოვანის მოსაზრების აღქმაში გვეხმარება.

იოანე ზებედეს პირით ავტორი გადმოგვცემს:

"ძე კაცისა მესია გახლდათ. მოწყალე, რომელსაც სურდა, რომ თითოეული ჩვენთაგანის ყოფილიყო.

ჩემს გულში მკვიდრობს იესო გალილეველ-კაცი. ყველა ადამიანის უმჯობესი."

ხალილ ჯიბრანის ფილიპე აცხადებს:

"როცა ის მოკვდა, მოკვდა მთელი კაცობრიობა."

კაცობრიობის სიკვდილის გამომწვევი მხსნელის დაღუპვაა. იესო მხსნელია, მესია, ყველა კაცზე აღმატებული, რაც მისი ღვთაებრივი ბუნების დამადასტურებელია.

"როცა ის მოკვდა, მოკვდა მთელი კაცობრიობა!"

ეს ფრაზა რომანს რეფრენად გასდევს.

აქ უნებლიეთ ნიცშეს ზეკაცი მახსენდება, რომელიც საზეიმოდ აცხადებს: “ღმერთი მოკვდა, გაუმარჯოს ზეკაცს!”

ღმერთის სიკვდილის მიუხედავად ადამიანს ახალი “ობიექტი” ზეკაცი სჭირდება, რომელიც ზებუნებრივი უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი.

ზოგიერთი მკვლევარი ხალილ ჯიბრანს ნიცშეს ზეგავლენას მიაწერს, თუმცა უფრო მართებულია ერთგვარი მსგავსება სათქმელის გამოხატვის მხატვრულ ფორმასთან მიახლოებით ვეძიოთ.

შინაარსობრივად ორივე თხზულება სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან, ნიცშეს ზარატუსტრა შთამბეჭდავი პოეტური აზროვნებით შენიღბული დემონური იდეოლოგიის აპოლოგიაა. მას არ სჭირდება ღმერთისთვის დამახასიათებელი არამიწიერი სიმაღლე, თანამლბობი სიყვარული მოყვასისადმი. ნიცშეს გმირი ბრძოლის გამოკვეთილად აგრესიულ სახეობას ირჩევს მაშინ, როდესაც ხალილ ჯიბრანის მიერ დანახული იესო თვით ბიბლიურ იესოზე უფრო ლმობიერია.

ნაწარმოებში არაერთგზისაა ხაზგასმული, რომ იგი სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე დაიპყრობს ქვეყნიერებას.

“განა ვერ ხედავთ ჩემს ხელებს?!”-ისინი ხომ მეტად ბრწყინვალე არიან იმისთვის, რომ სკიპტრას მოეჭიდონ და მეტად ძლიერნი რათა ჩვენში გავრცელებ მახვილთაგან ერთ-ერთი გააშიშვლონ. თქვენ ჩემი სიტყვებით ისედაც აღვიძებთ ამ სამეფოს და მაშინ ჩემი სული ახალ განთიადს მიეჩურჩულება. ჩემი სიტყვები იქნება ლაშქარი, რომლის ტაიჭებს და ფარ-აბჯარსაც ვერსდროს დაინახავთ. რამეთუ იმ მხედრებს ხელთ შუბ-მახვილი არ ეჭირებათ. გამიხსენებენ და დამიძახებენ იესო მესიას.”

ამგვარი მშვიდობიანი ბრძოლის ექო უცხოა ზეკაცისთვის, მის გულში სიყვარულისა და სინანულის ადგილი კაცობრიობის წალეკვის ჟინს ჩაუხშვია. მხსნელის მემკვიდრედ ზეკაცის მოაზრება გაუმართლებელია, მას მარადისობის დასალაშქრად წინ ეპოქალური მოუთმენლობა ეღობება. ღმერთის სიყვარული კი გაუხუნარ თანალმობასა და პატიებას ეფუძნება.

ყველა წიგნს თავისი ხვედრი გააჩნია. მათგან მხოლოდ მცირედს ძალუძს მკვდრეთით აღდგენა და ესეც უფლის ნება-სურვილითა და კურთხევით ხორციელდება.

საინტერესოა, ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ამის თაობაზე XXIს-ის ქართველ მწერალს რას ეტყოდა, რაზე შეთანხმდებოდნენ და პირიქით, რის გამო იდავებდნენ, რა გაამთლიანებდათ ან რა დააშორებდათ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ თავიანთი რწმენით წარმოჩენილ ღმერთთან.

ვინ იცის.....

2007წელი. “რაეო” № 2, 2008წ.
გადაიცა საპატრიარქოს რადიოთი.

დიმიტრი ყიფიანის 190-ე წლისთავის გამო.

ეროვნული თვითშეგნების სულთმობრძაობის ჟამს ერთგვარად უადგილოა ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე ყურადღების გამახვილება, თუმცა კაცობრიობის შექმნის დღიდან ნებისმიერი ეპოქის მოაზროვნეს აჰკვიატებია კითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ პიროვნებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და რამდენად ხელეწიფება ერთ პიროვნებას ან პიროვნებათა მცირე ჯგუფს იმგვარი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საზოგადოებას სამომავლო კეთილდღეობას მოუტანს?

სამწუხაროდ, თანამედროვე სამყაროში ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრების შესაქმნელად ძალზე მწირი წინაპირობა არსებობს, რადგან დაკარგულია უანგარო მადლის ქმნის ცნება, აღარც ის პიროვნებები ჩანან სამოღვაწეო ასპარეზზე, ვინც მიზნის მისაღწევად სიცოცხლესაც არ იშურებდა და რაც ყველაზე თვალში საცემია, აღარ არსებობს მისაბაძი იდეალი. მარადიულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი მოდელის მოთხოვნამ კატასტროფულად იკლო.

აქედან გამომდინარე აღარ არსებობს იმისი სურვილიც, რომ პიროვნება ჩაებას ჭეშმარიტ ფასეულობათა დასამკვიდრებლად უთანასწორო ბრძოლაში.

საზოგადოებრივი ფუნქციის დევალვაცია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის კერძო სატკივარი რომ იყოს, იქნებ გამოსწორების მოლოდინში, ოდნავი შვება მაინც გვეგრძნო, მაგრამ ნამდვილი საზოგადოების არ არსებობა მსოფლიოს გლობალური პრობლემაა, რომლის დაძლევაც პოლიტიკურ მუხტზე გადართულ კაცობრიობას აზრადაც აღარ მოსდის.

დღეს ადამიანს მზარდ პრობლემებთან შესაჭიდებლად ტექნიკური ცივილიზაციის სახით თითქოს საიმედო მოკავშირე უმაგრებს ზურგს, და მაინც, საზოგადოების დეფიციტი უკიდურესად საგრძნობია. ძნელია ვაღიაროთ, რომ უანგარო საქმის კეთებისათვის აღარ ვართ მოწოდებული, ქვეყნისათვის სასარგებლო ზრუნვას. რა ხანია გადავეჩვიეთ და რომ ჩვენში ფესვგადგმული მოუწესრიგებლობა გაურკვეველ კანონზომიერებად იქცა.

უამრავი პირადი წვრილმანის კვალდაკვალ ჩვენც უსახელოდ დავნაწევრდით.

დღეს კაცობრიობას აღარ სჭირდება წინამძღოლი, ვინც ჯანსაღი საზოგადოების შექმნაზე იზრუნებს.

პირუთვნელი საზოგადოებრივი აზრის უქონლობა XIX საუკუნის საქართველოშიც მწვავედ იდგა. სწორედ ამ დროს თანამედროვეთაგან გამოირჩა დიმიტრი ყიფიანი, პიროვნება, ვისაც უღიმღამო ქართული სინამდვილის გასარღვევად განსაკუთრებული მისია დაეკისრა. დიმიტრი ყიფიანის ბუნებაში გრიგოლ ხანძთელის ტიტანური ნებისყოფა და გამჭრიახი სტრატეგის შეუმცდარი ალღო თანაბრად თანამყოფობდა.

მას წილად ხვდა ხვედრი, რომ ქართული საზოგადოების ასაღორძინებლად ატლანტის მაგივრობა გაეწია.

დიმიტრი ყიფიანის განუზომელი ღვაწლის წარმოსაჩენად მცირე ჩამონათვალიც იკმარებს.

XIX საუკუნის ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა სწორედ მისი თაოსნობით ისხამს ხორცს. მან დააარსა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საფუძველი ჩაუყარა საჯარო ბიბლიოთეკას, ჩამოაყალიბა ქართული დრამატურგიული საზოგადოება. შექმნა ქართული თეატრი, შეუდგა ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას და სათავეში ჩაუდგა თავად-აზნაურთა ბანკს.

ეროვნული საქმის მოთავეობისას დიმიტრი ყიფიანს პირველობას ვერავინ ჩამოართმევს. მის მიერ წამოწყებული ნებისმიერი საქმე ეროვნულ ძარღვზე გადის და თავისი მასშტაბურობით მთელ საუკუნეს მოიცავს.

ჯერ მარტო ის გარემოება რად ღირს, XIX საუკუნეში იგი ერთადერთი ქართველი ქალაქისთავია (იგულისხმება თბილისი), რომლის ოთხწლიანმა მმართველობამ ესოდენ მცირე დროში გადაჯიშებული ქართული საზოგადოება ფეხზე დააყენა, “მოყვასად” მოსულ მტერს სასწაულად გადარჩენილი თვითმყოფადობის ნაფლეთი ხელიდან წაგლიჯა, ეროვნული თავმოყვარეობა გააღვიძა, რათა სამომავლოდ ჩვენი ვინაობა მსოფლიო რუკაზე კვლავ აღნიშნულიყო.

უზარმაზარი პასუხისმგებლობა მუდმივი სიფხიზლისკენ უბიძგებდა დიმიტრი ყიფიანს არაერთი საპატიო თანამდებობის მიუხედავად. მას 1832 წლის შეთქმულების მარცხი კარგად ახსოვდა. 1832 წლის შეთქმულების ჩაშლის შემდეგ ქართული საზოგადოების მოწინავე ბირთვმა გამოუსწორებელი დარტყმა იგემა.

ამიერიდან ეროვნული სულისკვეთების ნებისმიერი გამოვლენა ულმობელი ანგარიშსწორების მიზეზად იქცა.

დამპყრობლის გეგმა დაუფარავად გაცხადდა: სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებამ საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვა საფუძველშივე გამორიცხა. ერთადერთი, ვინც ამგვარ დამღუპველ რეალობას ქედი არ მოუხარა, ალექსანდრე ორბელიანი იყო.

XIX საუკუნის დროინდელ საზოგადოებას ერეკლე II-ის შვილიშვილის გეგმაზომიერი ათვალწუნება წარუშლელ დამღად ატყვია.

ალექსანდრე ორბელიანმა სახელმწიფო სამსახური კატეგორიულად უარყო. შელახული თავმოყვარეობა უფლებას არ აძლევდა იმას დამორჩილებოდა, ვინც მისი წინაპრების ხსოვნის ამოძირკვას ლამობდა.

დიმიტრი ყიფიანმა მოღვაწეობის განსხვავებული გზა აირჩია. იგი რუსეთის იმპერიის წარმატებულ ჩინოვნიკად დაწინაურდა და წლების მანძილზე არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, ქალაქისთავი, არაერთი უმაღლესი ორდენის მფლობელი დიმიტრი ყიფიანი ძალზე ავტორიტეტულ ოფიციალურ პირადაა შერაცხული და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობაც საზოგადოების ნებისმიერი სფეროს ფარგლებს სცილდება.

რუსეთის იმპერიისადმი ლოიალობით შენიღბულ დიმიტრი ყიფიანსა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლ ალექსანდრე ორბელიანს შორის ერთი შეხედვით საერთი არაფერია, თუმცა სინამდვილეში ამ თითქოს ორ ურთიერთგამომრიცხავ პიროვნებას ერთმანეთთან ყველაზე ძლიერი რამ აკავშირებს და აერთიანებს, რასაც სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ეწოდება და რაც მისდამი უანგარო მსახურებაში ვლინდება. სხვაგვარად შეუძლებელია ალექსანდრე ორბელიანისა და დიმიტრი ყიფიანის რეალური ნათესაობის აღქმა.

აგრეთვე წარმოუდგენელია იმ ფერისცვალების ახსნა, რამაც 70 წლის მხცოვან, დაფასებულ საზოგადო მოღვაწეს გადააწყვეტინა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემუშავებული ზომიერი საბრძოლო ტაქტიკა საყოველთაო უკმაყოფილებისა და დაუმორჩილებლობის გამოხატულებად ექცა. დიმიტრი ყიფიანის მიერ პავლე ეგზარქოსისადმი გაგზავნილი პასუხი-ულტიმატუმი იმპერიის არნახული გამოწვევაა. მან ერთადერთმა გაბედა საჯაროდ გამოეხატა პროტესტი, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, ის, რაზეც თაობები ოცნებობდნენ, მაგრამ განხორციელების უნარი აღარ შესწევდათ.

პავლე ეგზარქოსის მიერ ქართველი ერის დაწყევლამ დიმიტრი ყიფიანი მიახვედრა, რომ სამოქმედო ჟამი დამდგარიყო. გაჩუმება ეროვნული ცნობიერების აღმოფხვრას მოასწავებდა. სწორედ აქ გამჟღავნდა მისი, როგორც უფლის მიერ ხელდასხმული მოყვასი მამულიშვილის უკომპრომისობა, ის შესაშური ნებისყოფა, რომლის მეოხებითაც უმაღლესი მიზნისთვის თავის გაწირვა არა შემთხვევითი, არამედ ყოველმხრივ გაცნობიერებული აქტია.

დიმიტრი ყიფიანმა თავის თანამედროვეებს იმითაც გაუსწრო, რომ საკუთარი სიცოცხლის ფასად კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სამშობლოს ინტერესებზე მაღლა არავინ და არაფერი არ უნდა დააყენო, დაუნანებლად დათმო ამქვეყნიური პატივი და ფუფუნება, რაც, ცოტა არ იყოს, ძნელი შესათვისებელია კარიერაზე გადაგებულ მედროვეთათვის.

სულ ცოტა ხანიც და ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთი დაუძლეველი სენი შეეყარა. პარტიულობის ავბედითი სინდრომი, რომელსაც ვეღარაფრით მოიშლის.

პარტიული სენი — ბრძოლის ყველაზე მრისხანე იარაღი მტრებმა ჯერ კიდევ დიმიტრი ყიფიანზე მოსინჯეს. მოგვიანებით კი ამ მეთოდითვე მისი უშუალო მემკვიდრე: ილია ჭავჭავაძე გამოასალმეს წუთისოფელს.

პარტიულობით დაავადებულ საზოგადოებას სათავეში მოუსყიდავი პიროვნება არ სჭირდება.

არადა, დადგა დრო დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი ჯეროვნად დაფასდეს, ჩვენში დღესაც ჯერ უცხოელებს უდგამენ ძეგლებს, თავგამეტებით კვლავ სხვებს ეთაყვანებიან და ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს გადასარჩენად სისხლს უპირატესად ქართველი ღვრის.

“ვითმენდი მხოლოდ ჩემ მამულისათვის”— ალ. ორბელიანის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები მისი უმცროსი თანამორბედის მრწამსს ზედმიწევნით ესადაგება.

ჩვენი საზოგადოება დღესაც ბევრი უსამართლობის შემსწრეა, ამიტომ შერცხვენის თავიდან ასაცილებლად ისღა დაგვრჩენია დიმიტრი ყიფიანს — საქართველოს სინდისს საკადრისი პატივი მივაგოთ!

2004წ. “რაეო” №3

“დაწყევლილი თაობის” ღირსეული წარმომადგენელი

“ნეტარ არიან გულით სუფთანი,
ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ”.
მათეს სახარება

პიროვნების შეფასება მისი ბიოგრაფიული ცხოვრების შეჯერებიდან იღებს დასაბამს. შტეფან ცვაიგის მახვილგონივრული დაკვირვების თანახმად პოეტები იშვიათად გამოირჩევიან მრავალფეროვანი ბიოგრაფიებით და ამდენად იძულებულები არიან გამონაგონს დასჯერდნენ მაშინ, როცა ბობოქარი თავგადასავლების მაძიებლებს ძირითადად უნარი არ შესწევთ თავს გადახდენილი არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კალამს დაუმორჩილონ.

ნამდვილად ყურადსაღები გამონათქვამია, თუმცა მე იმ ადამიანის შესახებ მოგითხრობთ, ვინც ლოგიკის გეგმაზომიერ ჩარჩოში ვერ თავსდება და საკუთარი ცხოვრების წესით ამ ორ, ურთიერთგამომრიცხავ უკიდურესობას ერთმანეთთან ათავსებს.

პოეტი შალვა მჭედლიშვილი ორმოციანელთა თაობის ღირსეული და რაც არანაკლებ მთავარია, ცოცხლად გადარჩენილი წარმომდგენელია.

იმ ორმოციანელების, რომელთა სახელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძალით ამოგლიჯეს საქართველოს ისტორიიდან და როსტომ ჩხეიძის ჩვეული კეთილსინდისიერება რომ არა, კიდევ დიდხანს ვერ გავიცნობდით “დაწყევლილი თაობის” ტრაგიკულ ბედისწერას. ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, კოტე ხიმშიაშვილი, ლადო ბალიაური, ადამ ბობღიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, გიორგი ქადაგიძე და კიდევ არაერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა შემოქმედი, ვინც 40-იანი წლების რეპრესიებს პირდაპირი და არაპირდაპირი გზით შეეწირა.

შალვა მჭედლიშვილის ბიოგრაფია ამ ორმოციანი წლების მაგალითად იქცა. დღეს მართლაც ძნელი წარმოსადგენია იმ აზრის გათავისება, რომ მეოცნებე, წრფელი გულის ახალგაზრდას საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად 58-ე მუხლი მიუსაჯეს. მას ანტისაბჭოთა აგიტაციაში დასდეს ბრალი. ამავე კონსტიტუციის თანახმად იგი “მხილებულ იქნა” როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის აქტიური წევრი.

გასაგებად რომ ვთქვათ, შალვა მჭედლიშვილი 1940 წელს დაწერილი ლექსისთვის “მეორედ მოსვლა” ხალხის მტრად იქნა გამოცხადებული. დახვრეტისაგან იმ გარემოებამ იხსნა, რომ მისთვის სამამულო ომის დასრულების შემდეგ მოიცალეს. საბჭოთა “ჰუმანურობის” წყალობით შალვა მჭედლიშვილის პოლიტიკური “ოდისეა” შემდეგნაირად წარიმართა: 1949 წლიდან 1951 წლის ბოლომდე იგი ბაქოს, როსტოვის, ვოლოგდის ციხეებში იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ ქვანახშირის საბადოზე მუშაობისას მიღებული მძიმე ტრამვის გამო ვორკუტის ციხეში მიუჩინეს ადგილი.

ვორკუტის შემდეგ პოეტი კიროვის და პეტროპავლოვსკის ციხეებში იხდიდა სასჯელს, სადაც არც ერთი პოლიტპატიმარი არ შეხვედრია. სამაგიეროდ იქ მრავლად იყვნენ: ბანდიტები, ქურდები, მსუბუქი ყოფაქცევის ქალები და აფერისტები. კითხულობ და არა გჯერა: სხვა თუ არაფერი, გადაულახავ შიშს აღძრავს იმის წარმოდგენა, ცამდე მართალ პიროვნებას კრიმინალურ გარემოცვაში რამდენი რამ

უნდა გადაეტანა! მას ყოველ წამს ბრძოლა უხდებოდა თვითდამკვიდრებისათვის, ათასი გასაჭირისა და დამცირებისათვის უნდა გაეძლო. ვინძლო რამდენ გაუხმოვანებელ განცდას იტევს თითოეული ლექსის სტრიქონი!

შალვა მჭედლიშვილისათვის ხელოვნება საკუთარი თავისა და მკითხველის თავშესაქცევ, გასართობ საშუალებად ნამდვილად არ ქცეულა. პოეტი ჰაეროვანი, მომგებიანი ილეთების "შესასრულებლად" არასოდეს ყოფილა მოწოდებული. აქ, უნებლიეთ, ჭოლა ლომთათიძესთან ჩნდება გარკვეული ანალოგია. სოციალისტური პარტიის ძირძველ დელეგატს ყრილობებზე დასასწრებად არალეგალურად უწევდა საზღვარგარეთ გამგზავრება, ერთხელ თვითონ ლენინთანაც უსაუბრია. მან შალვა მჭედლიშვილის მსგავსად რუსეთის ყველა ციხე მოიარა, თუმცა ჯერ კიდევ ჭაბუკს არ დასცალდა იქიდან გამოღწევა. ჭოლა ლომთათიძე — რიტმული პროზის ერთ-ერთი ადრეული დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში და ამავე დროს სოციალისტური იდეებით გზააბნეული პიროვნება, რომელსაც უტოპიური ოცნება სიცოცხლის ფასად დაუჯდა. იგი ალბათ გულშიც ვერ გაივლებდა, რომ მის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლი ასე საბედისწეროდ მოუბრუნდებოდა მომვალ თაობებს.

"ჩალით დახურულ რუსეთს სალამი!
სისხლიანი რომ ამკობს ალამი"
მე სტოლიპინის რონოდით მოვვლე
ბნელი რუსეთი... ვრცელი რუსეთი,
და ყველგან შევხვდი ქედმოხრილ მონებს
და ყველგან დამხვდა ბრმა ბურუსეთი".

("ციმბირის გზებზე")

ასეთია ჭირგამოვლილი თაობის უშუალო შთაბეჭდილება იმპერიული პოლიტიკისადმი, რომელიც საფუძველშივე გამორიცხავს გულუბრყვილობის საფარველში გახვეულ სიყალბეს, რითაც არაერთი ხელოვანი იწონებდა თავს.

ციმბირში გადასახლებული პოეტი ფიქრით კვლავ სამშობლოს დასტრიალებს, არაერთგზის იგონებს სახლზე დამაგრებულ აბრას, რომელსაც გამორჩეული ნახატი ამშვენებდა.

"ხშირად ვფიქრობ, რომ შესაძლოა ის ნახატი დიდი ნიკო ფიროსმანის ნახატიც იყო. იმ შენობაში ჯერ კიდევ ცხოვრობდა მოხუცი მეეზოვე-დარაჯი, რომელიც საოცარი ასლი იყო ფიროსმანის ხელით დახატული მეეზოვის." — იხსენებს შემოქმედი უკაცრიელ ტუნდრაში, სადაც მარტოოდენ ქარიშხალი მბრძანებლობს. პოეტი ფიროსმანის სითბოს ინარჩუნებს, ფიროსმანის ღვთიური შუქით მოსილ ფერს დამსგავსებია ერთფეროვანი, უსახური პეიზაჟისგან თავგაბეზრებული, რადგან მის ძარღვებში პოეტის სისხლი ვერც კატორღებში ყოფნამ დაშრიტა:

"რაზე ოცნებობს ნეტავი
ბრბო, მზესუმზირის მკვნეტავი?
რომ კვლავ სასტიკად დამარცხდეს
ახლა სხვას ეყმოს გარეწარს?!"

("ქუჩის მიტინგზე")

შალვა მჭედლიშვილის მიერ აღძრული პრობლემა დღესაც არ მოძველებულა. ბრბო, როგორც ყოველთვის, თავისას ითხოვს. ჯანსაღად მოაზროვნე პიროვნებას კი სისხლის გაღება უხდება იმის დასამტკიცებლად, რომ სიტყვა სამშობლოსავით მოსაფრთხილებელია, რამეთუ "თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი". (იოანეს სახარება) სამშობლოსათვის პატივაყრილი სიტყვა თანამედროვე

ლიტერატორთაგან მივიწყებულ იოსებ მჭედლიშვილსაც აფიქრებდა. მართლაც საოცარი დამთხვევაა, ორი მოგვარე გაუგონარ მოქალაქეობრივ პატიოსნებას ამჟღავნებს, მაშინ, როცა უმრავლესობა შიშისგან ხმაგაკმენდილია. იგი ბატონ შალვას არ ენათესვებოდა, არც პირადი ნაცნობობა აკავშირებდა, მაგრამ საერთო მიზნის მისაღწევად უყოყმანოდ გაწირეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ.

იოსებ მჭედლიშვილი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელიც 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა, რადგან მან დემონსტრაციაზე ბოლშევიკთა მამხილებელი ლექსი წაიკითხა.

შალვა მჭედლიშვილის მსგავსად იოსებ მჭედლიშვილიც ორმოციან წლებში შეიპყრეს და შინსახკომის ჯურღმულში გამოამწყვდიეს. მასვე ეკუთვნის სტალინის დედისადმი მიმართული სტრიქონები, სადაც ავტორის მრწამსი იმ დროისათვის შეუფერებელი გულახდილობით მჟღავნდება. მან უზარმაზარ იმპერიას ქედი არ მოუხარა, იგი აცნობიერებდა, რომ სიტყვიერი თავისუფლების შემლახავა უდავოდ სულიერებაზე მიტანილი სახიფათო იერიშია, თუმცა გმირობა ყველას როდი მოეთხოვება.

მით უმეტეს, როცა ბატონი შალვა უჩვეულო თავმდაბლობითა და შემწყნარებლობით ჩრდილში ყოფნას არჩევს. იგი არაერთი პოეტური კრებულის ავტორია, ერთი შეხედვით უჩინარი შუამავალი სიტყვისა, რომელის დასაცავად ხანგრძლივად ეწამა.

ადამიანის ბუნება მომთხოვნია, ასგზის მომთხოვნი ხელოვანთა მიმართ. იგი პირველ რიგში შემოქმედის პიროვნული (ბიოგრაფიული) ცხოვრებით ინტერესდება და მხოლოდ ამ ჭრილის მეშვეობით იკვლევს გზას მემკვიდრეობის სულიერი ასათვისებლად, იქნებ იმის გამო, რომ ადამიანი შეუმცდარად გრძნობს საკუთარ დანაწევრებულობას სამყაროს კოსმიურ წესრიგთან მიმართებაში, მტკივნეულად აღიქვამს საკუთარ სიღრმეში მობობოქრე წინააღმდეგობრივ საწყისს, რის გამოც ჭეშმარიტ პიროვნებას მცირეოდენ შეცდომასაც არ პატიობს. თვით უმნიშვნელო შეუსაბამობასაც, რამეთუ კაცი მესიტყვე ყველასათვის სამაგალითო უნდა იყოს.

ბატონმა შალვამ შეძლო ყველაზე მკაცრი გამოცდის ჩაბარება. დრომ მის კაცთმოყვრეობას ვერაფერი დააკლო. ამიტომაც გადუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ნებისმიერი თაობის შემოქმედისათვის ზნეობრიობის ნიმუშია, მით უმეტეს დღეს, როცა ცხოვრება ტალანტზე იშვიათად უანგარობას გვთავაზობს.

პოეტს უყურადღებოდ არასოდეს დაუტოვებია ახალი თაობა, 2004 წლის 27 თებერვალს, მწერალთა კავშირის ყრილობაზე მან დაუფარავად განაცხდა: “დროა, გზა გავუხსნათ ახლგაზრდებს!” თვითონ ახლგაზრდობაწართმეულს კარგად ესმის რას ნიშნავს გერქვას ახალი თაობა და არ გქონდეს სამოქმედო ასპარეზი, გიყვარდეს ლექსი, მგრამ ხელოვნურად აბრკოლებდნენ სიტყვას, პირში შემოგცინოდნენ და ზურგს უკან დაუსრულებელი ინტრიგის ლაბირინთებში აშთობდნენ სათქმელს, რომელის სამზეოზე გამოტანა შთაბერავს სიცოცხლეს.

მალე წიგნიერი საზოგადოება გაეცნობა შალვა მჭედლიშვილის ბიოგრაფიის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს: დღის სინათლეს იხილავს გადასხლების წლებში დაგროვილ შთაბეჭდილებებზე შექმნილი რომანი “ცრუ მზეები” — კიდევ ერთი პირუთვნელი მატიანე კომუნისტური წყობის, რომლის ქომაგნიც დღეს კვლავ რკინის მარწუხის “მადლს” მისტირიან. ღირებული ბიოგრაფიები რჩეულთა ხვედრია. ბატონი შალვას ბიოგრაფიული ცხოვრება საუკუნის შეულამზებელი მატიანია, პირადი ტრაგედია ეპოქის კატაკლიზმი. პოეტურ გამოცდილებას რაც შეეხება, აქ დროისა და მომავალი თაობის მოთხოვნათა თანხვედრაა გადმწყვეტი.

შალვა მჭედლიშვილმა ყველა დაბრკოლება ღირსეულად გადალახა და არც ამჯერად დარიდებია დროს, მე ისღა დამრჩენია სახელოვან შემოქმედს ჩემივე სტრიქონებით გამოვეხმაურო, რომელიც მას მივუძღვენი:

"საუკუნეთა გზჯვრედინზე
აღმართული ხართ რაინდი ჟამთა,
სინათლის ფიჭით სავსე ხნული ხართ
ქართველი, ვისაც მამული სწამდა!"

2005 წელი

წერილი წინასიტყვაობად დაერთო შალვა მჭედლიშვილის ლექსების კრებულს:
"ოდეს გიჭირდეს ჭირთა თმენა" ტომი I, 2005 წელი

ეთერ ციციშვილის ნაშრომი,
რუსულ-ქართულ პოპულარულ სიტყვათა კონა.

თანამედროვე სამყარო ვიზუალური ეფექტების დემონსტრირებაზეა გადართული, ამდენად მას ნაკლებად აინტერესებს უფრო სიღრმისეული, იდუმალი და მედეგი სიდიდის - სიტყვის შემეცნება, გათავისება, სამომავლო ორიენტირად მისი დასახვა, დღევანდელი ადამიანის უსიტყვო უგემოვნობის შესანიღბად უამრავი ხელოვნური ტერმინია შექმნილი. პოლ ვალერის აზრს თუ გავითვალისწინებთ: "ის, რაც ხალხს მოსწონს, ჩემში შიშნარევ ეჭვს აღძრავს".

მოაზროვნის დამოკიდებულება მოდური სიახლისადმი სავსებით გასაგებია, მაგრამ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ გადაშენებულან პიროვნებები, რომლებიც ყველაზე რთულ საქმეს უხმაურო კეთილსინდისიერებითა და შთაგონებით აღასრულებენ. მათთვის თანამედროვე ყოფის მიერ დანერგილი მარტივი სტერეოტიპი სრულებითაც არ გახლავთ ხელისშემშლელი მიზეზი სიღრმისეულად გამოიკვლიონ სიტყვის ამოუწურავი უნივერსალური შესაძლებლობანი, ვინაიდან სიტყვა კაცთათვის უფლის მიერ ხელდასმული სამშობლო, თვითდადგინების ყველაზე სრული და გაუბზარავი საშუალებაა.

სიტყვის შეგროვება ყველას როდი ეხერხება. საამისოდ პათეტიკური წიაღსვლები არ კმარა, არც მხოლოდ პრაგმატული ცოდნა იწვევს დამაკმაყოფილებელ შედეგს. სიტყვასთან გაშინაურება პიროვნული არისტოკრატიზმის შედეგად აღმოცენდება. როდესაც ადამიანის სულიერი მოთხოვნილება ეპოქისას არ თანხვდება, ღირსეული საქმე მაშინ ისახება. სხვაგვარად შეუძლებელია შეეგუო გარემოს, სიტყვას ხელოვნური გაზონივით რომ კრეჭს. თუმცა, ვისაც თუნდაც მცირე შეხება აქვს ქალბატონ ეთერ ციციშვილთან, მისთვის უდავოდ თვალში საცემია, ერთობ გაიაშვიათებული მოვლენა. ინტუიციისა დ გონების თანასწორი თანამშრომლობა, რაც უპირველესად მკვლევარის დახვეწილ გემოვნებასა და სულიერ მზეობაზე მეტყველებს.

ეთერ ციციშვილის ნაშრომთა კვლევის საგანი სადღეისოდ არასწორად გაგებულ ტერმინ-დიზაინს ემყარება.

“დიზაინი. 1 ტერმინი “დიზაინი” წარმოადგენს იტალიური ტერმინის “დესინგ”-ს ინგლისურ ყაიდაზე გამოყენების ცდას. XV-XVI სს. ევროპაში გავრცელებული ეს ტერმინი გამოიყენეს მატერიალური საგნების დაპროექტების აღნიშვნისათვის. XVII ს. იგი გადავიდა ფრანგულ, ხოლო შემდეგ — ინგლისურ ენაში. მოგვიანებით ამ ტერმინმა მიიღო უჩვეულობის, განსხვავებულობის, ორიგინალურობის, მახვილგონიერების მნიშვნელობა (ინგლისელები დიზაინერს ხშირად უწოდებენ გონებამახვილ პიროვნებას). თვით დიზაინური საქმიანობა გამოდის მიღებული ტერმინების: ტექნიკური ესთეტიკის და მხატვრული კონსტრუირების ფარგლებს გარეთ”... - ვკითხულობთ ეთერ ციციშვილის ნაშრომში, რომლის სახელწოდებაა “რუსულ-ქართულ პოპულარულ სიტყვთა კონა”. თავის მხრივ, მნიშვნელოვან სფეროებს — არქიტექტურას, დიზაინს, მხატვრობას, არქეოლოგიასა და ტექნიკას რომ აერთიანებს და მიმოიხილავს.

ეს ორენოვანი სიტყვათა კონა მალე განზოგადდება და უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს. ამის თაობაზე ავტორი წინასიტყვაობაში გვამცნობს, რაც, მართლაც აუცილებელია და უდავოდ, მისასალმებელია, რადგან სათანადოდ შერჩეული სიტყვის მეოხებით მკვლევარის ნიჭთან გაზავებული მდიდარი გამოცდილება იჩენს თავს.

ჩვენში ჯერ კიდევ აუთვისებელი სფეროს — დიზაინის მრავალმხრივი გამოკვლევა, ლექსიკონის გარდა, მეცნიერის ძირითადი ნაშრომების თემტიკას მოიცავს: “დიზაინოვოე პროეკტიროვანიე ვ გრუზიი” (რუსულ ენაზე 1985 წელს გამოცემული წიგნი), შესანიშნავად ილუსტრირებული: “დიზაინი საქართველოში” (1997), “ქართული ხალხური ტრადიციები დიზაინის სამსახურში (1998). საყოველთაო აღიარების მიუხედავად, დიზაინის არსი საკმარისად არ არის შესწავლილი. ავტორი მკვეთრად ემიჯნება ამ შედარებით ახალი დარგის სტერეოტიპულ გაგებას, ცდილობს არაერთი დამაჯერებელი არგუმენტით დაასაბუთოს დიზაინის მასშტაბურობა და ცალმხრივად აღქმულ მოვლენებს საკვლევი ობიექტის სრუპულოზური ანალიზი დაუხვედროს.

ეთერ ციციშვილის სურვილი: დიზაინი მხოლოდ ოსტატურად მორგებულ ტანისმოსთან არ გაიგივდეს, არამედ კაცობრიობის განვითარებსი მისაღწევად ჩაითვალოს, დამაჯერებლადაა დასაბუთებული. საბედნიეროდ, სურვილს შესაძლებლობა ანიჭებს ღირებულების მნიშვნელობას. მავანი იქნებ გაღიზიანდეს კიდეც იმ ენციკლოპედიური ცოდნის სისტემაში მოყვანის გამო, რაც ლექსიკონს საუკუნეების მანძილზე გამოტარებული უძველესი, კულტურული — გენის მიერ შექმნილ საკულტო ნაგებობას ამსგავსებს. ხელთუქმნელ ძეგლს, რომელიც უხმაურო შრომისმოყვარეობისა და უდრეკი ნებისყოფის ხარჯზე იქმნება.

ლექსიკონზე მუშაობა ჯიუტად ცხადყოფს თანამედროვე ყოფის აჩქარებული რიტმის უგულებელყოფას: ის, რაც ნაჩქარევ ყალიბშია ჩამოსხმული, დროს ვერ უძლებს. ის, ვისაც ჯერ კიდევ შესწევს უნარი სიტყვასთან ხანგრძლივად დაჰყოს, გარშემომყოფთათვის უჩვეულო, აუხნელ მადლსაა ნაზიარები.

ეთერ ციციშვილი ჩვენში ფეხმოკიდებულ ერთ-ერთ არასასურველ ტრადიციას უპირისპირდება: მოარულ ზერელობას, რომლის წყალობითაც ღირებული წიგნის შექმნა უვადოდ გვიანდება. ამ შემთხვევაში უხერხულებას ბადებს თავის გასამართლებელი საბუთი: ჩვენში ჯერ არ შექმნილა, ან ჩვენამდე არ მოუღწევია.

ეთერ ციციშვილმა მოხერხა სპეციალისტებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის)

დროულად მიეწოდებინა გზამკვლევი. ამგვარი ქმედება შემოქმედებით პროცესში ნაგვიანევ ჩარევასა თუ ჩამორჩენილობის დაღის დაძლევას განაპირობებს.

“რუსულ-ქართულ პოპულარულ სიტყვათა კონა” კაპიტალური ნაშრომია, იგი ცხადყოფს ავტორის მოთხოვნილებას საკუთარი თავის მიმართ, იმ პასუხისმგებლობის გაცნობიერებას, ამგვარ საქმეს რომ ახლავს თან: წლების მანძილზე რუდუნებით შეგროვილ სიტყვებს შესაბამისი ექვივალენტის შერჩევის პარალელურად შესაფერისი განლაგებაც ესჭიროება. ასეთ დროს გამოცდას აბარებს არა მხოლოდ მკვლევარი, არამედ საგანგებოდ შერჩეული თითოეული სიტყვა, რომელიც დაზღვეული არ არის ლექსიკონზე მუშაობის პერიოდში ხმარებიდან ამოვარდეს. თუმცა ეთერ ციციშვილის მიზანია არაერთი მივიწყებული სიტყვის გაცოცხლება. მისთვის სულის შთაბერვა, დეკორატიული ფუნქციის ჩამოცილება, ამასთან, ახალი ტერმინების შექმნის აუცილებლობა, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც სიახლის ეროვნულ ნიადაგზე დაშენებით უნდა განხორციელდეს. მკვლევარი მარტოოდენ სიტყვის დასახელებით როდი იფარგლება, ხშირად ამა თუ იმ გავრცელებულ ტერმინს, კვალიფიციურ რთულ განმართებას ურთავს, რაც გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან ავტორი ერთდოულად რამდენიმე სფეროს მიმოიხილავს, რაც სათანადო პროფესიულ მომზადებას მოითხოვს.

დაკვირვებული მკითხველი ეთერ ციციშვილის ლექსიკონში ნაკლებად გახმაურებულ სიტყვებსაც წაწყდება. განსხვავებული ხედვის რაკურსს იქ აღმოაჩენს, სადაც ერთი შეხედვით ყველაფერი მრავალგზის დაზუსტებულია. ეს გარემოება მკვლევარის მრავალმხრივ განსწავლულობაზე მიუთითებს.

მეცნიერი ჯერ კიდევ 1999 წელს გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში “წამი წარმავალისა” საზღვარგარეთ მოგზაურობისას დაგროვილ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს. ძალზე საინტერესოდაა მოწოდებული შემეცნებითი ინფორმაცია მსოფლიოს მუზეუმების შესახებ. ავტორი თვითმიზნურად როდი ეთაყვანება მსოფლიო შედევრებს, იქვე პარალელებს ავლებს ქართულ ძეგლებთან. იძლევა საქმიან რჩევ-დარიგებებს და რაც მთავარია, ეთერ ციციშვილის ყველა ნაშრომი მკაფიო, სადა ენითაა დაწერილი. რაც წიგნში გადმოცემული რთული და მრავალფეროვანი მასალის ათვისებს აადვილებს. თანამედროვე მკითხველს ნებისმიერი სერიოზული წიგნის დაბადება აფრთხობს. მით უმეტეს, ლექსიკონის მოვლენა ამქვეყნად, რომელიც ადამიანის ისტორიულ მეხსიერებას შესაშური გაბედულებით ამოწმებს. მიუხედავად ყველაფრისა, “რუსულ ქართულ პოპულარულ სიტყვათა კონა” მნიშვნელოვანი შენაძენია არა მხოლოდ გამორჩეული მკითხველისათვის, არამედ ნებისმიერი პიროვნებისათვის, ვისაც სიტყვასთან — ბუნებრივ სამყაროსთან ურთიერთობა არ მობეზრებია.

2005 წელი. გაზეთი “სახალხო განათლება” № 5, 2005

ჟურნალ "ზედაშეს" წარდგინება

დღეს მორიგი გაზეთისა თუ ჟურნალის გამოცემა იშვიათობა აღარ არის. თუმცა, სიმრავლე მათ ხარისხზე სასიკეთო ზეგავლენას ნაკლებად ახდენს.

ყოფით პრობლემებით და პოლიტიკური ინტრიგებით გაჯერებული საზოგადოება თანამედროვე პრესისგან თავშესაქცევი პროდუქციით მომარაგებას ითხოვს. ვინც ამ მოთხოვნას არ ემორჩილება, კომერციული კრიზისის უპირობო სამიზნედ არის განწირული.

ბუნებრივია, გამოხშირვის ამგვარი მეთოდი ჭეშმარიტ ფასეულობებს საფრთხეს უქადის. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, შიშნარევი გრძნობით გადავფურცლე ახალი ჟურნალი "ზედაშე", რომლის მიმართულებაც ეროვნულ ცნობიერებაზეა ზედნაშენი და იმ უძველესთან გვაბრუნებს, რასაც, რატომღაც ხშირად ვერიდებით (თუ თავქუდმოგლეჯილნი გავურბივართ).

ჟურნალში დაბეჭდილი ავტორები საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილ მწერალთა რიგებს განეკუთვნებიან, თუმცა, შერჩევის პრინციპის ვარგისიანობას მხოლოდ ეს მომენტი როდი განსაზღვრავს. "ზედაშე" უსამართლოდ მივიწყებული ზოგიერთი შემოქმედის გულისშემძვრელ ლექსებს, ხალხური პოეზიის აქამდე უცნობ შედევრებსაც უშურველად გვთავაზობს. ეს უშუალოდ ჟურნალის მთავარი რედაქტორის, ნიჭიერი პოეტისა დ ორატორის ერეკლე საღლიანის დამსახურებაა.

"ზედაშეს" პირველი ნომერი აფხაზეთის თემას ეძღვნება. აქ ერთი გაუთვალისწინებელი საფრთხე წამოიჭრება: ხშირი ხსენებით, შესაძლოა, თვით ყველაზე საკრალურიც გაუბრალოვდეს; ყოველდღიურობასთან შეჯახებისას, მოუშუშებელი ტკივილის სიღრმე შეილახოს. საბედნიეროდ, ჟურნალის მესვეურებმა ეს უხერხულობა წარმატებით დაძლიეს, თემისადმი დიდი ტაქტითა და მიუკერძოებლობით. ჟურნალი მივიწყებული ტრადიციის აღდგენას ესწრაფვის: უწინარესად, ყური მიუგდოს მას, ვისაც ტრაგედია უშუალოდ საკუთარ თავზე უწვნევია, ვინც ყურმოკრული ფრაზებითა და სენსაციური მონაჭორით კი არ ჟონგლიორობს, არამედ დღესაც ომის, ნაღმებით გაჟღენთილი ჰაერით სუნთქავს.

ქართველ ავტორთა გვერდით აფხაზ პოეტთა ლექსები საერთო სატკივარის მოზაიკურ მთლიანობას ქმნიან.

უდროოდ დაღუპული აფხაზი გოგონას დღიური თავისი ტრაგიზმით ანა ფრანკის ამბავს გაგახსენებთ.

და სწორედ ამ დროს, შედარებით ნელდება რიტმი, ჩახმახივით შემართული ემოცია თითქოს უკანა პლანზე გადადის: მკითხველის აღქმის დასაურვებლად მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნეები "მოიჩქარიან".

"ზედაშე" დიდი ფრანგი მწერლის ემილ ზოლასა და დრეიფუსის გახმურებული საქმის შესახებ მოგვითხრობს. მეტად შთამბეჭდავია რადიარდ კიპლინგის ბიოგრაფია, ედიშერ გიორგაძისგან მოთხრობილი. ჟურნალი აგრეთვე გვთავაზობს მაიაკოვსკის უცნობ სალაღობო "ექსპრომტს", გოგოლის წერილებსა და ბორხესის "ახალ გამოკვლევებს".

საღვთისმეტყველო ცნებების განმარტებას ჟურნალში გამორჩეული ადგილი უჭირავს. ინტელექტუალი მკითხველი აქ კიდევ არაერთ საინტერესო ლექსს,

პროზაულ თხზულებასა და თარგმანს გაეცნობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მიხო მოსულიშვილის ორმოქმედებიანი პიესა ”თეთრი ლაშქარი”. ეს დრამატული ნაწარმოები აფხაზეთზე შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო პიესაა. ის ახალი თაობის რეჟისორებისათვის სწორედაც, რომ ზედგამოჭრილია, საკუთარი უნარის და მოქალაქეობრივი მრწამსის გამოსავლენად.

“ზედაშე” არ ღალატობს მალარმესეულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც: “მსოფლიო იმისათვის არსებობს, რომ წიგნში აღიბეჭდოს”.

ჟურნალმა გამოსვლისთანავე შეძლო ჩვენზე შთაბეჭდილების მოხდენა, ინფანტილურ მეხსიერებაში აღბეჭდვა. ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ღირებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

“ზედაშეს” წარდგინებაზე თავმოყრილი უამრავი ადამიანის გადაღება სატელევიზიო არხებს, რატომღაც “გამორჩათ”. დამსწრე საზოგადოება კი ძველქართული კეთილსინდისიერებითა და სიამაყით ისმენდა არა მხოლოდ გამომსვლელთა საუბარს, არამედ უფონოგრამოდ შესრულებულ შეუდარებელ სიმღერებს.

2005 წელი

გაზეთი “თბილისი” № 18, 2005 წელი

კრონოსის სარკის ანარეკლი

კონნე სპერელი — ტერენტი გრანელის მივიწყებული მეგობარი

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია თანამედროვე მკვლევარს უამრავ გაუშუქებელ მასალას აწვდის, ვისაც გამოუქვეყნებელი სტრიქონების გამომზეურება ახალაღმოჩენის სიხარულით აღავსებს, მისთვის არქივი შთაგონების წყაროდ საცნაურდება. ჩვენი საუკუნე ამგვარი ყაიდის ადამიანებს დიდად არ სწყალობს. ახალგაზრდა მეცნიერის მიერ საარქივო მასალის ათვისება დღეს არაერთ პრობლემასთანაა დაკავშირებული, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა და ამჯერად მას არ შევეხებით.

წინამდებარე ნაშრომი, სახელწოდებით: “სივრცეში დარჩენილი ფრაზები”, სწორედ იმ ხარვეზის ამოვსების მცდელობაა, რომელსაც დღეს ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით და, რომლის სახელდებაც უსამართლოდ დავიწყებული ადამიანის ხსოვნას ემსახურება. უგულისყურობის შედეგად ჩრდილში მოქცეული პიროვნება, კონნე სპერელი -კონსტანტინე გაჩეჩილაძე ტერენტი გრანელის ერთგული მეგობარი იყო. მან შთამომავლობას დიდი პოეტის სახელი შეუნარჩუნა და თავად იქცა დავიწყების ერთგვარ სიმბოლოდ.

ტერენტი გრანელის პოეტურმა გენიამ არნახული ძალისხმევის ფასად მაინც მაინც შეძლო გზის გაკაფვა. ბოლოს და ბოლოს დუმილის ზღუდე დაინგრა, თუმცა სიჩუმეზე შეყვარებუ;ლი მგოსნისადმი მიძღვნილ წიგნებში კონნე სპერელი არსად იხსენიება. არადა კონსტანტინე გაჩეჩილაძისადმი მიმართულ ლექსში ტერენტი გრანელი ამბობს:

“ჩვენი სიტყვები ყველასთვის ფიანდაზია,
თავის ლექსებში იხსენიება კონნე სპერელი”...

მეგობრებმა ერთად დაარსეს ლიტერატურული ჟურნალი “კრონოსის სარკე”, რომლის სათაურიც კონნე სპერელის ლექსიდანაა აღებული.

XX საუკუნის 20-იან წლებში გრანელის მიერ დასახული მესამე გზის ძიება, უმრავლესობას გაღიზიანებას ჰგვრიდა. მოახლოებული პოლიტიკურ-ისტორიული კატაკლიზმით დაშინებულმა ხალხმა მაღალესთეტიკურ ღირებულებებზე ოცნება აიკრძალა.

სამყაროში გაბატონებული ქაოსი საკუთარ თავთან განმარტოების უფლებას მხოლოდ იმას ანიჭებდა, ვისაც არსებული სინამდვილიდან გაღწევა შეეძლო და მსხვერპლად ყველაზე სანუკვარს -სიცოცხლეს გაიღებდა.

“გიყვარდეთ თქვენი მარტოობა და მშვენიერი მოთქმით ატარეთ მის მიერ მოგვრილი ტკივილი”, — რილკეს ეს სიტყვები თითქოს ტერენტი გრანელის მისამართითაა ნათქვამი. მარტოსული პოეტის შინაგან ტრაგიზმს, მსოფლიო ქარტეხილსა და მძიმე სულიერ წყობასთან ერთად, დაპყრობილ სამშობლოზე ნაღველი ამძაფრებდა.

კონნე სპერელის მეგობრობა ტერენტი გრანელის სწორედ სულიერ ნათესაობას ემყარება ად არა შემთხვევითობას. ეპოქის მიერ დამკვიდრებულ ულტიმატუმს ვერც ერთი მათგანი ვერ შეეგუა. პოეტურ ფსევდონიმს გრანელმა კონსტანტინე გაჩეჩილაძის რჩევის შემდეგ მიანიჭა უპირატესობა.

კონსტანტინე გაჩეჩილაძე 1918 წელს ახალდაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების სტუდენტია. ერთი შეხედვით თითქოს რიგითი ახალგაზრდისგან არაფრით განირჩევა. იმ დროს საქართველოში ლექსს ბევრი წერდა და იმედია, მომავალშიც ბევრი დაწერს.

ტერენტი გრანელთან მეგობრობა, დიახაც, გამოაცალკევებდა მრავალთაგან, მაგრამ არც ეს შეიქმნებოდა საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ დიდ ივანე ჯავახიშვილს სტუდენტისთვის ასპირანტურაში ჩაბარება შეეთავაზებინა.

კონსტანტინე გაჩეჩილაძის გამორჩეულ ღირსებაზე სწორედ ეს ფაქტი მეტყველებს. იგი თავად ივანე ჯავახიშვილის რჩეულია, მაგრამ ბედის რჩეულობისგან განწირული იმავდროულად, წარმატებით წამოწყებული საქმის დაგვირგვინება აღარ ეწერა. უსახსრობის გამო იძულებული შეიქმნა სწავლისთვის თავი დაენებებინა. ვინძლო არამკითხე “მეცნიერთაგან” შევიწროებულ ქართულ ისტორიოგრაფიას მისი სახით როგორი ქომაგი მოაკლდა!

ამიერიდან კონნე სპერელი დავიწყების დაღითაა “დაჯილდოებული”. მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, მან შემოქმედებითი მემკვიდრეობის თუნდაც მცირედი ნაწილი ვერსად დაბეჭდა, საკუთარ ნააზრევზე მეტად, უდროოდ წასული მეგობრის ტაბუდადებული სახელის აღსადგენად იბრძოდა. სიკვდილამდე ჯიუტად, ქაჯეთის აუღებელ ციხესიმაგრედ ქცეულ რედაქციებს თავს ყოველწლიურად ახსენებდა კეთილსინდისიერად შესრულებული პუბლიკაციებით, სადაც ტერენტი გრანელის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი ცნობები გამოჰქონდა სააშკარაოზე. კონნე სპერელი ამ გზით არც აღიარებას ესწრაფვოდა და არც მომგებიან ჰონორარს ითხოვდა სათავისოდ.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული კაცი შეუმჩნეველ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. დრო იყო შეუფერებელი. საქართველოში ან როდის დამდგარა ღირსეული მამულიშვილის დაფასების დრო?

ახალ ხელისუფლებას სრულებითაც არ სჭირდებოდა პოეტი, არც ისტორიკოსი, რომელიც გერმანულ, ინგლისურ, ბერძნულ, ლათინურ და ქალდეურ ენებზე აღწერდა მის ნამოქმედარს. როგორც ჩანს, ტერენტი გრანელის მეგობარი საბჭოურ ენას ვერ ფლობდა რიგიანად. იმჯამად საქართველო ბოლშევიკების საკუთრებად იყო მიჩნეული.

“სოციალიზმის სამი ურჩხულისგან ყველაზე სასტიკი, დაუნდობელი და სისხლიანი რუსული ბოლშევიზმი იყო.

არც გერმანულ და არც იტალიურ ფაშიზმს, რელიგია არ გაუუქმებია, ეკლესია-ტაძრები არ დაუნგრევია, სამღვდელოება არ ამოუხოცავს. რუსულმა ბოლშევიზმმა კი პირწმინდად მოსპო რელიგია — დაანგრია ეკლესია-ტაძრები, ამოწყვიტა სამღვდელოება, კლასობრივი ბრძოლის სახელით. არც ფაშიზმს იტალიაში, არც ნაციზმს გერმანიაში არ გაუნადგურებია საკუთარი არისტოკრატია და ბურჟუაზია და ე. წ. “კულაკური გლეხობაც”, — აკაკი ბაქრაძის ნააზრევიდან ეს ვრცელი ამონარიდი იმ მდგომარეობის საილუსტრაციოდ მოვიხმარეთ, რასაც საბჭოთა საქართველოში (და არა მხოლოდ აქ) ჰქონდა ადგილი.

კონსტანტინე გაჩეჩილაძეს წილად ხვდა, ამ ახალი ფორმაციის დასამკვიდრებლად განურჩევლად წარმოებული ხოცვა-ჟლეტა საკუთარ თავზე ეწვნია.

თუკი! თერგდალეულებს სახელმწიფო სამსახური თავად ეთაკილებოდათ. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ვითარება პირუკუ შეტრიალდა: ახლა თავად კომუნისტური წყობის სახელმწიფო აღარ საჭიროებდა კონნე სპერელის მსგავს პიროვნებას — საბჭოურ თვალსაზრისით მტრულად განწყობუილ გარეშე პირებს მართვას არაფრის დიდებით დაანებებდა.

იმჟამინდელი გადასახედიდან სხვებთან შედარებით კონსტანტინე გაჩეჩილაძე მეტად დაინდეს — თუკი დანდობა ჰქვია იმას, რომ ჭეშმარიტ მისწრაფებას ჩამოაშორეს, დახვრეტისა და გადასახლების სანაცვლოდ, ნება დართეს პედაგოგიური საქმიანობისთვის მოეკიდა ხელი, კონნე სპერელმა ვალერიან გაფრინდაშვილის მსგავსი ხვედრი გაიზიარა. უახლოესი მეგობრების შემზარავი დაღუპვის ფონზე ცოცხლად დარჩენილ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ცისფერყანწელს უხმაუროდ მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ტერენტი გრანელის ყოველდღიურ კვდომას ესწრებოდა კონსტანტინე გაჩეჩილაძეც. ამიტომ საკითხავია, ვისთვის როგორი აღსასრულია მომაკვდინებელი: მყისიერად დამდგარი სისხლიანი ანგარიშსწორება, თუ წლების მანძილზე უღვთოდ გაჭიანურებული ხორციელი გამოსალმება წუთისოფლთან.

“სივრცეში დარჩენილი ფრაზები” კონსტანტინე გაჩეჩილაძის გამოუქვეყნებელ წერილებზე აგებული წიგნია. ლიტერატურის კონტექსტიდან ამოვარდნილი პოეტის სტატიებს ტერენტი გრანელის მომავალი ბიოგრაფიისათვის აუცილებელი საბუთები შემოუნახავს: გრანელის ფიზიკური პორტრეტის აღწერით დაწყებული, მგოსნის დაბადების თარიღით დამთავრებული: მარინე ქადაგიძის მიერ მოძიებული მასალა საინტერესოდაა განლაგებული: კონნე სპერელი მეგობარი პოეტის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ წერილებს რედაქციებში აგზავნიდა, თუმცა მისი მრავალწლიანი ცდა მუდამ წარუმატებლად მთავრდებოდა. ღვაწლმოსილი პედაგოგის თხოვნა არავის გაუთვალისწინებია.

მეგობრისადმი მიწერილ ბარათში დაგროვილ გულისტკივილს დაუფარავად ამჟღავნებს: შეძრულია იმ ფაქტის გამო, რომ გრანელის საფლავის შემოღობვა ვისაც

ჯერ არს, აზრადაც არ მოსვლია მაშინ, როცა გამოცემული წიგნის ტირაჟი მკითხველმა ორ დღეში დაიტაცა.

წიგნის ავტორი, მარინე ქადაგიძე, კონსტანტინე გაჩეჩილაძის შვილიშვილია ბაბუის კვალში ჩამდგარი, პროფესიად ისტორიკოსობას აირჩევს, რათა უსამართლოდ მივიწყებულ წინაპარს სათანადო პატივი ნაგვიანევად მაინც მიაგოს. იქნებ ამიტომაც მისი ნაშრომში განსაკუთრებულად მღელვარედაა წარმოჩენილი არა მხოლოდ კონნე სპერელის პირადი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, არამედ ისტორიულ-პოლიტიკური (მეგობრობა) თანამზრახველობის დევნისა და აკრძალვის მიზეზი.

მკვლევარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არაერთი საჩოთირო ნიუანსის მიუხედავად, იგი დიდი ტაქტით საუბრობს მომხდარზე. კონნე სპერელის მხრიდან ყურადღებას იმსახურებს მისი მართებული შენიშვნა გრანელის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლასთან დაკავშირებით. წიგნში კიდევ არაერთი საინტერესო ლიტერატურული ფაქტია გადმოცემული. მკვლევარი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკვლევს დაკარგული თაობის იმედგაცრუებითა და წინააღმდეგობით სავსე ცხოვრების გზას, რომელიც ყველაფრის მიუხედავად ავბედით იღბალს არ ნებდება.

მეცნიერის მიერ გაწეული შრომა ორმაგი მადლითაა გაჯერებული. წინაპრის ღვაწლის წარმოჩენას უცნობი მასალის დამუშავების უნარი, უჩვეულო სიღრმეს სძენს.

თუმცა განსაზღვრება "უცნობი" კონნე სპერელთან მიმართებით შეუფერებლად ჟღერს. გაუმართლებული ათვალისწუნების მიუხედავად, მას მაინც სჯეროდა, რომ:

"ჩემი სტრიქონი მოძებნის მკითხველს,
ხოლო მკითხველი —
დაკარგულ გვარებს!"

2005 წელი.

ჟურნალი "ივერიელნი" № 2, 2007 წელი.

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების შესახებ

ერს, რომლის დღის წესრიგში მუდამ საკუთარი ქვეყნის საზღვრის დაცვის პრობლემა უდგას, ჩვეულებრივი, ლოგიკური საზომით ვერ მიუდგები. ისედაც მცირე ტერიტორიის განუწყვეტელი შეკვეცის ფონზე ოდინდელი სიძლიერისადმი ლტოლვა ერთი მხრივ, ანაქრონიზმთანაა გაიგივებული, თუმცა ცნობიერების უძველეს შრეში ჩაშენებულ ისტორიულ მეხსიერებას მარტოოდენ თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით ვერ მოურიგდები.

სამხრეთ საქართველოსადმი უზარმაზარი ინტერესი სწორედ აქედან იღებს სათავეს. ძირძველი, დაკარგული მიწა-წყლისადმი ნოსტალგია გაუნელებელი ტკივილის მიღმა პიროვნული მნიშვნელობის განმსაზღვრელ საფიქრალს აღძრავს. ასეთ დროს ადამიანში სისხლით ნაანდერძევი გუშაგი ფხიზლობს და საშუალებაას არ გვაძლევს მომავლისკენ სვლა წარსულის უარყოფის ხარჯზე განვაგრძოთ.

ამგვარი გუშაგი (მარადიული მღვიძარების სახით) ბიბლიასთან შეთვისებულმა

წინაპარმა “მოგვიჩინა”, რათა მსოფლიო რუკაზე საკუთარი ადგილ-სამყოფელის შენარჩუნებაზე გვეზრუნა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი საძირკველის აღდგენას სამხრეთში ჩაეყარა საფუძველი. დიდი გრიგოლ ხანძთელის მიერ წამოწყებული საეკლესიო აღმშენებლობა ეროვნული ცნობიერების აღორძინებითა დ საქართველოს გამთლიანებით დაგვირგვინდა.

სამწუხაროდ, ჩვენ ის დრო უკეთესად გვახსოვს, ჟამის უკუღმართობის წყალობით ქართველებს სამხრეთის მიწაზე ფეხის დადგმა აკრძალული რომ ჰქონდათ, იშვიათი კულტურული ღირებულების ძეგლების ხილვაც ძველი რეპროდუქციების მეშვეობით ხერხდებოდა.

თუმცა ქართველ მეცნიერებს ფარ-ხმალი არასოდეს დაუყრიათ. არნახული წინააღმდეგობის მიუხედავად, საშვილიშვილო საქმეს მაინც უძღვებოდნენ. სახელოვანი მეცნიერების: ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის ღვაწლს აქ არ შევეხებით. ეს საზოგადოებისათვის ცნობილი ფაქტია.

დღეს თითქოს ნავსი გატყდა და ტაო-კლარჯეთისკენ ქართველთა ექსპედიციები დაიძრა. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებთან ერთად, სატელევიზიო არხების საშუალებით რამდენიმე საინტერესო ფილმიც მომზადდა. ესოდენ სასიკეთო ძვრა სათანადო შედეგს უეჭველად გამოიღებს: ახალი თაობის გასაცნობიერებლად ადრეულ გამოკვლევებს ახალი სამეცნიერო შრომები შეემატება, წარსული მემკვიდრეობისადმი ამგვარი მიდგომა ჯანსაღი ეროვნული აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს, თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს აქამდე შექმნილი საყურადღებო გამოკვლევები წარსულის ხსოვნას გადავაბაროთ.

პარმენ ზაქარაიას მიერ რუსულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს: “ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება” 1993 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია მიენიჭა, თუმცა, სამწუხროდ, ეს წიგნი მაღალი პოლიგრაფიული დონით ვერ დაიკვეხნის.

პარმენ ზაქარაიამ ქართულ მეცნიერებაში ახალი დარგი დაამკვიდრა; 1956 წელს მან საქართველოს ფეოდალური ხანის კულტურის ისტორიის განყოფილება ჩამოაყლიბა. მეცნიერის ნოვატორობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველმა შეისწავლა და დაადგინა საქართველოს ფორტიფიკაციული და საერო ნაგებობების ისტორია. იგი ავტორი უამრავი სამეცნიერო შრომის (ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენაზე 1969 წელს), “კახეთის საფერტიფიკაციო ნაგებობები”. სამტომეული: “საქართველოს ცენტრალური გუმბათოვანი არქიტექტურა (1976-1981 წწ.), “ქართული გუმბათოვნი ხუროთმოძღვრება”, მოგვიანებით ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება, ქართული ციხე-სიმაგრეების ისტორია და ა. შ.

ბუნებრივია, ესოდენ ავტორიტეტული მეცნიერის მიერ ტაო-კლრჯეთით დაინტერესება მაშინ, როცა ამ საკითხს ტაბუ ჰქონდა დადებული, შემთხვევითობას არ მიეწერება.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან თვით უკულტურო ერებში აღმოცენებულმა პრეტენზიამ კულტურული წარმოჩენის, მკვლევარებს საბაბი მისცა უპტრონოდ მიტოვებული ქართული ისტორიული ძეგლები მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე დაეცვათ.

აღსანიშნავია, რომ გამოკვლევა მრავალი წლის მანძილზე გამომცემლობის თაროზე იდო და მხოლოდ 1992 წელს, იხილა დღის სინათლე.

გულსატკენია, რომ ასეთი ფუნდამენტური ნაშრომი, შესაფერის ქაღლდს ნამდვილად იმსახურებდა. იმედია, წიგნის ხელახალი გამოცემის დროს სერიოზულ

ხარვეზებს აუცილებლად გამოასწორებენ. ახლა კი კვლავ ნაშრომის არაერთ ღირსებაზე გავამახვილოთ ყურადღება;

“ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება” ამოუწურავ მასალას სთავაზობს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ კულტურულ პროცესებში გაცნობიერებულ ნებისმიერ მკითხველს.

ნაშრომი რამდენიმე ნაწილისგან შედგება, თითოეული ძეგლი დაწვრილებითაა აღწერილი.

პარმენ ზაქარაია თხრობას ადრეული ბაზილიკებით (ერუშეთი, წყაროსთავი, ურთა) იწყებს. შემდეგ ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიების აღწერას ეთმობა ადგილი.

ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიებია: სუხბეჩი, ბანა, ხანძთა (პორტა), ოპიზა, დოლისყანა, ენირაბათი, ტბეთი. ტრიკონქის ტიპის ეკლესიები: ზაქი, ისი, ბაღჩაღოყისლა, ორთული, დირთ-ყილისა ცალკეა დახარისხებული. მეცნიერი საგანგებოდ აანალიზებს ექვსაბსიდიან ეკლესიებს: (ოლთისი, კიგშის-ალი, გეორგობა).

ავტორი ყურადღებას ამახვილებს რვაბსიდიანი ტიპის ეკლესიის მნიშვნელობაზე, რომლის ანალოგიც საქართველოში მარტვილის რაიონის გამოკლებით ტაოს გარდა, არსად დაიძებნება.

გვიანდელი ბაზილიკებიდან აღწერს ოთხთა ეკლესიას, პარახლს, ხახულს და ოშკს.

ცალკე ნაწილადაა გამოყოფილი სამხრეთ საქართველოში განლაგებული ციხე-სიმაგრეები და ხიდები.

ზემოთ ითქვა, თუ რამ უბიძგა მეცნიერს ამ თემით საგანგებოდ დაინტერესებულიყო.

პარმენ ზაქარაია წინსიტყვაობაში გულისტკივილითა და სინანულით საუბრობს ქართველი მეცნიერების წინააღმდეგ შექმნილ არახელსაყრელ ვითარებაზე, რომლის გამოძახილიცაა ბოლო დროს მომრავლებული ტენდენციურად შეთითხნილი-გაყალბებული “ნაშრომები”. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ქართველ მკვლევარს არაერთი მეცნიერული ომის გადახდა უწევდა, რაც უმეტესად უთანასწორო ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა და ქართული კულტურის დაკნინების მსურველთა წისქვილზე ასხამდა წყალს. არამეცნიერული დონით აღჭურვილი საშუალო დონის ვაიმეცნიერები, თანადგომის ნაცვლად, საპირისპირო მიმართულებით “იღწვიან”. კოლეგათა ნამოქმედარით არ კმაყოფილდებიან და საზღვარგარეთული კავშირების გამოყენებით ქართული კულტურის საზიანოდ მსოფლიოს არაობიექტურ ინფორმაცის აწვდიან.

ჯერჯერობით ამ სამეცნიერო ომში ქართული მეცნიერება არასახარბიელოდ გამოიყურება. საქართველოს არ ერგო ინდოეთის ბედი, სადაც ინგლისური კულტურის თვალსაჩინო წარმომდგენელთა წყალობით, ინდოეთის კულტურა მსოფლიო მასშტაბამდე განივრცო. ჩვენში პირიქით ხდება. ჩვენგან ხარისხნაბოძები და მეცნიერულ ასპარეზზე დაკვალიანებული “სპეციალისტები”, მომძლავრებისთანავე მტრად გვეკიდებიან. ამის საილუსტრაციოდ რუს მეცნიერთაგან წაქეზებული სომეხი მეცნიერების მაგალითიც კმარა. მათ ჯერ კიდევ 1978 წელს გამოაქვეყნეს ვინმე მარუთიანის “შიდა სომხეთი” სადაც მეცნიერული არგუმენტების სრული უგულებელყოფის ხარჯზე ტაო-კლარჯეთი სომხეთის “საკუთრებად” გამოცხადდა. ილიას “ქვათა ღაღადის” შემდგომ ვნებათაღელვა არ შენელებულა. იგივე პრობლემამ ახლებური სიმწვავით იჩინა თავი. “ამ მხრივ “თავი გამოიჩინა” ერევნის სომხური ხუროთმოძღვრების კვლევის ორგანიზაციამ.

ამ ორგანიზაციამ 1992 წელს გამოუშვა ფერადი ბუკლეტი - სომხურ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. მისი შინაარსის მიხედვით ახალქალქი, არც მეტი, არც ნაკლები, ძველი სომხური ქალაქი ყოფილა. აკად. რ. მეტრეველმა, პროფ. ნ. შოშაკმა და სხვებმა საკადრისი პასუხი გასცეს, მაგრამ რა, ეს ორგანიზაცია ჯიუტად განაგრძობს საეჭვო საქმიანობას და ანალოგიურ ბუკლეტის გამოცემას აპირებს წყალთბილაზე, სამშვილდეზე, ბაზალეთზე, ახალციხეზე, სათხეზე და სხვა ისტორიული მნიშვნელობის ადგილებსა და ძეგლებზე". — ვკითხულობთ ბონდო არველაძის წიგნში, "სომხური თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?! (1996 წ.)

როგორც ჩანს, დღევანდელი გადასახედიდან მთავარია დასწრების პრინციპი. ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და დანიშნულებას ანგარიშს აღარავინ უწევს. ტენდენციურ "გამოკვლევათა" ოპერატიული ხელმისაწვდომობა მსოფლიო მასშტაბით მათი სიმრავლის მიხედვით ფასდება. სწორედ ამ მიზეზით ბიზანტიის ისტორიის ამსახველ წიგნში (შემოკლებული ვარიანტით) ბიზანტიის სამეფო კარზე სომეხ უფლისწულთა როლი ხაზგასმითაა წარმოჩენილი, ქართული წარმომვლობის არაერთ მნიშვნელოვან მოღვაწეზე კი არაფერია თქმული.

მეცნიერული კამათის ნიმუშად გ. გოზალიშვილის მიერ პეტრიწონის მონასტრის დამაარსებლის: გრიგოლ ბაკურიანისძის არაქართველობის "დამადასტურებელი" "არგუმენტების" გაბათილება გამოდგება. მაგრამ გაუმართლებელი ამბიციისა და ქიშპის სურვილი კანონზომიერ მოვლენებს არ ცნობს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, თეირანში, ქართულენოვანი ქვის ძეგლების სისტემატურმა დაზიანებამ ფერეიდნელი ქართველები შეაფიქრიანა. ავისმქნელების შეპყრობისას დადგინდა, რომ ქართულ საფლავებს სპარსეთში ემიგრირებული სომხები რყვნიდნენ.

მართალია, აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ამგვარ ქმედებას ძალზე ღრმა ფსიქოლოგიური ქვეტექსტი უდევს. ყველასთვის ცნობილია, რომ ქართველი მეცნიერები (და არა მხოლოდ ის) იძულებულია მუდამ თავდცავზე იზრუნოს. იგი არასდროს არის თავდამსხმელი, სხვას არაფერს ედავება, არ ართმევს, მაგრამ საკუთარს სათანადოდ ვერასდროს იცავს. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი. ერთი მხრივ, ჩვენი აქილევსის ქუსლი იმაში მდგომარეს, რომ ეროვნული საქმის კეთებისას უმეტესწილად მტრულად განწყობილ ძალთა ზეგავლენა ასრულებს გადამწყვეტ როლს. მეორე მხრივ, თვალში საცემია ჩვენი მიუტევებელი უდარდელობა წინაპართა მიერ ნაანდერძევი მემკვიდრეობისადმი, რაც სხვებსაც კარგად მოეხსენებათ. გამონაკლისი ჯერ კიდევ არსებობს, რომლის მაგალითსაც ცნობილი გერმანელი მხატვრის, მოგზაურისა და ქართული კულტურის მოამაგის ვერნერ რუდიგერის სახით ვხვდებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ტაო-კლარჯეთის მხატვრულ გამოსახვაში. მან საკუთარი შთაბეჭდილება გაუზიარა დამსახურებულ ხელოვნებათმცოდნესა და დიზაინერს ეთერ ციციშვილს.

ტაო-კლარჯეთში ვერნერ რუდიგერის პირველი ექსპედიცია 1980 წელს მოეწყო; შემდეგ — 1984, 1990-91 წლებში გერმანელი მხატვარი და მოგზაური შვიდჯერ ეწვია უძველეს ქართულ მიწას და საკუთარი ხელით შესრულებული ნახატები უანგაროდ გადასცა ხელოვნების მუზეუმს.

ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე, რუდიგერმა დაასკვნა, რომ ქართული ეკლესია უპრეცედენტოა თავისი არსით, ბუნებასთან, ლანდშაფტთან ერთობით.

"ამგვარი იდეალური თანხმოვანება და ერთობლიობა ბუნებასთან მე ჯერ არსად მინახავს. ადრე კიდევ ჰქონდათ არქიტექტორებს ეს გრძნობა -ერთიანობა

ბუნებასთან, რასაც თბილისის ახალ მშენებლობაში ვერ ნახავთ. ეს საშინელებაა. რას უშვრებით თქვენს ქალაქს? თბილისი ევროპის ტრამალური ქალაქი ხომ არ არის?!" - საჭირბოროტო პრომლებას წამოჭრის ჩვენი უცხოელი კეთილისმყოფელი, მაგრამ თბილისი - ცალკე საუბრის თემაა, ამჯერად კი, კვლავ ძირითად სათქმელს განვავრცობთ.

ბუნებრივია, ასეთი მეცნიერული თანადგომა განუზომლად ბევრის მიმანიშნებელია, თუნდაც იმის გამო, რომ ბოლო დრომდე ტაო-კლარჯეთში ქართველ მკვლევართა მივლინება განუხორციელებელი ოცნება იყო. გარდა ამისა, დროა, სხვისგან ხელახლა ვისწავლოთ საკუთარი მემკვიდრეობის ათვისება, შეფასება და, რაც მთავარია, იმის შენრჩუნება, რაც საქმისადმი სერიოზული მიდგომითა და პასუხისმგებლობის გამოვლენით გამოიხატება.

ჯერჯერობით საქართველოში ეროვნული საქმისადმი საყოველთაო წაყრუების პოლიტიკა უცვლელია. სწორედ ამგვარმა რეალობამ აიძულა პარმენ ზაქარაია ხსენებული ნაშრომი რუსულ ენაზე დეწერა და 3000 ეგზემპლარიდან 1000 ცალი მსოფლიოს კულტურულ და სამეცნიერო ცენტრებში დაეგზავნა, თუმცა, მნიშვნელოვნმა გამოკვლევამ სათანადო აღიარების ნაცვლად (პრემიის მინიჭებას თუ არ ჩავთვლით) ეროვნულ ხუროთმოძღვრებაზე შექმნილ წიგნების ბედი გაიზიარა. მაღალი რანგის მეცნიერების და პოპულარული გაზეთების გამოხმაურების მიუხედავად, "ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება" საქწიგნის საწყობში დასამარდა. მის გავრცელებაზე არავის უზრუნია. უპასუხისმგებლობის შედეგად მიჩქმალული წიგნების უმრავლესობა დაიტბორა, ნაწილმა ძველმოდური მაღაზიების თაროებზე ჰპოვა განსასვენებელი.

წერილის წერას ვამთავრებდი, როდესაც ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია სამშვილდეში არსებული ათასწლოვანი ქართული ძეგლების გაპარტახების თაობაზე. მოგვიანებით ჰუჯაბის მითვისების ფაქტი გაშუქდა მოკრძალებულად, ზერელედ, როგორც პოლიტიკური მანიით შეპყრობილებს სჩვევით ხოლმე.

სინამდვილის ფონზე ცოტა ძნელია იმედით აღივსო, მაგრამ სანამ "ტაო-კლრჯეთის ხუროთმოძღვრების" ტიპის წიგნები კიდევ იწერება, ყველაფერი ჯერ არ დაგვიკარგავს. "ციხე-სიმაგრეები მიუდგომელია არა მხოლოდ მტრისთვის, არამედ მშვიდობიან მკვლევართათვის, ყოველი ციხე-სიმაგრის "მეცნიერულ დაპყრობას" შესაბამისი ტექნიკური საშუალებები და სტრატეგია სჭირდება" - ასე აფასებს პარმენ ზაქარაიას ღვაწლს არქიტექტორი ვახტანგ დავითია.

სამომავლოდ, ჩვენ უცილებლად გვესაჭიროება ეროვნული ძარღვით მფეთქავი სტრატეგია, რასაც განუხრელდ იცავდა ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერი და ღირსეული წინაპარი: ბატონი პარმენ ზაქრაია.

2005 წელი.

ჟურნალი "ზედაშე" № 3, 2005 წელი.

ჩვენი მშობლიური ენა თანამედროვე ინტერიერში

თანამედროვე ქართველი წიგნთან ურთიერთობას გადაეჩვია, საკუთარ ენასთან გაუცხოებაც, სწორედ, ამ მიზეზით არის განპირობებული. ამდენად, გულწრფელად მაინტერესებს, რაში მდგომარეობს ქართული ენის დღევანდელი დანიშნულება?

თუ ენა მხოლოდ ტელეტექსტებისა დ საგაზეთო ქრონიკების დონეზე დაიყვანება, ან მარტოოდენ ურცხვად მოძალებული ჟარგონებისა და პროვინციალიზმის "გასაჭენებლად" გვჭირდება, ამჟამინდელი ტელეჟურნალისტური ისტერია გასაგებია. მაგრამ მაინც, არ მასვენებს კითხვა: მოქალაქენო, ქართული ენის დანიშნულებასა და ადგილზე რას ფიქრობთ, დღესდღეობით, რა გადაუწყვიტეთ ენას, რომლის უმდიდრესი ლექსიკური მარაგი, მხოლოდ რემიქსული გადამღერების მდარე ერთეულად ქცეულა?

ჟარგონისა და პროვინციალიზმის სტერეოტიპულ ჩარჩოებშია მოქცეული ჩვენი ენის უკიდეგანო შესაძლობები; მისი შინაგანი სილაღე ამოგლეჯილია ზანგური რეპის მონოტონურ, ქუჩურ რიტმსაა დამორჩილებული. ეს იგივეა, ლამაზად აღნაგი ადამიანი პროკრუსტეს სარეცელს მოარგო.

ჩვენს სვეუბედურ ქვეყანაში ყველასა და ყველაფერს დამცველი გამოუჩნდა, ენის გარდა, თუმცა მომიტევეთ, დამცველი ძველი, ხმარებიდან გამოსული სიტყვაა, მის ნაცვლად ომბუდსმენი (ამ ტერმინის ერთმნიშვნელოვანი ორთოგრაფიული ნორმა ჩვენს მასმედიას ჯერ კიდევ ვერ დაუდგენია) უნდა დამეწერა, მაგრამ ჩემთვის ეს სიტყვა უცხოდ (და არა საუცხოოდ), უფრო სწორად, საკმაოდ უშნოდაც ჟღერს და არანაირ ესთეტიკურ სიამოვნებას არ მანიჭებს.

მადლობა ღმერთს, ქართულ ენას ჯერჯერობით ომბუდსმენი არ სჭირდება, ისედაც ბევრი ძიძა ახვევია გარს. ადვილი წარმოსადგენია, ამდენი გადია რა დღეს დააყრის! ქართული ენის პატრონობას იჩემებს ჟარგონი, პროვინციალიზმი, ტელელექსიკა, რადიოლექსიკა და კიდევ, ვინ მოსთვლის, ვინ აღარ...

დღეს ყველა მესაკუთრეა, მეპატრონეა, პრეზიდენტი. ამიტომ რა გასაკვირია, მავანი ქართულ ენასაც დაეპატრონოს. ენის სეკვესტრი ამ ყაიდის ხალხს მნიშვნელოვან "კაპიტალდაბანდებას" მოუტანს. თანამედროვე სამყაროში მთავარი ხომ ფინანსებია! ვისაც ფული აქვს, ყველაფერს განაგებს. და, წარმოიდგინეთ, ამგვარი ფულიხვეჭია, რატომღაც ენის "სიწმინდით" დაინტერესდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზია, ისეთი ჟინით გვიტევს, ძნელია გამკლავება. მათ "მწერალთა" შორისაც ჰყავთ დაქირავებული მარიონეტები, ვისზე ზრუნვაც უპირველეს ამოცანად დაუსახავთ. დღეს სიტყვა ყველაზე იაფ, მომგებიან ბიზნესად გადაკეთდა. აქედან გამომდინარე, ენაც დაკნინდა. ყველასთვის ხელმისაწვდომი ენა მწერლისთვის "ძნელად მისაწვდომი" გახდა. პარადოქსია! არადა, ენა სახუმარო საგანი ნამდვილად არ არის, მას სურვილისამებრ ვერ მოეპყრობი. ვინც მას ხელყოფს, მოგვიანებით, თავად ჩავარდება სასაცილო მდგომარეობაში.

ენის დაუფიქრებელ დამახინჯებას თუ არ გადავეჩვიეთ, ჩვენი საქციელი ბუმერანგივით დაგვიბრუნდება, ენის უგულებელყოფა გადაგვარებას იწვევს და ამის თავიდან ასაცილებლად სრულყოფილი მეტყველებისა და წერის კულტურა უნდა გამოვიმუშავოთ, პოპულიზმით დაავადებულთათვის ეს არც თუ ისე ადვილია, მაგრამ ვისაც სახელის მოსახვეჭად "გული ერჩის", კეთილი ინებოს და გაისარჯოს. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ქართულ ენას ბევრი არამკითხე გადია "მფარველობს". მათ შორის მოთავეობას ინტელიგენცია იჩემებს. "დაუჯერებელი ამბავია, მარტო ჩვენში თუ მოხდება, რომ ლიტერატორმა, მეცნიერმა და ჟურნალისტმა არც თავისი ენა იცოდეს ხეირიანად, არც სხვისი. ან სხვისი უკეთ იცოდეს, ვიდრე საკუთარი", - წუხს მიხეილ ჯავახიშვილი.

უდავო ფაქტი: მეცნიერთა, ჟურნალისტთა და მწერალთა დიდმა ნაწილმა ელემენტარული ქართულიც კი არ იცის და არც კი სურს ისწავლოს. თავსაც იმართლებს, მშვენივრად ვიციო. ასეთია დილეტანტური ამპარტავნება. ამგვარი მოვლენა ასნეულებს ქართულ ენას.

დიდმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა 1928 წელს საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ენისადმი უდიერი მოპყრობის გამო. არ იცის, ბედის დაცინვის თუ საკუთარ დაუდევრობას დავაბრალოთ, რომ მუდამ ერთი და იგივე პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი.

მწერლის მიერ წამოჭრილი არაერთი მტკივნეული საკითხი ჯერ კიდევ გადასაჭრელი.

მართლაც, ნუთუ ასე გაძნელდა გამართული ქართულით მეტყველება (წერაზე აღარას ვამბობთ.) დროა, კონკრეტული მაგალითები დავასახელოთ:

არსებობს მშვენიერი ქართული სიტყვა — საჩუქარი — ჩუქება, ვჩუქნი, მჩუქნი, მასაჩუქრებს, გასაჩუქრებს. დღეს კი ყველა თუთიყუშივით იმეორებს: საჩუქარი გამიკეთა. სადაური ქართულია?

ამ შეუწყნარებელ სიმახინჯეს ჩვენი ყურთასმენა ეწირება!

ტელეეკრანიდან ხშირად გვესმის: გაიკლიპა, რაც კლიპის გადაღებას უნდა ნიშნავდეს. ვარგა? ქართულისთვის უცხოა სიტყვათშეთანხმება: ხელისუფლებაში მოვიდა, შუქი წავიდა, მუსიკა წავიდა, ბავშვებმა თქვა, აზრი მუსირებს. ვისაც ეს აწყობს, ამის გულიზა, მინდორში, ან მოედანზე ბურთი ჩააწოდა, ან როგორ შევეგუოთ სიტყვებს: მეძავეები, დაასპონსორა, დააყაჩაღა, დიჯეი, თინეიჯერი... დამაჭერია, იყვეს... და სხვა მრავალი მაგალითის დასახელება შორს წაგვიყვანს.

ბარბარიზმის პრობლემა ცალკე საწუხარია. ეს სენი ისე მოგვეძალა, რომ ლამის არის ენა შეეჩვიოს სხვათა ენიდან შემოტანილ სიტყვებს, მით უფრო, თუ ამ სიტყვებს საზოგადოებისთვის მისაღები პიროვნებები წრმოთქვამენ. მაგალითად: პროსტა, არ ჩამიბრატდა, ჩამშმოტკა, პაკაზი, გარადსკოი, კუწურიე...

ბარბარიზმის მხარდამხარ პროვინციალიზმიც მედგრად გვიტევს. პოპულარულ თუ მეტ-ნაკლებად გავრცელებულ ჟურნალ-გაზეთებში დაუწერელ, მაგრამ დაკანონებულ წესად იქცა კუთხური დიალექტით გადატვირთული ნაწარმოებების ხელაღებით ბეჭდვა. სწორედ მსგავსი შემთხვევები ჰქონდა მხედველობაში მიხეილ ჯავახიშვილს, როც წერდა: "ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა. იგი იოლად მიდის იმ ცოდნით, რომელიც გამოაყოლა თავისმა პროვინციამ. და მისი სტილიც ამ პროვინციით განისაზღვრება. არავინ არ დაგიდევთ, შეიძლება თუ არა იმ "გრამატიკის" ხმარება, რომელიც თავში აქვს ჩაჭედილი ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელს და ამის გამო გაირყვნა ენა, გაირყვნა ისე, რომ სულ ადვილად შეიძლება ნაწერის მიხედვით გამოარკვიოთ ავტორის დაბადების ადგილი". ცხადია,

აქ არ იგულისხმება კლასიკოსი, რომელიც სწორად, ზომიერად სარგებლობს დიალექტით, და ამით, მისთვის დამახასიათებელ, განუმეორებელ ენობრივ სტილს ქმნის.

დიალექტით სწორად სარგებლობა ინდივიდუალობის ერთ-ერთი უტყუარი და აუცილებელი საშუალებაა, მაგრამ პროვინციალიზმს და დიალექტს შუა დიდი ზღვარი ძევს.

ქართული ენისადმი მიხეილ ჯავახიშვილის საკრალური დამოკიდებულება ყველაზე მძაფრად, მაშინ გაცხადდა, როდესაც მან ცნობილი პოეტი ტიციან ტაბიძეც არ დაინდო და ცისფერყანწელის მიერ შესრულებულ თარგმანს გონჯი, დაუდევარი ქართულის ნიმუში უწოდა. ენისადმი ესოდენ სისხლხორცეული სერიოზული დამოკიდებულება გვჭირდება, მით უფრო დღეს! კარს მომდგარ საფრთხეს თავიდან აგვაცილებს და ჯანსაღი სიტყვის დაგემოვნებაში დაგვეხმარება.

ჩვენი ენის კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემა ჟარგონის გაბატონებაა. არც ეს სატკივარია ახალი: "უკანასკნელ წლებში ქართულ მწერლობაში მძლავრად შემოიჭრა ჟარგონი, ყველა ქართველი მწერალი მოვალეა მკაცრად შეებრძოლოს ამ სამწუხარო მოვლენას", — ვკითხულობთ მ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ ტექსტში, რომელიც ლიტერატურული დაჯგუფების "არიფიონის" დაფუძნებას გვტყობინებს. ეჭვგარეშეა, ჟარგონისადმი უარყოფითი დამოკიდებულება თითოეული "არიფიონელის" გააზრებული პოზიციაა. მკითხველს შევახსენებთ, რომ მასში არაერთი სახელგანთქმული მოღვაწე იყო გაერთიანებული — გალაკტიონი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე კაპანელი...

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოძალებული ჟარგონი დღეს არნახულად გაძლიერდა. იგი ე. წ. "ელიტარული" მწერლობის დასაყრდენ ძალად იქცა. თანდათან არეალი გაიფართოდა და სტილურ მანერაზე ღრმა დატვირთვა შეითავსა. საფრთხეს ისიც აძლიერებს, რომ ქართულ მწერლობაში ჟარგონმა მიიზიდა ბევრი არაქართველი, რომელიც ენის გამდიდრებით ნამდვილად არ არის დაინტერესებული.

ენისადმი დაუდევარმა დამოკიდებულებამ უნიჭოებსაც ფართო გასაქანი მისცა, ჟარგონის გავრცელებით, უცოდინარმა, შემთხვევითმა ელემენტებმა ხელი მოითბეს და ავადმყოფური პატივმოყვარეობის დაკმყოფილება ქართული ენის დამახინჯების ხარჯზე მოიწადინეს.

ჟარგონი კოსმოპოლიტთა აღზევების იდეოლოგიურ იარაღად იქცა. ისინი დაუბრკოლებლად ბეჭდავენ საეჭვო ფასეულობის ჟურნლ-გაზეთებს, გამოსცემენ წიგნებს, კავშირს ამყარებენ უამრავ საზღვარგერეთულ კულტურულ ცენტრთან, ცდილობენ საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები წარმოაჩინონ ტენდენციური, მხოლოდ მათთვის მისაღები კუთხით.

ლიტერატურულ სამყაროში ჟარგონი სატელევიზიო-საგაზეთო ექსპერიმენტატორებმა დააკანონეს. ეს იქცა წარმატების საიმედო სატყუარად, იაფფასიან საშუალებად, რომელიც ნიჭს, დროს, ძალისხმევასა და ცოდნას სრულებით არ მოითხოვს.

ჟარგონისთვის დამახასიათებელი ცინიზმი ეროვნული თვითშეგნებისა და თავმოყვარეობის წინააღმდეგ არის მიმრთული. ამის კლასიკური მაგალითი თამარ მეფის თემაზე შექმნილი სკანდალური "ნაწარმოებია", რომლის ზღვარდაუდებელმა უხამსობამ თითქმის ყველა შეაძრწუნა. ამ გახმურებულ "ქმნილებაში", სიახლის ძიების საფარველქვეშ, ცნაურდება პატივმოყვარეობის პათოლოგიური წყურვილი, რომლის დასაკმაყოფილებლად ეროვნული იდეალები უნდა შეიმუსროს.

წმინდანად შერაცხული ჩვენი მეფის გარდა, იერიში ქართულ ენაზე მიიტანეს: ენის შეურაცხყოფით, უმთავრესად, ეროვნულად მოაზროვნე საზოგადოება დამდაბლდა ენა ჩვენი სულიერი წყობისა და კულტურული დონის უტყუარი მაჩვენებელია და როდესაც მას ნებისმიერი მიზნის მისაღწევად იყენებ, ენის დანიშნულება ირღვევა. ამასობაში, კოსმოპოლიტი "მოყვარე" მწერლობასაც თავისი დესანტის გადმოსხმით არის დაკავებული და ვაი მას, ვინც მისი ზრახვების პატიოსნებაში ეჭვს შეიტანს. პირიქით, უნდა ვემადლიერებოდეთ, გეგმაზომიერი ცინიზმითა და არაეროვნული ქმედებით, ჩვენს ენას ღირსების სარტყელი რომ შეხსნეს.

ნამდვილად სასიხარულოა, ქართულს მავანნი და მავანნი, ჯერ კიდევ "ძაღლურ ენად" რომ არ მოიხსენიებენ. თუმცა ზემოთხსენებულ, ექსპერიმენტულ მცდელობებს თუ წარმატება უწერია, "ძაღლური" მონაგონი იქნება.

ენა ერის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია და მშობლიური ენის შებღალვა არავის მიეტევება!

2005 წელი.

ჟურნალი "ზედაშე" № 2, 2005 წ.

ქართული ენა ტელესამყაროს სივრცეში

"ხალხთა ულეველ ჭიდილში
ქართულ რასას ებრაელთ
უკვდავება და ჭინჭველას
ძალა აღმოაჩნდა.
ვინც ჩვენი შეჭმა დააპირა,
ჩვენივე შხამით მოიწამლა.

მიხეილ ჯავახიშვილი

XXI საუკუნის დადგომამ დაგვარწმუნა, რომ ახალ ეპოქას ტელესამყარო წარმართავს. დიახ, სწორედ ტექნიკური პროგრესის ეს ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა ამჟამინდელი სამყაროს ერთპიროვნული მმართველი. ამიტომაც მრავალ ჩვენგანს აინტერესებს, იმ ყოვლისმომცველი ზეგავლენის შედეგი, რაც სატელევიზიო ცივილიზაციის განვითარებას ახლავს თან. ამ ინტერესის დაკმაყოფილებაში თავად სატელევიზიო გამოცდილება დაგვეხმარება.

ისე არ გამიგოთ, თითქოს ჟამის მდინარება ტელესამყროზე ნაკლებად მოქმედებს. პირიქით, ეპოქათა ცვლა, ყველაზე დაუნდობლად, სწორედ ტელევიზიას ერჩის. დროის დეკორაციული ცვლა, ყველაზე მეტად სწორედ მას მოეთხოვება, ვინაიდან ტელესამყრო დემოკრატიის წიაღში აღმოცენებული აგრესიული უმრავლესობის იარაღად გარდაიქმნა. უნდა ითქვას, რომ მის ძალმომრეობით წნეხს ნებაყოფლობითი სიხარულით შეეგებება საბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბებული

მორჩილი უმრავლესობა, რომლის გადართვა ახალ ტალღაზე განსაკუთრებულად სახიფათო მოვლენდ იქცა, თუმცა არ მინდა ვინმემ ტელესაზღვრების შეკვეცაში დამადანაშაულოს. მისი ზედანიშნულების მატარებელი გავლენა რომ არა, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წარმოებულ ომს სახლიდან გაუსვლელად ფერადი ეკრანის მეშვეობით ნამდვილად ვერ მივადევნებდით თვალყურს. თანამედროვე გაგებით, ტელესამყარო მარადისობის ახალ, სისხლხორცეულ ნაწილად იქცა, თუმცა მის წიაღში მუდმივად თანამყოფობს სხვა მარადიული სიდიდე, რომელსაც გვერდს ვერავინ აუვლის და რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

“სხვა” მარადიული სიდიდის უგულებელყოფა თავად ემპირიულ სამყაროს ახალშობილ წინამძღოლს — ტელემაუწყებლობასაც არ ხელეწიფება. დაპირისპირების შემთხვევაში, შესაძლოა, პირიქით მოხდეს — მარცხი ახალმა ტექნიკურმა “მოწყობილობამ” იწვნიოს.

დროა ტელესამყროს გასაიდუმლოებული მოწინააღმდეგე გამოვააშკარავოთ. სათანადო მოპყრობის შემთხვევაში მისი მოკავშირეობა ტელევიზიას არნახულად წაადგებოდა დ გააძლიერებდა კიდეც.

ენა ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობის უნივერსალური საშულებაა, რომლის ფუნქციაც ეს-ესაა ტელევიზიამ შეითავსა, თუმცა საკითხავია როგორ, ვინ ან რის ხარჯზე? ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ XXI საუკუნე ახალი ტერმინების მომრავლებას ითვლისწინებს. ამ კანონზომიერებას წინ არც უნდა აღვუდგეთ, ამიტომაც ჟურნალისტიკის განვითარების კვალდაკვალ ჩვენ მოწმედ ვიქეცით ტელელექსიკის, რადიოლექსიკისა და ტელეხედვის წარმოშობისა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ახალი დროის მიერ ნაკარნახევი სამეტყველო ერთეულები წარმოქმნა.

თანამედროვე სამყაროში, სადაც ყველასა და ყველაფერს განუმეორებლობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამოუკიდებლობა სწყურია, ალბათ, გაგებით უნდა მოვეკიდოთ იმ აზრს, რომ ტელესამყარო ე. წ. ავტონომიურ ენას ქმნის და მრავალრიცხოვანი მაყურებლის მისაზიდად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ მეტყველებას აყალიბებს. სხვა საკითხია, ამ ავტონომიური წარმონაქმნის შიგთავსი არათანმიმდევრული სიჭრელით თავად ბაბილონის გოდოლს რომ არ ჩამოუვრდება, არ ვიცი, დღესდღეობით რამდენად ვაცნობიერებთ, რომ უპირველეს ყოვლისა, იმ ენისგან ვართ დავალებული, რომელიც თვალის ახელისთანავე ჩაგვესმის, ყოველ შემთხვევაში მანამ მაინც, სანამ ტექნიკის მიერ ორგანიზებული ვიზუალური სამყაროს სამსახურში არ ჩაგვაყენებენ.

მაგრამ ისიც უდავოა, რომ ენის გარეშე ტელემუწყებლობა ვერ იარსებებს, თუმცა თანამედროვე ტელესამყაროს წიგნიერებასთან არანაირი საერთო არ გაჩნია. ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული. დღეს წიგნი ჩაკეტილ სამყაროს განასახიერებს და ამის გამო ძალაუნებურად ემიჯნება მასების საყვარელ თვითშემეცნებით საშუალებას - ტელესამყაროს. ხალხის მიერ ერთპიროვნულ წინამძღოლად აღიარებული ტელევიზია ძირითადად გართობზეა ორიენტირებული.

მან უკან ჩამოიტოვა წიგნი, რომლის საძირკველიც ენაზეა დაშენებული. ეს ალბათ, ახალი საუკუნის ახალ მოთხოვნას ემთხვევა, რასაც ჩემი მსჯელობის კილოში აღძრული თავის გასამართალებელი ეჭვი აძლიერებს. ჩემი მერყეობა ბუნებრივ ელფერს გადაიკრავს. მე ხომ პაექრობაში თავად უძლეველი ტელესამყარო გამოვიწვიე, თანაც მისთვის არცთუ სახარბიელო ასპარეზზე — ფურცელზე, სადაც ვიზუალური ეფექტი შესაძლოა აზრის ღრმა ქვეტექსტით დაიჯაბნოს.

უმტვერო ქაღალდზე ტელევიზიის მრავალნაცადი ფერადოვნება უხმაუროდ

გადამწვარ სარეკლამო მოწყობილობას წააგავს. მასში ერთჯერად ჩარჩოში მომწყვდეული დრო დრტვინავს.

“სულელები ხომ არ ვართ, კინოსა და ტელევიზიის ეპოქაში წიგნებზე ასე რომ ვირევით?

კითხვის ჩვეული უნარი, ამის მსგავს ბიბლიოთეკებთან შეერთებულ უთავისუფლეს ქალებად და მამაკაცებად გვაქცევს და ასევე ბავშვებად”.

ცნობილი ამერიკელი მწერლის კურტ ვონეგუტის ეს მოსაზრება მათეს სახარების 18-ე მუხლს ენათესავება.

მათეს სახარებაში ნათქვამია:

“— ჭეშმარიტად უკეთუ არ იქმთ მსგავსად ბავშვებისა, ვერ დაიმკვიდრებთ სასუფეველსა” (18,3).

ნიცშე ამ მუხლს შემდეგნაირად განავრცობს: (და ზარატუსტრა ხელებით მაღლა მიუთითებდა) “ხოლო ჩვენ არცა გვსურს სასუფეველი ცათა, მამაკაცებად გვინდა ყოფნა. — ესე გვსურს სასუფეველი მიწისა”., ჯოისი იმავე მუხლს განსხვავებულად განმარტავს: “ხელოვნებაში, პოეზიაში, სანამ ბავშვად არ იქცევი, ზეციურ სამეფოში ვერ შეაბიჯებ”.

ესოდენ ვრცელი ექსკურსი მათეს სახარების 18 მუხლთან დაკავშირებით იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ჩვენ მიერ მოხმობილ ფრაგმენტებს ერთმანეთთან უმთავრესი კომპონენტი აერთიანებს: აზროვნება, რომელიც წიგნიერებიდან იღებს დასაბამს. აზროვნებისას კითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. წიგნის საშუალებით მოპოვებული უზენაესი თავისუფლება სასუფევლის დამკვიდრებასთანაა გატოლებული. ვონეგუტი შემთხვევით არ მიმარტავს ბიბლიურ პასაჯს, ვინაიდან შესაქმის მიხედვით “პირველად იყო სიტყვა”. სიტყვიდან გადმოსული ნათელი სამყაროს გაცნობიერების უშუალო უფლებაა ღვთისგან ბოძებული. თავისუფლებასთან წილნაყარ სიტყვას კი უზენაესობის სიღრმე მსჭვალავს.

კურტ ვონეგუტი სიტყვის ძალმოსილებასთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას შემდეგნაირად ავითარებს: “ფილმი კიდევ ერთ საპროთეზო დანადგარს წარმოადგენს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რაღაც მიმართულებით არასრულყოფილები არიან.

ფილმი იმ ხალხისათვის არის ზედგამოჭრილი, რომლებიც არ ან ვერ კითხულობენ და წარმოსახვა არ გააჩნიათ”. როგორც ჩანს, წარმოსახვის უნარის არარსებობა გვაიძულებს დამხმარე საშუალებებს მივმართოთ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მუდმივად სხვაზე ვიყოთ დამოკიდებული. აქ უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ეს რაღაც ტელევიზიის, ფილმისა თუ მსახიობის მეშვეობით მკვიდრდება ჩვენში.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი უშუალო ურთიერთობის იმედს კარგავს და თანდათანობით “შუალობით”, ხელოვნურ კონტაქტზე ხდება დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში უზენაესი თავისუფლება უადგილო ადამიანებივითაა დამცრობილი. ამიერიდან ჩვენს აზრსა თუ გემოვნებას უკვე ხელოვნური ძალა განსაზღვრავს. კვდება თავისუფლების ყველაზე უზენაესი, მედეგი და ღირებული გამოვლინება, სამყაროსთან ურთიერთობის უნივერსალური საშუალება — ენა.

ხელოვნურად “გაკეთებულ” ცივილიზაციასთან მიმართებაში ენის უპირატესობა უდავოდ თვალში საცემია. იგი უპირველესად ცოცხალი ორგანიზმია, განუწყვეტლივ ვითარდება და სათანადო მოპყრობის შემთხვევაში ევოლუციის გზაზე წარმოქმნილ

სახიფათო მინარევს ადვილად ინელებს. ენის თვისებაა დროთა განმავლობაში გარედან მოზვავებული თუ საკუთარ სიღრმეში დაგროვილი არასაჭირო მასალა უკან ამოისროლოს.

ენა თავის წიაღში არსებულ ლექსიკურ მარაგს გეგმაზომიერად აწრთობს, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ანახლებს და ახალისებს. ადამიანს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება იმ უხილავი, მუდმივმოქმედი წონასწორობის შესანარჩუნებლად, რომელსაც ენასთან განუწყვეტელი კავშირი ქმნის და რომელთან დაპირისპირებასაც პიროვნებას სამყაროს უხარისხო დანამატად გადაქცევის საფრთხეს უქმნის. ამგვარი კანონზომიერება სათავეშივე გამორიცხავს ენა სახუმარო საგნად აღვიქვათ, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ტელესამყარო საეჭვო ენობრივი იდიომებით უხვად რომ გვამარაგებს თუ გვანებივრებს, ალბათ, თავადაც აუღებდით ალღოს.

ენისათვის აუცილებელი გრამატიკული წესების ცოდნა არათუ ტელეწამყვანს, არამედ, ე. წ. პროფესიონალ ფილოლოგსაც აღარ მოეთხოვება. საკმარისია ფამილარული ღლაბუცით გაშინაურებულმა დიჯეიმ (ქართულად მას წამყვანი ეწოდება) "მომაჯადოებელი" ვაუ დაიკივლოს, ყველაფერი რიგზეა. ჩვენში დარჩეს ვინი რომ მოვაშოროთ ვაუს, ადამიანს აუას არცთუ შორეული, უმადური მოკავშირე ეთქმის.

სწორედ ამგვარ შემთხვევაზე ამბობენ: "ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის". დროა ქართული ენის უღვთო დამახინჯების წარმოსაჩენად კონკრეტული მაგალითები მოვიშველიოთ: "სიტყვა ვერ ჩავაგდე". ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს ფრაზა ერთ-ერთ დიჯეის წამოსცდა. უნდა იყოს: "სლოვო ვსტავიც", ჩვენ კი ხელთ რუსულის უხეირო კალკს გვაჩეჩებენ.

ახლა ერთ-ერთი სარეკლამო რგოლის შიგთავსი "გავჭოროთ": "მოდი, წაუსნიკერსე", "შუა ჭამაში", "ყველა ზაკუსკები", "გავარეპეტიციო", "დავაანონსო", დავაინტრიგო. რომელი ერთი ჩამოვთვალო, მათი რიგი უსასრულოდ გრძელდება. ბოლო დროს ტელეჟურნალისტების წამყვან თუ ამოჩემებულ ფრაზად იქცა: "დიალოგზე წასასვლელად პოლიტიკოსები მაგიდაზე უნდა დასხდნენ". ამერიკანიზაციის ხიბლს ისე არ უნდა დავემონოთ, რომ მაგიდაზე "ფეხებშემოწყობილობის" ტრადიცია დავამკვიდროთ. დღეს ტელევიზიის ეკრანიდან აგრეთვე ხშირად გაისმის: ლიმნისფერი. ქალბატონებო და ბატონებო (ესეც მორიგი შეცდომაა, ქართველები ოდითგან ამბობდნენ: ბატონებო და ქალბატონებო, ენის წყობა თავად მოითხოვს სიტყვათა ამგვარ განლაგებას (ლიმონი არ იკუმშება, მაგრამ საკუთარი თვითშემოქმედებით "აჟიტირებულ" ხალხს რას შეასმენ! ამ აჟიტირებულმა ქართული ენიდან მთლად გამოდევნა აღფრთოვანებული, აღტაცებული, აღტკინებული... მეტყველებიდან გაქრა წვეულება. მის ნაცვლად ყვითელი პრესის მიერ ნაძალადევად "ჩაპრესილა" ფართი (ინგლისური წარმოშობის სიტყვა). პაკაზი, ბუტიკი, ჰედლაინი და კიდევ ათასი ჯანდაბა და დოზანა შემოეხეტა ქართული ენის დასნებოვნებულ ფილტვში. შოუმ ხომ დამაჯერებლად გამოდევნა კეთილხმოვანი სიტყვა: სანახაობა. როგორც დაუკვირვებელ-შეუიარაღებელი თვალი აფიქსირებს (აღბეჭდავს) თანამედროვე ქართველებს ბრუნვის თვალსაზრისითაც მთლად კარგად ვერ უნდა ჰქონდეთ საქმე. ბავშვები წავიდა, ხალხი მოვიდნენ, ბევრი საგნები. და-ძმები ჰყავს. ვიყოს ნაცვლად გაბატონებულია დიალექტური ფორმა ვიყვე, რომელსაც მეტყველებისას არაერთი ცნობილი ადამიანი სავალალო სიხშირით იყენებს.

ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკა უშეღავათოდ ნადგურდება. არადა ახალი სიტყვის წარმოსაქმნელად ჩვენი ენა ამოუწურავ მასალას გვთავაზობს. ზუსტი

შესატყვისის მოძებნის პარალელურად არაერთი მივიწყებული სიტყვის გაცოცხლებაც მიზანშეწონილია.

პირველ რიგში ენასთან მიმართებაში პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გამოვიმუშაოთ. მთავარია, წიგნთან სიახლოვე არ გვეთაკილებოდეს, რაც უპირველესად ენის გრამატიკული წერის ცოდნაში ვლინდება. გამართული წერა-კითხვის საჭიროებაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის ეროვნული მოღვაწენი მიუთითებდნენ. ამ მხრივ ყურადსაღებია ცნობილი ქართველი მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისი. იგი საკამათოდ მიიჩნევს დიმიტრი ბაქრაძის დებულებას გრამატიკის უგულებელყოფასთან დაკავშირებით. გრამატიკული წესების საჭიროება მოწინავე საზოგადოების აზრით ენის განვითარების ბალავარს ქმნის. ამიტომ "ცისკრის" ფურცლებზე 1852-63 წლებში გამართულ პოლემიკას დღესაც არ დაუკარგავს თავისთავადი მნიშვნელობა.

დ. ბაქრაძე წერს: "მე არა მწამს ესა: გრამატიკის კანონებით ენის სწავლა შეუძლებელია, როგორც ლოგიკის კანონებით მსჯელობა. მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში, აგრეთვე შემდეგ ქართველთ არ ჰქონიათ დაწერილი გრამატიკა, მაშ, რუსთაველმა, ჩახრუხაძემ, ვახუშტიმ და საბა ორბელიანმა რომლის კანონებით ისწავლეს სამშობლო ენა", ა. ჯორჯაძის პასუხი საკმაოდ მკაცრ შეფასებას ემყარება. "განა უცნაური არ არის, მეცნიერმა სთქვას ენის კანონების შესწავლა არ არის საჭიროო? რუსთაველს არ შეუსწავლია და ნახეთ რა ენაზე სწერსო! ჯერ ერთი არ ვიცით, შეუსწავლია თუ არ შეუსწავლია. იმ ხანაში განათლება საქართველოში სხვა ხარისხის იყო".

საინტერესოა, რას იტყოდნენ ღრმად პატივცემული მოღვაწენი დღევანდელი ქართული ენის შეჭირვებას რომ შესწრებოდნენ?

და მაინც, სად არის ჩამარხული სათავე საუკუნოვანი დაუდევრობისა, რომლის აღმოსაფხვრელად მხოლოდ ერთეულები იღწვოდნენ.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ ქართველ ერს სურვილი არ აღმოაჩნდა ქართული ენისთვის სათანადო ადგილი მიეკუთვნებინა. ორასი წლის მანძილზე გაბატონებული რუსულის სანაცვლოდ ჩვენს ენას სასწრაფოდ ინგლისური ჩაენაცვლა.

გლობალიზაციის საფრთხე ჩვენში სწორედ ინგლისური ენის საშუალებით იკვლევს გზას. საქართველოში მშობლიურ ენას მუდმივად დედინაცვლის მიერ ათვალისწინებული გერის მდგომარეობა უკავია.

სხვების დახმარებით მშობლიურ ენას თავად ვასამარებთ. გადამთიელს ქართული ენის ცოდნა რა უფლებით უნდა მოვთხოვოთ, როცა თავად საკუთარ ენაზე საუბარს აღარ ვკადრულობთ. არ ვწერთ, აღარ ვკითხულობთ, რადგან სარფიანი სამსახური ინგლისური ენის მცოდნეებს ერგებათ. ქართველი კი ერთგულად მხოლოდ იმას ემსახურება, ვინც მეტს გადაუხდის. ეს არ არის ლიტონი სიტყვა, არც მარტოოდენ შიშველი ემოციით ნასაზრდოები განცდა. ჩემი გულისტკივილი მრავალი უჩინო ადამიანის გულის გამოძახილია, ვისაც მასმედიაზე ხელი არ მიუწვდება. დაუსრულებელი განუკითხაობის გადამკიდეს იქნებ საკუთარი სურვილის ამოთქმის ხალისიც აღარ ამოძრავებს, ვინ იცის. "არსად არ შემხვედრია ის საოცარი მოვლენა, რომელსაც საქართველოში ვხედავ. შინ, გარეთ, კრებაზე, თეატრში, გზაში და თითქმის ყველგან რუსული ენა მესმის. თუ ქართულად დაილაპარაკებს ვინმე, ისიც ან გლეხი, ან მუშა. ინტელიგენცია კი ქართულ ლაპარაკს გადასჩვევია.

არ მესმის რათ თხოულობთ ენათა თანასწორობას, თუ კრებაზე და თეატრებში,

სადაც სრული თავისუფლება გაქვთ ქართულად ილაპარაკოთ, მხოლოდ რუსულ ენას ხმარობთ”.

ეს დაკვირვება დიდ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის.

“არ ვსდევ ჟამთა სვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად”. თანამედროვე ქართველს თამამად შეუძლია ეს სიტყვები საუკუნეთა გზაჯვარედინზე ჯიუტად იმეოროს. უფლებააყრილი ქართული ენა ამჟამად ინგლისურს დაუქვემდებარეს. ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა დღეს არსებობისათვის ბრძოლაში შეუცვლელ ფასეულობად იქცა. საკითხავია ქართული ენა სად, ან როდის გამოვიყენოთ? ეს პრობლემა ევროპისა და ამერიკის გადასაჭრელი ნამდვილად არ არის, თუმცა აღარც ქართველების სატკივარს თანხვდება, მათ იოანე-ზოსიმეს მარადიული მოწოდება უბრალოდ არ წაუკითხავთ, ტელევიზიის დიჯეები კი ამგვარ “რაღაცებს” რა ხანია აღარ გადმოსცემენ.!

2005წ.

ჟურნალი “ზედაშე” № 2, 2005 წელი.

სიტყვა სიკვდილის მაცნე -
(თემურ ფირცხალაიშვილის მოსაგონარი)

გამთენიისას გარდაიცვალა პოეტი. ყველასგან უჩუმრად გამოეთხოვა წუთისოფელს... “პოეტის სურვილი ერთია: ტკივილი აშოროს სხვას”. ამ მრწამსით სულდგმულობდა ჩვენი თანამედროვე თემურ ფირცხალაიშვილი.

თაობათა დაყოფა გარკვეულ პირობითობას ემსახურება.

რეალურ ცხოვრებაში ყველა პოეტს პირადად ვერ გაიცნობ. სურვილის მიუხედავად, ყველასთან ვერ გამონახავ შეხების წერტილს. გარდაუვალი შეხვედრა მხოლოდ წიგნის მეშვეობით ხდება.

თემურ ფირცხალაიშვილი სულ რამდენჯერმე მყავს ნანახი.

შარშან, თბილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში გამართულ პოეტურ საღამოზე მას პირველად შევხვდი. ხელის ჩამორთმევისთანავე ვიგრძენი, რომ ჩემთვის გაუგებარი, უხილავი გამოცდილება დაგროვებოდა არა მხოლოდ სტრიქონებში, არამედ მიხრა-მოხრასა და გამოხედვაშიც. ამ აღმოჩენამ ერთგავარად დამაფრთხო. თუმცა, ცნობისწადილით აღვსილი, მოუთმენლად ველოდი იმ წამს, როცა სიკვდილთან გაჯიბრებული შემოქმედი საკუთარ სულს, ფერადი ბუშტებით დამშვენებულ დარბაზში სიცოცხლით სავსე ბავშვების წინაშე გამოფენდა.

ბავშვში სიკვდილთან პაექრობა ხომ აუხსნელ ღიმილს ბადებს, მოზრდილ ადამიანში დაუძლეველ შიშს. იმ საღამოს ჩვენი ნაცნობობა არ შედგა. თემურ ფირცხალაიშვილი შეუძლოდ გახდა და იქაურობა ლექსის წარმოუთქმელად დატოვა. ამა წლის 25 თებერვალს, მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში, პოეტ ერეკლე საღლიანის თაოსნობით, საინტერესო შეხვედრების ტრადიცია აღდგა.

მრავალფეროვან საღამოზე შესაშური ერთიანობის ფონზე წაკითხულ ლექსებს საჭირბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასი ენაცვლებოდა.

ლანჩხუთიდან თბილისში ჩამოსული თემურ ფირცხალაიშვილი ჩემ პირდაპირ იჯდა. მაშინვე თვალში მომხვდა არა მხოლოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ლექსების კრებული, არამედ პოეტის ავადმყოფურად ფერმკრთალ სახეზე აღბეჭდილი მხნე გამომეტყველება.

საღამოს მსვლელობისას, გურულებისათვის დამახასიათებელი იუმორით შემოგვჩივლა, რომ უხეირო სატელევიზიო რეკლამის წყალობით, პოეტის წიგნის შეძენის მსურველებს ლანჩხუთში ეპატიჟებოდნენ.

ბიბლიოთეკაში მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა წიგნის ყიდვის სურვილი გამოთქვეს, მაგრამ პოეტმა თითოეულ ჩვენგანს, ავტოგრაფებით დამშვენებული კრებული გვისახსოვრა. უჩვეულოდ ლამაზი ხელწერა ჰქონდა, რაც ასე იშვიათია, განსაკუთრებით მამაკაცებში. ჩემი შთაბეჭდილება მაშინვე გავუზიარე. აუჩქარებლად გამოყვანილი ასოები პოეტის სულიერ განწყობილებას ეწინააღმდეგებოდნენ.

“დღეს განა ვინმე რამეს გაიღებს კარგად დამუშავებული სიკვდილისათვის? არადა, ადამიანს სულ უფრო იშვიათად უჩნდება სურვილი, მოკვდეს საკუტარი სიკვდილით. ცოტაც და, საკუთარი სიკვდილი ისევე გაიშვიათდება, როგორც საკუთარი სიცოცხლე”... რილკეს ეს მოსაზრება თანდათან უფრო ტრაგიკულ შინაარს იძენს.

თემურ ფირცხალაიშვილის სიცოცხლე ხელოვნურ აპარატზე იყო დამოკიდებული. მას, როგორ არავის, ისე ეწადა, არაბუნებრივი ზეგავლენისაგან გათავისუფლება.

მის სტრიქონებში ბუნებრივი სიკვდილის მოპოვების უფლება შეულამაზებლად ცხადდება. პოეტისთვის ეს მარტოოდ შემოქმედებითი წარმატების მომტანი იმპულსი როდია, არამედ — მტკივნეული გამოცდილების შედეგად შეძენილი ღირებულება, რომელთან შეთვისებასაც სამყაროს შესახებ დაკანონებულ წარმოდგენას ყირამალა აყენებს. მისთვის სიკვდილი გარედან მოსული უკეთურობა როდია. იგი ხორციელ წიაღში ჩასახლებული დაუკითხავი მასპინძელია, რომელსაც ისევე ერთპიროვნულად რომ ეპატრონება, როგორც სხეულს.

“არადა სიკვდილს
ჩემივე ხელით,
სიმხდალის გამო
ვერასდროს შევძლებ”

ძნელია იმ აზრს შეეგუო, რომ სიკვდილი, შენ დაბადებამდე, შენსავე არსშია გამწესებული და, მას სულის ყველაზე სრულყოფილი გამოვლენითაც (პოეზიის), ძვრას ვერ უზამ, შენს სასიკეთოდ ვერ განაწყობ. აქედან, საკუთარი უსარგებლობის განცდა პოეტური ჰიპერბოლიზაციის ფარგლებს სცილდება:

“ჩემთან ნურარავინ მოხვალთ,
მოხვალთ ნურარავინ ჩემთან!”

ადამიანებისაგან მისჯილი გაჭიანურებული სიშორე სიკვდილთან არასასურველი სიახლოვის მიმართ პროტესტს აღვივებს.

ამ შინაგანი პლასტების გათვალისწინებით, ძალზე ძნელია, თემურ ფირცხალაიშვილის ლექსებში სინათლის ულევი ნაკადი შეიტანო. აქ სხვა საუფლოა, დისტანციური წინაღობის ზღუდე, პირისპირ დგომა იმედგაცრუების წინაშე, რაც პოეტის ფსიქიკაზე მტანჯველად აისახება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შემოქმედს პოეტური წარმოსახვისგან გათავისუფლება სწადია, მზად არის

ბედისწერის დასამარცხებლად, შთაგონებას შეელიოს. ეს განცდა საგანგებოდ გადაპრანჭულ, ხელოვნურად ათვისებულ მხატვრულ სინამდვილეს თავს ვეღარ შეაფარებს, ვინაიდან თავად დაატარებს სიკვდილს. მისი გულიდან ამოთქმული თითოეული სიტყვა უმეტესად, ისევ საკუთარი არსის შესამოწმებლად რომ მიმართავს, სიკვდილის მაცნეა.

პოეტის ლექსებში პირად უიღბლობასთან გადაჯაჭვული გურიის პეიზაჟი იმკვიდრებს ავტონომიურ უფლებას. აქ ძირითადად, ნესტით გაჟღენთილი, წვიმიანი ფერია მოჭარბებული. ბუნებისგან ნაბოძები უამინდობა სინათლეზე მეტად მეგობრობს დროსთან, არა ერთფეროვნება, არამედ ფერთა ძუნწი გამოყენების უნარი! ქალაქთან გაუთქვეფაობის განცდა იმედგაცრუებით დაძაბულ გულს ენივთება.

თემურ ფირცხალაიშვილის სალექსო ფორმა ტრადიციულ საძირკველზეა ნაგები. მას ექსპერიმენტული ქარიშხლების აწყვეტილობა არ ახასიათებს. წინა პლანზე სიკვდილის მიერ სიღრმიდან გამომდინარე ემოციური ღელვა იღვრება. ზერელე დამკვირვებელი მყისვე შენიშნავს, რომ პოეტისთვის, ტექნიკურად გარანდულ შინაარსზე ღირებული, შინაგანი განცდით ნაკვები გულწრფელობაა.

ასეთი მწუხარე გულახდილობა სიკვდილთან მუდმივი თანამყოფობის გამოძახილია, ერთგვარად, უხერხულ, უნუგეშო განზომილებასთან შერწყმაა, არადა ადამიანს იმედიანი განწყობა სიცოცხლის გახანგრძლივებაში ეხმარება. მაგრამ შემოქმედის არჩევანი გამართლებულია. პოეტი იმას ასახავს, რაც ყველაზე უკეთ ესმის, რასაც სხვაზე სისხლსავსედ ფლობს და რასაც სიკვდილზე უნივერსალურად ვერავინ ასწავლის.

სიკვდილი, როგორც პირადი გამოცდილება, ყოფიერების გარდაქმნის სურვილსაც აღემატება.

თემურ ფირცხალაიშვილის უკანასკნელი წიგნის სახელწოდება “მიყვარდით! მიყვარხართ! მეყვარებით!” — კიდევ ერთი ცდაა წუთისოფლის სივრცეში საკუთარი გულისცემის გახმაურებისა, კიდევ ერთი შეტევა. პოეზიის შეკვეცილი საზღვრების აღსადგენად, კიდევ ერთი გაბედული, სიკვდილთან გაშინაურებული კაცის გაბრძოლებაა გულგრილი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად.

სევდისა და სიკვდილის მოძალების მიუხედავად, თემურ ფირცხალაიშვილის პოეზია სამშობლოზე ფიქრს არ არის მოწყვეტილი. მას უკიდურესი შეჭირვების ჟამსაც არ ავიწყდება, რომ ქართველთა და მამაულის ხვედრთან მისი პირადი ტანჯვის ხმამაღალი გამოთქმა უხერხულობის გრძნობას ბადებს:

“ჩემი ჯვარცმა
რაღა სახსენებელია,
ჯვარზე როცა
სამშობლოა გაკრული!”

კიდევ ერთი ქართველი პოეტი წავიდა ჩვენგან და სიცოცხლის სანაცვლოდ, სულიერი მემკვიდრეობა ჩაგვაბარა, ის, რისი წართმევაც სიკვდილმა ვერ გაბედა.

2005 წელი. “გაზეთი თბილისი” 2005

დრამატული პარალელები

რილკეს თუ დავუჯერებთ, “წიგნები ცარიელია... საკუთარი სისხლი უნდა იკითხოს კაცმა...”

კაფკას შემოქმედება აბსურდში გვითრევს.

საინტერესოა, ნამდვილი ცხოვრება ხელოვანს რას სთავაზობს: ყოფით დრამას თუ რეალურად არსებული აბსურდის ქარაგმულ მიწიერ ვარიაციებს?

გააჩნია, პიროვნების ბიოგრაფიის შედგენისას იღბალი რას ანიჭებს უპირატესობას, უმთავრესად რით ხელმძღვანელობს. ამგვარი მოვლენების შეფასებისას ზუსტი პასუხის გამოძებნა შეუძლებელია, ვინაიდან არაერთი ცხოვრებისეული მაგალითი ურთიერთგამომრიცხავ, წინააღმდეგობრივ ქარგაზეა აღმოცენებული. რაც შეეხება ლიტერატურულ გამოცდილებას, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად უმჯობესია ორიოდე უჩვეულო მაგალითი მოვიხმოთ.

ძნელია დაეჭვდე ცხოვრებისეულ აბსურდში, როდესაც მსგავს ამბავს წააწყდები: ცნობილი ქართველი პოეტი ნიკო სამადაშვილი 1943 წელს წარმოუდგენელი ბრალდებით დააპატიმრეს, მას XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული პარტიის წევრობა “გაუხსენეს”, პარტიისა, რომელმაც პოეტის დაბადებამდე განიცადა ლიკვიდაცია. თავად პოეტის ცხოვრების წესიც აბსურდის ტიპური ნიმუშია. რევიზორად გამწესებული “ჩინოვნიკი” ფარულად წერდა ლექსებს. სამსახურში კი გაუთავებლად საყვედურობდნენ, რომ მას თითქოს ხელოვნება, განსაკუთრებით კი პოეზია არ უყვარდა. სწორედ იმის უგულვებელყოფაში ადანაშაულებდნენ, რის გამოც მთელი ცხოვრება ჯვარს ეცვა.

“ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,

ლექსები ტანზე გამონაყარი”.

ერთხელ ამ სტრიქონების ავტორმა სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს ადგილზე ქონების დიდი გაფლანგვა აღმოაჩინა. კომუნისტურ პერიოდში გაუგონარი სკანდალის თავიდან ასაცილებლად მას დუმილის სანაცვლოდ ფულით სავსე ჩემოდანი შეაძლიეს, ნიკო სამადაშვილმა ვეება ჩემოდანი პავლე ინგოროყვას სახელგანთქმულ პორტფელთან ვერ გააიგივა და, ცხადია, “ძღვენზე” უარი თქვა. ამ შემთხვევის ფინალი შემდეგნაირად გასრულდა. პოეტის მიერ დაწუნებული ქრთამი მაშინდელი ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ აიღო, ნიკო სამადაშვილი კი, როგორც არაპროფესიონალი რევიზორი, თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

პოეტ-რევიზორს გოგენისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი არ აღმოაჩნდა. იგი სიცოცხლლის ბოლომდე ბიუროკრატიული სამსახურის მოხელეობას დასჯერდა, რადგან დრო იდგა აბსურდული და შემოქმედმა განიზრახა აბსურდი თავის სამსახურში ჩაეყენებინა.

სახარებისეული შეგონება: “შენს მტერს ზედმეტად ნუ გააღიზიანებ”, მაშინ არნახულად ჭრიდა.

უკვე აღვნიშნე, რომ ხელოვანმა აბსურდის დეკორაციების სათავისოდ გამოყენება მოინდომა, რადგან საჯარო აღიარებას შეურყვნელი სიცოცხლე ერჩივნა.

დიდების ეშაფოტზე ასვლას არ ჩქარობდა. სწორედ ამგვარი არჩევანის სირთულეში იკითხება პოეტის პიროვნული სიძლიერე. ნებისყოფის ნებელობა, რომელსაც სწამს, რომ ხელოვანი თანამედროვეობის მიერ გაღებული მოაწყალების ნარჩენებით არ უნდა დაპურდეს. შემოქმედისთვის დამახასიათებელი უკომპრომისობაც აქედან იღებს სათავეს და რაც უფრო ყურადსაღებია, ეს მომთხოვნელობა, უპირველესად, თავად საკუთარი სამყაროს გასაცხრილადაა მიმართული.

წინააღმდეგ შემთხვევაში ნიკო სამადაშვილი ვეღარ დაიკვეხნიდა ლექსის გაუხედნავი სილაღითა და ხორკლიანობით, რაც მის პოეზიას ესოდენ განასხვავებს დანარჩენ თანამოკალმეთა საჭიროზე მოწესრიგებული სიმშრალისა და ყალბი ჰეროიკულობისგან.

პოეტი იძულებული შეიქმნა აბსურდის მიერ შეთავაზებული ბრძოლის ყველა წესი დაეცვა, რისი მეშვეობითაც უფლება ენიჭებოდა ცხოვრებისეული კანონზომიერება ნებისმიერ დროს დაერღვია. მან ალღო აუღო იმას, რომ აბსურდის ძალმოსილება შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ უნარი არ შეგვწევს მისი არსებობა უბრალოდ ვაღიაროთ ან მეცნიერულად დავამტკიცოთ. საამისოდ მეტისმეტად ხელმოსაჭიდი, რეალური საბუთია საჭირო.

ნიკო სამადაშვილი საკუთარ თავს იმის ფუფუნების უფლებას აძლევდა, თუნდაც ჩრდილში მდგომს წარმოეთქვა ის, რასაც მისი სიღრმიდან ამომართული შინაგანობა კარნახობდა, უღალატოდ მიჰყოლოდა მხოლოდ მისთვის გამწესებულ დამრეც ბილიკს, რომელზედაც სხვები ფეხს ვერასდროს მოიკიდებდნენ. სწორედ ამ მიზეზის გამო აღმოჩნდა იგი აბსურდის წიაღთან დანათესავებული. იქ, სადაც პიროვნების თვითდგინება დაუნანებელი ურვისა და სისხლის გაღების ფასად ხორციელდება.

ნამდვილი ხელოვნების დასაცავად სისხლი გაიღო გამორჩეულად ტრაგიკული ხვედრის მქონე შემოქმედმა- მიხეილ ჯავახიშვილმა, რომლის ბედიც აბსურდის ყველაზე უშეღავათო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ჩვენ აქ დიდი მწერლის ბიოგრაფიის ერთ მცირე მონაკვეთს შევეხებით. მხედველობაში გვაქვს გახმაურებული რომანი: ”კვაჭი კვაჭანტირაძე”, სადაც აბსურდის სრულუფლებიან პერსონაჟად თავად ავტორი გვევლინება. მწერალი თხრობის ორიგინალურ ხერხს მიმართავს. წინასწარ სრულიად უპირობოდ, გაუფრთხილებლად იჭრება აბსურდის დაუსრულებელ ლაბირინთში, რომლის ცენტრშიც სახელმოხვეჭილი ავანტიურისტი, კვაჭი კვაჭანტირაძე აღმართულა.

მიხეილ ჯავახიშვილს ამ ცნობილი თაღლითის ოინები საკუთარ თავზე უწვნევია, ცხოვრებაში თვითონ გადაეყარა კაცს, რომელიც მოგვიანებით თავისი რომანის გმირად აქცია. საეჭვო საქმეების უბადლო “გამაიმასქნებელ” კვაჭანტირაძეს ამიერკავკასიის საოლქო ინსპექტორი მიხეილ ჯავახიშვილი აფიორაში გამოიჭერს.

ერთი შეხედვით ყველაფერი გარკვეულია, სიცრუე გამოაშკარავდა, დამნაშავე მხილებულია. კანონმორჩილ ინსპექტორს ისღა დარჩენია, საკუთარი მოვალეობა კეთილსინდისიერად აღასრულოს, მაგრამ აბსურდის არსი ხომ ის არის. რომ მოსალოდნელი შედეგის განხორციელება არ დაუშვას.

თუკი კაფკას ”პროცესში” უდანაშაულო პერსონაჟს დაუმსახურებელი სასიკვდილო განაჩენით უსწორდებიან, აქ მოვლენა პირუკუ ვითარდება: კანონის აღმასრულებელი მხარე დამნაშავესთან მომგებიან ვაჭრობას აწარმოებს, ცდილობს ამ ბინძური საქმიდან გამორჩენა თავადაც დარჩეს. ამგვარი შინაარსის გარიგებიდან გამომდინარე, დაზღვევის ინსპექტორის სამართლიანი პოზიცია კულტურული

გაუხმაურებლობით ბათილდება, არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს იმ ფაქტს, რომ მიხეილის მიერ აფერისტის საქმიანობა გამოაშკარავებულა.

დასკვნა: დაუსჯელობის სინდრომით წახალისებული თაღლითი წყლიდან მშრალი ამოდის.

სამადაშვილის შემთხვევა უფრო ტრაგიკულად წარიმართა — მიხეილ ჯავახიშვილი წერს იმას, რაც მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად დაუგროვდა. ამ გზით წარმოაჩენს, რომ დაუშვებელი აბსურდი ნამდვილ ცხოვრებად გარდასახულა და ვაი იმის ბრალი, ვისაც ეს ჯერ არ შეუგნია.

რეალობასთან შესისხლხორცებული აბსურდი სიმართლის მაძიებელ პიროვნებას სწორედ იმ სისხლს გამოსწოვს, რომელიც ამ უკანასკნელმა მასთან ბრძოლას უნდა შეახარჯოს.

გამოწვევა მიღებულია.

მიხეილ ჯავახიშვილმა კუთვნილი სისხლი ბოლომდე გაიღო ნიკო სამადაშვილს გულმა ბოლომდე ვერ გაუძლო და სისხლდაწრეტილი პოეტი უეცრად ქუჩის აურზაურში გამოესალმა სიცოცხლეს. უსისხლო სტრიქონს გამოკიდებული ადამიანები კი სისხლსავსე ცხოვრებას ებღაუჭებიან. მათ ენატრებათ თუნდაც სხვის ძარღვებში ძალდაუტანებლად მოდგაფუნე სისხლი და გულის სიღრმეში მზად არიან ნასესხები სისხლით უშინაარსო, აბსურდული ყოფა გაიხანგრძლივონ. დემნა შენგელაიას "სანავარდოში" წინაპართა დაშრეტილ სისხლს მისტირის ბონდო ჭილაძე, რადგან გრძნობს, რომ უსისხლოდ გადაბარებულ უმომავლო მემკვიდრეობას ღირებულება არ გააჩნია.

აბსურდის ძალმოსილება სწორედ ამ ნამდვილი მაცოცხლებელი სისხლის მოძიებასა და ამოხაპვაში ვლინდება. სხვაგვარად მისი დანიშნულება ვერაფრით დამტკიცდება.

ადრე თუ გვიან, ვისაც ვაჟკაცობაზე მეტად იღბალი შეეწევა, აბსურდს თავის წილ სისხლს აუცილებლად მოჰკითხავს. მანამდე კი: "წიგნები ცარიელია: საკუთარი სისხლი უნდა იკითხოს კაცმა".

2005 წელი. გაზეთი "რაეო" №10, 2005 წელი

ქართველი კომპოზიტორის პორტრეტისათვის

(შალვა დავითაშვილი)

შალვა დავითაშვილი — ერთობ ტიტულოვანი პიროვნება, მრავალფეროვანი ბიოგრაფიისა და სერიოზული მუსიკალური მიღწევების შემოქმედია.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პრემიის ლაურეატი, მერიის მიერ დაჯილდოებული, როგორც "2001 წლის საუკეთესო პროფესიონალი", ღირსების ორდენის კავალერი, მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ავტორია ორი სიმფონიისა: "უშბა" და "1991 წ." შალვა დავითაშვილმა შექმნა სამი სიმფონიური პოემა: "ვეფხი და მოყმე", "9 აპრილი",

“დავით აღმაშენებელი”. სამი კანტატა სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის.

შალვა დავითაშვილს ეკუთვნის მუსიკა ბალეტის: “ვეფხი და მოყმე” და “ზვიადაური”. კომპოზიტორმა დაწერა ვოკალურ-სიმფონიური ციკლები ილიასა და ვაჟას ლექსებზე.

შალვა დავითაშვილის ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს (1981), მოსკოვის საბალეტო (1981) და ინგლისის მუსიკალურ (1998) ენციკლოპედიაში. მისი შემოქმედება სისტემატურად სრულდება საზღვარგარეთ.

ამგვარი დამსახურების ფონზე დღეს ჩვენ ღირებული ნიმუშების უკმარისობას ვუჩივით, მაშინ როცა ტელეეკრანებიდან საეჭვო ხარისხის “მელოდიები” უწყვეტად მოედინება.

დავით აღმაშენებელის ავტორიტეტის ხშირი დამოწმების მიუხედავად, კომპოზიტორის სიმფონიური პოემა: “დავით აღმაშენებელი” მტვრიან თაროზე განისვენებს. “9 აპრილი” არასდროს გადაცემულა ტელემაუწყებლობით, მაშინ, როცა გულშიჩამწვდომ, ორიგინალურ სიმფონიას ავტორი ისტორიულ კონტექსტში მოიაზრებს.

მუსიკის თანხლებით ჩვენ თვალწინ 9 აპრილის ტრაგიკული კადრები ცოცხლდება. ამგვარად მოწოდებულ ხელოვნების ქმნილებას ახალი თაობის აღსაზრდელად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

შალვა დავითაშვილის ბალეტი “ზვიადაური” 1986 წელს შეიქმნა. იგი მხოლოდ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე დაიდგა. თავად ის გარემოება, რომ კომპოზიტორი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას შეეჭიდა, ხელოვანის პროფესიულ გამბედაობასთან შერწყმული ეროვნული ცნობიერების ცხოველმყოფელობაზე მეტყველებს.

დავითაშვილი ვაჟას შემოქმედებას შეუმცდარად აღიქვამს: ცდილობს გენიოსი პოეტის მონუმენტურ სამყაროს შესაბამისი პლასტიკა და მუსიკალური ჟღერადობა დაუხვედროს. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ რთული მისაღწევია, თუნდაც იმის გამო, რომ ანალოგიური სახელწოდების ბალეტი უკვე არსებობს. დიმიტრი მშველიძის “ზვიადაურის” გვერდით სიახლის დანერგვა მართლაც გაჭირდებოდა, თუმცა კომპოზიტორმა ამ სიძნელეს დამაჯერებლად გაართვა თავი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯერჯერობით “ზვიადაურის” დადგმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვერ მოხერხდა. ქართველი მსმენელი რა ხანია ქართულ მუსიკალურ შედევრებსაა (უპირველესად “დაისის”) დანატრებული. იმედია, ბოლოდროინდელი რეფორმა სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს და თბილისში ეროვნულ რეპერტუარს გზას გაუკაფავს.

ხელოვნებაზე მსჯელობისას ერთგვარად უხერხულია არასახარბიელო დაფინანსებაზე საუბარი, მაგრამ რეალური ვითარების წარმოსაჩენად პრობლემას გვერდს ვერ ავუვლით. 12 წელია შალვა დავითაშვილი ზ. ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორია. ავადსახსენებელ კომუნისტურ პერიოდში მუზეუმის დირექციამ 4000 ახალი ექსპონატი შეიძინა. ამის შემდეგ არქივს უსახსრობის გამო აღარაფერი შემატებია.

უცნაურია, ყველა ეპოქაში ერთი და იგივე სატკივარი გაწუხებდეს, სულ ერთსა და იმავეზე წერდე, მსჯელობდე, ვითარება კი უცვლელი იყოს. ხმამაღალი განცხადების მიუხედავად, ჩვენში ეროვნული საქმის კეთება წარმოუდგენლად ჭირს. თუ მაინც გაბედე და რაღაც წამოიწყე, იმდენი დაბრკოლება გექმნება, იძულებული

ხარ ჩრდილს ამოეფარო და თავჩაღუნულმა თუნდაც სიტყვიერი წახალისების გარეშე იმუშაო ან სამოქმედო ასპარეზი საზღვარგარეთ ეძიო.

ქართველები მუდამ მომავლის იმედით ვსულდგმულობთ. სხვა რა გზაა: "აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!"

2005 გაზეთი "რაეო" № 13, 2005 წელი.

ბონდო გაგანიძის შესახებ
("რაეოს" რედაქტორის ხსოვნას)

"რაეო" და ცხრა გაზეთი

მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა გამომცემლობა "რაეოს" დამაარსებლის, უდროოდ გარდაცვლილი ბონდო გაგნიძის ხსოვნის საღამო.

საქმეს უხმაუროდ და კეთილსინდისიერად, ყოველგვარი რეკლამისა და ხელშეწყობის გარეშე აკეთებდა. 1994 წლიდან ურთულესი საქმე ითავა: მისი მოწადინებით, საქართველოს ყველა კუთხემ საკუთარი მხარის გაზეთი მიიღო. პირველად რაჭისა და რაჭველების ამსახველი "რაეო" გამოვიდა, შემდეგ ცხრა გაზეთი: იმერეთისა-"საპოვნელა", სვანეთისა-"ლილეო", სამეგრელოსი-"მახარია", გურიის-"კრიმანჭული", ქართლის-"ურმული", კახეთში-"ჩაკრულო" ახმიანდა, საინგილოში "იავნანა", სამცხე-ჯავახეთში-"შავლეგო"... მხოლოდ ჩამონათვალიც კი მიგვანიშნებს, რაოდენ სერიოზულ საქმეს იყო შეჭიდებული ბატონი ბონდო. მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს გამთლიანებისთვის, უწინარესად, ეროვნული საქმისადმი უანგარო მსახურებაა საჭირო.

ამაზე ილაპარაკეს ხსოვნის საღამოზე, რომელსაც ერეკლე საღლიანი უძღვებოდა.

სიტყვით გამოვიდნენ: ზურაბ ქაფიანიძე, ცისანა ქოჩეჩაშვილი, გრამიტონ კვარაცხელია, ნუნუ გრძელიშვილი, როზმან ქამადაძე, ნარგიზ ტურძილაძე, ამირან ლომთაძე, ნაზიბროლა გახოკიძე, ციცო ერისთავი, მიხეილ ყულოშვილი, ომარ მხეიძე, თინა ჩაგანავა. დასასრულ ითქვა, რომ უნდა იზრუნონ ბონდო გაგნიძის მოსაგონარი კრებულის გამოცემაზე.

გაზეთი "თბილისი", 2005წელი

ქართული ჭედური ხელოვნების ფერთამეტყველება
(კობა გურული 75 წლისაა)

ბოლო დროს ჩვენი დედაქალაქი პოლიტიკური ბატალიების პარალელურად არქიტექტურულ კატაკლიზმებზე გადაერთო. სხვანაირად ძნელი ასახსნელია ამდენი ძეგლის დაუსრულებელი დაპატიმრება-გადაადგილება რას უნდა მოასწავებდეს. მოთმინებით აღვიჭურვებოდით, ერთი ყურადსაღები გარემოება რომ არა: ქალაქის ცენტრში მახინჯი, თუმცა "პატრონიანი" ძეგლების უბოდიშო მოზღვავება დაუწერელ

კანონზომიერებად იქცა. რა აუცილებელია ათასმეერთე თვალისასახვევი კონკურსი ჩატარდეს იმის გამოსავლენად ისედაც დაკნინებულ უხამსად აჭრელებულ დედაქალაქს რა უფრო დაამცირებს? ქალაქს რომელსაც მზისა და ვარდის შემცვლელი ათასი ჯურის საეჭვო მეპატრონე თუ "გამქირავებელი" გამოუჩნდა.

"გავრცელდა "ახალი არქიტექტურის" სახელწოდებით ცნობილი "უდედმამო" სტილი, რომელიც არც აღმოსავლურია და არც დასავლური, არც სიმშვიდით გამოირჩევა და არც სილამაზით, თითქოს ხალხმა ფული იმისთვის დახარჯა, რომ სიმახინჯეში ჩაფლულიყო"...

ესოდენ ნაცნობი, მტკივნეული პრობლემის წარმოჩენა რომელიმე ჩვენ თანამემამულეს როდი წამოსცდა, იგი ცნობილი თანამედროვე ირანელი მწერლისა და მოაზროვნის: მოჰამადალი ესლამი ნოდუშანის გამაფრთხილებელი მოწოდებაა. უბედურება ის გახლავთ, ეს საგანგაშო სიტყვა რომ ჩვენზეა ზედგამოჭრილი, ჩვენ ხომ წინაპართა ნაღვაწს ხელაღებით ვშლით და თვითდამკვიდრებისთვის ერთობ სათაკილო მეთოდებს მივმართავთ.

ე.წ. ძეგლების ეპოპეაც პოლიტიკური ვნებათაღელვის გაღვივების საბაბად მიგვაჩნია.

მოკლედ, წესად დამკვიდრდა ის, ვინც ნამდვილ საქმეს ემსახურება, პატივაყრილია და იძულებულია დავიწყების ჩრდილს შეეფაროს. უნიკალური არქიტექტურის მქონე ქვეყანას არანაკლებ უნიკალური ჭედური ხელოვნების ტრადიცია შემორჩა.

საბედნიეროდ, ჭედურობა პროფანთათვის ჯერჯერობით აუღებელი ციხე-სიმაგრეა თორემ პატივმოყვარეობით დასნეულებული მედროვეები ამ დარგსაც საყოველთაო უხამსობის ტვიფარს დაუქვემდებარებდნენ.

ქართველებს რკინის დამორჩილების ხელოვნება სისხლით მოგვდგამს. ამის დასტური სახელოვანი ბეშქენ და ბექა ოპიზრების სრულქმნილი ნამუშევრებია.

თანამედროვე ეპოქამ ჭედურობას ახალი სიმაღლის დაპყრობის საშუალება მისცა. ჭედური ხელოვნების თვალსაწიერი გაფართოვდა; განსხვავებული თემატიკის გაბედულ ძიებასა და დამკვიდრებას ლითონის დამუშავების ახლებური ტექნოლოგიაც ზედ დაერთო.

XXს-ის ჭედური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელი კობა გურული ამ მხრივ, ნოვატორთა რიგებს განეკუთვნება. მის მიერ ორიგინალურად დამუშავებული ლითონი განუმეორებელ ფერთა პალიტრას გვთავაზობს. ლაჟვარდისფრად, ხორცისფრად და მომწვანოდ მბზინავი რკინა მნახველზე მართლაც გამაოგნებელ ეფექტს ახდენს.

იშვიათი ტალანტის მიუხედავად, კობა გურული საქართველოში ნაკლებადაა ცნობილი. საზღვარგარეთ მისი ნამუშევრების გამოფენა ინტენსიურად იმართება.

შემოქმედის ქმნილებებმა პოლონეთი, მონრეალი, თურქეთი, რუსეთი, საფრანგეთი, აფრიკა, ალჟირი, გერმანია, ჩიკაგო, დანია, საბერძნეთი და კიდევ მრავალი ქვეყანა მოიარა და მსოფლიო აალაპარაკა.

ხელოვანის პირველი პერსონალური გამოფენა 1967 წელს გერმანიაში მოეწყო.

კობა გურულის მიერ გაფორმებულია მუსკომედიის თეატრის ძველი შენობის ფოიე (1965), კინოთეატრ "თბილისის" ფოიე მოკ (1969), ლაინერი "შოთა რუსთაველი" (1966).

მისი ნამუშევრები დაცულია მრავალი ქვეყნის მუზეუმსა და გალერეაში, აგრეთვე კერძო კოლექციონერებთან.

კობა გურულის სახელს უკავშირდება საქართველოში ინტერიერის გაფორმების ერთ-ერთი პირველი ნიმუში- სახინკლე "თბილისი", რომელიც შენობასთან ერთად (სასტუმრო "თბილისი") სამოქალაქო ომის დროს ერთიანად განადგურდა. ამავე პერიოდში დაინგრა ხელოვანის მიერ ნასაკირალში შესრულებული მემორიალი: "ჯანყი გურიაში". ასევე გაურკვეველია გემებზე: "შოთა რუსთაველი" და "აჭარა" მყოფი ქმნილების ბედი.

მოკლე ჩამონათვალი ცხადყოფს კობა გურულის, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედის ნიჭის უნივერსალობას.

მხცოვანი კობა გურული საოცრად წააგავს საქართველოს, რომელსაც ყველაზე მეტად თავისივე მოდგმის ადამიანები ერჩიან და რომლის ბედიც სასურველი მიმართულებით ვერა და ვერ გამოიჭედა.

კომუნისტური რეჟიმი ხელოვანისთვის საჯილდაო ქვად იქცა. მედროვეებს გარიდებული შემოქმედი საკუთარ სახელოსნოში განმარტოვდა და არსებული წყობილებისადმი პროტესტი ამგვარად გამოხატა. საკუთარ მიკროსამყაროში შეკეტილი დიდოსტატი ჩინოვნიკთა ინტრიგების საპასუხოდ ერთიმეორეზე ორგინალური, სახასიათო ნამუშევრების შექმნით იძიებდა შურს.

გაუხმაურებელი აღიარების ფონზე გაჩნდა კობა გურულის ცნობილი "ავტოპორტრეტი"(1964) ხელოვანის გამომწვევი ხელწერით განრისხებულ პარტოკრატებს განუწყვეტელი თავდასხმის მიზეზი მიეცათ.

და მაინც, უძრაობის ხანაში შესრულებული ავტოპორტრეტი დღესაც არანაკლები ძალმოსილებით ნუსხავს მნახველს.

ლითონიდან გამომზირალი მოაზროვნე ადამიანის ორბიტიდან გადმოსული უნაპირო თვალები პიროვნებებს უხმობენ.

კობა გურულის თითოეული ნამუშევრიდან უპირველესად პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი იქცევს ყურადღებას. პიროვნულ ბედს გამოხატავს არა მხოლოდ "გუთნისდედა", "მოსეირნე ქანდაკებები" "იავნანა", "ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი", პატარა კახის თემაზე შესრულებული მონუმენტური ქმნილება: ერეკლე II, რომლის ტრანსპორტირება კიდევ ერთ განუმეორებელ ქართულ ამბავს დაედო საძირკვლად.

სატვირთო მანქანის კახური წარმოშობის მძღოლმა სახელოვანი წინაპრის გამოსახულება მუზეუმში უფასოდ მიიტანა.

მან ფულის აღება არ იკადრა მაშინ, როდესა კულტურის სამინისტრომ დამსახურებული ხელოვანის პერსონალური გამოფენის პროექტი ხელაღებით დაიწუნა და მისი ქალიშვილის, ქალბატონ გვანცას ძალისხმევა რომ არა, ლიტერატურის მუზეუმში თავმოყრილი ფართო საზოგადოება ვინ იცის, როდის იხილავდა ქართული ჭედური ხელოვნების განუმეორებელ სამყაროს, ვინ უწყის - როდის მოგვეცემოდა საშუალება ლითონში ამღერებული სრულყოფის სისავსე შეგვეგრძნო.

ვინძლო კიდევ რამდენ ხანს გადავადდებოდა შეხვედრა თხემიდან ტერფამდე ქართველ შემოქმედთან, რომლის ქმნილება მშობლიური შტრიხებით სუნთქავენ.

კობა გურულის მიერ შექმნილი შედევრი: "დავით აღმაშენებელი" მედროვეთა მცდელობის საუკეთესო გაბათილებაა. ხელოვანის დავითი იმ ძველქართული მადლითაა გაჯერებული, რომელსაც ვერც ერთი ეპოქა ვერ დააკლებს რამეს და ვერც მორიგი პარტიის მესვეური ავნებს.

დავითის ხატება გაუხუნარია. უბნიდან უბანში ნაძალადევად გადაადგილებულ ძეგლს უფლის მიერ მინიჭებულ ძალმოსილებას ვერავინ დაკარგავს, მედროვეებს რაც

შეეხება, ისინი ძველებური სიჯიუტით ეცდებიან ასეთ ქმნილებებთან “არ მიგვიშვან”, დრო გააჭიანურონ, რათა ახალ თაობას წარსულთან ორგანული კავშირი გაუწყდეს, მაგრამ კობა გურულის დარი ხელოვანი სწორედ ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად მოგვევლინა.

ერთობ მნიშვნელოვანია შემოქმედის მიერ მოჭედილი ე.წ. ქაშვეთის კარედი. იგი დღესაც მის სახელოსნოში ინახება და ელის იღბალს, დამფასებელს ელის, ვინც ასეთი რუდუნებით ნაჭედ კარს კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

რატომღაც დაგვავიწყდა,რომ დარუბანდის კარის მეპატრონეებს უფლება არა გვაქვს გავაუქმოთ წინაპართა გენის წყალობით ნაჭედი კარი, რომელსაც უფლის სახლთან მივყავართ. ხელოვნება სხვა არაფერია თუ არა დაუვიწყარის განმტკიცება და შენარჩუნება.

ზემოთ აღვნიშნე, რომ კობა გურული გაუხმაურებლად იქნა აღიარებული და რადგან ჩვენთვის უცხოელთა დაფასებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება; საზოგადოებას შევახსენებ, რომ კობა გურულს ტალანტის დამფასებელთა შორის თვალსაჩინო ქართველი კორიფეების გარდა არაერთი ცნობილი საზღვარგარეთელი ხელოვანი ურევია. მათ შორის განსაკუთრებულად გამოვყოფ ცნობილ ამერიკელ მწერალს და კოლექციონერს, არაერთი გახმაურებული ბიოგრაფიული რომანის ავტორს, ირვინგ სტოუნს. კობა გურულის მიერ უსასყიდლოდ შეთავაზებულმა ნამუშევრებმა ამერიკელი ხელოვანი სამართლიანად აღაშფოთა: მან ვერ გაიგო სახასიათო ქართული ჟესტი უანგარო გაცემისა, რასაც (ჯერ კიდევ) რუსთაველმა ზუსტი შესატყვისი გამოუძებნა.

კობა გურულის ხელოვნებამ ირვინგ სტოუნზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. ამაზე ამერიკიდან გამოგზავნილი ბარათების შინაარსი მეტყველებს.

შემოქმედის მემკვიდრეობისადმი გაუნელებელი ინტერესის წარმოსაჩენად აუარებელი წერილის და მოგონების გახსენება ცალკე საუბრის თემაა. ჯერჯერობით კი ჯანის სიმრთელე ვუსურვოთ ბატონ კობას: ჩვეული ოსტატობა, შემართება და უანგარობა გასძღოლოდეს გზამკვლევად ჩვენი ქვეყანა სიმახინჯის მოძალებას რომ წინ აღუდგეს.

სწორედ ამგვარ ერთეულ პიროვნებებზე დგას დღეს საქართველო, უმდიდრესი და უძველესი კულტურისა და უახლესი ცვლილებების დაპირისპირების გზაჯვარედინზე.

კობა გურულის მაგალითით ვირწმუნოთ, რომ მსოფლიოს მხოლოდ თვითმყოფადობით დავამახსოვრდებით.

2005 წელი

ეთერ ქავთარაძის მონოგრაფია
“დავით ყიფშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა”

დღეს ხშირად ვსაყვედურობთ ერთმანეთს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია ხეირიანად აღარ ვიცით, ვერ გაგვირკვევია საზოგადოებრივი საქმიანობა რა სარგებელს მოგვიტანს, რის გამოც ზოგჯერ წინაპართა ღვაწლიც გვაეჭვებს. თითქოს საერთო ვითარების გამოსასწორებლად უანგაროდ ხელი არასდროს არავის არ გამოუღია.

სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა. პოლიტიკოსთა ბაქიბუქით გაყრუებულ ქვეყანას არაერთი ქომაგი ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება. თუმცა უმადურ მედროვეებს მათი ღვაწლის დასაფასებლად წამახალისებელი სიტყვაც არ გაუმეტებიათ.

ეთერ ქავთარაძის მონოგრაფია სწორედ ერთი ახალგაზრდა, სერიოზული მეცნიერის ღვაწლს წარმოაჩენს, ვისი სახელიც, სამწუხაროდ, დღეს მეცნიერებასა და მწერლობაში ჩახედულ სპეციალისტებსაც ნაკლებად სმენიათ.

არადა, დავით ყიფშიძე თავის დროზე დიდ საქმეს შეეჭიდა და ტრაგიკული სიკვდილი რომ არა, უეჭველად უკეთ დაგვამახსოვრებდა თავს.

ნიკო მარს დავით ყიფშიძის მეცნიერული მუყაითობა სამომავლო იმედს უსახავდა, აკაკი შანიძე გულწრფელი სიყვარულით ეხმაურებოდა სიყრმის მეგობრის მეცნიერულ წინსვლას. ივანე ჯავახიშვილმა ეს ახალგაზრდა კაცი უყოყმანოდ დაასახელა ახალ დაარსებული ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ პირველ პროფესორად.

აი, ამგვარი აღიარება ხვდა წილად დავით ყიფშიძეს. იგი სახელოვანი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ.

დეკანოზმა ალექსი ყიფშიძემ ქართულ მეცნიერებას უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი და უანგარო საზოგადო მოღვაწე იოსებ ყიფშიძე შემატა. უფროსი ძმის გზას გაჰყვა დავითიც. იგი საქართველოსა და სომხეთის ისტორიის განხრით მუშაობდა. მან საკუთარი წვლილი შეიტანა ქართულ ფილოლოგიასა და ენათმეცნიერებაში. ითვლებოდა შუა საუკუნეების სპეციალისტად, აგროვებდა ფოლკლორულ მასალას. ყურადღების მიღმა არც არქეოლოგიური საქმიანობა დარჩენია.

1910 წელს დავით ყიფშიძე პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა განყოფილების სომხურ-ქართული ფილოლოგიის განხრით ჩაირიცხა.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ მას ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე, ბოდუენ დე კურტენე და სხვა ავტორიტეტული კორიფეები ასწავლიდნენ.

აღსანიშნავია, რომ დავით ყიფშიძე საქართველოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენებს თვალყურს ადევნებდა და ცდილობდა ახალი თაობის ხვედრის გასაუმჯობესებლად განათლების სფეროში თავისი წვლილი შეეტანა.

თავად საკმაოდ ახალგაზრდა დავით ყიფშიძე გასაოცარი სიფხიზლით წერს: “განათლებული ახალგაზრდები უნდა ერეოდნენ საზოგადო ცხოვრებაში და შეჰქონდეთ მასში რეალური გაუმჯობესება და არა უტოპისტური საოცნებო ბედნიერება”. იგი თანდაყოლილი ალღოთი გრძნობდა, რომ მხოლოდ ილიას მიერ დასახული გზაა მართებული. გზა, რომელსაც ეროვნული საქმის აღორძინებისაკენ მივყავართ.

ავბედითი ეპოქის პერიპეტიებს დავით ყიფშიძეც შეუმცდარად აღიქვამდა. ამ მიზნით, ცდილობდა მრავალმხრივი მეცნიერული კვლევა-ძიება საზღვარგარეთული კავშირების დახმარებით საქართველოში ეწარმოებინა. პეტერბურგში მოღვაწე ქართველ სტუდენტთა ძალისხმევა სწორედ აქეთკენ იყო მიმართული.

დავით ყიფშიძე აკაკი შანიძესთან და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდებთან ერთად ე.წ. სამეცნიერო ანკეტას ქმნის. ამ ცნობარს უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად მივლენილი ქართველი სტუდენტის მდგომარეობა უნდა აესახა.

სამეცნიერო წრე არეალის გასაფართოებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა, თუმცა პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა. ამაზე მეტყველებს ა. შანიძის წერილი დავითისადმი, რომელშიც დაუფარავადაა ნათქვამი: "ეჰ, ძმაო, დამიღრღნა ქართველურმა გულგრილობამ გული. იმ გულგრილობამ, რომელიც ყველგან იჩენს ხოლმე თავს, თუკი რაიმე ეროვნულ საქმეს მოვკიდებთ ხელს".

მარცხის მიუხედავად პეტერბურგელ ქართველებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ.

დავით ყიფშიძე ივანე ჯავახიშვილის მიერ წამოწყებული უდიდესი საქმეების სათავეებთან იდგა. იგი თანამონაწილეა იმ მოსამზადებელი პერიოდისა, რაც ქართული უნივერსიტეტის დაარსებას უძღოდა წინ.

ახალგაზრდა სწავლული ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. პეტერბურგის სამეცნიერო წრის გარდა, იგი აქტიურად ჩაება ქართული სათვისტომოს საქმიანობაში.

დავით ყიფშიძე საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალებს აწვდიდა, "დიდ რუსულ ენციკლოპედიას".

აღსანიშნავია, რომ დავით ყიფშიძე პირველი მეცნიერია, ვინც სამხრეთ-საქართველოს მიწა-წყალზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა.

1914 წელს ნიკო მარმა იგი მურის ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. დღესაც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს დავით ყიფშიძის მიერ შესრულებული "ანის გამოქვაბულის აღწერა". სომხეთის მეცნიერებათა აკადემიამ 6 ათეული წლის შემდეგ, 1972 წელს ეს ნაშრომი ცალკე წიგნად დასტამბა, შესავალი და კომენტარი ანის გამოქვაბულის ერთ-ერთმა სერიოზულმა მკვლევარმა, ნიკოლოზ ტოკარსკიმ დაურთო.

ეს დიდი საქმე დავით ყიფშიძეს ნიკო მარის დავალებით დაეკისრა. მან კვლევა-ძიებას წარმატებით გაართვა თავი, რასაც კეთილსინდისიერად შესრულებული ნაშრომი ადასტურებს.

მონოგრაფიის გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ მართლაც მრავალმხრივი ნიჭის მქონე ადამიანთან გვაქვს საქმე. დავითის დის, ეკატერინეს გადმოცემით, იგი ქართული საერო და საეკლესიო სიმღერების უბადლო შემსრულებელიც გახლდათ. ეს გარემოება ახალგაზრდა მეცნიერს საშუალებას აძლევდა მუსიკის შესახებ პროფესიული თვალთახედვით ემსჯელა. დაენახა ქართველი შემსრულებლების არა მხოლოდ დადებითი მხარე, არამედ ცალკეული ხარვეზებიც.

1917 წელს საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან შექმნილი განათლების სექციის თაოსნობით სხვადასხვა საგნობრივი კომისია დაარსდა, მათ შორის დაფუძნდა ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიაც, რომლის შემადგენლობაში დავით ყიფშიძეც შედიოდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიამ დავით ყიფშიძის ხელმძღვანელობით სრულიად საქართველოსთვის სავალდებულო პროგრამა შეადგინა. პროგრამის ათვისება სტუდენტისაგან ქართული ენის სერიოზულ ცოდნას ითვალისწინებდა.

1917 წელს ნიკო მარის ინიციატივით დავით ყიფშიძე ვარძიის გამოქვაბულების შესასწავლად გაემგზავრა ფოტოგრაფ ლიოზენის თანხლებით. ვარძიის არქეოლოგიური გამოკვლევა სერიოზული შედეგით დასრულდა. ახალგაზრდა მეცნიერის გამოკვლევა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიაში ვარძიის ფრესკების ერთ-ერთი პირველი იკონოგრაფული ხასიათის ნაშრომია. სამწუხაროდ, დღეს მისი დედანი დაკარგულია.

ჩვენამდე არ მოუღწევია აგრეთვე დავით ყიფშიძის საველე დღიურებსა და სამივლინებო ანგარიშებს. პოლიტიკური კატაკლიზმების ეპოქამ ახალგაზრდა სწავლული აიძულა თავისი ძალა პოლიტიკაშიც მოესინჯა. იგი სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში გაწევრიანდა და ეროვნული ინტერესების დასაცავად თავდაუზოგავად ირჯებოდა. აღსანიშნავია, რომ მისთვის უცხო იყო პარტიული კინკლაობა და წვრილმანი ინტრიგები.

ქართველ მეცნიერთაგან დავით ყიფშიძემ ერთ-ერთმა პირველმა ადგილზე შეისწავლა და გადმოწერა ჯრუჭის ხელნაწერი.

ტექსტზე მუშაობისას მკვლევარი იმ ტექნოლოგიას ემყარება, რომელიც თანამედროვე მეცნიერების მიერაა შემუშავებული. როგორც ჩანს, დავითს თანდაყოლილი ალღო საშუალებას აძლევდა ეპოქის მოთხოვნები დროზე ადრე გაეთვალისწინებინა. დავით ყიფშიძისათვის დამახასიათებელი მუშაობის სტილი მასალის ათვისების სკრუპულოზურ დამუშავებაში ვლინდება.

მონოგრაფიის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მხოლოდ სპეციალისტებისთვის განკუთვნილი ნაშრომი ნებისმიერი წიგნიერი მკითხველისთვის სასიამოვნო წასაკითხი გახადა. ვრცელი მეცნიერული პარალელებისა და ისტორიული ფაქტების ფონზე მონოგრაფიის ენა დახვეწილი, გამართული და ლაკონურია.

ეთერ ქავთარაძის ნაშრომის მეოხებით ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ახალგაზრდა მეცნიერის მოღვაწეობის ამსახველი მნიშვნელოვანი მოვლენები; ჩვენ ხელახლა ვეცნობით მის ნააზრევს; ვუღრმავდებით მკვლევარის როლის შეუბღალავ სისპეტაკეს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ საყოველთაო შეჭირვების ჟამს საქართველოს მუდამ შესწევს უნარი თავისი წიაღიდან წარმოშვას ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ტრაგიკული აღსასრულის მიუხედავად, დავით ყიფშიძეს მცირედი ბედნიერების მისხალი მაინც ხვდა წილად. იგი საქართველოს გასაბჭოებას ვერ მოესწრო.

ახალგაზრდა სწავლული მთელი ცხოვრება დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს ემსახურებოდა.

2006 წ. "რაეო" № 6, 7 ;

შთაბეჭდილება ბადრი თავზაძის წიგნზე:
"პარიზში წასვლას რა უნდა?!"
"საქართველოდან მიემგზავრები,

ძვირფასო ძმაო, პარიზისაკენ.
შენ იქ დაზვერავ მქუხარე ქალაქს,
შენ იქ დაგხვდება მსოფლიოს სარკე."
ნიკო სამადაშვილი

მაინც რა გვიბიძგებს საკუთარი სულის საზღვრებს გარეთ სახეტიალოდ? ამ ერთგვარად ახირებულ შეკითხვაზე თავისებური პასუხი მოეძებება მწერალ ბადრი თევზაძეს.

იგი თავისი რომანის მთავარი პერსონაჟიცაა ამავდროულად და ე.წ. რისკიან მეოცნებეთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად საკუთარ ქმედებას რამდენიმე საპატიო მიზეზით ასაბუთებს.

ზედაპირული თვალთახედვით ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად დროის მიერ ნაკარნახევი ულმობელი რაციონალიზმი გვიბიძგებს: ეკონომიკური სიდუხჭირე დედამიწის არაერთ მაცხოვრებელს აიძულებს საარსებო წყარო უცხოეთში ეძიოს. ჩვენი მწერალიც ამ გატკეპნილ გზას მიჰყვება, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

რომანის ტექსტის მეშვეობით იგი საკუთარ პროფესიას ხშირად შეგვახსენებს. გამოთქმა პროფესია დიახაც ცოტა უხერხულად ჟღერს პერსონაჟის ყაიდის ადამიანისთვის. ძველმოდურად თუ განვმარტავთ, ეს მისი მოწოდებაა და როგორი საფანელიც არ უნდა ედოს საფუძვლად, სოციალურ მომენტზე უფრო მნიშვნელოვანი სწორედ საკუთარი სულის საზღვრებს გარეთ გასვლაა.

ჩვენი თანამედროვე მწერალი შემოსაზღვრულ ალაგს ვერ ეგუება. მას გული უფრო ღირებული საქმის განსახორციელებლად ერჩის. ყოფითი ცხოვრებისადმი უკმაყოფილება კიდევ ერთი კეთილშობილური მიზნით ინიღბება: მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მეტად პერსონაჟს თავისი უახლოესი წინაპრის, მამის ნამდვილი ცხოვრების სიღრმის შეცნობა აინტერესებს. II მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ვაჟკაცი ბრძოლის ქარტეხილების პარალელურად სანუკვარ ოცნებას ეზიარა. სწორედ მამისეული მემკვიდრეობა არ ასვენებს მწერალს, რომელიც საკუთარ თავს ხშირად რაინდად აიგივებს.

დიახ, იგი ცდილობს ევროპული კულტურის ცენტრში - პარიზში ყურადღება რაინდული საქციელით მიიპყროს.

რა არის ეს: არტისტული პოზა, მკითხველის წახალისება თუ ავტორის თავმომწონეობა თუნდაც საკუთარი თავის წინაშე? პასუხი არაერთგვაროვანია: მას ამ თვისებებიდან მეტ-ნაკლებად ახასიათებს და ამავდროულად მისი საქციელი სრულიად ბუნებრივია.

ამ ბუნებრიობას ქართული ხასიათის სათავეებთან მივყავართ, რომლისთვისაც "სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა" იდეალურად მორგებული თვისებაა.

მაშ ასე, რისკიანი მეოცნებე რამდენიმე საპატიო მიზეზით სახლს აგირავებს და სამყაროს გასაცნობად პარიზისკენ მიემართება. უახლოესი მეგობრისადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში იგი თავის ქმედებას გულახდილად უწოდებს ქარაფშუტულს.

როცა ოცნების განსახორციელებლად ყველაფერს სასწორზე აგდებ, ლოგიკური თვალთახედვით ამგვარი შეფასება სამართლიანია, პერსონაჟი მხოლოდ თავის სულიერ ცხოვრებაზეა პასუხისმგებელი, მას წინაპრის გამოცდილების კვალდაკვალ "მსოფლიო" გამოცდილების ათვისებაც სწყურია. რომ იტყვიან, წილი ნაყარია.

მწერალი რის ვაი-ვაგლახით შეგროვილი ფულით პარიზში ჩადის. იგი შემთხვევით არ ირჩევს ევროპული კულტურის ყველაზე მკვეთრ, ეკლექტიკურ სიმბოლოს-საფრანგეთის დედაქალაქს.

მკითხველს იქნებ ჩემი პათოსი აღიზიანებს და მხრებს იჩეჩს. თანამედროვე ქართველ ყარიბამდე პარიზი მეტ-ნაკლები წარმატებით უთვალავ ხელოვანს დაულაშქრავს. ამ მხრივ ქართველებს დაჩაგრულები ნამდვილად არ გვეთქმის. ვნახოთ, პარიზში მოხვედრა რა სიახლეს გვიქადის.

მწერალი ასე ჩვეულებრივად დაწყებული ამბის მოულოდნელ განვითარებას გვთავაზობს: იგი პარიზში ჩასვლისთანავე დამაპატიმრეს. ეს მოხდა 1996 წლის 8

თებერვალს ორლის აეროპორტში. ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების პირველი “ფრანგული დღე”.

რომანის პირველივე ფრაზა დრამატულ ვითარებაში გვითრევს. როცა პერსონაჟი ასე ახლოსაა საკუთარ მიზანთან, როცა ეს-ესაა წლების მანძილზე ნალოლიავები სურვილი უნდა ახდეს, თუმცა დასაწყისი კომიზმში გადადის: ნარკოტიკებზე მონადირე ფრანგი პოლიციელები უცნაური უცხოელის ჩანთაში უამრავ წიგნსა და თითქმის ვადაგასულ ვიზას აღმოაჩენენ: თუმცა მთავარი სიურპრიზი ჯერ კიდევ წინ ელოდებათ. დაბნეული პერსონაჟი სამართალდამცავებს უხსნის, რომ იგი ქართველი მწერალია, ლექსიკონების დახმარებით ფრანგულ პოეზიას თარგმნის და პარიზში მამამისის, საფრანგეთის არმიის ლეიტენანტის საბრძოლო ადგილების მოსანახულებლად ჩამოვიდა.

როგორც ჩანს, ფრანგ პოლიციელებს ხელოვანის პასუხი ეჩოთირებათ და მისი დაულაგებელი მონოლოგის გასაბათილებლად მომაკვდინებელ შეკითხვას სვამენ: ფული გაქვთ?

მათი განცვიფრება პიკს აღწევს, როდესაც ირკვევა, რომ ქართველ მწერალს საფრანგეთში საცხოვრებლად (სამთვიანი ვადით) ჯიბეში მხოლოდ 371 დოლარი უდევს.

ეს აღმოჩენა უკვე ფრანგული ცხოვრებისა და თავაზიანობის გაგებას აღემატება, თუმცა ვატყობ, ტექსტის თხრობა მითრევს, რაც ჩემი წერილის მიზანი არ გახლავთ.

ბადრი თევზაძის ფრანგული ოდისეის შესახებ მკითხველს ვურჩევ ელენე გუსევას მშვენიერ წერილს გაეცნოს, სადაც ამ ფათერაკებიანი მოგზაურობის ყველა საყურადღებო მოვლენა საინტერესოდაა გაშუქებული.

მოკლედ, ქართველი მწერალი მამის თანამებრძოლების მოსაძებნად პარიზს საგანგებოდ მიაშურებს. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა მოსანახულებლად შეეძლო უფრო “მშობლიური” ქალაქის ყაზანისკენ აეღო გეზი, მაგრამ მას პარიზი “მარადიული დღესასწაულის” ქალაქი ანდამატივით იზიდავს. აქ თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეები იმკვიდრებენ საკუთარ ადგილს. ამიტომ პერსონაჟი სახელგანთქმულ კაფე “როტონდას” მოინახულებს.

“ოდნავ იმედგაცრუებას ვგრძნობ, როგორ არ შეეფერება ეს მდიდრული რესტორანი იმ ღარიბ ხელოვანთა ბედს, რომლებმაც სამარადისო დიდება დაუმკვიდრეს მას. “როტონდის” ძველი სახელის შემქმნელს აქ არაფერი ესაქმება”...

მწერლის გულისტკივილი გვაგრძნობინებს, რომ ხელოვანთა მექაც დროის გაუფასურების მსხვერპლად გარდაქმნილა. საყოველთაო გაუცხოება თვით პარიზმაც ვერ აიცდინა. და მაინც, იმედგაცრუების მიუხედავად, პერსონაჟი უკან არ იხევს. იგი ხომ მსოფლიო კულტურის დედაქალაქად წოდებულ პარიზში იმისთვის ჩავიდა, რომ თანამედროვე ცივილიზაციას უძველესი კულტურის მატარებელი ერის-ქართველების არსებობა შეახსენოს. ჩვენთვის სამწუხარო სინამდვილედ იქცა ახალ ცივილიზაციას მუდმივად თავი შევახსენოთ, ხელახლა გავეცნოთ, გამოწვევა ვესროლოთ, არ მივცეთ საშუალება საქართველოს დავიწყების. ვერაფრით ვურიგდებით მესამეხარისხოვან ქვეყანათა კასტას მიგვაკუთნონ, რასაც ჩვენი დაბალი ეკონომიკური დონე და არახელსაყრელი პოლიტიკური ფონი განაპირობებს. მწერალი ამჯერადაც გულგატეხილია. იგი აღიარებს, რომ ჩვენს მეზობელ სომხებს ეს საკითხი მოგვარებული აქვთ, გავლენიანი სათვისტომოების წყალობით მათ ყველა კარგად იცნობს. სომეხი ფრანგისთვისაც ფულის სინონიმია.

პარიზის დასაპყრობლად ჩამოსულ ქართველს კეთილშობილური მიზნის გარდა მხოლოდ 371 დოლარი აბადია. ესეც ქართველური ხასიათის წახნაგზე მიუთითებს.

სხვათა შორის 1907 წელს პარიზში ჩასული დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, რომ ბევრი ქვეყნის სტუდენტისგან განსხვავებით აქ (იგულისხმება პარიზი) სასწავლებლად ჩასულ ქართველ სტუდენტს გაცილებით მეტი მატერიალური შესაძლებლობა აქვს, თუმცა ამ უპირატესობას იგი თავის სასარგებლოდ სრულიადაც არ იყენებს.

“ბევრი ქართველი მოიძებნება პარიზში, რომელსაც არც რაფაელის სურათები უნახავს და არც ელინთა ქანდაკება. არ შეიძლება ვინმეს ვუსაყვედუროთ უმეცრება და უცოდინარობა არა თუ იმ საგნისა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვუსაყვედუროთ მას, თუ ის გაურბის ცოდნას მაშინ, როცა მისი შეძენა ასე ადვილია და მით უფრო მაშინ, როცა ამ ცოდნას საუკეთესო და უმდიდრესი დაწესებულება ცხვირწინ აქვს ამართული.”

მწერლის სამართლიანი იმედგაცრუება გასაგებია. საბედნიეროდ მან პარიზში ორად ორ მოწადინებულ ქართველს მაინც მიაგნო: როდენის ახალგაზრდა მოწაფის ნიკო ნიკოლაძისა და ხელოვანის გრიგოლ რობაქიძის გაცნობამ მ.ჯავახიშვილს მომავლის იმედი აღუძრა.

იმ დროს (1907 წელს) ნიკო ნიკოლაძე მოწადინებული ყოფილა რუსთაველისა და ბარათაშვილის ძეგლები შეექმნა, თუმცა ქართულ საზოგადოებას არც ოდნვი ინტერესი გამოუმჟღავნებია და არც ხარჯის გაღების სურვილი გამოუთქვამს.

როგორც ჩანს, ჩვენთვის არც ძეგლების ყბადაღებული თემაა ახალი, თუმცა დროა კვლავ ბადრი თევზაძეს დავუბრუნდეთ.

სამსახურის ძებნით გართული ხელოვანი თავისუფალ დროს ფრანგულ პოეზიას გულმოდგინედ თარგმნის, იგი ცოდნის მარაგს შეუფერხებლად იღრმავებს.

ბადრი თევზაძე ყოფით დაბრკოლებას არ ნებდება. ესეც ქართული ხასიათის გამოხატულებაა, თუმცა ჩვენი პერსონაჟისგან განსხვავებით დავით კასრაძის რომანის: “კეთრი” მოქმედი პირი სხვაგვარი ცხოვრების წესს ამჯობინებს.

უმძიმეს კატაკლიზმს ქართველი პესიმიზმის უკუგდებით ეგებება. ვინძლო დამამძიმებელი გარემოების გამო დანაღვლიანების უფლებაც ჩამოგვერთვა. ასე რომ არ იყოს, უსახლკაროდ დარჩენილი ქართველი ხელოვანი მაწანწალათა ცხოვრების წესს დროებითაც ვერ გაუძლებდა.

სწორედ ამგვარი კონტრასტული ფერებით ნაძერწ პარიზს გვიხატავს ავტორი. რაოდენ განსხვავდება იგი დიდი გერმანელი შემოქმედის, რილკეს პერსონაჟის: მალტე ლაურიდს ბრიგეს მსოფლაღქმისგან!

ჩვენში დარჩეს, მალტე ჩვენს ხელოვანს ბევრი რამით ენათესავება: სოციალური ყოფით, წინაპრების მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებით, საკუთარი ფესვებიდან თუნდაც დროებით მოწყვეტის სურვილით, თუმცა მათ ერთმანეთთან არსებითი თვისება აშორებს: პარიზში ჩამოსული მალტე თავს უსამშობლო კაცად მიიჩნევს და ერთიანად ითრგუნება. იგი ამჯობინებს საკუთარ შეგრძნებათა სიღრმეში ჩაიძიროს. აქედან გამომდინარე, პარიზი უკიდურესი გაუცხოების გამო სიკვდილის სიმბოლოდ აღიმართება. მას არ სჯერა ამ ქალაქის, არ ელის იმ დღესასწაულს, რომლის მოლოდინიც სიღატაკის ზღვრამდე მისულ ქართველ ხელოვანს იმის უნარს ანიჭებს, პარიზის უსახლკაროთა თავშესაფრებისა და უფასო სასადილოების მომსახურე პერსონალის ულევი სითბოს გამოსხივება შეიცნოს და სათანადოდ დააფასოს. მალტე სხვა გადასახედიდან განსჯის: იგი პარიზის ფსკერით ერთიანად შეძრულია, საავადმყოფოში მოხვედრილს ხეიბრების დანახვა სასოწარკვეთილებაში აგდებს. ექიმების უგულისყურო, შემზარავი პროფესიული გულგრილობის მოწმე უძლურია რაიმე ბუნებრივი, ადამიანურად გასაგები შტრიხი

აღმოაჩინოს. მისი ფსიქიკა წყვდიადის ნიაღვარს ვეღარ უმკლავდება. შედარების თვალსაზრისით საგულისხმო ეპიზოდის გახსენებაც არ იქნება ურიგო: ტანისამოსთან მიმართებაში მალტესა და ჩვენი მწერლის შეხედულება ერთმანეთს გადაკვეთს. ბათუმელ ნაცნობ ლამაზ, კარგად ჩაცმულ გოგონასთან სეირნობისას პერსონაჟი გამვლელთა სახეებზე დაუფარავ გაოცებას ამოიკითხავს: იგი უსიტყვოდ ხვდება გარეშე ადამიანების რეაქციის მიზეზს და გულახდილად დასძენს, რომ ბოგანოთა წრემ მისი იერსახეც გადაასხვაფერა და შინაგანი ინტელიგენტურობის პროტესტად იქცა.

“მაშინ სწორედ იმ გავლენას ვაკვირდებოდი, სამოსს რომ შეუძლია მოახდინოს ადამიანზე. ჩავიცვამდი თუ არა რომელიმე ამ კოსტუმთაგანს, უნდა მეღიარებინა, რომ მისი გავლენის ქვეშ ვექცეოდი.”

ეს მალტეს ერთ-ერთი დაკვირვება გახლავთ, თუმცა მან აქაც ჩაიქნია ხელი, მოეშვა. არადა ძველებურად მიაჩნდა, რომ არისტოკრატს მდაბიოსგან სუფთად დაბანილი მაჯა განასხვავებს. ასე აუჯანყდა კოტე ხიმშიაშვილს, ჯონქა ხორნაული, დემნა შენგელაიას რომანში: “სანავარდო” ავტორი ბონდო ჭილაძეს პერსონაჟი ქალის მეშვეობით ახასიათებს: “თქვენ ღილი გაკლიათ, საკინძეზე.” აშკარად უძალიანდება ჩოხის ღილი კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარს, მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზ ხევისთავიც კარგავს ელეგანტურობას და თავის ჩაცმულობით მეწვრილმანე ურიას ემსგავსება, თუმცა იმავე ავტორის სხვა პერსონაჟი ელიზბარი “თეთრი საყელოდან” ჩვენი ხელოვანის არ იყოს. არსებულ მდგომარეობას არ ნებდება.

ტანისამოსის მიერ “მიყენებული ზარალის” წყალობით მისი სახე იქცა ანაქრონიზმად, სამოსი, როგორც სოციალური სტატუსის ერთგვარი სიმბოლო, პიროვნულ თვისებებზეც მოქმედებს. არ შემიძლია კიდევ ერთი ეპიზოდი არ გავიხსენო: ფრანგ პოეტებზე შეყვარებულ მწერალს პოლ ვერლენი დანარჩენებზე მეტად ეძვირფასება. პარიზში ხეტიალისას იგი კაფე “ვერდებს” აღმოაჩენს. შიგნით შევა და მაგიდაზე თავის განუყრელ სათარგმნ მასალას დააწყობს. კაფეს მეპატრონე ქალი და მამაკაცი გაოცებულნი შეჰყურებენ. კაცის რეპლიკა: “ეს კაცი ჟურნალის გამყიდველია და წიგნებს კითხულობსო” განაჩენივით ჟღერს. აქ ჩვენს პერსონაჟს ისღა დარჩენია თავისი ჭეშმარიტი მოწოდება გაამხილოს და მასპინძელთა გულუხვი შეთავაზება ქართული სიამაყე და ღირსება უარყოს.

ასეთი გახლავთ ჩვენი ხელოვანი და ამგვარ უტეხ რწმენას აწყდები იღბალი უკან იხევს და აი, ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში მას მფარველი ანგელოზი მოევლინება. რომანი სწორედ ამ დიდბუნებოვან ქალბატონს ეძღვნება, რომელიც ჩვენს თანამემამულეს ისტორიულ სიტყვას დაუბარებს:

“-თქვენ დიდი გაჭირვება გამოიარეთ. საჭიროა, რომ კეთილი საფრანგეთი დაიმსახუროთ.”

საბედნიეროდ, ქალბატონი როზმარის კვალდაკვალ მწერალს ქართველი ნინო, ფრანგი პასკალი, რუმინელი მათემატიკოსი ორელი და სხვა კეთილი ადამიანებიც გაუწვდიან დახმარების ხელს. ავტორის განცდას: “ესეც უნდა გამოეცადა.” ბიბლიური სიბრძნე კვებავს, რომელიც გვასწავლის: თუ არ დამდაბლდი, ვერ ამაღლდები.

მწერალი მიიჩნევს, რომ ამდენი გაჭირვების გადატანა ნამდვილად ღირდა იმისთვის რომ პარიზში აღმოჩენილიყო.

შეუძლებელია როზმარი შროედერის ბავშვობის ოცნება გულში არ ჩაგებეჭდოს: მას ყოველთვის სურდა მოყვასი უანგაროდ დაეხსნა, ადამიანებისგან გამეტებული ქრისტეს ხვედრი მუდამ გულს უკლავდა.

სწორედ ამგვარი უზენაესი სიკეთეა გადამდები, იქნებ ამის გამო წიგნი ძალდაუტანებლად იკითხება, თუმცა ავტორის მიერ შემუშავებულ ლიტერატურულ სტილსაც გარკვეული მნიშვნელობა აკისრია. მისასალმებელია, რომ უამრავი მოვლენით დახუნძლული ამბის გადმოცემისას იგი მაქსიმალურ სისადავეს ინარჩუნებს, თუმცა განათლებული მკითხველი უმალ გრძნობს, რომ ეს წიგნიერი კაცის ნამუშაკევია და არა იაფფასიანი პოპულარობის მაძიებელი დილეტანტის პროვოკაციული ნაცოდვილარი.

კრიტიკამ ჯეროვნად შეაფასა ახალი წიგნი და პრესტიჟული პრემიით დააჯილდოვა, რაც რომანის მართლაც "პარიზულ" ხიბლს სძენს.

ზოგჯერ ტექსტში სარისკო გადაწყვეტილებასაც ვაწყდები, კერძოდ როდესაც ავტორი არცთუ იშვიათად ვრცელი პოეტური თარგმანის ციტირებას გვთავაზობს, თუმცა ეს დახვეწილი მკითხველის წიგნია და მწერლის ესა თუ ის ფათერაკი გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული. სამაგიეროდ რომანი სავსეა ადამიანებისადმი კეთილგანწყობით, რის დანაკლისსაც უახლესი თანამედროვე პროზა აშკარად განიცდის.

ბადრი თევზაძემ უდავოდ მიაღწია მიზანს. მან დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე ადამიანს ტექნიკური აღჭურვილობისა და უზარმაზარი ფულის გარეშეც შეუძლია ჭეშმარიტ პიროვნებად დარჩეს და ცივილიზაციას ქედი ბრმად არ მოუდრიკოს.

მწერალმა ნამდვილად "დაიპყრო" პარიზი და მსოფლიო კულტურის დედაქალაქს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რა შეუძლია უფულო, მაგრამ ღირსებით აღსავსე უძველესი კულტურის ერის წარმომადგენელ თუნდაც ერთ ქართველს, რომელმაც პარიზის გარდა ქართველ მკითხველთა გულებიც მოინადირა.

2006 წელი

ჩვენი აჭარელი თანამოკალმე

(დავით თედორაძის შესახებ)

თანამედროვე ცხოვრების სპეციფიკა საშუალებას არ გვაძლევს სხვადასხვა რეგიონში განფენილ კულტურულ ცენტრებს სათანადო ყურადღება დავუთმოთ. ბრალი ჩვენც მიგვიძღვის, რადგან კულტურული განვითარების ერთადერთ კერად თბილისი მიგვაჩნია. არადა ვინც საქართველოს ისტორიის არსს ჩასწვდა, უთუოდ შეამჩნევდა, რომ ქართული ხელოვნების განუმეორებლობას თითოეული კუთხის თავისთავადობა განსაზღვრავს. ამ ჰარმონიულობის პრინციპი იჩენს თავს: ის, რაც აღმოსავლეთს აკლია, დასავლეთში ჰპოვებს გამოძახილს და პირიქით. უმდიდრესი ქართული კულტურის უნივერსალობას ეს გარემოება აყალიბებს.

თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელი ეკლექტიზმი დედაქალაქისგან შორს ნაკლებად გვხვდება, რაც საშუალებას გვაძლევს ეროვნული კულტურის წიაღი უფრო სუფთა სახით შემოვინახოთ. ამ მიზეზით ლიხთსიქითა ხელოვანთა შემოქმედებას გაორმაგებული ინტერესით ვეცნობით.

სხვაგვარად საქართველოს მთლიანობის გათავისება შეუძლებელია.

"ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს,-
წყალიცა!

ვინც საქართველოს უორგულებს
სულიც დაუბრმავდეს,-
თვალიცა?!”

ლიხთსიქითა მხრიდან დაგვკიჟინებს დავით თედორაძე: სტუმართმოყვარეობით და ვაჟკაცობით განთქმული აჭარელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მის სახელს აჭარაში არაერთი სასიკეთო საქმის წამოწყება უკავშირდება.

არეულობის დროს იგი სათავეში ჩაუდგა გამომცემლობა “აჭარას” და კომერციულ მუხტზე გადართულ საზოგადოებას მნიშვნელოვანი წიგნები შესთავაზა. მან აჭარის მკვიდრთ კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ამ უძველესი კუთხის მონაწილეობის გარეშე ერთიანი ქართული კულტურა სრულყოფილი ვერ იქნება.

უძველეს მიწა-წყალზე, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა ყველაზე ადრე იქადაგა, ბევრი რამ შეიცვალა. უცვლელი შემორჩა ყველაზე უმთავრესი: ქართველად ყოფნის აღმოუფხვრელი სურვილი. დავით თედორაძე სწორედ ამ ეროვნული სულისკვეთებით სულდგმულობს და ამდენად, მის პოეზიაში ყველაზე სისხლხორციულად სამშობლოს ხატი ხმიანდება.

პოეტს არასდროს ავიწყდება, რომ წინაპართა მოვალეა და მიწის თითოეული გოჯის დათმობა სიკვდილის ტოლფასია.

“ვეფერები აჭარისწყალს
ხეობას და სივრცეს,
აქ არტანუჯს გავიხსენებ,
სულს იმერხევს მივცემ.”

დავით თედორაძე უკიდურესად სადა, მხატვრული ენით გამოირჩევა. მისი პოეზიის მთავარი ამოსავალი გულიდან წამოსული სიწრფელეა, თუმცა დაკვირვებული მკითხველი შემოქმედისთვის დამახასიათებელ ძალდაუტანებლობას აუცილებლად დააფასებს. იგი სახელოვანი აჭარელი თანამოკალმის ტრადიციების გამგრძელებელია, სათქმელს საკუთარ შტრიხს უხამებს. მას თანაბრად სტკივა მიტაცებული კლარჯეთი და სამოქალაქო ომით დასჯილი თბილისი.

“უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!”

სიამაყით აღნიშნავს ერთგან და ცდილობს უცხოეთში გადახვეწილ თანამემამულეებს ეროვნულ ფესვებთან შემორიგება გაუადვილოს.

პოეზიაზე არანაკლებ საინტერესოა დავით თედორაძის ჩანაწერები. ავტორის მიერ არაერთი ცნობილი ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის პორტრეტი ოსტატურადაა შესრულებული. აქ თავს იჩენს დასავლური, კერძოდ, გურული იუმორის განუმეორებლობა, რაც თხრობის ლაღ ინტონაციას სძენს.

ნამდვილად მისასალმებელია, რომ ავტორმა ჩანაწერები დროულად გამოსცა. მან უთუოდ გაითვალისწინა ლიტერატურული კვლევის არსებითი სპეციფიკა: ისტორიული ფაქტის დაუყოვნებლივ აღბეჭდვა რის დეფიციტსაც აშკარად განვიცდით.

მემუარული ჟანრი საზღვარგარეთ რა ხანია დიდი წარმატებით სარგებლობს. იმედია ჩვენ ტოლს არავის დავუდებთ, რათა მოგვიანებით კეთილი მეგობრებისა თუ გავლენიანი მტრების მიერ მოწოდებული მასალის ამარა არ დავრჩეთ.

ისტორიული სინამდვილის სწორი შეფასება შეცდომებისგან დაზღვევის გარდა სამომავლო გამოცდილებას შეგვმატებს, ამიტომ პოეტის სიჩქარე სავსებით გამართლებულია: იგი დროს ფეხდაფეხ მისდევს და არა თუ იმ მოვლენას მაშინვე ასახავს. კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ პოეზია მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების

მომნიჭებელი როდია. ნამდვილი შემოქმედი ქართველ პოეტთა მემკვიდრეობას ინარჩუნებს და საკუთარ ხმას ქვეყნის ჭირისუფალთ ღვაწლს უერთებს. ეს განცდა დავით თედორაძის შემოქმედებაში ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვლინდება.

იგი არავის მოძღვრავს, მხოლოდ თავის გულისტკივილს გვიმხელს და აქვე დასძენს, რომ სულისთვის ლექსზე უებარი წამალი არ არსებობს.

დღეს იშვიათია ხელოვანი, ვინც საკუთარ თავის წარმოჩენის გარდა უფრო მნიშვნელოვან გარემოებას უწევს ანგარიშს. მით უმეტეს, როცა მას არაერთი ტიტული და რეგალია ამშვენიერებს, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი ერისკაცთა რიგშია ჩამდგარი. საბედნიეროდ, დავით თედორაძე მედროვეების მსხვერპლად არ იქცა. თანამედროვეთა დახასიათებით იგი ის კაცია, ვინც თავის ადამიანური სიკეთითა და უანგარობით დაგამარცხებს, ვინც სახელის მოხვეჭის სურვილმა კი არ დათრგუნა, არამედ პირიქით, საკუთარი თავისადმი უფრო მომთხოვნი გახადა.

არაერთი გულთბილი თუ პროფესიული გამოხმაურების მიუხედავად იგი კვლავ თავის მოწოდებას ერთგულობს; წერს ლექსს, ეწევა ქველმოქმედებას და საქართველოს სიყვარულს აჭარიდან გვეფიცება.

“და ჩვენ, ამ ლამაზ სამშობლოს გარდა
სხვა არაფერი გვქონდა სიმდიდრე.....”

ეს დავით თედორაძისადმი მიმართული ბაღათერ არაბულისეული სტრიქონებია. ძნელია მთის პოეტის სიწრფელეს ეჭვი დაუხვედრო, მაგრამ უფრო ძნელია მთელი სიცოცხლე სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარული შეინარჩუნო.

2006წ.

აკაკი ბრეგაძის პატრიოტულ-შემეცნებითი საბავშვო წიგნების სერია — “საკითხავნი ყმაწვილთათვის”.

საბავშვო ლიტერატურის გამოცემას თვალყურს თუ მივადევნებთ, მრავალფეროვანი არჩევანის მიუხედავად, საერთო ჯამში, არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი. სხვადასხვა კატეგორიებად დახარისხებული წიგნები ბავშვთა სამყაროშიც უთანასწორო წესების დამკვიდრებას უწყობს ხელს. მაცდური დიზაინის წყალობით, საეჭვო ხარისხისა და იდეოლოგიის პროდუქცია გამოუცდელ მკითხველს თავგზას უბნევს. აქ უტყუარი კომერციული ალღო გადამწყვეტ როლს თამაშობს. ლამაზად გაფორმებული წიგნი უპრობლემოდ იყიდება. მთავარი მომგებიანი რეკლამაა და მოდური თხზულება პრესტიჟული მაღაზიის თაროდან საბავშვო ბიბლიოთეკაში გადაინაცვლებს.

სამწუხაროდ, ამ აუცილებელი პირობის შემოწმებას შვილის გასანათლებლად მოწოდებული მშობელი არაფრად დაგიდევთ. ამგვარი უყურადღებობის გამოისობით კომერციული ტიპის ინდუსტრია. საბავშვო ლიტერატურის ხარჯზე არნახულ მოგებას იმკის. იქნებ ხმაც არ აგვემაღლებინა. სოკოებივით მომრავლებული კომერციული გამომცემლობები მოზარდი თაობის ზნეობაზეც რომ ზრუნავდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, საბაზრო კანონი საწინააღმდეგოს ღაღადებს. ყბადაღებული “ჰარი პოტერის” კვალდაკვალ იოლი გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი “მეზღაპრეები” ერთიმეორეზე მანიაკურ “ნაწარმოებებს” ქმნიან.

თანამედროვე ტექნოლოგიების უბოდიშო დემონსტრირების ფონზე მოზარდებს არჩევანის უფლება აღარ გააჩნიათ. თუ ახალი ტიპის ურჩხულად ნებაყოფლობით არ გადაკეთდა, "კეთილშობილური" განზრახვის ხორცშესასხმელად ბავშვს ახალგამომცხვარი მაგი "დაეხმარება". ტოტალური გაყალბების სენმა ახალი თაობისათვის განკუთვნილ სამყაროშიც შეაღწია.

ქრისტეს მოწოდება: "სასუფეველში ვერ შეაბიჯებთ, თუ ბავშვებად არ იქეცით," გაუკუღმართებულად არის გაგებული.

გამოუსწორებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ კომერციულ დატვირთვას, არამედ იდეოლოგიური პოზიციის შემუშავებას, როცა წინა პლანზე გადმოდის არა მხოლოდ სარფიანი ვაჭრობის, არამედ სწორი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების მოთხოვნილება. ვინც ამ საკითხის სერიოზულობას უგულებელყოფს, საერთო ვითარების გასაუმჯობესებლად ნამდვილად არ არის მოწოდებული.

90-იანი წლებიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრებულმა საყოველთაო უწესრიგობამ საგამომცემლო საქმეზეც უარყოფითი ასახვა ჰპოვა. სახელწიფოს მხარდაჭერის დაკარგვისთანავე უსახსროდ დარჩენილი საბავშვო გამომცემლობები ზედიზედ გაუქმდა.

სამაგიეროდ, კერძო გამომცემლობები მომრავლდნენ. მათ ახალი იდეოლოგიური კლიშე თავს უბოდიშოდ მოგვახვიეს. ეროვნულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებების ბეჭდვა შეწყდა. მამაპაპური ტრადიციებით ნასაზრდოები ზღაპრები "გონებაჩამორჩენილი" კონტიგენტის "საკუთრებად" გამოცხადდა.

ასეთ დროს პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული კულტურის შენარჩუნება მარტოოდენ ამა ქვეყნის ძლიერთა დაპირებებსა თუ გავლენიან ნაცნობთა მხარდაჭერის იმედად ასაზრდოო.

ჩვენში ხომ მხოლოდ კერძო ინტერესზე დაფუძნებული საქმე ამართლებს. ერთეულთა რიგები უმაგალითოდ არის შეთხელებული.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც საკუთარ თავზე იტვირთა საბავშვო ლიტერატურისთვის ოდინდელი ღირსება აღედგინა, მწერალი, გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბრეგაძე გახლავთ.

აკაკი ბრეგაძის ლიტერატურული მოღვაწეობა არც თუ მოკრძალებულ წვლილს ითვლის. იგი 40 წელზე მეტია ქართული წიგნის გამოცემას ემსახურება. მისი რედაქტორობით განხორციელდა ქართული პოეზიის ჩვიდმეტტომეულისა და ქართული მწერლობის ოცდაათტომეულის გამოცემა.

აკაკი ბრეგაძე თარგმანსაც ჯეროვან ყურადღებას უთმობს. ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, ინტენსიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა. ქართველი მკითხველი მისი დაუღალავი შრომისმოყვარეობის წყალობით არაერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს გაეცნო. აკაკი ბრეგაძემ პირველმა მოკიდა ხელი შვედი მწერლის ავგუსტ სტრინდბერგის პიესების თარგმანს; მან რუსულიდან ქართულად გადმოიღო დოსტოევსკის, ტოლსტოის, ბუნინისა და სხვათა თხზულებები, აგრეთვე პუშკინის სრული მხატვრული პროზა, ბორის პასტერნაკის გახმაურებული რომანი "ექიმი ჟივაგო". საზღვარგარეთელ ავტორთაგან შემოგვთავაზა ქენძაბურო ოეს: "დაგვიანებული ახალგაზრდობა", კობო აბეს "ქალი ქვიშაში", ალექსანდრე დიუმას, ჟორჟ ამადუსა და სხვათა რომანები.

ესოდენ სოლიდური ნუსხის შემდეგ ჩვენ ყურადღებას კიდევ ერთ სასიკეთო წამოწყებაზე გავამახვილებთ, რომელსაც აკაკი ბრეგაძე უყოყმანოდ ჩაუდგა სათავეში.

აღვნიშნეთ, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში წიგნის გამოცემა საგრძნობლად შეფერხდა. აკაკი ბრეგაძემ ოჯახის თანადგომით დამოუკიდებელი საბავშვო გაზეთი დაარსა. 1995 წელს მოზარდებმა პირველად იხილეს ახალი დამოუკიდებელი საბავშვო გაზეთი: "ციცინათელა". მან მართლაც გაბედული ნაბიჯი გადადგა, რადგან გაზეთის ღირებულების მინიმალური ფასი გამომცემელს მოგების ნაცვლად ფინანსურ დანახარჯს გაუზრდიდა.

პატარა მკითხველმა არაჩვეულებრივი სიხარული განიცადა. ბავშვების წახალისების მიზნით, "ციცინათელა" მოზარდთა შემოქმედებას დაუბრკოლებლად ბეჭდავს; გაზეთის ფურცლებზე სახელოვან წინაპართა და ცნობილ თანამედროვე მწერალთა გვერდით ნიჭიერი ყმაწვილების ზღაპრებსა და ნახატებსაც შეხვდებით. ოსტატურად შერჩეული რუბრიკის შინაარსი ბავშვის რეალურ სამყაროს ამდიდრებს.

"ციცინათელა" ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი გაზეთია. მას მოზრდილებიც სიამოვნებით ეცნობიან. გამოქვეყნებული წერილების მეშვეობით ბავშვი დამოუკიდებელ აზროვნებას ეჩვევა. შემეცნებას იღრმავებს და საკუთარი ქვეყნის ისტორიას შეისწავლის. აქ ლამაზად "შეფუთულ" მომაკვდინებელ ირონიას ვერსად წააწყდებით, რაც გამომცემლის გამოცდილებასა და პიროვნულ კეთილსინდისიერებაზე მიუთითებს. "ციცინათელა" ხელოვნების ყველა დარგს "პატრონობს" — რუბრიკას: "საუბრები ხელოვნებაზე" "სიტყვის მატეანე" და "ხატოვანი სიტყვა-თქმანი" ენაცვლება. მოკლედ, გაზეთი პროფესიონალიზმის საუკეთესო ნიმუშია. 2000 წლიდან აკაკი ბრეგაძემ კიდევ ერთ ღირშესანიშნავ გამოცემას დაუდო სათავე. მისი რედაქტორობით გამოდის პატრიოტულ-შემეცნებითი საბავშვო წიგნების სერია სახელწოდებით: "საკითხავნი ყმაწვილთათვის".

საბედნიეროდ, სანთელი საკმეველს არ კარგავს. დიდ საქმეს შეჭიდებული პიროვნება საზოგადოებას უნარს უღვივებს მასთან ერთად შეძლოს უმთავრესი — ახალ თაობას ბავშვობა ნაადრევად არ წაართვას. თაობას, რომელიც მალე მართვის სადავეებს გადაიბარებს. პუმანურ პრინციპებზე აღზრდილ კაცს მადლმოყრილი საქმის კეთება ნამდვილად არ გაუჭირდება.

აკაკი ბრეგაძის შემყურეს უნებურად ძველი ჩინური ანდაზა მახსენდება: "გიყვარდეს წიგნი მშობლებზე მეტად".

"საკითხავნი ყმაწვილთათვის" ცხადყოფს, რომ: "სამშობლო უმთავრესია". მწერალი არჩეულ გზას არც აქ ღალატობს.

სამშობლოს თემაზე შექმნილი ზღაპრების, მოთხრობებისა და პიესების არჩევისას კლასიკოსებსა თუ ნაკლებად აღიარებულ მწერლებთან ერთად სკოლის მოსწავლეების თხზულებებიცაა დაბეჭდილი.

აქ ურთიერთმონაცვლეობს არა გაკვალულ ბილიკზე მავალი კაცის, არამედ მოაზროვნე ადამიანის მიმართება სამყაროსთან — აღბეჭდო ის, რაც ნამდვილად ღირებულია და არა პროტექციით შერჩეული საეჭვო, თუმცა მომგებიანი მასალა.

აკაკი ბრეგაძე რთულ, მაგრამ სამართლიან გზას მიუყვება. იგი არავის არაფრით ავალდებულებს, მხოლოდ ერთს მოითხოვს: შესაფერისი მასალა დროულად მოაწოდონ.

ჩვენში ამგვარი ქმედება პარადოქსია: თითქმის დაუჯერებელია, რომ სადმე ლექსი ან მოთხრობა რეკომენდაციის გარეშე მიიტანო, არავინ დაგიმახინჯოს, არც უარით გაგაწბილოს, დაკვირვებით წაიკითხოს და შეუფერხებლად დაბეჭდოს, თან დასძინოს, რომ ამ დალოცვილი გამომცემლობის ადგილ-სამყოფელი სხვასაც მიასწავლო!

აკაკი ბრეგაძეს, ამ მუხლჩაუხრელ, პატიოსან პიროვნებასა და საზოგადო მოღვაწეს ეროვნული საქმის კეთება ნამდვილად გამოსდის. იგი არც ხმაურიანი აღიარების მოსურნეა და საკუთარ თავზეც ბევრს არაფერს საუბრობს.

ასეთი ტიპის საზოგადო მოღვაწე დღეს იშვიათობაა, ამიტომ არ შემეძლო ამის შესახებ არ დამეწერა; უფლება არ მქონდა ხელჩაქნეული საზოგადოებისათვის არ შემეხსენებინა, რომ მათ გვერდით ჩრდილში მოფუსფუსე დაუზარელი პიროვნება სასიკეთო საქმეს უხმაუროდ და დაუყვედრებლად აკეთებს. ჩვენთვის თუ არა, მომავალი თაობისათვის ბატონი აკაკი მისაბაძ მაგალითად იქცევა. მე სულმა წამძლია და შეძლებისდაგვარად ყველაფერი გიამბეთ, რადგან სანამ ქვეყნისთვის თავდადებულ პიროვნებას არქივიდან გააცოცხლებ, ვინც ჩვენ თვალწინ საქმიანობს, ამაგი მასაც არ უნდა დაუკარგო.

2006 წ. "რაეო"

პოეზია- სულიერების განაჩენი და სისპეტაკე

ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი

"პოეზია უპირველეს ყოვლისა"
გალაკტიონი

დღეს მოწოდებასავით ხშირად გაისმის, რომ ნამდვილი პოეზია თითქმის აღარ იქმნება. თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს თუ გადავხედავთ, დამაიმედებელი პროგნოზის გამოსატანად გამბედაობა გვიმტყუნებს. ნიაღვარივით წამლეკავ ლექსებს შორის ნამდვილ პოეტურ ნიმუშს მართლაც იშვიათად წააწყდები. პოეზიაზე მსჯელობისას უმეტესად ძველ მგოსანთა ნამუშაკევის გახსენებას ეთმობა ყურადღება.

ახალი საუკუნის წარმოჩენისას გარდასულ დროს იშველიებენ. ხსნას წარსულის გამოხმობით ელიან, რადგან თანამედროვე ეპოქამ პოეზია უძრავ საგნად, ისეთ ავტომატურ ხმად გარდაქმნა, რომელმაც ულტრამოდურ მობილურ ტელეფონში "ჩასამონტაჟებლად" საკმარისი ქულები ვერ დააგროვა.

სინამდვილეში სამყარომ რა ხანია პოეზია საომრად გამოიწვია. დროის დინამიკას გამოდევნებულმა ფეხმარდმა საზოგადოებამ რაღაც მანქანებით ნევრასთენიკთა რიტმი შეიმუშავა და თუ პოეზიას კვლავ კულტურის ავანგარდში ყოფნა ნებავს, დროა მსოფლიოს მოდურ ძრავად გააცნოს თავი. ჭეშმარიტი ხელოვნების გასათავისებლად ამგვარი "მანიფესტი" გამოუსადეგარ, თუმცა თანამედროვეობის შესატყვის მოწოდებად ჟღერს.

და აჰა, პოეტთა რიგში ჩასაწერად უამრავი სტერილური ხელოსანი მოექანება. მათ ნაცოდვილარს ბუნებრიობის არაფერი სცხია. სამაგიეროდ ამ შემოქმედებითი გულ-გრძნეულება ტექნიკური მიღწევებით ჩაანაცვლეს და ვაიექსპერიმენტულ ვაირეფორმატორული ცრუქიმერებით დაბნეულ მკითხველს ერთჯერადი, იაფფასიანი და უგემური შეჭამანდი შესთავაზეს.

სწორედ ამგვარ მედროვეთა დამსახურებაა, რომ პოეზიას თავისი მრევლი შემოაკლდა. ეგოცენტრიზმითა და გრაფომანიით დაავადებულმა უნიჭო, მაგრამ გავლენიანმა მოჭანჭიკეებმა მკითხველი პირწმინდად გაქურდეს. ათასგზის

ნაოპერაციევი პროდუქციის შესაღებაში მათ ბადალი არ მოეპოვებათ. მედროვეების ამოსავალი მუდამ კომერციული ჩარხის ასამოქმედებლად არის მიმართული. ამ სფეროში მათი ზეაქტიური ენერგია შესაშურად იხარჯება. გავლენიანთა დაუღალავი მცდელობით პლაგიატობა დაკანონდა. მოჭანჭიკე "ხელოვანები" დღენიადაგ თავიანთ "შედევრებს" უნანავებენ მკითხველს, თანამედროვე თემატიკის უპირატესობის მტკიცებით გულს უწყალებენ, რათა ვინმეს ხელი არ წაუცდეს და შემთხვევით წარსულის მემკვიდრეობას არ გაეცნოს.

ასეთი "არამკითხე მოამბე" მათთვის ლიტერატურული ტერორიზმის წარმომადგენლად მიიჩნევა.

ასე რომ, პოეზიის საზღვრები უკიდურესად შევიწროვდა. ზოგჯერ შიში მიპყრობს. ძველმოდური ავგაროზივით უსარგებლო ლექსი გულგრილობით ჩაჟანგებულ-დაგირავებულ მუზეუმებივით ერთ მშვენიერ დღეს არ გააუქმონ. რომ ჩავუკვირდეთ, მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის კვალდაკვალ პოეტური აზროვნების კატასტროფის შედეგსაც ვიმკით.

ძალ-ღონე აღარ მოგვდევს იმის გასარკვევად თუ რა განაპირობებს ამ საყოველთაო კრიზისს და რა შიდაგანაწესი დაედო საფუძვლად განსაზღვრებას, თითქოს პოეზიის დანიშნულება ამოიწურა. ამაზე დიდი მკრეხელობა წარმოუდგენელია; სანამ ხმელეთზე თუნდაც ერთი სრულფასოვანი პიროვნება იარსებებს, სიტყვის ლექსად გარდათქმის აუცილებლობას არასდროს გაუვა ყავლი.

ასეთ "აქსიომებს" უსულოთა კასტა აკოწიწებს. შეტევას ბრბო აწარმოებს. მისი აღქმის უნარი ნულს უტოლდება და შესაბამისად პოეზიას — ხელოვნების უმაღლესი კატეგორიის შესამეცნებლად არათუ ნიჭი, ავადსახსენებელი დრო და მალეფუჭებადი ნერვები აშკარად აღარ ჰყოფნის.

საკამათო ოდინდელი საკითხია: ჭიდილი მუდმივ ღირებულებასა და დროებით მოცალეობას შორის. პოეზია მუდმივად რთულ, ამაღლებულ სიდიდეს განასახიერებს, რაც ბრბოში შიშზე დაფუძნებულ გაუგებრობას აღძრავს. პოეზიის დევნილობას სიმართლისადმი მიდრეკილება განაპირობებს. ფასეული ლექსი ჭეშმარიტებასთან თანამყოფობაშია "მხილებული". თანამედროვე ადამიანს სიმართლე ხელს უშლის. იგი მოუმზადებელია იმისათვის, რომ სამყარო რაიმე კატეგორიის (მით უფრო ღირებულის) მიმართებისას გაიყოს. სიმართლე მას აიძულებს პიროვნულობამდე ამაღლდეს. იგი ამგვარ დაძაბულობას რა ხანია გადაეჩვია თუნდაც იმის გამო, რომ გამთლიანებულ სამყაროს სიზმრადაც ვეღარ ხედავს. ბრბოც მის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ბრბოკაცი ყველაფრის დანაწილებისა და დასახიჩრების მოსურნეა.

თანამედროვე კინემატოგრაფისა და თეატრის არსს თუ ჩავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ საყოველთაოდ აღიარებული მეტრები გამალებით რყვნიან წარსულს, ცდილობენ ყველაფერი ახალ მოთხოვნებს მოარგონ. კომპრაჩიკოსთა ამქარი თითქოს მთელ კაცობრიობას დაპატრონებია. კოლექტიურ პროდუქტად განტოტვილ ადამიანს მთლიანისა და განუყოფელის ცნებები სიკვდილზე მეტად აფრთხობს. საკუთარ სიღრმეში თითქოს შეუბღალავი ერთობის ძიება მის ძალას აღემატება. სწორედ სატანური სარკაზმია, როდესაც პოეზიის ყოფნა-არყოფნის ბედს სულით მრუშები წყვეტენ. ეს ჩვენი დროის ყველაზე ხელშესახები და უპატიებელი "უპირატესობა გახლავთ".

დროა, მასის ფილოსოფია ვიგემოთ. ბრბო არსით ქვეითია, თუმცა ერთობ ზეაღმავალ ამოცანებს აპროექტებს. ქვეითი ინსტინქტებით გადამწიფებული არსებები იდეით შეპყრობილ პიროვნებებს თავდაჯერებულად ამარცხებენ.

ვინც აზროვნებს, დაუნანებლად უნდა გავუსწორდეთ! უმრავლესობის ლოზუნგი ამ ისტერიულ ციებ-ცხელებას ეყრდნობა.

პოეზიის "დანაშაულებრივი სისუსტე" იმაში მდგომარეობს, რომ იგი პიროვნებას დაეძებს. ლექსი უპირველესად პიროვნებისადმი მიმართული განაცხადია. ხელოვანი მოაზროვნეს უნდა მიენდოს, რათა ღვთაებრივ წიაღში ჩასახული საიდუმლო მიწიერ სინამდვილეში გაიფილტროს და შენარჩუნდეს.

"დაუბრუნეთ პოეზიას დაკარგული ტახტი და თაყვანი მიაგეთ ენთუზიაზმს! შეარიგეთ პოეტი სიცოცხლეს და დაუთმეთ მას ასპარეზი!" ჯუზეპე მაძინის ამ პროტესტს, რომელიც თომას ჩესტერტონის მკვლელებისადმია მიმართული, ზიზღი კვებავს. იგი ცდილობს, რომ აპათიაში ჩაძირული ევროპული საზოგადოება, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, ისე შეანჯღრიოს. მაძინის მოწოდებას უნებლიედ, გრიგოლ ორბელიანის ცნობილ გამონათქვამს ვუდარებ: "მიეცი ნიჭსა გზა ფართო". თაყვანისცემა აზრთა დამთხვევა გამყინვარებულ გულებს ვეღარ გაალხობს. ნამდვილ ხელოვნებას, რომ იტყვიან, უკვე წირვა აქვს გამოყვანილი. ჭეშმარიტ შემოქმედებას უკვე ურცხვად ამჯობინეს კომერციულ გარიგებაზე დამყნობილი უნიჭობა.

გრიგოლ ორბელიანის მოგებული ბრძოლებიდან ეს ყველაზე რთული დამთრგუნველი, გადაუხდელი ომია, რომელსაც კეთილი ბოლო არ უჩანს. მგოსანს ავბედითი წინათგრძნობა გასაქანს არ აძლევს, თუმცა თავის გენიოს დისშვილს ვერაფრით ეხმარება. გამოუვალი ვითარება დაუსრულებელი მარცხის შეგრძნებას იწვევს. გაუნელებელი ტკივილის სადინარიც მისი სიღრმიდან მოედინება.

ჭაბუკი ჩესტერტონის სიკვდილი ევროპას მეცხრე ტალღასავით გადაუვლის და საყოველთაო უკმაყოფილების გამოხატულებად იქცევა.

ჭაბუკ ნიკოლოზ ბარათაშვილის ძალმომრეობრივი კვდომა კი საქართველოს ფარგლებს ვერ გასცდა. ჩესტერტონი ლონდონში, უკიდურესი გაჭირვებისას აღესრულა, ბარათაშვილი განჯაში ღვთისგან მივიწყებულ ადგილზე დაასამარეს. პუშკინი დუელს შეეწირა. ბაირონი თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა. იტალიაში საკუთარი ქვეყნის უიღბლობას დასტირის ჯაკომო ლეოპარდი.

გენიოსი პოეტები იხოცებიან.

ბარათაშვილი იმპერიის სამიზნედ ქმნილა. ამიტომაც უხმაუროდ დაფლეს მისი სხეული. რუსეთის ჟანდარმერიის ფხიზელ ყნოსვას ქვეყნიერების ჭიპის ახმაურება ხელს არ აძლევდა. მიყრუებული ალაგიც საგანგებოდ შეარჩიეს და შემზარავი მკვლელობა გეგმაზომიერ "გაუგებრობას" დაუმორჩილეს. საუკუნე გაივლის და განჯა კიდევ ერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა ქართველი მწერლის კოტე ხიმშიაშვილის ბედისწერად იქცევა. 1942 წლის შეთქმულებში ეჭვმიტანილს, სწორედ განჯაში დააკავებენ, ვინძლო, ხიმშიაშვილი ბარათაშვილივით გრძნობს, რომ დიდხანს სიცოცხლე აღარ უწერია. ამ მიკარგულ უპატრონო მხარეში გააცნობიერებს, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

განჯა გოლგოთას ემსგავსება.

ნიკოლოზ ბარათაშვილს არ აპატიეს, რომ პოეზია უზენაეს დანიშნულებად იწამა. უიღბლობის მიუხედავად, მას გულის სიღრმეში სწამდა, რასაც ამბობდა: "ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!"

იგი არ შეიწყნარეს, რადგან სინამდვილეში უკიდურესი პროტესტის მიუხედავად, გულში რწმენა უღვიოდა.

"გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელს მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს. და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად

ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზს! — სწერს გრიგოლ ორბელიანს 1843 წელს.

მას, როგორც ჭეშმარიტ გენიოსს, თავისუფალი ასპარეზი სწყურია, შესაძლოა, არა დაუბრკოლებელი ან ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ არც მუდმივი წვრილმანი ინტრიგებითა და ჭორით შერყვნილი სარბიელი იზიდავს.

მასში შემოქმედის ადამიანური სისუსტე მოუსყიდავ ტალანტს რომ არ გადაეწონა, იმპერატორის ნაბოძებ ჯილდოს კანცელარიის უჯრაში დაუდევრად არ მოაყუჩებდა. ყოვლისშემძლე ორდენით სარგებლობა კი არა, თუნდაც თავის მოწონებაც კი აზრადაც არ მოსვლია, რადგან გულიდან განფენილ სინათლეს იგი სხვა განზომილებაში ჰყავდა გადაყვანილი.

ახალი საუკუნე გულს აუქმებს და ამიტომ უჭირს ახალი ბარათაშვილის, ბაირონის, ლეოპარდისა და შელის შობა და წარმოქმნა. კაცობრიობას გადაგვარება დაემუქრა, როცა პოეზიას ქურუმობა წაართვა და მხოლოდ მატერიის მორიგი ჭანჭიკის ფუნქცია დააკისრა.

პოეზიის შარავანდედის შებღალვით სამყარო მოპარული ნივთივით გაიაფდა. მედროვეებმა დრო იხელთეს და "სალომეას" ბილწი ცეკვით ლექსის აღსასრული დააჩქარეს.

ამდენად, ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე ნამდვილი პოეზია თავმოკვეთილი ნათლისმცემელივით უსულოდ შეზრდია სამყაროს და ახალ მხსნელს ელოდება.

უპოეზიოდ მომავალი თაობები მოწინააღმდეგედ დაუდაფნავ სიკვდილს გამოიწვევენ. პიროვნებამ ხელახლა უნდა მოიპოვოს უფლება ღმერთს არა მხოლოდ მიწიერ, არამედ ღვთაებრივთან მიახლოებულ პოეტურ ენაზე გაესაუბროს.

ულექსოდ სამყაროს სრულყოფილების აღდგენის ცდა საბოლო მარცხისათვის არის განწირული. ყველაფრის მიუხედავად, სულს უკვდავება სწყურია, ამიტომ სადღაც დასალიერში კვლავ ხმიანდება:

"ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!"

2006 წელი

დაიბეჭდა გაზეთში "რაეო" №9, 2009 წელი

კულტურის და ცივილიზაციის გზაჯვარედინზე

კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართება ხელოვანის შემოქმედებაზე საჩოთიროდ აისახება.

უხერხულობა ხელოვანის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას იჩენს თავს. იგი იძულებულია ცივილიზაციის უახლესი სიკეთით "დროულად" ისარგებლოს და თავსმოხვეულ ტექნომიღწევებს ფეხი აუწყოს. თუ არადა "დრომოჭმული" კულტურისკენ აიღოს გეზი.

ტექნოპროდუქტად ქცევის "ხელოვნება" საგანგებო მსჯელობის საგანია.

ის, ვინც მოკავშირედ ცივილიზაციას ირჩევს, ნებით თუ უნებლიეთ კულტურის შემფერხებელთა სათავეში მოექცევა. შექმნილ ვითარებას თუ ჩავუკვირდებით, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სასიკეთოს არაფერს გვპირდება.

ცივილიზაციასა და კულტურას შორის ამოუვსები უფრსკულის გაღრმავება მსოფლიო კრიზისს იწვევს, რომლის დადგომასაც შორსმჭვრეტელი ადამიანები ჯერ კიდევ როდის წინასწარმეტყველებდნენ!

თანამედროვე შემოქმედისთვის ცივილიზაციას მიკედლებული ხელოვნება დაჭმუჭნული ქაღალდის ან მუზეუმის კუთხეში დაუდევრად მიგდებული კოკა-კოლას გადაჭრილი ბოთლის სიმბოლოდ დაიყვანება, რაც სინამდვილეში ადამიანური შესაძლებლობის (ნიჭის ხსენება აქ უადგილოა) უკიდურეს უსულობასა და სიღატაკეს აშიშვლებს.

იქ, სადაც ბოტიჩელის შედევრია დაბინავებული, პლასტიკატის გამოფენა უხერხულია, შეუსაბამო თუ არა.

ბოტიჩელთან ლეჟეს ნამუშევრებსაც თამამად ვერ ჩამოკიდებს ჭეშმარიტი ხელოვნების დამფასებელი, თუმცა ჩვენი საუკუნე კულტურის წიაღს ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი უპასუხისმგებლო ცინიზმით ეკიდება.

კულტურისა და ცივილიზაციის შეჯახების მსხვერპლია არქიმედე. პუნიკური ომის დროს იგი მშობლიურ ქალაქ სირაკუზას იცავდა. მან ალყაშემორტყმული ქალაქი ტექნიკის დახმარებით გაამაგრა და მტრის შემოტევას გაუძლო, თუმცა მეცნიერის მიერ გამოყენებული ტექნიკა თავდაცვითი ხასიათისა იყო, იგი ადამიანის ნიჭსა და რწმენას ფრთებს არ კვეცდა.

მორიგი შეტევისას, როცა სირაკუზა დაეცა, ქვიშაზე ფიგურების ხაზვით გართულ არქიმედეს რომაელი ლეგიონერის ტლანქმა შუბმა სიცოცხლე მოუსწრაფა.

ასე დასრულდა ნამდვილი ევრიკა. საკითხავია, ცივილიზაციამ ამით რა მოიგო? მისი არეალის გავრცელების პარალელურად არქიმედეში (ე. ი. პიროვნებაში) გამოხატული უმაღლესი კულტურა მსოფლიო გადანაწილების სტიქიურ, სისხლიან ბრძოლას შეეწირა. სამწუხაროდ, კაცობრიობამ თავისი განვითარების გზაზე მისაღებ ფორმად ცივილიზაცია აირჩია, ხელისშემშლელ მიზეზად კი კულტურა დასახა, რადგან კულტურა სტიქიურ გადაადგილებასა და გაუაზრებელ ნგრევას მნიშვნელოვნად აფერხებს იგი მშვიდობისმოყვარეობას აღვივებს. მოაზროვნე ადამიანის კულტს ქმნის, ვინც ტექნოპროცესს — უმაღლესი ძალაუფლების მოპოვებას არ ექვემდებარება.

მომდევნო ეპოქა კულტურასა და ცივილიზაციას შორის გამართულ ომს უფრო გაამწვავებს, ვინაიდან ადამიანის ლტოლვა ტექნიკისადმი უკიდურესად მზარდია. თვითკმაყოფილების სიმბოლოდ ქცეული ადამიანური გონი კულტურასა და ცივილიზაციას ურთიერთგამომრიცხავ სიდიდეებად წარმოადგენს. მათი მორიგება შეუძლებელია, თუმცა კულტურის გარეშე დარჩენილი ცივილიზაცია თვით ყველაზე უდაბლეს საფეხურზეც ვერ იარსებებს.

სადამდე გასტანს ეს უხერხული დაპირისპირება?

კაცობრიობა საბედისწერო არჩევნის წინაშე დგას და აქ მხოლოდ გემოვნების მიხედვით მარჩიელობა სახიფათოა უმთავრესი უდავოდ გამოიკვეთა: ადამიანი ვეღარაფერს და ვერავის მოიტოვებს უკან, რადგან ცივილიზაციისა და კულტურის გზაჯვარედინზე მანამდე უცნობი ძალა — ტექნოკრატიული სიცარიელე აღმართულა.

სიცარიელე, რომელიც სულიერებისგან დაცლილმა ადამიანებმა მრავალგანსაცდელგამოვლილ კაცობრიობას მოახვიეს თავს.

2006 წელი

ნიკო სამადაშვილის ხორკლიანი სინათლე

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში სიტყვა სიჩუმის ანატომიას ეწინააღმდეგება. ტრაგიკულ საბურველში გახვეული განცდა ბობოქრობს, შორეული პლანეტებისკენ გვიხმობს და ზესკნელიდან ამოხეთქილი თავდავიწყებისკენ გვიბიძგებს.

პოეტის ლექსებიდან გადმოღვრილი ფერი წარმოსახვაში ალმაცერ ანარეკლად გარდაისახება.

ისეთი შეგრძნება გიპყრობს თითქოს, სტიქსის ტალღებს მინებებული ებრძვი ყოფიერებას, იქ გადადიხარ, სადაც ხილულისა და უხილავის საზღვარი სულიდან ამომსკდარ ამბოხს ეწირება.

შორს, ფასკუნჯივით იშვიათი შეფერილობის სივრცე ილანდება, სიტყვიერი პლასტიკა ხორკლს გადაიკრავს.

ეს ნიკო სამადაშვილის სამკვიდროა. მისი ლექსი მკითხველისგან მუდმივ დაძაბულობას მოითხოვს, აიძულებს მანამდე დაულაშქრავ სიმაღლეს მიაპყროს ყურადღება, უსწორმასწოროდ ნაშენ სტრიქონებს ადვილად ვერ მოიშინაურებ, ადვილად ვერ მოირგებ, მით უმეტეს ვერ გადააკეთებ.

დაუსრულებელი კატაკლიზმების მაუწყებელი შემოქმედი ერთგან ამბობს:

“დავიღუპები, ისე როგორც შეჰფერის ოხერს,
 მუხის კივილი ზარდამცემი წავა-წამოვა,
საუკუნეებს მაცხოვარი გაჰყვება მეხრედ,
საუკუნეებს დასაბამი რომ მოაძოვა.”

იგი საკუთარ დასაბამს მუხის კივილთან აიგივებს.

მუხა -ძველქართულ ცნობიერებაში სიბრძნისა და სიძლიერის საწყისი, ნიკო სამადაშვილთან დაუფარავი ტრაგედიის ექოდ ასოცირდება. პოეტის მეხსიერებას მუხა შემოუნახავს, როგორც ოქროს საწმისის შენარჩუნების მარადიული სიმბოლო.

მას შემდეგ ათასწლეულთა წყება ჩაივლის და ნიკო სამადაშვილი თვალში საცემი გულახდილობით დაიტირებს სიბნელეში ჩანთქმულ სამყაროს, იგლოვებს უღვთოდ გაძარცულ მუხას, მთვარის ბულულს. რაც თავი ახსოვს, მონატრებულ შუქს დაეძებს, ლექსთან ჭიდილისას ამირანს ემსგავსება, მასში ერთდროულად თანამყოფობს ტიტანი, რომელიც უზენაესს არ ცნობს, წარმართ ღვთაებებს უჯანყდება და კაცი, ვინც თავის მოდგმას ქაოსის დასამარცხებლად ღმერთებისგან მოპარულ სინათლეს უზიარებს.

“რა ექნა, იყო ქვა თუ ზეკაცი,
 ვისთვისაც ზეცა დაპატარავდა.
ვისაც არ ჰქონდა სარკმელი მზისკენ
და რიჟრაჟებში შუქს იპარავდა.”

ნიკო სამადაშვილს სამყაროს ამგვარი ხედვა ასაზრდოებს. იგი რთული ქვეტექსტების მატარებელი შემოქმედია, სათქმელის გამჭვირვალება არ მოსდგამს, წინააღმდეგობრივ ფერთა ხატებებს დაუღალავად ძერწავს. მოულოდნელი სახეებით აღსავსე სტრიქონებში ჰადესისა და კოსმოსის უთანასწორო თანაარსებობას ამკვიდრებს.

სამადაშვილის ლექსთან მიმართებაში აზრი ყურს ეხამუშება, სტერეოტიპი ბათილდება, გაცვეთილ ეპითეტად აღიქმება დასკვნა, რომ ნიკო მხოლოდ გენიოსია, ტიტანი. იგი გაცილებით იდუმალ ზედწოდებას იმსახურებს, რომლის შესატყვისი

საყდრის ჩიტად გარდასახული მგოსნის უღრმესი შრეებიდან უნდა ამოვზიდოთ. დაფარულის ამოკითხვა მუდამ განსაკუთრებულ ძალისხმევას გულისხმობს. საკრალურის გასათავისებლად დაუცხრომელი მზაობა აუცილებელია.

მისი ლექსი გაუცხოებულ ფორიაქს აღძრავს. ბოსხისეულ ფერთა გამა თვალისმომჭრელად ლივლივებს. ყოველგვარ პირობითობისგან თავდახსნილ პოეტს უხერხულია აღმატებითი ხარისხი მიუსადაგო, თუმცა "მარადისობის ჭუჭრუტანიდან" გამომსხლტარი სინათლე ცხადყოფს, რომ ნიკო სამადაშვილის ჟამმა ჩამორეკა.

უნაპირო თვითგვემით შეპყრობილი გენიოსი ჩვენსკენ მოემართება. დაუსრულებელი უკმაყოფილების განცდა საყოველთაოდ გაბატონებულ უღმერთობაზე არანაკლებ თრგუნავს. ამავე დროს თავისივე ბუნება აშინებს. შეუმცდარად გრძნობს, რომ სიყალბის სასარგებლოდ მისხალ თავისთავადობასაც ვერ დათმობს. ღვთაებებთან უშეღავათო ჭიდილისას მოპოვებული ცეცხლით მოემართება მკითხველისკენ, დროულ აღიარებასა და დაფასებას მოკლებული უკანასკნელი ქრისტიანი გაუგებრობის ჯვებირს მოანგრევს. გაუმართლებელ გაუცხოებას გაურბის, რომელიც აიძულებს, სამშობლოს დედინაცვლობა უკიჟინოს.

ვერაფრით გაუგია, მისგან რატომ მოითხოვენ მრავალთა მწირი წარმოსახვა მოაწესრიგოს, ამა ქვეყნის ძლიერთა დაკვეთით იმუშაოს, მედროვებს ხარკი უხადოს.

იგი განსხვავებულ კაცად დაიბადა და გატკეპნილ გზაზე სიარულს ვერავინ აიძულებდა.

ამიტომაც ყველასგან უმოწყალოდ დევნილია. მის მიერ ლექსად გარდაქმნილი სინათლე მამაზეციერის უხილავი ძალმოსილებასავით თრგუნავს გარშემომყოფთ. შინაგანი უარყოფის ტვიფარი მას პიროვნულად დასტყობია.

სამადაშვილის ლექსი მზამზარეულ სიამოვნებას არ განიჭებს, პირიქით, ჰაეროვანი ოცნებების ნაცვლად პირველცოდვის მარადიულ სიმძიმესთან მიგვაახლებს. განსჯის მეტად გულიდან ამოფრქვეულ ლავას უმორჩილებს იდუმალებით მოსილ სულს.

ავადმყოფობად მონათლული ლექსი ყრუ მესაფლავესავით ოხრავს და ამავდროულად ბრძოლის ჟინითაა დამუხტული. ლექსად გარდაქმნილი ბედისწერა თვლემს პოეტურ ნაკრძალში, ნიკო სამადაშვილის საუფლო რომ ჰქვია.

აქ ადვილად ვერავინ შეაბიჯებს, ნასესხები ცნობისმოყვარეობითა და სულწასულობით აღჭურვილი ადამიანები სათავისოს ვერაფერს ჰპოვებენ.

ნიკო სამადაშვილს დღენიადაგ აწამებდა განცდა, რომ ნასესხები სიცოცხლით სულდგმულობდა. სიცოცხლე, რომელიც ღვთისგან არ უთხოვია. იქნებ სულაც ლექსებისგან ნასესხები მარადიულობით ედგა სული?

ვინ იცის...

2007წ.

მართლმადიდებლობა და სექტანტიზმის პრობლემა

საბჭოთა იმპერიის დაშლისთანავე შვებით ამოვისუნთქეთ, ეჭვი აღარავის ეპარებოდა რომ უღმერთობის 70 წლიანი ხანა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მალე სოკოებივით მომრავლებული სექტების ტალღამ წაგვლეკა. შეუიარაღებელი თვალისთვისაც აშკარაა, რომ ახალი ეპოქის დამდეგს ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ არანაკლები ძალით გაჩაღდა. მსოფლიოში კულტურის კრიზისს ზედ რელიგიურიც დაერთო. მარადიული ფასეულობის დევალვაციის ფონზე მართლმადიდებლობა დევნა-შევიწროების სამიზნედ შემთხვევით როდი აირჩიეს.

თანამედროვე სამყარო ახალი მოდგმის ჩამოყალიბებაზე აცხადებს პრეტენზიას. აქედან გამომდინარე ზნეობაზე დაფუძნებული ქრისტიანობა მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამ ნიადაგზე წარმოქმნილი უძველესი პრობლემა დღეს იჩენს თავს. მაგალითისთვის ისტორიას ჩავუღრმავდეთ. 767-779 წლებში არაბთა ბატონობისას საქართველოს კათალიკოსმა შიომღვიმის მონასტერში შეუმოწმებლად აზიარა მასთან ძღვენით მისული უცხოები, რომლებიც იაკობიტელთა მწვალებლობის მიმდევრები გამოდგნენ. სარმეანს ძილში ეუწყა სიმართლე. გაღვიძებისთანავე მან გარს შემოიკრიბა ეპისკოპოსები, ყველაფერი გაამჟღავნა და სექტანტთა ძღვენი საჯაროდ დაწვა.

ღმერთმა მონანიე კათალიკოსს უნებლიე შეცოდება შეუნდო "მიუტევა ღმერთმან სარმეანეს კათალიკოზსა ბრალნი მისნი და აწ შეუორგულებლად მიიყვანენ მწყემსი თქუენი".

ქართულმა ეკლესიამ სარმეან კათალიკოსი დაუცხრომელი ღვაწლის გამო წმინდანად შერაცხა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სარმენ კათალიკოსი თანაბრად უფრთხოდა ყველა მიმდინარეობის მწვალებლებს. დაუძინებელ მტრებად მიაჩნდა ქრისტიანობის შემრყვნელნი, რომლებიც ნებისმიერ ეპოქაში მორწმუნეთა გადასაბირებლად ძღვენსა და ძალაუფლებას იყენებდნენ.

დღეს გაუკუღმართებული მსოფლმხედველობის გამო რომელიმე სექტის ხელაღებით გაკრიტიკება საერთაშორისო უფლების დარღვევათა ბრალდებად ცხადდება.

ამ ურთულესი პრობლემის ანალიზისას მღვდელმონაზონი სერაფიმე როუზი ნაშრომში: მართლმადიდებლობა და მომავლის რელიგია" დაუფარავად გვამცნობს: "დღეს ჩვენ ეკუმენიზმის სწრაფი და საყოველთაო განვითარების მოწმენი ვართ. ჩვენი საუკუნე სულიერი მერყეობის საუკუნეა. სხვა რელიგიების წარმომადგენელთათვის. უცნობი რჩება რომ სწორედ მართლმადიდებელი ეკლესიაა ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია და ყველა მის წიაღში უნდა იყოს მოწოდებული"

ეს სიტყვები გაფრთხილებად ჩაგვესმის, განგაშად, რომელიც ანტიქრისტეს მოახლოების ჟამს გვამცნობს. თუჯინ როუზმა სანამ მართლმადიდებლობას აღიარებდა, საკუთარი მრწამსი არაერთგზის გამოსცადა. მან საგანგებოდ შეისწავლა აღმოსავლურ რელიგიათა ნაირსახეობა და თითეულ მათგანზე დაკვირვებისა და

შეჯერების საფუძველზე დააგინა, რომ გულიდან მომდინარე რწმენის სიყვარულს მხოლოდ მართლმადიდებლობა გვინერგავს.

როუზი რელიგიურად გაუთვითცნობიერებელი ადამიანების ჩათრევის საფრთხეზე მსჯელობს და დამაჯერებლად განმარტავს რომ მოდური მიმდინარეობებითგან ჰარი კრიშნას, ტანტრიზმისა და ამო-ს ფენომენის გაძლიერებას სწორედ ეს გარემოება განაპირობებს. ავტორი გულახდილად აღიარებს რომ ამ მიმდინარეობებმა ამერიკა მოიცვა და სადინარი სხვა ქვეყნებშიც ჰპოვა.

1975 წელს შექმნილ წიგნს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. პირიქით, როუზის მიერ წამოჭრილი პრობლემები ღრმავდება და უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევათა გამოყენებით უფრო საგანგაშო მოვლენად გარდაისახება. ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავ რელიგიათა შერწყმა ადამიანს სწორი არჩევნის საშუალებას უსპობს. სამწუხაროდ, ეს სენი ჩვენც შემოგვეპარა.

საქართველო, უძველესი და უმდიდრესი მართლმადიდებლური ტრადიციების ქვეყანა საბრძოლველად თუ არ მოემზადა, თვითმყოფადობას დაკარგავს. არადა, ქართული ეკლესიის დანიშნულება განუზომელია არა მხოლოდ ჩვენს არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ქართული საეკლესიო კერების სიმრავლე ცოცხალი მტკიცებულებაა ქრისტიანობისთვის თავდადებულ მოღვაწეთა გარჯისა. იმ დაუცხრომელი ძალისმევისა, რომლის მეოხებიტაც ქართულმა კულტურამ მრავალსაუკუნოვან ექსპანსიას გაუძლო.

ათასწლეულთა მანძილზე ქართველს სხვადასხვა რჯულს ხალხთან უხდებოდა ურთიერთობა, თუმცა ეს არ ავალდებულებდა მამა-პაპური სარწმუნოება დაეთმო. პირიქით, უდიდესი ქართველი მოღვაწეები მუდამ მართლმადიდებლობის განვრცობასა და გაძლიერებაზე ზრუნავდნენ. თუნდაც ის უნიკალური ფაქტი რად ღირს რომ ჩვენში ხატმებრძოლეობას და შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ ინკვიზიციას არ შემოუღწევია.

მაშინ როდესაც იტალიაში აღორძინება იკიდებდა ფეხს რელიგიური “თავდაცვის” საბაბით სავონაროლამ არაერთი ტიტანის შედევრი ცეცხლს მისცა.

საქართველოში ამგვარი რამ არასდროს მომხდარა. ეს უძველესი ერისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. როუზი ყველას სიფხიზლისკენ მოუწოდებს და მწვალებლობის არსის ახსნისას არაერთ ცნობილ მოღვაწეს ამხელს.

მღვდელმონაზონი ნიკოლოზ ბერდიაევის დახასიათებისას როუზი ამბობს რომ “ბერდიაევი ზემოდან უყურებდა მართლმადიდებელ მამებს. არსებითად, მტელ “კონსერვატორულ” ქრისტიანობას, რომელიც ადამიანის სულიერ ძალებს მხოლოდ სინანულისა და ცხონებისაკენ მიმართავს”.

ფილოსოფოსის მიერ აღწერილი “მომავლის რელიგია” მართლმადიდებლობის არსს უპირისპირდება და მწვალებელთა წისქვილზე ასხამს წყალს. როუზი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად წმინდა მამების ცხოვრებას ეყრდნობა.

უნებლიედ მახსენდება შტეფან ცვაიგის ღირშესანიშნავი ბიოგრაფიული რომანი: “ლევ ტოლსტოი”. ცვაიგი სახელგანთქმულ მწერალს ხელოვნურ ქრისტიანს უწოდებს. ტოლსტოისთვის დამახასიათებელი სულწასულობა უამრავ თანამედროვე ადამიანს ტან სდევს. ასეთი ყაიდის კაცი “რწმენას ითხოვს, ახლავე უნდა მიიღოს, ერთბაშად, მზამზარეული და ხელში მოსამარჯვებელი ნაჯახივით, რომ სულ ერთიანად აჩეხოს ეჭვების ტევრი. მაგრამ ასე “ჰაიჰარად სად მოიძევ რწმენას, თუ შენ თვითონ არ გაქვს გულში დაფლული მისი თესლი?”— რიტორიკულ კითხვას სვამს ცვაიგი. ტოლსტოის გენიისადმი პატივისცემა ხელს არ უშლის დიდი ხელოვანის

ურწმუნობის მიზეზი გამოააშკარაოს, თავი და თავი სულწასულობაა, ასე რომ, გაგვჯდომია ძვალსა და რბილში.

ამგვარი არაჯანსაღი დამოკიდებულება რქმენასთან გვაიძულებს ქრისტიანობის ერთგვარი "შერბილების" დამკვირვებლის სტატუსით აღვიქვათ რაც საბედისწერო შეცდომად მოისაზრება.

სხვადასხვა რელიგიის "დასამოყვრებლად" სასურველი დიალოგი არასდროს შედგება. ქრისტიანული "დოგმის" უარყოფით ახალი დოგმა ყალიბდება.

როუზი გვიჩვენებს, რომ ინდუიზმი სწორედ ამგვარი მეთოდით ებრძვის ქრისტიანობას.

"ცოტა ვინმე თუ ხვდება, რომ სწორედ ის ძალა, რომელიც ქრისტიანულ დოგმატების უარყოფას ცდილობს, სხვა არაფერია თუ არა საპირისპირო დოგმატური სისტემა და ამ ორი სისტემის შერწყმა ან "ურთიერთგამდიდრება" შეუძლებელია რადგან ისინი ერთანეთისათვის სრულიად შეუთავსებელნი არიან.

სერაფიმე როუზი არაფერს აჭარბებს, რადგან ვინც სვამი ვივეკანანდას ნაშრომს იცნობს, იქ თეთრით შავზე წრია: რაც ქრისტიანისთვის ბოროტება და უკეთურებაა, ინდუისტისთვის პირიქით. სიკეთეა.

ქრისტიანული სამყაროსთვის ამპარტავნება მომაკვდინებელი ცოდვაა. ინდუისტისთვის ეს ტვისება თვითგამოხატვის საუკეთესო გამოვლენაა.

როუზი თავის ნაშრომში არ განიხილავს XIX საუკუნის ცნობილი რუსი ფილოსოფოსის: ვლადიმირ სოლოვიოვის "მოკლე თხზულებას ანტიქრისტეს შესახებ. სოლოვიოვი თავის უშუალო მოვალეობად მიიჩნევს საზოგადოება ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართულ შეტევისაგან დაიცვას .

სამწუხაროდ საგულისხმო დაკვირვებისა და შეფასების მიუხედავად, ეს მოაზროვნე საყოველთაო ცდომილებაც ემსხვერპლა და უნებლიეთ ეკუმენიზმისკენ გადაიხარა.

ცხადია, ჩვეულებრივი ადამიანისთვის გაცილებით რთულია ჭეშმარიტი სარწმუნოების შემეცნება თუ მას რწმენა არ უმაგრებს ზურგს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რომ სულწასულობა და ამპარტავნება აგრეთვე ახალ საეჭვო "წინასწარმეტყველთა შრომების" ზეგავლენა თანამედროვე ადამიანს სექტანტურ ლაბირინთში იტრევს.

ბუნებრივია, გამოსავლი უნდა მოიძებნოს. სერაფიმ როუზის რჩევა ამჯერადაც მართებულია:

მართლმადიდებლობისგან განდგომილმა საზოგადოებამ ქრისტიანულ წიაღს ხელახლა უნდა მიაშუროს. საამისო მაგალითად ნამდვილ ამბავს მოიხმობს, რომელიც ახალმოწამე არქიმანდრიტ ნიკოლოზ დრობიაზგინს შეემთხვა. თავბრუდამხვევი კარიერის ზენიტში მყოფი დრობიაზგინი წმ. სერაფიმე საროველის შემწეობით უეჭველ სიკვდილს გადაურჩა, ბერად აღიკვეცა და უფლის ნებით ინდოელი ფაკირის დამარცხებაც შეძლო.

წიგნის ამ მონაკვეთს აუღელვებლად ვერავინ წაიკითხავს. მართლმადიდებელი ბერისა და ინდუისტი ფაკირის შერკინება თვალების მეშვეობით განხორციელდება.

დრობიაზგინის გულმხურვალე ლოცვამ ნაყოფი გამოიღო და ფაკირის ილუზორული სანახაობა გააბათილა. ძალაგამოცლილი ჯადოსანი მიხვდა, რომ მართლმადიდებელი ბერის წინააღმდეგ ე.წ. მისტიკურ ფანდს ვერ გამოიყენებდა. სპირიტული სეანსებისა და ჰიპნოზის მოძალების ჟამს ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანში სატანური საწყისის სრულ განხორციელებას. ერთს

დავძენთ, სერაფიმ როუზი მართლმადიდებლობას ამერიკაში ემიგრირებული რუსების მიერ ეზიარა.

როგორც ჩანს, მას ქართულ მართლმადიდებლობაზე ხელი არ მიუწვდებოდა, თორემ გრიგოლ ხანძთელის სასწაული უთუოდ გააოგნებდა. გრიგოლის შესაჩერებლად უღირსი ადამიანი გამონახეს და მის მიერ აგებული ტაძრების დანგრევა დაავალეს. დიდმა მოწამემ მხურვალედ ილოცა, უფალს ტაო-კლარჯეთში აშენებული ეკლესია-მონასტრები შეავედრა, ლოცვის დასრულებისთანვე შეატყობინეს, რომ უღირსმა მტერმა სული ეშმაკს მიაბარა.

ქართულ საეკლესიო ისტორიას უამრავი სასწაული აღუწერია და აღუბეჭდავს.

სერაფიმე როუზს ქართული მართლმადიდებლობის ღვაწლის შესახებ რომ რაიმე სმენოდა, მსოფლიოში მხოლოდ რუსულ მართლმადიდებლობის უპირატესობაზე აღარ იქადაგებდა.

სამწუხაროდ რუსეთის მიერ 106 წლით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ უმძიმესი შედეგი გამოიღო, რომელსაც დღესაც ვიმკით.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა და ერის ღირსეული თანამოაზრეების ზალისხმევით შედეგად დროთა განმავლობაში ქართული ეკლესია ძველ უფლებებსა და გავლენას აღიდგენს.

ქრისტესთვის ჯვარცმული საქართველო ადრე თუ გვიან მართლმადიდებლურ სამყაროში კუთვნილ ადგილს აუცილებლად დაიბრუნებს. მთავარი ღვთის რწმენას არ ვუღალატოთ და ჭეშმარიტი მრწამსი გულით შევიმეცნოთ.

2006წ.
გაზეთი "რაეო" 2008 წ.

ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!
(ჯემალ მეხრიშვილის: "გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?)

ხელში ჩამივარდა მწერალ ჯემალ მეხრიშვილის წიგნი: "გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?" საყოველთაო აგრესიის მუეხედავად, სათაური მეხამუშა, ესთეტიკური თვალსაზრისით შეუფერებლად მივიჩნიე საბედნიეროდ, წასაკითხი წიგნის გვერდზე გადადება არ მახასიათებს, გადავფურცლე, ნაწერს ჩავუღრმავდი და ზედაპირული შთაბეჭდილებების სიმცდარე უმალ გავაცნობიერე.

რა დასამალია, თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკასაც ისევე უჭირს, როგორც ჩვენს არშემდგარ სახელმწიფოს. ვისაც თვითდამკვიდრება სწყურია, "მომგებიანი" შეკვეთებით სულდგმულობს. მოკრძალებული მკითხველისთვისაც აშკარაა, რომ ჩვენში სამართლიანი კრიტიკა თვითმკვლელობის ტოლფასია. რა გასაკვირია, მორიგი წიგნის ხილვისას ტრადიციული ეჭვი არ გამჩენოდა.

ქართული კრიტიკული აზროვნების რაობაზე ჩემამდეც არაერთგზის დაწერილა და მომავალშიც აუცილებლად დაიწერება, მთავარი შედეგია. საჭირბოროტო საკითხების აღძვრა არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას სრულებითაც არ

ნიშნავს. ხშირად ის, ვინც სამართლიანობის აღსადგენად ხალხს მოუწოდებს, სინამდვილეში საპირისპიროს ამკვიდრებს. იმას ემსახურება, რაც თითქოსდა სიტყვას აბათილებს.

ესეც ნაცადი ხერხია და საზოგადოებაში ორმაგი სტანდარტის არსებობაზე მიუთითებს.

რადგან ილიასეული მამხილებელი ხელწერა საშვილიშვილოდ გამოვიტირეთ, გავლენიანი ნაცნობებით "დაკომპლექტებულ" ლიტერატურულ გარემოს სიმართლეს ვინმე იშვიათად თუ შებედავს. დაუწერელი კანონია: ვინც უსამართლობის წინააღმდეგ დროულად ხმას აღიმაღლებს, ცოცხლად დაიმარხება. ნიკოლოზ ბარათაშვილის მოწოდება: "არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსაგვსოს..." უკუღმა გაიგეს.

განუკითხაობის გამო გოდებასაც ყავლი გაუვიდა. ქილიკს მეტი გასავალი აქვს. მოთმინებაგალეული მკითხველი იტყვის: ბრძოლის ჟინი, გამოსავალის ძიება? თანამედროვე მწერალს უფლება ჩამოართვეს დაბეჩავებულ ერს გამოექომაგოს. საიდანღაც დაუკითხავად მოწვეულმა დაქირავებულმა ადამიანებმა სასტიკად აუკრძალეს საკუთარი კულტურის დაცვა, საბრძოლო რელიკვიები სამარცხვინო, დრომოჭმულ პათეტიკადაა მონათლული.

ჯემალ მეხრიშვილმა სწორედ ამ დაუოკებელი ბრძოლისუნარიანობით აღმაფრთოვანა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხანია ესოდენ პირუთვნელი კრიტიკით არავის გავუნებივრებივართ.

მწერლის არჩევანმა მაგრძნობინა, რომ უკანასკნელ მოჰიკანად არ დავბადებულვარ, რომ ჯერ კიდევ არსებობენ თავმოყვარე, ღირსებაშენარჩუნებული, ეროვნული თვალთახედვის მწერლები, ვისაც გარეშე ძალა ვერ მოისყიდის. ჯერაც არ გადაშენებულან სამშობლოსა და ენაზე უანგაროდ შეყვარებული მოღვაწენი, ნიჭს ცრუგანდიდებას რომ არ ანაცვალებენ.

წიგნის სათაური სრულად გავიაზრე. ვაჟას პოემიდან ამონარიდი სტრიქონი ვისთვის მუქარა, ვისთვის შეულამაზებელი სიმართლე თვალს და ხელშუა ხორცს ისხამდა.

ავტორი ქართული მწერლობის ავ-კარგს საფუძვლიანად უკირკიტებს, თითოეულ სიტყვას წონის, დაუსაბუთებლად არაფერს ამტკიცებს, უსაფუძვლოდაც არაფერს მოითხოვს.

ჯემალ მეხრიშვილის მრწამსი გამოკვეთილია: "ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!". იგი დიდი წინაპრის გზას შესდგომია. გულისნადებს დაუფარავად ამჟღავნებს.

ქართული კულტურის ბედზე გული შესტკივა, წლობით დაგროვილი ნაკლოვანებების გამოსწორება სწადია, არსებული ვითარებიდან დაძაბული დაეძებს გამოსავალს. მიუკერძოებლად აანალიზებს ქართულ მწერლობას რა უფრო წაადგება: სოცრეალიზმს ჩანაცვლებული ჟარგონი თუ ენის ამოუწურავ შესაძლებლობათა ათვისება-განახლება. ამასობაში მავანი გვიკიჟინებს, რომ მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა წარსულს ჩაბარდა. ქართული ხასიათის მიკერძოებამ განსაკუთრებით ამ კუთხით იჩინა თავი: ყველა სათავისო ენას "ქმნის", ცდილობს დამახინჯებული ხელწერა შემოგვატყუოს, რაღაცას ნაჩქარევად და უვიცად აკოწიწებს. ენის ფლობა კერძო ჯიხურის წამოჭიმვას გაუთანაბრდა: ვისაც არ ეზარება ორთოგრაფიული შეცდომებით აჭრელებულ აბრას გამოაკრავს. მავანს უფლება აქვს სხვისი საკუთრება დაიჩემოს.

ამასობაში უპატრონოდ დარჩენილ ენას საეჭვო ღირსების დილეტანტი დაუნდობლად რყვნის. ყველამ იცის, მაგრამ ხმამაღლა არავინ აღიარებს, რომ ქართული ენა ისაკიჩ მეჯღანუაშვილებმა იგდეს ხელთ.

მწერალი უმთავრესად ამ სატკივარს დასტრიალებს. აქვე გაგანდობთ, ავტორს პირადად არ ვიცნობ, თუმცა მის სამართლიანობაში ეჭვი არ მეპარება, რადგან გაბედა და სადღეისოდ პოპულარული ხელოვნური "სპეცეფექტებით" გაკეთებული ადამიანები სააშკარაოზე გამოიყვანა, უსაფუძვლოდ აღზევებული პირები პატიოსან ბრძოლაში გამოიწვია, მიზნად დაისახა მათ ნაწერს ჩაღრმავებოდა და დაუმსახურებლად მიკუთვნებული გვირგვინები უყოყმანოდ ჩამოერთმია. ამ ყაიდის ფსევდოხელოვანთა რევიზიის ჟამმაც მოაწია. მედროვეები სიმაღლეს ისე ბინძურად ეპოტინებიან, მიცვალებულსაც ევსება მოთბინების ფიალა.

მათ მიერ ამოჩემებული გამოთქმა "რევიზია" აკრძალული ხილივითაა, უმწიფარს კაცი თუ იგემებს, მოუბრუნებლად მოიწამლება.

ავტორის პასუხისმგებლობა ერთიანად გიპყრობს. იგი ყოვლისშემძლე რედაქციებისა და გამომცემლობების არსს ამზეურებს. საეჭვო ღირებულებისა და ხარისხის კვალდაკვალ გვიმხელს სიმართლეს, რომლის გემოც სწავლის ძირზეც მწარეა. იგი ყბადაღებული ლიტერატურული რედაქციის: "კვირის პალიტრის" დილეტანტი ხელმძღვანელისა და თანამშრომლების საქმიანობას ააშკარავებს. შეკვეთილ მასალებზე მონადირე რედაქცია ყოველდღიურად იზრდება, რაც ლიტერატურას კომერციულ ბაზრად გადაქცევის საფრთხეს უქმნის.

ცოდვა გამხელილი სჯობს და მსგავს რედაქტორთან განგებამ მეც გამრიყა. დაპირებული ჰონორარის ნაცვლად მან ჩემი წერილის გამოქვეყნება წამომაყვედრა, დაუფარავად მომახალა, რადგან მის სამეგობროს არ ვეკუთვნოდი, ანაზღაურებაზე არც უნდა მეოცნება. ცოტა ხნის შემდეგ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გავიგე, რომ ე. წ. რედაქტორ-გამომცემელი სისხლის სამართლის დამნაშავეა და სასჯელს ცნობილი მფარველის წყალობით გადაურჩა, დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდვია.

ამგვარი "სამართლიანობის" ზეობამ ჯემალ მეხრიშვილს ათქმევინა: "უბედურია იმ ერის მწერალი და მწერლობა, სადაც ლიტერატურული პროცესების წარმართვას ისეთი პირები იჩემებენ, ისიც კი რომ არ ესმით, რომელია გამართული ქართული".

დაუმსახურებლად დაწინაურებული თანამედროვე მწერლები არსით კოსმოპილიტები არიან, მხოლოდ ვაჟასეული კოსმპოლიტიზმის არაფერი სცხიათ, ეს ერთობ მომგებიანი ფარი უვიცობის შესანიღბად ესაჭიროებათ. ისე შეხმატკბილებულად ირჯებიან, თითქოს ქართული ენის უგულებელყოფა ვიღაცამ დაავალათ, თავიანთი "უპირატესობის" წარმოსაჩენად ძალ-ღონეს არ იშურებენ, ყველგან ერთხმად გაჰყვირიან, რომ მწერალმა ოდინდელი დანიშნულება დაკარგა და ისღა დარჩენია, ერთადერთ მიზნად ერის გართობა გადაიბაროს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რთულია მსოფლიო მოქალაქეს მაინცდამაინც მშობლიური ენის დაფასება მოსთხოვო, ენის ცოდნაზე შედავება მით უფრო უხერხულია.

ამის გამო ხვედელიძის პერსონაჟი მწერალი კოკა იაშვილი შეთავსებით ლოთი და ნარკომანი, აკა მორჩილაძის გზააბნეული მსოფლიო სივრცეებში ჩაკარგული პოეტი ვახტანგ მარგველაშვილი და ბექა ქურხულის აგრესიული მწერალი, რომელიც წამდაუწუმ მუშტებზე იყურება, თვითდამკვიდრებისთვის ერთსულოვნად ირჩევენ ჟარგონს. იდეოლოგიურ შეუთანხმებლობას მხატვრული სიმწირეც თან ერთვის. რაოდენ განსხვავდებიან ისინი თავიანთი წინამორბედებისაგან!

თანამედროვე მწერლებს რატომღაც გულუბრყვილოდ სწამთ, რომ ევროპასა და ამერიკას მხოლოდ თვითონ გაუსინჯეს გემო, თერგდალეულებს რუსეთში მიღებული განათლების გამო ამრეზით უმზერენ, თუმცა წერისას ბარბარიზმების აღლუმს ვერ აუდიან.

XX საუკუნის ქართველ კლასიკოსებსაც არ ცნობენ. მაინც რა გარდატეხის მომსწრენი ვართ? დაქვეითება და ურთიერთშუღლი რამ გამოიწვია?

გასულ საუკუნეებში საზღვარგარეთ ძირითადად ნიჭიერ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ. ქველმოქმედი სტიპენდიას იმისთვის არ უნიშნავდათ, აეროპორტში შემთხვევით შეფეთებულ თანამემამულეებთან ეღლაბუცათ და საჯაროდ დაემცირებინათ. სამშობლოს უნდა გამოსდგომოდნენ და არა გამვლელ-გამომვლელისთვის შეეტირათ: როგორიც ვარ ისეთი ამიტანე და შემინახეო.

ავტორი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამ ვაი-მწერლებსა თუ ფსევდო-ინტელექტუალებს, ერთადერთ ხსნად ჟარგონი რომ უწამებიათ, ჟარგონის გაბატონება უვიცებს აძლევთ ხელს.

მიხეილ ჯავახიშვილი ამ მოვლენას ტრაგიკულად აღიქვამდა, თავიდანვე წინასწარმეტყველებდა, რომ ჟარგონის მიმდევრები ქართულ ენას უღვთოდ შერყვნიდნენ.

ჯემალ მეხრიშვილი ჩვენს ავტორებს მწერლობისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის კიცხავს. უკლებლივ ყველა შემოქმედი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ამბობს, რომ კარგად და ადვილად წერს. იძულებული ვარ კვლავ ჯავახიშვილი, თხრობის დიდოსტატი შევაწუხოთ.

“ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს, რომელსაც ხელით ვატარებ”.

ჩვენს წარმატებულ მწერლებს კლასიკოსების გამონათქვამებზე ალმაცერად ეღიმებათ. ვერც გავამტყუნებთ. მათ ქართული კალამი ამჩატებთ და თუ მაინც დაიჩემებენ, რომ ქართულად წერენ, ვაი-მოქართულეების მიერ დასახიჩრებული საწერი მოწყობილობა ნებაყოფლობით გამოვა მწყობრიდან.

ჯემალ მეხრიშვილი ყურადღებას ამახვილებს ჰემინგუეის ბრმა თაყვანისცემაზე. ეს გარემოება არაფრისმთქმელ ტექსტებს უარესად ამძიმებს. ამერიკელი მწერლის მიმბაძველობით შეპყრობილ “მწერლებს” ფოლკნერი რომ გადაეფურცლათ, ამოიკითხავდნენ, რომ ყველაზე ბრწყინვალე ლიტერატურული მარცხია. ამას ფერმერი შემოქმედი ქადაგებს, თუმცა ჩვენებურებს ხიბლავთ არა ამა თუ იმ ხელოვანისათვის დამახასიათებელი ხელწერა, არამედ მათი ბიოგრაფიებიდან ამოგლეჯილი თავშესაქცევი ეპიზოდები. ვინძლო ესეც არ იკმარონ, ყველაფერი სათავისოდ გადააკეთონ და გამოუცდელ მკითხველს თვალისმომჭრელ “სიახლედ” შეაძლიონ.

ჰემინგუეისადმი ბრმა, მოდური თაყვანისცემა თანამედროვე მწერლებს ხელს არ უშლით ქართველი კლასიკოსები ხელაღებით უარყონ.

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს საკუთარი კულტურისადმი ესოდენ დაუძლეველ შეუგუებლობას რა განაპირობებს?

პასუხი კვლავ მსოფლიო მოქალაქის ორად გახლეჩილ გულშია დალექილი: ყველაფერი უარყონ, რასაც ეროვნული ტვიფარი ატყვია. მათ არ აღელვებთ ქართველი ერის თვითმყოფადობა და აქედან გამომდინარე, ჩვენს ისტორიასაც აგდებულად ეკიდებიან. ამაზე მეტყველებს ბესო ხვედელიძის ე. წ. პიესა ვახტანგ გორგასალზე, რომელიც ერთ-ერთ პროვინციულ თეატრში დაიდგა.

სცენარის მიხედვით გმირი მეფე (ცნობისთვის, წმინდანი!) ისე სამარცხვინოდაა დახატული, თავმოყვარე ქართველს საფეთქლებში სისხლი შემოასკდება. ისტორიის გაყალბების შემსწრენი შევიქმენით, ახალმა "მემატიანეებმა" ისე შორს შეტოპეს, გამოსასვლელ ფონს ვეღარ აგნებენ.

ეს მტკივნეული, მრავალი წლის მანძილზე მოუგვარებელი საკითხია და ვინც ამ დამღუპველი იდეის განხორციელებას შეეწინააღმდეგება, მისთვის ყველა რედაქციის კარი ჩაირაზება.

ეროვნული მრწამსი უქონლობა უპირველესად ენის შერყვნასა და დაქუცმაცებაში აისახება.

ცალკე საკითხია უნიჭობა და მწერლისთვის აუცილებელი გამოცდილების დაგროვება. ავტორს რედაქციის რჩეულთა აქილევსის ქუსლი არ გამოჰპარვია.

"ბევრგან ავტორისეულმა თხრობამ უნდა გაიტანოს ორნატი, მაგრამ რაკი ამას ვერ ხვდება, ანდა არ მოსდევს საკმარისი ხელოვნება და მხატვრული საფანელი, მწერალი იქ მაშინვე ახალ-ახალ პერსონაჟებს "დაიქირავებს" ხოლმე დღიურ მუშასავით, რათა ორიოდე უმნიშვნელო ფრაზა წამოაძახებინოს, მერე კი თავი მიანებოს და მიივიწყოს".

ღმერთმა ინებოს კრიტიკოსის გაფრთხილებამ მოყვარული თანამოკალმეები გამოაფხიზლოს და გავლენიანი ნაცნობობის შედეგად მოხვეჭილი სახელი გაამართლებინოს.

ამგვარ "კეთილისმყოფელთა" წაქეზებამ არაერთი მდარე ხარისხისა და პრეტენზიული სახელწოდების წიგნის გამოცემას დაუდო სათავე.

2004 წელს გამომცემლობა LINK-მა დაბეჭდა "თანამედროვე ქართული ლექსის ანთოლოგია 1990-2004".

საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გამობრძმედილი რედაქტორ-გამომცემელი თავს უფლებას აძლევს ლექსის სიცოცხლისუნარიანობა ეჭვს დაუქვემდებაროს. ვინც ამ კრებულში თავმოყრილ ავტორთა ნაწარმოებებს გაეცნობა, პოეზიის მარადიული ზემოქმედების უნარს ნამდვილად ვეღარ ირწმუნებს. სამეგობრო წრის გულის მოსაგებად უხერხულია ყველა ერთ წიგნში რიხით შეყარო და მყვირალა კატეგორიულობით ხოტბა შეასხა.

ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ჯემალ მეხრიშვილი წიგნის შექმნის მიზეზზე მოგვითხრობს. "ლიტარატურული პალიტრას" რედაქციაში მისული აბუჩად აიგდეს, ხელნაწერის დაბრუნება გაუჭიანურეს და თავიდან მოსაშორებლად დაცვის თანამშრომლები მიუსიეს. ეს ჩვენთან, პოეზიის მოტრფიალეთა ქვეყანაში ხდება.

გულზე ხელი დავიდოთ და გამოვტყდეთ, მსგავს ვითარებას რამდენჯერ შევსწრებივართ, მაგრამ პირში წყალი ჩაგვიგუბებია და დავდუმებულვართ. არახელსაყრელი სიმართლის გამჟღავნება ხელს ვის აძლევს?

მადლობა ღმერთს, ბ-მა ჯემალმა წაყრუებას ხმის ამოღება არჩია. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნის კითხვისას შვებანარევი აღტაცება გვეუფლება; არც ერთი ზედმეტი ფრაზა, უადგილოდ გაანჩხლებული კილო, პიროვნების შეურაცხმყოფელ ლექსიკასაც ვერსად წააწყდებით, მაღალი პროფესიონალიზმის კვალდაკვალ კრიტიკოსის ადამიანობა გვხიბლავს.

ჯემალ მეხრიშვილის პირდაპირობა სათქმელის სიმტკიცითაა განპირობებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: "როგორ გავხდი შავკანიანი".

"რა მოხდება, ერთ მშვენიერ დღეს ყველა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში რომ გაჩნდეს ეს დისკრიმინაციული გაფრთხილება — იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები" და მწერლებს აღარსად ჰქონდეთ თავიანთი ნაწარმოებების

წარდგენის მორალური და იურიდიული უფლება. აი რა იწვევს ჩემში, როგორც რიგით მწერალში მძაფრ პროტესტს! ხოლო თუ რამე გამონაკლისთან გვაქვს საქმე, მაშინ გასაგებად უნდა ეუწყოს მკითხველს, რომ ეს არის არა მხოლოდ ქართველი მწერლებისათვის განკუთვნილი, არამედ ძმაკაცების, ყოფილი თანაკურსელების, მფარველ-დამფინანსებლების, ფირმის სანათესასოს თუ რომელიმე ვიწრო წრის ლიტერატურული ორგანო, რადგან საბოლოოდ მის წევრთა ტექსტები იბეჭდება. ამ შემთხვევაში ყველასათვის გასაგები და მოსათმენი იქნება და მაშინ ამგვარი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმაც თვალთმაქცურად აღარ უნდა შეიშნოვონ მთელი ქართული მწერლობის ქომაგ-ქურუმის ტოგა და მონომახის ქუდი.

მწერლის განაჩენი მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. ლაგამმიშვებულ მედროვეებს ავიწყდებათ, რომ რეკლამის შიდა ჩრდილს შეფარებული შემოქმედნი გულხელდაკრეფილები არ სხედან. ავტორი უაღრესად დაჩაგრულ თანამოკალმეებს ესარჩლება, მათი უუფლებობა ზარავს და მიძინებულ საზოგადოებას აფრთხილებს საბედისწერო შეცდომა თავიდან აირიდოს.

თვალში საცემია ის გარემოება, რომ დისკრიმინაცია მხოლოდ ეროვნულად მოაზროვნე მწერლებზე ვრცელდება.

ჯემალ მეხრიშვილის წიგნი საუკეთესო ნიმუშია პირუთვნელი კრიტიკისა, ქართული მწერლობის უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენი, მართალი სიტყვა ღირსებაშელახული ერის გამოსაფხიზლებლად და სანუგეშოდ.

მიუკერძოებელი კრიტიკა მუდმივი ბრძოლის ქარცეცხლია და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ღირსეული იმარჯვებს.

ჯემალ მეხრიშვილი აუცილებლად გაიმარჯვებს, რადგან მისი კრიტიკული ნააზრევი ადრე თუ გვიან პატიოსანი მწერლისთვის გზამკვლევად იქცევა.

2007

წიგნის წარდგინება შედგა საპატრიარქოს რადიოში 2008 წელს.

ამერიკაში მოღვაწე ქართველი პროფესორის გლობალური საფრთხისა და "ანტიტყაოსნის" დამცველის შინაური საფრთხის გზაჯვარედინზე

თანამედროვე ინტელიგენციის წინააღმდეგობრივ ბუნებას უპირველესად საკუთარი კულტურისადმი დამოკიდებულება განაპირობებს. ჩვენში ტრადიციულ ფასეულობათა დაუსრულებელი გადასინჯვა ურყევ დოგმად ჩამოყალიბდა.

ვინც თავის გამოჩენას მოიწადინებს, აუცილებლად ქართული კულტურა უნდა გააბიაბრუოს, დააკნინოს, ისე სამარცხვინოდ წარმოაჩინოს, ქართველად დაბადებისთვის მხურვალე ბოდიშს თუ არ მოვუხდით, წარმატებული მედროვის გულს ვერაფრით მოვინადირებთ.

ვინც ამ საყოველთაო, "მსოფლიო" წესს ფეხს არ აუწყობს, დუმილით ჩაქოლავენ ან პროვინციელი ფაშისტის ტიტულს დაუნანებლად უბოძებენ.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა ფსევდოინტელიგენციის დანაკლისს არასდროს განიცდიდა.

ამ მოჩვენებით “მოღვაწეთა” მოძალებით შეშფოთებულმა აკაკიმ ისინი რუსეთუმეებად დაახარისხა. ამის დასტურია 1872 წლით დათარიღებული ლექსი- გაფრთხილება “გარეწარს”- საქმეში ჩაუხედავ კაცს ლექსის წაკითხვისას ძარღვებში სისხლი გაეყინება.

აკაკის აღშფოთებას ყავლი არ გასვლია, სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. გავლენიანი მედროვეები გირვანქიან მუშტს აქეთ გვიღერებენ და ეროვნული მწერლობის ძირგამოსათხრელად დაარსებულ გამომცემლობებსა და ჟურნალებში ქართული კულტურულისადმი დაუძლეველ სიძულვილსა და ცინიზმს აღარ მალავენ. დაუდგენელი ფინანსებით წელგამართული ფსევდოინტელიგენცია საჭიროდ აღარ თვლის წლობით დაგროვილი ზიზღი თუ გესლი ოდნავ მაინც შენიღბოს, ვისაც არ ეზარება, ჭკუას გვასწავლის და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გადაშენებულ საშუალო ფენას უარესი წარღვნით ემუქრება. მრავალსიტყვაობამ რომ არ შემიტყუოს, მიზეზს გაგიმხელთ რამ მაიძულა პოეტური სტრიქონი(უკვე მერამდენედ!) პუბლიცისტის როყიო ჭურვზე გადამეცვალა.

ამასწინათ, ამერიკაში მცხოვრები პროფესორის: დოდონა კიზირიას ლექციას დავესწარი. გლობალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად შეკრებილი საზოგადოება მომხსენებელს ყურადღებით უსმენდა.

ქალბატონ დოდონა კიზირიას შეხედულებები საყოველთაოდ ცნობილია. მას არაორდინარული მეცნიერის სახელი აქვს მოხვეჭილი. აქვე დავძენ, რომ ქართული საზოგადოება პროფესორის მოსაზრებებს არაერთგვაროვნად აღიქვამს.

რამდენიმე წლის წინ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მეცნიერთან გამართული შეხვედრა საკმაოდ არასახარბიელოდ დასრულდა.

კიზირიას მიერ ილიას “ოთარაანთ ქვრივის” ფროიდული კუთხით გადაკეთებამ დარბაზში შეკრებილი საზოგადოება სამართლიანად გააღიზიანა.

ახალგაზრდებს ქალბატონი პროფესორისთვის გამაყრუებელი სტვენა არ დაუმადლებიათ. შეხვედრამ ცხადყო, რომ ორივე მხარეს იმედი გაუცრუვდა.

ქართული ინტელიგენცია ამერიკაში მოღვაწე წარმატებული თანამემამულისგან სულ მცირე, გამამხნევებელ სიტყვას თუ მიმართვას ელოდა. როგორც ჩანს, დოდონა კიზირია თავისი გაბედულებით გამოწვეულ ტრიუმფს წინასწარმეტყველებდა.

საბოლოო ჯამში ინტერესთა თანხვედრის ნაცვლად საზოგადოებასა და მეცნიერს შორის განხეთქილება წარმოიშვა. რისკი კეთილშობილი, თუმცა სახიფათო წამოწყებაა. მითუმეტეს, როცა კლასიკოსი მწერლისა და წმინდანად შერაცხული ერის მამის შედევრის გადასინჯვას მოიწადინებ. ძველთაძველი ჭეშმარიტების თანახმად საუნჯის ახლებური ინტერპრეტაცია მარცხისთვისაა განწირული. ამას დრო ამტკიცებს.

გულწრფელად მაინტერესებდა ქალბატონი კიზირია ამჯერად როგორ წარმართავდა საღამოს. საუბრის დაწყების წინ პროფესორმა გაგვაფრთხილა, რომ საკუთარ ლექსს წაგვიკითხავდა, -აქ ისეთი განწყობაა, ადამიანს აუცილებლად თვითმკვლელობას მოანდომებს, -უცნაური ღიმილით დასძინა.

შეხვედრის მასპინძელმა, ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ მეცნიერის უადგილო გამონათქვამი ხუმრობანარევი კილოთი მოიგერია: ძალიანაც ნუ შეგვაშინებთო.

ლექსის სტრიქონებიდან ამოზრდილ ქაოსს მინებებული თვალნათლივ ვრწმუნდებოდი, რომ დარბაზის დასაპყრობად გამიზნულ სიტყვას პროფესორის ენერგიულ და ხალისიან სახის გამომეტყველებასთან არაფერი ესაქმებოდა.

სრული შეუსაბამობა ლექსში განხილული თუ დახატული ბაბილონის ხატებამაც ვერ გააქარწყლა.

ერთ-ერთმა დამსწრემ შენიშნა, რომ ესოდენ დამამძიმებელ ლექსებს დალხენილ ქვეყნებში უნდა კითხულობდნენ. დარბაზში შესამჩნევმა დაძაბულობამ დაისადგურა. გლობალურ საფრთხეს რაც შეეხება, პროფესორს ახალი ინფორმაციის მოწოდება ამჯერადაც არ მოუხერხდა.

სწორედ მის მიერ ნაქები ტექნოლოგიების წყალობით ახალი ამბები კონტინენტებზე ქარიშხალივით ვრცელდება. საუბედუროდ, მსოფლიო სტატისტიკასაც თვალყურს ვადევნებთ და ეკოლოგიურ კატასტროფათა მზარდ მაჩვენებლებსაც ყოველწლიურად ვეხლებით.

ბუნებრივია, ამოუწურავი ინფორმაციის ცოდნა უბედურების თავიდან ასაცილებლად გვჭირდება.

-გამოსავალი? გამოსავალს რაში ხედავთ?-

დარბაზში დასმული შეკითხვების საპასუხოდ ქალბატონმა კიზირიამ დააზუსტა, რომ მან მხოლოდ დაგროვილ პრობლემებს მოუყარა თავი, აღნუსხა, ყოველივე რიგისა და მნიშვნელობის მიხედვით დაახარისხა.

-მე ეკონომიკის სპეციალისტი არა ვარ, მხოლოდ შეკითხვები დავსვი!-თავისი სათქმელი ნაძალადევად კეკლუცი ღიმილით გაიმეორა.

განსაკუთრებით საგულისხმო გამოდგა მისი დამოკიდებულება ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. ეს მართლაც ჩვენი აქილევსის ქუსლია, ჩვენი თანამემამულის გულის გასატეხად გადაუჭრელ წინაღობად რომ აღმართულა.

პროფესორმა ამ თემაზე თვითონ წამოიწყო საუბარი. აღნიშნა, რომ 9 წლის წინ (საქართველოდან) განძის გატანის გახმაურებული საკითხის გამო (იმ განძის დამცველთა შორის თქვენი მონა-მორჩილიც ერია) საქართველოს მიემხრო, რაც ამერიკული უფლებების შელახვად ჩაუთვალეს და ინდიანას შტატის უნივერსიტეტიდან გაგდებით დაემუქრნენ. ახალმა სამშობლომ მისგან მოურიდებლად მოითხოვა ამერიკის ინტერესების დაცვა. დოდონა კიზირია გამოტყდა, რომ გარდაუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მართლაც საკითხავია, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პიროვნებამ რომელი ქვეყნისა თუ სამშობლოს ღირსება უნდა დაიცვას? სიმართლე შეუვალია: ზესახელმწიფოსგან შეტოქებას ჩვენ ვინ დაგვანებებს? უთანასწორო ჭიდილისას რას გავხდებით, ვინ რას დაგვითმობს ან რას გვაპატიებს!

ამიტომ უცხოეთში გახიზნულ თანამემამულეთა უთავბოლო მადლობას ჩალის ფასი ედება. ამ გადაუდებელი საკითხის მოგვარება. ორიოდ ავტორიტეტული ადამიანის ძალისხმევა ნამდვილად ვერ გასწვდება. ორმაგი მოქალაქე თავის პირველ სამშობლოს ვერასოდეს დაიცავს, მისთვის ღირებულს ვერაფერს გააკეთებს, რადგან ჯერ "უფროსს" სამშობლოს უნდა დაეკითხოს, რა მოიმოქმედოს. უნებართვოდ, მოგეხსენებათ, მამაპაპური საქმეები შორიდან ძნელი განსახორციელებელია.

ასე რომ, უმადურობას ამაოდ გვიკიჟინებენ, საქართველო სათადარიგო ბორბალი როდია, მხოლოდ პირადი გაჭირვების დროს სულის მოსათქმელად გაიხსენო.

პროფესორმა გულახდილად გაგვიმხილა, რომ გენეტიკურად ნახევარი ქართველია (კიზირიას სტილი დაცულია) და ვინც მის ქართველობაში ეჭვს შეიტანს, ყელს გამოჭრის. რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მეცნიერის გამონათქვამი სიტყვასიტყვით მომყავს.

ჩვენს ზედმეტად შემწყნარებლურ ქვეყანაში მსგავსი მუქარა?! რისთვის დასჭირდა?

საპასუხოდ დარბაზიდან ერთ-ერთი ქალბატონი წამოდგა და განაცხადა: ეროვნებით არაქართველი ვარ, მაგრამ ქართველი ქმარი და შვილები მყავს და მათი უფლებები აქ უფრო ილახება. ქართველთა ეროვნულობა არ უნდა დაიკარგოსო. საქართველოს მოქალაქის ნათქვამმა დამაფიქრა.

საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეს ისევე გამოარჩევს თავისი საქმე, როგორც ჩვენში მოღვაწე ნებისმიერ ადამიანს. საამისოდ, წინასწარ პრივილეგიის გამოთხოვა უხერხულია. მით უფრო, უცხოეთში სამოქმედო უნარისა და ნიჭის გამოსავლენად გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი. ამაზე თავად მეცნიერმა გაამახვილა ყურადღება. ყველაფრის მიუხედავად, დარბაზში მყოფ საზოგადოებას უკმარისობის გრძნობა არ განელებია.

გამოსავალი? მართლაც, ხსნა სად ვეძებოთ? პრობლემების დახარისხებითა და აღნუსხვით სატკივარს არ ეშველება. ისტორიკოსისა და აღმოსავლეთმცოდნის: მანანა გაბაშვილის თქმისა არ იყოს, ჩვენ ლოზუნგების ქვეყანაში დავიბადეთ და მორიგი დაპირებებით ვერავინ მოგვხიბლავს.

ქალბატონი მანანას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ქართული საზოგადოების უძლურებასა და უმეცრებაში დარწმუნებულ პროფესორს ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი დასკვნა გააცნო, რაც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს.

პროფესორმა ქართული ხელისუფლების გაკრიტიკებას რატომღაც ქართული საზოგადოების დამუნათება არჩია.

დასაბუთებული არგუმენტების საპასუხოდ დაზეპირებულივით “არ ვიცი”-ს გაიძახოდა. შორიდან ბევრი რამ პირუკუ მოჩანს. ვისაც სიმართლის გარკვევა სწყურია, ორივე მხარეს დააკვირდება და მოუსმენს. პროფესორი კი აშკარად ცალსახა თვალსაზრისს გამოხატავდა.

აღელვებულ დარბაზში ცნობილ მწერლებსა და კრიტიკოსებსაც შენიშნავდა დაკვირვებული კაცი.

გურამ ბათიაშვილს, პაატა ჩხეიძეს, მაკა ჯოხაძეს, გოგი გაჩეჩილაძესა და ლევან ბრეგაძეს სიტყვის გამოთქმის საშუალება მიეცათ. სამაგიეროდ უცნობი ახალგაზრდის დებიუტი არ შედგა. მან საკუთარი სათქმელი მართლმადიდებლობის დევნაზე ააგო, თუმცა თანაგრძნობის ნაცვლად დარბაზი გაღიზიანდა. ახალგაზრდას ტრიბუნის დათმობა გაუძნელდა, როსტომ ჩხეიძის ტაქტიანი ჩარევა რომ არა, დამსწრე საზოგადოება უცნობს ხეირს არ დააყრიდა. მან არ იცოდა, რომ მჭევრმეტყველების უნარი ხალხის მოთმენის ხარჯზე არ უნდა გამოსცადო.

ამასობაში დოდონა კიზირია კვლავ საქართველოს დაღუპვაზე ალაპარაკდა. დემოგრაფიულად შეჭირვებული ქართველობა წითელ წიგნში შესატან ცხოველებს შეადარა. ყბადაღებულ პოლიტიკურ ორიენტაციასაც დაწვრილებით შეეხო.

პროფესორი კვლავ პატარა ერის მომაკვდინებელ საფრთხეს დასტრიალებდა, რომ ლევან ბრეგაძემ ადგილიდან სიტყვა შეაწია: ჩემი დაკვირვებით ადამიანი სამყაროს გასანადგურებლად გაჩნდა(ვითომ ეს მან აღმოაჩინა).

ქართველი კი პირველ რიგში ქართველის გასანადგურებლადაა მოვლენილი!

ვიღაცამ ამ მყვირალა განაცხადს დემაგოგის მონაჭორი უწოდა, ის იყო როსტომ ჩხეიძეს ვანიშნე, რომ ჩემთვის გამოსვლის ნება დაერთო, ზედა სართულის კიბიდან მაკა ჯოხაძე დაეშვა და კამათში ემოციურად ჩაერთო.

-მე ბატონ ლევან ბრეგაძეს დიდ პატივს ვცემ და ყოველთვის ვურჩევდი წვრილმანი კრიტიკის ნაცვლად ლიტერატურისთვის სერიოზულად მოეკიდა ხელი, მან კი "ანტიტყაოსანი" დაიცვა. შეგრცხვეთ, ბატონო ლევან! საზოგადოება ამბობს: ლევან ბრეგაძემ ააფრინა, შამუგიას და პუპუზას (ნოდარ ნათაძის მეტსახელია) დაცვა რამ მოაფიქრაო. მოულოდნელი თავდასხმით გაბრუებულმა კრიტიკოსმა წამოიყვირა, რომ ამით თავის მოსწავლეს იცავდა. (შამუგიას თუ გულისხმობდა)

მე ჩემს რიგს აღარ დავლოდებივარ და თანამედროვე ჰაჯი-უსუბს კითხვა შევუბრუნე:

-რუსთაველს ვინ დაიცავს? აბა, სცადეთ და სპარსელებს "შაჰ-ნამე", იტალიელებს კი "ღვთაებრივი კომედია" შეუგინეთ, ვნახოთ, ამის გამო რა დღეს დაგაყრიან! მაშინ ვაღიაროთ, რომ თავს რუსთაველის მოწაფეებად არ ვთვლით და თუ ასეა, ნოდარ ნათაძის კომენტარდართული "ვეფხისტყაოსანი" რატომ ისწავლება?

-ნათაძეს ვერ გაუგეს. ვნახოთ ოცი წლის შემდეგ რა განათლებული თაობა წამოვა!- მომიგო გაცეცხლებულმა ბრეგაძემ.

არც ახლა შევარჩინე სიტყვა ისე ჩავუჭერი:

-ჩვენი მთავარი პრობლემა ღირსეული ადამიანების ჩრდილში მოქცევაა. ნიკო ლორთქიფანიძისა არ იყოს: "დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან." ამ რეკლამირებულმა ფსევდოინტელიგენციამ რეზერვაციაში მოგვაქცია. არადა უამრავ პატიოსან, ნიჭიერ ხელოვანს ვიცნობ, ბატონო ლევან, ტყუილად გგონიათ, რომ მხოლოდ თქვენ წერთ და კითხულობთ!. გულხელდაკრეფილი არც ჩვენ ვსხედვართ! დრო მოვა, ყველა თავის ნაშრომს დადებს წიგნის თაროზე და ვნახოთ, მომავალი თაობები ვის როგორ შეაფასებენ!-

-მომიტანეთ თქვენი წერილები და აუცილებლად დავბეჭდავ,-ამჯერად ბრეგაძე არ დაიბნა, გამეცინა

-ქალბატონო დოდონა!- ჩაფიქრებულ პროფესორს მივუბრუნდი, ზედაპირზე რაც ტივტივებს და დღედაღამე ტელეეკრანზე "ბრწყინავს", ნამდვილ ქართულ ინტელიგენციად ნუ მიიჩნევთ!-

საღამოს დასასრულს, საყოველთაო მღელვარებით დაქანცულმა პროფესორმა გვთხოვა ქართველთმოძულეობისთვის არ შეგვერაცხა.

ასე რომ არ მოხდეს, მონატრებულ სამშობლოს ჭკუა არ უნდა დაარიგო და არც ქედმაღლური კილოთი მოუგო ნიშანი.

გლობალიზაციის საფრთხეზე მსჯელობისას ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება კიდევ ერთხელ გამოიკვეთა. ზოგადი შინაარსის აზრთა გაცვლა-გამოცვლით შეურიგებელ წინაღობას ვაწყდებით, რაც ბატონ ბრეგაძეს წვრილმანად მოეჩვენა.

უსახსროდ დარჩენილ პატიოსან ინტელიგენციას ნიშნი არ უნდა მოუგო. სიტყვიერ თანაგრძნობას წინ რა უდგას თუ რასაკვირველია ესეც მეორე სამშობლოს ინტერესის შებღალვას არ გულისხმობს. იმედია, დოდონა კიზირია ამჯერად მაინც მიხვდა რა გვტკივა და უცხოელთა მორიგი სტატისტიკური ნუსხა რატომ გვაღიზიანებს. თავი და თავი ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაა, რამაც აქამდე მიგვიყვანა და გაგვაძლებინა.

ქართველი მუდამ თვითმყოფადობის წყალობით ახერხებდა მსოფლიო რუკაზე თავისი მიწა-წყლისა და ვინაობის წარმოჩენას. ომი გადახდილი მეგონა, რომ ამ დროს ლიტერატორი გოგი გაჩეჩილაძე მომიახლოვდა. მკითხველს ემახსოვრება, რომ იგი პრეზიდენტის მრჩეველია. ბატონმა გოგიმ გაყიდულ ინტელიგენციაზე ჩამოაგდო სიტყვა, რა თქმა უნდა "ვეფხისტყაოსანსაც" გადასწვდა. არაერთი ინტერპოლატორის

ნაცოდვილარი უხამსობა გაიხსენა. მომიტევეთ, მაგრამ ისიც ბრძანა, ტარიელმა როგორ გააუპატიურა ნესტან-დარეჯანი.

-ასე, ბატონო! ყველა დროში რუსთაველის იდეალურ-ამაღლებული და სინამდვილეში არარსებული სამყარო ყველას აღიზიანებდა!- გამარჯვებული მხედარმთავარივით გადმომხედა და პათოსით განაგრძო:

N -ის თხზულება თუ წაგიკითხავთ? ნამდვილი შედევრია!-

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს "შედევრი" ჩვენი ღირსეული წინაპრების უშვერი ლანძღვა-გინებითაა სავსე, რის გამოც თავის დროზე მის ავტორს პანღურიც არ დაჰკლებია. გოგი გაჩეჩილაძის აღსარებამ იმდენად გამაოგნა, პასუხი მაშინვე დავუბრუნე:

-ახალგაზრდებს ამას გვასწავლით? ხანდაზმულები ახალ თაობას ასე გვმოძღვრავთ და მერე ჩვენს არაეროვნულობაზე წუწუნებთ?-

-ყველაფერი, მათ შორის ლიტერატურაც ვითარდება,- პათეტიკურად მომიჭრა.

ეკლესიასტეს სიტყვები გავახსენე, რომ "ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია."

ეკლესიასტე არა ის!- ხელის აქნევით მომიგო და გამეცალა. მკითხველო, როგორ მოხდა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების მკვლევარს "ანტიტყაოსნის" მოძმე ინტერპოლატორი "შედევრის" შემქმნელად მოეჩვენა. ვისაც თერგდალეულები უყვარს, მათი მაგინებლებს პასკვილს "შედევრს" რა პირით უწოდებს?

ჩემი შეტევით განაწყენებული ბატონი გაჩეჩილაძე სულის მოსათქმელად "ომეგას" ბუფეტში ყავის დასალევად დროულად შეიპატიჟეს. ალ. ორბელიანის სალონში გაშინაურებულ ლიტერატორს ალბათ სწრაფად გადავავიწყდი. მე კი არჩილ ჯორჯაძის მოსაზრება გამახსენდა. სახელოვანი საზოგადო მოღვაწე ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ ქართულმა ინტელიგენციამ განვითარების საშუალო გზა აირჩია. დღეს ეს საშუალოც სანატრელია. მადლობა ღმერთს, ლევან ბრეგაძე და გოგი გაჩეჩილაძე არ მყოლია მასწავლებლებად. ასაკოვანი ადამიანებისადმი პატივისცემის მიუხედავად იძულებული ვარ ვაღიარო, რომ მსგავს ინტელექტუალთა დაუცხრომელი წაქეზებით იწერება "ანტიტყაოსანი", იქმნება უაღრესად შეურაცხმყოფელი და უზნეო პასკვილები კათალიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ, შუღლი და გაუტანლობა.

დაუსრულებელ შურს, ბინძურ ინტრიგასა და ძალებს შოთა რუსთაველი როდემდე გადავაყოლოთ?

"ვეფხისტყაოსანი" ჩვენი ბიბლიაა და ვინც მას ხელყოფს, ადრე თუ გვიან აუცილებლად მოეკითხება. ძველი ინტელიგენცია განათლებას სასულიერო სემინარიაში ეწაფებოდა, თანამედროვე ინტელექტუალები უღმერთობით იწონებენ თავს.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად სამართლიანობა არსებობს, რომელიც ფულზე გაყიდულ მტერ-მოყვარესა და ერის ნამდვილ გულშემატკივარს ერთმანეთისგან ასხვავებს და თავ-თავის ადგილს მიუჩენს.

მანამდე ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს!

9/VII, 2007წელი

p.s. ცხელ გულზე დაწერილ წერილს თავისი მნიშვნელობა გააჩნია. იქნებ ვინმემ მომხდარი შეალამაზოს და შეარბილოს. ძილმორეულ ქართველს უხერხული სიმართლე უკანდასახევად არ გამოადგება, ჩვენ იმდენი დავთმეთ და დავკარგეთ, გასაქცევ-ჩასაჩეხი აღარსადაა!

ქართული კულტურის გადასაგვარებლად სამოქალაქო ომი მძვინვარებს.

ქართველებო, ქუდზე კაცი გამოვიდეთ "ვეფხისტყაოსნის" დასაცავად!

სვანური სიმღერა

თვალშეუდგამი მწვერვალის სიზვიადე

სვანურ სიმღერას თვალშეუდგამი მწვერვალის სიზვიადე ამშვენებს! ხმის კილო უკარება სიმაღლესავით გიპყრობს, სიმკაცრეგარეულ ვაჟკაცობაზე მეტყველებს იგი.

შესრულებისას თითოეული ბგერა არწივთა საბუდარიდან ამოფრენილ მართვესავით ლაღი, თავისუფლებისმოყვარე და მომთხოვნია. თუ დააკვირდებით, სვანურ სიმღერას თანამედროვე საკონცერტო დარბაზში თითქოს სული ეხუთება, ჭეშმარიტ ხელოვნებას გადაჩვეულ ადამიანთა უხერხულებანარევი უმწეობა არ აკმაყოფილებს, მას მეტი სივრცე და გასაქანი სწყურია, მთის ჩვეული ჭიუხიდან გამოტყორცნილი ელვისებურ ექოსა თუ ათასწლეულთა სუნთქვას ჰარმონიულად აირეკლავს და წინაპართა სიჩაუქეზე რუდუნებით ნაგროვებ ლეგენდებს თავმომწონედ ასახავს, გაიძულებს საუკუნეთა სიღრმიდან მკვეთრი ჟღერადობით დაძრული სიმღერის კილო ძველი მეომრის აბჯარივით მტკიცედ მოირგო, შეისისხლხორცო მთის შეუბღალავი ჰაერით პირთამდე აივსო. ცამდე აწვართულ ბილიკს დათოვლილი კოშკის ქონგურივით შეეზარდო.

მზეზე განაწყენებულ ნისლს უთანაგრძო, ბუნების ხასხასა ფერებით მოგვირისტებულ სიმღერას სულითა და გულით მიეცე.

ვინ მოთვლის, რამდენ ათასწლეულთა გაჟრჟოლებას აიდუმალებს მზისადმი მიმართული უძველესი ჰიმნი ლილეო - უკვდავებასთან შეთქმული სვანური სიმღერა.

2008 წელი.

ღია წერილი ბატონ როსტომ ჩხეიძეს

ბატონო როსტომ!

დიდხანს ვფიქრობდი თქვენთვის მომემართა თუ კვლავ შესაფერის დროს დავლოდებოდი, მაგრამ მოგეხსენებათ, ხელსაყრელი წუთი მუდამ უღვთოდ იგვიანებს. ასე რომ კალამს მოვკიდე ხელი, რათა თქვენთვის დაფარული გულისნადები გამომემჟღავნებინა.

უხერხულია თქვენდამი მადლიერებით არ ვიყო გამსჭვალული. ჩემთვის დაუვიწყარია ის სიხარული, სტუდენტობისას ახალბედა მწერალს წილად რომ

მარგუნეთ. მხედველობაში მაქვს ორ წიგნად გამოცემული არაჩვეულებრივი ციკლი სახელწოდებით “დაწყევლილი თაობა”. 1942 წლის შეთქმულებაზე შექმნილი მიუკერძოებელი ნაშრომი, რომელიც გამოსვლისთანავე ქართული მწერლობის ახალ, გაბედულ სიტყვად იქცა.

საქართველოს ისტორიიდან ძალით ამოგლეჯილი ტრაგიკული ფურცელი დიდხანს ელოდა უშიშარ, პიროვნულ მკვლევარს და აი, როგორც იქნა, თაობების ნატვრა ასრულდა: მრავალწლიანი, ავბედითი დუმილი ბოლოს და ბოლოს დაირღვა!

1942 წელს სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით აღვსილი 17 უნიჭიერესი ახალგაზრდის დახვრეტა მართლაც უმაგალითო სისასტიკე იყო. მეორე წიგნში ამ სულისშემძვრელი ამბების თვითმხილველთა გვერდით ჩემი პირველი წერილი გამოქვეყნდა. თქვენი მხრიდან გამოვლენილი ესოდენ დიდი ნდობა და მხარდაჭერა დღემდე მავალდებულებს საყოველთაო უსამართლობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში უყოყმანოდ გადავეშვა.

ალბათ გემახსოვრებათ, რომ 1997 წელს თანამოაზრეებთან ერთად დავაფუძნე ლიტერატურული სალონი “დიაოხი”, რომლის ამოქმედებასაც დიდი სიხარულით არავინ შეეგება. მაშინ დამოუკიდებელი გაერთიანებები თუ კავშირები ჩვენში სრულად უცხო ხილი გახლდათ, მით უმეტეს ახალგაზრდების მხრიდან, ვისაც არც ფინანსური კეთილისმყოფელი და არც ლიტერატურულ წრეებში ცნობილი გავლენიანი “ნათლია” არ უმაგრებდა ზურგს.

“დიაოხი” ქართულ ფესვზე აღმოცენებული ეროვნული გაერთიანება ამა თუ იმ მიზეზით ჩრდილში მოქცეული მოღვაწეებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების უნარის წარმოჩენას ისახავდა მიზნად. დახმარების ხელი კვლავ თქვენ გამოგვიწოდეთ.

“ალიონის” ლიტერატურულ მიმოხილვაში “დიაოხზე” ბევრი ისაუბრეთ, კეთილი სიტყვა პრესის საშუალებითაც არ დაგიშურებიათ. თქვენს მხარდაჭერას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეჭვის თვალით მზირალ ბედისნებიერა ხელოვანებს თვალნათლივ დაანახეთ, რომ ლიტერატურულ გაერთიანებათა სიმრავლით მწერლობა მდიდრდება, მეტ სიჯანსაღესა და მრავალფეროვნებას იძენს.

სხვაგვარად როგორ მოიქცეოდით, როდესაც თავად ალ. ორბელიანის საზოგადოებას ჩაუდექით სათავეში.

დაუმსახურებლად მიჩქმალული დიდი ქართველი მოღვაწეების ცხოვრებისა და ღვაწლის წარმოსაჩენად ძალ-ღონეს არ ზოგავდით, დაუსრულებელი დაბრკოლებების ქარცეცხლში იბადებოდა თქვენი გასაოცარი ბიოგრაფიული რომანები ალ.ორბელიანზე, პ. ინგოროყვასა და ალ. ყაზბეგზე.

ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ლიტერატურული შეფასებაც ერთ-ერთმა პირველმა სცადეთ, რითაც ისედაც გაღიზიანებული მოქიშპეები იმდენად გადაიმტერეთ, საღამოს ჩასატარებლად დარბაზს აღარსად გითმობდნენ. გაცხადებული დევნით გამოხატავდნენ თავიანთ უსუსურობასა და ღვარძლს, თქვენ მათ შეტევას ორმაგი შეუპოვრობითა და შრომისმოყვარეობით პასუხობდით, ქართული მწერლობის ტვირთს უდრეკი ბრძოლისუნარიანობით ეზიდებოდით. მე ყველა შეხვედრა მახსოვს. თქვენი თითოეული ეროვნული წამოწყება, რაც მუდამ ქართული ლიტერატურის სასიკეთოდ იყო მიმართული.

ჩემთვის ალ. ორბელიანის საზოგადოების საქმიანობა სამაგალითო იყო და რა გასაკვირია მეამაყა, როცა უშუალოდ მთხოვდით ესა თუ ის მოხსენება დამეწერა. ეს ჩემს უშუალო მოვალეობად მიმაჩნდა.

ღირსეული წინაპრების საქმისადმი ერთგულება ნამდვილი მწერლის მოწოდება თუ არ არის, მარტოოდენ ყბადაღებული სახელითა და მომგებიანი ფინანსური მდგომარეობით ლელოს გენიოსიც ვერ გაიტანს.

ვაი-ვაგლახით ნაშოვნ დარბაზებში სასოებით შეკრებილი ადამიანები არასდროს დამავიწყდება. მათ მსჯელობაზე მეტად თავდადებული შრომა ემარჯვებოდათ. სწორედ ამ მძიმე, უმადური გარჯის წყალობით ისხამდა ხორცს საბჭოთა სინამდვილესთან განქორწინებული, ავბედით 90-იან წელს გამოტარებული ნამდვილი ეროვნული, ქართული მწერლობა.

და აი, "ოტარიდიც" გამოქვეყნდა, რამაც ლიტერატურულ სამყაროში დაუფარავი მღელვარება გამოიწვია.

საჯაროდ გამომზეურებულმა ფარულმა განხეთქილებამ მწერლების არაერთგვაროვანი შეფასებებით ისედაც დაძაბული ვითარება უფრო გაამწვავა. ამ წიგნის დადებითი შეფასება ლიტერატურულ თვითმკვლელს უტოლდებოდა.

"ოტარიდის" მომხსენებელს ლიტერატურული სამყაროს გამოწვევისთვის უნდა გაეძლო, გავლენიან შემოქმედთა უნაპირო აღშფოთება მთლიანად ეწვნია, რადგან წიგნი მწერალთა კავშირის ნაკლოვანებებს დაუფარავად ამხელდა. უხერხულ სიმართლეს კი არასდროს არავინ გპატიობს. ამის გამო მოხსენების დაწერისგან უმრავლესობა თავს იკავებდა. თქვენ მაშინაც ჩემზე შეაჩერეთ არჩევანი და მეც ჩვეულებისამებრ უკან არ დამიხევია.

უდიდესი ნდობისა და პასუხისმგებლობის გამოცხადებასთვის როგორ გაგაწბილებდით?

წინააღმდეგ შემთხვევაში უპირველესად მრწამსისთვის უნდა მეღალატა.

შედეგად მწერლობიდან მრავალწლიანი განკვეთა მხვდა წილად. ყველა ერთხმად ამბობდა უარს თუნდაც მცირე ზომის უწყინარი ლირიკული ლექსი მაინც დაებეჭდათ.

უჩემოდაც მოგეხსენებათ, საქართველოს დუმილით დამარხვის ხელოვნების რამდენი უბადლო დიდოსტატი ჰყავს! ახალგაზრდა შემოქმედისთვის ამგვარი წნეხის გაძლება არც ისე იოლია, მაგრამ მე მაინც გადავრჩი, რადგან მე წინაპრების ხსოვნისთვის არ მიღალატია, საკუთარი მრწამსი არ გამიცუდებია, არც ის მინანია, რაც მოვიმოქმედე, "სიმართლის მთქმელს კი ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო" ნათქვამია.

სიმართლე გითხრათ, ამ ურიცხვ შესამჩნევ თუ შეუმჩნეველ დაბრკოლებებსა თუ სიძნელეებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდი. მერჩივნა მეწერა, მესწავლა, დრო ფუჭ კინკლაობასა და გულისწყრომაში არ გამეხარჯა.

ჩემი ორი წიგნის რედაქტორიც (ჯერჯერობით 4 წიგნი მაქვს გამოცემული) ბედმა თქვენ გარგუნათ. აზრთა და ასაკობრივი სხვადასხვაობის გამო, გამოცდილების მიუხედავად, რჩევა არასდროს დაგიმადლებიათ, თუმცა მე უკვე საკუთარ ბილიკს მივუყვებოდი იმ მოუღლელი, თვალუწვდენელი მწვერვალისკენ, ქართული მწერლობა რომ ჰქვია.

ზოგიერთი ახალგაზრდისგან განსხვავებით მწერლის დანიშნულება ტაკიმასხარაობად არც ოცი წლისას მიმაჩნდა და მით უფრო, ახლაც იმავე აზრზე ვდგავარ.

ჩემთვის უდიდესი ქართველი კლასიკოსის: მიხეილ ჯავახიშვილის მოსაზრება უფრო სისხლხორციელია, რომელიც ამბობს: "ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს, რომელსაც ხელით ვატარებ!"...

მართლაც, ქართული კალამი უმძიმესი შრომით უნდა დაიმსახურო, ქრისტიანი მოწამესავით თავი უნდა გადადო ვინმემ უჩუმრად ეროვნული ძარღვი არ ამოგაცალოს, სანამ თანამოძმეებთან გაუმართლებელ შუღლში ხარ ჩაბმული! ამგვარ საფრთხისგან ღმერთმა დაგვიფარაოს!

ქართულ კალამს თუ ქარქაშში ჩავაგებთ, მისი ტარების პატივს ვერავინ მოგვაკუთვნებს! თქვენ ამ უმძიმეს, მართალ გზაზე მავალი მოღვაწე ხართ, ბატონო როსტომ! ამაში ეჭვი არასდროს შემპარვია, ამიტომ ძნელბედობის ჟამს მეტი სიამაყით ვიხსენებ, როდესაც ყველასგან დევნილი უსამართლობის ჭინააღმდეგ კვლავ უშეღავათოდ იბრძოდით!

იმისთვისაც მადლობას გწირავთ, 1998წელს წინანდლის სემინარის მონაწილე "ოქროს ახალგაზრდების" რიგში რომ გამრიეთ. იქ დავრწმუნდი როგორი არ უნდა იყოს ნამდვილი ქართველი ხელოვანი, დიახ, გულმართალი კახელების იმედგაცრუებულ თვალებში ამოვიკითხე ის დაუნდობელი სიმართლე, რომელსაც მომავალ მაღალჩინოსან "ხელოვანებთან" არაფერი ესაქმება. წინანდალი უფრო ვრცელ მოგონებებს იმსახურებს, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ თუ, რა თქმა უნდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა მიერ ყოვლისშემძლედ მონათლული იღბალი, იგივე ბედისწერა ინებებს. ბედი ზოგჯერ ადამიანთა ცნობიერებაში არსებულ თავისუფალ ნებას სათავისოდ აბრუნებს. ესეც ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ.

და აი, 2000წელსაც მივადექით. თქვენი რედაქტორობით გამოსულმა ახალმა ჟურნალმა: "ომეგამ" და ლიტერატურულმა გაზეთმა: "ჩვენმა მწერლობამ" მთელი საქართველო აალაპარაკა. გაუგონარმა მოვლენამ ჩვენს თვალწინ შეისხა ხორცი: თხემით ტერფამდე ეროვნულ, უახლესი ტექნიკური მიღწევებით აღჭურვილ გამომცემლობას ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი მეცნიერი და მწერალი ჩაუდგა სათავეში, რომელიც მუდამ ქართული კულტურის ქომაგი იყო! ყველა აცნობიერებდა, რომ ეპოქალური გარდატეხის მომსწრენი გავხდით. მოვლენათა ბედნიერი თანხვედრა ქართულ მწერლობას არნახულ მოღონიერებასა და წინსვლას უქადდა! ამიერიდან წიგნიერი საზოგადოება "ჩვენი მწერლის" მორიგი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ელოდა.

თითქმის ყველა შეხვედრის დამსწრესა და მონაწილეს დარბაზში დანთებული ცეცხლი ძველებურად მათმობდა, თუმცა მალე "კეთილისმყოფელებმა" უქარაგმოდ გამაგონეს თამაშგარე მდგომარეობაში რატომ აღმოვჩნდი. ჟურნალზე ოცნებაც ზედმეტია, გაზეთში დაბეჭდვასაც არავინ მთავაზობდა. "კეთილისმყოფელნი" ნიშნის მოგებით ამის გარკვევასა თუ ჩაძიებას ლამობდნენ. იმ დროისათვის უმაგალითო ჰონორარის თვალსაზრისით ცდუნება მართლაც დიდი იყო. როგორც ჩანს, თქვენს ჟურნალ-გაზეთში მოხვედრილი ადამიანების უმრავლესობისათვის ამ გარემოებას უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე ავტორიტეტული გამომცემლობის მაღალ ხარისხსა და სახელის მოხვეჭის სურვილს. ალბათ, ამ მიზეზით ჩემი წაქეზება არ ბეზრდებოდათ, ხშირი შეხვედრების მიუხედავად თქვენთვის არასდროს მითხოვია პირადად ჩემი ლექსი ან წერილი დაგებეჭდათ.

"ომეგაში" ისეთი საშვილიშვილო საქმე კეთდებოდა, მე რა სახსენებელი ვიყავი! ინტრიგანთა ხაფანგში გაბმა ადვილია, როცა პირადი უკმაყოფილებით ხელმძღვანელობ.

მე თქვენი გაზეთი და ჟურნალიც სხვათა შორის იმდენად მომწონდა, რომ პიროვნულ უკმაყოფილებას დიდად არ დაგიდევდით. რომელ დანაკლისზე ღირდა საუბარი, როცა თქვენთან ეროვნული საქმე დუღდა და გადმოდუღდა! თქვენს ბანაკში

თავმოყრილი სახელმოხვეჭილი, გავლენიანი ხელოვანები იმდენად აქტიურობდნენ, საქმედანატრებულ ხალხს რომ შეშვენის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო: მშვენიერი პიროვნებისა და გულისხმიერი მეცნიერის: ქალბატონ მარინა რევიშვილის მოწადინებით "ჩვენს მწერლობაში" ჩემი ინტერვიუ გამოჩნდა.

თქვენი ამაგის აღწერით მაშინაც არ დავღლილვარ.

არც მაშინ გამომიხატავს პროტესტი, როცა ინტერვიუში ჩემთან შეუთანხმებლად ჩაწერეს გამომცემლის, ჟურნალისა და გაზეთის დამფინანსებლის სახელი და გვარი.

მე თქვენს ღვაწლზე ვრცლად ვსაუბრობდი, თუმცა მისთვის ხოტბა ნამდვილად არ აღმივლენია! დაუკითხავი ჩარევით გამოწვეული "წვრილმანი" უკმაყოფილება გულში უხმოდ ჩავიკალი, ანაზდად გაჩენილ კონიუნქტურაზე ყურადღება არ გამიმახვილებია. ეს ამბავი აქამდე არავისთვის მითქვამს.

საკუთარი ნაწერების დაწუნებით გაწამებულ მწერლებს ამაო ლოდინი მობეზრდათ, ისინი თვეობით იცდიდნენ, თქვენი რედაქციის შთამბეჭდავ შენობასთან ლამის მორიგეობდნენ კიდეც. მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა. ვისაც სწყალობდით, ისინი უფრო დაუნდობლად იქცეოდნენ. გული მტკიოდა თქვენს ღვაწლს ზურგსუკან ერთხმად რომ განაქიქებდნენ და შემდეგ ჰონორარის ასაღებად მწკრივში რომაელთა მწყობრი კოჰორტებივით მოიჩქაროდნენ ციხე-სიმაგრისკენ, როგორც სულმოკლედ უწოდებდნენ თქვენი რედაქციის ადგილ-სამყოფელს.

ათას დაუჯერებელ ზღაპარ-მართალს შედევრად აკინძავდა ჭორსდანატრებული ყური! რედაქციის სიახლოვეს ვის არ წააწყდებოდი, უჩვეულო თხოვნათა წყებას ალბათ ათი პირადი მდივანიც ვერ აუვიდოდა!

გამობრძმედილი დაცვა რომ არა (სხვათა შორის ისინი მე რატომღაც მწყალობდნენ, უკან არასდროს გავუბრუნებივარ) რედაქციას ვინძლო მართლაც უჩვეულო ხალხმრავლობის გამო საეჭვოა ნორმალურად ემუშავა.

რადგან თქვენთან შემოღწევა არ გამჭირვებია, არქივში განსაზღვრული დროით ჩამარხული ჩემი უბადრუკი მემკვიდრეობა თქვენი ენერგიული პროტესტის მიუხედავად უკან გამოვითხოვე.

ეს ამბავი გამჟღავნდა თუ არა, კოლეგებმა მოწყალე ღიმილით გამაფრთხილეს, რომ საკუთარი წინდაუხედაობის გამო შეუბრალებლად დავისჯებოდი.

მათი "რჩევის" გათვალისწინებით თქვენ შეუვალ ფეოდალს განასახიერებდით, რომელიც მიღების საათებს საკუთარი სურვილისამებრ აწესებდა. მე ეს არ მჯეროდა. მეტიც, სასაცილოდაც არ მყოფნიდა, რადგან კვლავ ალ. ორბელიანის საზოგადოების სულისჩამდგმელად აღგიქვამდით.

მწერალთა კავშირში მიწვევისთანავე შესავალი სიტყვით გამოსვლისას საჯაროდ მადლობა რომ გადაგიხადეთ, დარბაზიდან სიტყვა გამაწყვეტინეს. მავანნი თქვენს ხსენებას არ მპატიობდნენ მაინცდამაინც! ეს შემთხვევა მშვენიერმა ჟურნალისტმა და პოეტმა თამარ შაიშმელაშვილმა გაზეთ "თბილისში" დაბეჭდა, რის გამოც გამძვინვარებული ქალბატონისგან ლამის ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი შეიქმნა!

ყველაფრის მიუხედავად მე ჩემსაზე ვიდექი და ვდგევარ. უსინდისობაა ადამიანს ამაგი დაუკარგო.

მწერალთა კავშირში მიღებსაც იმიტომ აღარ შევეწინააღმდეგე, რომ ბობოლა მედროვეებმა იერიში როგორც ეროვნულ საყრდენზე მიიტანეს და მიზნად დაისახეს ქართველი კლასიკოსთა სავანე გლობალისტთა თავშესაფრად გადაექციათ.

მათ თქვენ მიერ შეთავაზებულ ალტერნატიულ გაერთიანებაშის მოახერხეს შემოღწევა. ღვთის წყალობით გაქნილი ავანტიურისტებისაგან მოვლენათა შემობრუნებამ დამიფარა!

დასაჯიჯგნად გამეტებულ მწერალთა კავშირში სხვა ახალგაზრდებთან ერთად მაშინ შევედი, როცა მხცოვან, დამსახურებულ მწერლებს 22 ლარიანი მათხოვრული პენსიაც მოჰპარეს, შენობები თუ წაგლიჯეს, ამას ადრე თუ გვიან შესაბამისი ორგანოები გაარკვევენ. ვერავინ წამოგვაყვედრის თანამდებობის ან გავლენის მოსაპოვებლად შევედი დიდებადაკარგულ სასახლეში.

იქ გამოცემული ჟურნალების სახელწოდებები დღესაც არ ვიცი. მე უპირველესად ბუმბერაზ წინაპართა ხსოვნა მეძვირფასება და გული სიამაყით მევსება, რომ მათ ნაკვალევს ასე თუ ისე მივყვები. დიდი ხნის მანძილზე ხელშეუვლებ სასახლეში იმდენი ნამდვილი ღირსეული თანამოკალმე გავიცანი, ეჭვი არ მეპარება, რომ ქართული მწერლობა ბუნებრივ კალაპოტს აუცილებლად დაუბრუნდება. საქართველოში მწერლების გულის მოსაოხებლად მათვის განკუთვნილი ერთი შენობა არ გააჩნდათ. ეს სასახლე ბოლშევიკებს არ დაუარსებიათ და დღესაც ისევე ჯვარცმულია, როგორც ჩვენს წინამორბედთა დროს!

ავბედითმა ჟამმა თქვენი რედაქციაც მოძებნა. დარბევის ამბავი შევიტყვე თუ არა მაშინვე თქვენსკენ გამოვეშურე. არც მიტინგისთვის ამირიდებია თავი, ღრმა გულისტკივილის გამოსახატავად სატელევიზიო კომენტარსაც არ დავრიდებივარ.

ამ დროს თქვენი ჰონორარებით გაზულუქებული "თანამოაზრენი" დეკორატიულ ბუჩქებს აფარებდნენ თავს! ღმერთმა განსაჯოს ქართული სიტყვის გადასარჩენად ვინ როგორ იბრძოდა! დღეს განახლებულ დარბაზში ზოგიერთი მათგანი ვადაგასული საბჭოთა ეპოლეტივით კვლავ თავს იწონებს. ალბათ, ასეა საჭირო. თქვენ უკეთ უწყით გვერდით ვინ ამოიყენოთ, ეს ჩემი გასარჩევი არ არის, მე მხოლოდ საკუთარ საქციელზე ვაგებ პასუხს და თუ ქართული სიტყვა მოითხოვს, მის დასაცავად არავის და არაფერს დავერიდები! მხოლოდ არ ვიცი იმ გულისტკივილს რა მოვუხერხო, როცა მედროვეთა ხროვა პატიოსნებას შეუბრალებლად აზარალებს!

ღმერთია მოწამე, საამისოდ არ მემეტებით, იმის გამო არა, რომ "ქალდეას მონატრების" წარდგენაზე (ეს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნია), ჩემი მისამართით საჯაროდ განაცხადეთ, რომ ქართული მწერლობა ჩემისთანა ახალგაზრდას მხრებზე როცა გადაინაცვლებს, აუცილებლად გადარჩება, რომ მე სხვებისთვის მისაბაძი მაგალითი ვარ.

თქვენი შეფასება მოულოდნელი და ამავდროულად დაუგეგმავი(ე.ი. გულიდან წამოსული) აღმოჩნდა; როგორც იმ ძველ, დალოცვილ დროს, როცა ადამიანურ ურთიერთობას თანამდებობის ჩრდილი ვერაფერს ვნებდა. მერე რა, რომ ეს სიტყვა გაზეთში არ დაბეჭდილა, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ვინ ან რატომ ამოიღო, მაგრამ მრავალთა გასაგონად ხომ მაინც ითქვა! ესოდენ მაღალი, უანგარო შეფასებისთვის მადლობელი ვარ. თქვენ ხომ იცით, რომ იმ ყბადაღებულ ჰონორარებსა და იაფფასიან პოპულარობაზე მეტად ეს გულწრფელი აღიარება ათასგზის მეძვირფასება! ვატყობ, მკითხველიც გადავღალე და თქვენც გაგაღიზიანეთ, რადგან მთავარ სათქმელამდე მისასვლელი გზა უღვთოდ გაჭიანურდა.

რვა თვე მოთმინებით ვიცადე, მაგრამ მოგეხსენებათ, "ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა"... და მეც, ნავსი გავტეხე.

2007წლის 5 მაისს ქართულმა მწერლობამ დიდი მამულიშვილი და წამებული პოეტი შალვა მჭედლიშვილი დაკარგა. სამშობლოს სიყვარულის გამო "სასჯელს"

მრავალწლიან გადასახლებაში იხდიდა. ბატონი შალვს უმაგალითო ბიოგრაფია ჩვენი დახელოვანი წინაპრების მოწამეობრივი გზის განმეორებაა. მე წილად მხვდა ბედნიერება ამ ზნეობრივად უსპეტაკეს ადამიანთან თორმეტწლიანი მეგობრობით მოვიწონო თავი.

შალვა მჭედლიშვილი რეპრესირებული იყო და ეს დამღა სიკვდილმაც ვერ ჩამორეცხა! გაუგონარი უბედურების მიუხედავად მას ბოლომდე შერჩა მოყვასისადმი სიყვარული და მიმტევებლობა. მორიდებული ბუნების გამო თავს არავის აბეზრებდა, ამიტომ მისი სახელი ვიწრო წრეს ვერ გასცდა. ბატონი შალვას უმაგალითო სიმამაცე ახალი ჰომეროსის კალამს ელის. მის მაგალითზე თაობები უნდა იზრდებოდნენ.

ჩვენი დროის საუკეთესო კრიტიკოსმა ჯემალ მეხრიშვილმა ახლახან პრესაში გამოქვეყნებული თავისი სტატიით საზოგადოებას ამცნო, რომ შალვა მჭედლიშვილი უებრო ვაჟკაცობის გარდა ხალასი პოეტური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული! მისი პოეზია ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი და დაფასებული, მაგრამ ბატონ ჯემალის მსგავს მწერალთა მეოხებით ამ საშვილიშვილო საქმესაც მოევლება!

ბატონო როსტომ, თქვენ კარგად იცით, რომ შალვა მჭედლიშვილი სწორედ იმ "დაწყევლილი თაობის" ცოცხლად გადარჩენილი წარმომადგენელია, ვისაც დახვრეტის სანაცვლოდ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. არ მინდა დავიჯერო, რომ ხელნაწერებით დამშვენებული მხცოვანი პოეტი თქვენს რედაქციაში არ მიიღეთ და უკან უარით გამოისტუმრეთ.

ეს რომ არ ვიწამე, გამოსათხოვარი წერილის გამოსაქვეყნებლად იმიტომ მოგაკითხეთ. უპირველესად ოჯახის წევრების სურვილს ვასრულებდი, თქვენდამი ღრმა პატივისცემით გამსჭვალულ მგლოვიარე ცოლ-შვილს უარი ვეღარ შევკადრე და რედაქციაში მოვედი. წერილი ორმოცის გასვლამდე უნდა დაგებეჭდათ. ისიც გითხარით, რომ თუ ამ საქმეს ჩემი სახელი და გვარი ხელს უშლიდა, თანახმა ვიყავი ჩემი წერილის სანაცვლოდ თქვენთვის სასურველი ადამიანის სტატია დაგებეჭდათ, რაზეც თქვენ მომიგეთ, რომ დათქმულ დროს დღის სინათლეს აუცილებლად იხილავდა.

მას შემდეგ თითქმის რვა თვე გავიდა და ბატონი შალვას შესახებ "ჩვენს მწერლობაში" არაფერი გამოქვეყნებულა. სწორედ ამ გარემოებამ მაიძულა თქვენთვის მომემართა. მე თქვენ გეკითხებით ბატონო როსტომ, ნუთუ შალვა მჭედლიშვილი ღისრი არ არის იმ ჟურნალში დაიბეჭდოს, სადაც პოპულარულ მედროვეთა ღვთისმგმობ "შედევრებს" ზედიზედ, ჩაუსწორებლად და შეუფერხებლად აქვეყნებენ. ნუთუ უპატიოსნესი მწერლისა და მამულიშვილის სულს სიკვდილის შემდეგაც სააქაო გადასახლების მსგავს ჩარაზულ კარიბჭესთან აყურყუტებენ?

თუ ასეა, ამდენი გამომცემლობა და ჟურნალი ვისთვის ან რისთვის იქმნება?

რადგან კვლავ პროტექციის საშვი ზეობს, მეზობელ გამომცემელთა გაკრიტიკებას რატომ არ გაურბიხართ? სიმართლე ყველაზე თანაბრად და შეუზღუდავად ვრცელდება!

ნათქვამია, "მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო." თქვენ სხვა გზა არ დამიტოვეთ და ამიტომ საჯაროდ გეკითხებით: შალვა მჭედლიშვილისდარ სანთლით საძებარ უპატიოსნეს, ნიჭიერ მწერალსა და ზნეობრივ გმირს ეროვნული სულისკვეთების ჟურნალსა და გაზეთში ნუთუ ერთი გვერდის დათმობაც არ ეკუთვნის?

თქვენი არჩევანია, მიპასუხებთ თუ ჩემს მწარე სიმართლეს ესოდენ გამოწრთობილი, ნაცადი დუმილით მოაშთობთ. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ დუმილი მუდამ ოქრო როდია, ბატონო როსტომ!

პატივისცემით იკა ქადაგიძე
პოეტი, მწერალი, ლიტერტურულ სალონ “დიაოხის” თავჯდომარე

2/II.2008.

მცირე რეპლიკა

წავიკითხე იკა ქადაგიძის “ღია წერილი ბ-ნ როსტომ ჩხეიძეს” და სურვილი გამიჩნდა, ორიოდე სიტყვით გამოვხმაურებოდი ამ პუბლიკაციას.

წერილი საკმოდ ვრცელია და მისი უდიდესი ნაწილი ეხება როსტომ ჩხეიძის მრავალმხრივ ღვაწლს ქრთულ ლიტარატურაში და ეროვნულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამასთან, იკა ქადაგიძე კეთილსინდისიერად აღნუსხავს იმ უშურველი კოლეგიალური თანადგომის შემთხვევებს, პირადად მის მიმართ რომ არაერთგზის გამოუვლენია როსტომ ჩხეიძეს.

მაგრამ წერილის დასაწყისშივე იგრძნობა, რომ ავტორს იგი რაღაც სერიოზულმა გულსიტკივილმა დააწერინა.

ეს გულისტკივილი კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებითაა გამომჟღავნებული წერილის ბოლოს.

საქმე შემდეგშია:

შარშან გარდაიცვალა თავისი ანტისაბჭოური შეხედულებების გამო კომუნისტების მიერ დევნილი, რეპრესირებული მწერალი შალვა მჭედლიშვილი. იკა ქადაგიძეს გამოსათხოვარი წერილი დაუწერია და რ. ჩხეიძის ჟურნალ “ჩვენს მწერლობაში” დასაბეჭდად მიუტანია. დაპირების მიუხედავად წერილი არ დაბეჭდილა.

იკა ქადაგიძე შეკითხვას უსვამს როსტომ ჩხეიძეს: იყო თუ არა ღირსი განსვენებული შალვა მჭედლიშვილი იმისა, რომ “ჩვენი მწერლობის” ფურცლებზე ერთი გვერდი დასთმობოდა მის ხსოვნისადმი მიძღვნილ პუბლიკაციას?

იკა ქადაგიძე თავის “ღია წერილში” ხაზგასმით მოიხსენიებს როსტომ ჩხეიძის წიგნს “დაწყევლილი თაობა”, რომელიც 1942 წლის ცნობილი ანტისაბჭოური, პატრიოტული შეთქმულების მონაწილეებს ეძღვნება. განსვენებული შალვა მჭედლიშვილი კი ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო იმ “დაწყევლილი თაობისა”.

ამქვეყნად ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს და ალბათ, არსებობდა რაღაც მიზეზი, რის გამოც ის გამოსათხოვარი წერილი არ დაუბეჭდეს იკა ქადაგიძეს. ალბათ, როსტომ ჩხეიძე უპასუხოდ არ დატოვებს მის შეკითხვას და ამისი მიზეზებიც გაირკვევა ადრე თუ გვიან.

ი. ქადაგიძის წერილში გაკვრით სხვა ამბებიც არის ნახსენები, სხვა რამეების გამოც დარჩენილა იგი გულნატკენი, მაგალითად, იმის გამო, რომ მას, როგორც პოეტს და პროზაიკოსს რ. ჩხეიძის ჟურნალ “ომეგასა” თუ გაზეთ “ჩვენს მწერლობაში” დაბეჭდვას არ სთავაზობდნენ, თუმც კი მისი ინტერვიუ გამოუქვეყნებიათ და მის დაუკითხავად ტექსტში რაღაც ცვლილებები შეუტანიათ... ი. ქადაგიძე გულისტკივილს გამოსთქვამს იმის გამოც, რომ რ. ჩხეიძის მიერ ხშირი დაბეჭდვით განებივრებული ზოგიერთი ავტორი ზურგსუკან აქილიკებდა რ. ჩხეიძის ლიტერატურულ მოღვაწეობას, თუმცა კი მისი გაზეთის უხვ ჰონორარს ერთობ დახარბებულნი იყვნენ...

რატომ გამიჩნდა სურვილი იკა ქადაგიძის “ღია წერილს” გამოვხმაურებოდი?

იმიტომ, რომ ეს წერილი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა დაუკარგო ადამიანს შენ მიმართ ჩადენილი სიკეთე, თუნდაც მასთან რაღაც სასაყვედურო გქონდეს; როგორ უნდა შეინარჩუნო ობიექტურობის გრძნობა და ადამიანს კუთვნილი მიაგო არა ემოციების, არამედ საღი და სამართლიანი განსჯის საფუძველზე. იკა ქადაგიძე ამ “ღია წერილში” გამოჩნდა, როგორც კეთილშობილი პიროვნება, რომელიც თავის გულისტკივილს დელიკატურად, ღირსეულად გამოხატავს და მიმართვის ადრესატის მიმართ პატივისცემის გრძნობას არაფრით არ აყენებს ჩრდილს. სამწუხაროდ, ამგვარი რამ დღეს იშვიათად ხდება ქართულ საზოგადოებაში.

ი. ქადაგიძის “ღია წერილის” მსგავსი პუბლიკაციები ლიტერატურული საზოგადოების განსჯის საგნად უნდა იქცეს, უნდა შედგეს დიალოგი კოლეგებს შორის: გასარკვევი გაირკვეს, შესაფასებელი შეფასდეს, ავს ავი ეწოდოს და კარგს — კარგი. ეს დიდად შეუწყობს ხელს თანამედროვე ქართული ლიტერტურული ურთიერთობების სასიკეთო ნიშნით გააქტიურებას, საერთო ატმოსფეროს გაჯანსაღებას.

მარსიანი
2008 წელი

სისხლიდან ცრემლი
(რეზო ადამიას “ტერენტი გრანელი”)

ტერენტი გრანელის ლაჟვარდოვანი თვალებიდან იმზირება: “არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა.”

არაამქვეყნიური სევდით შეპყრობილ მგოსანს ნაღველით შებუმბლული ფერი, ტკივილით დაღარული შტრიხი და იდუმალებით შემკული სიტყვა უძღვნა სულით მონათესავე მხატვარმა, რომელსაც გრანელის კოსმიური ხილვა და განცდა უცნობი განზომილების ძიებისკენ უბიძგებს. არცთუ დიდი ხნის წინ რეზო ადამია მწიგნობარ მხატვრად მოვიხსენიე. მისმა პირველმა წიგნმა ჩემი შეხედულება განამტკიცა. ფერთან ჭიდილში მოუღლელ ხელოვანს გულმა სიტყვის დასაპყრობად გაუწია, დროსა და სივრცეში განფენილ მარადისობის ძახილს იგი ტერენტი გრანელის კაეშნიდან აყურადებს. მანამ სანამ “მემენტო მორის” შემქმნელს კალმით შეხედავს, არაერთი ტიტანი მხატვრის ბიოგრაფიას უტრიალებს, საკუთარ მოსაზრებას ფურცელს ანდობს, ცდილობს სიტყვიერ ქსოვილში მოქცეულ ფერებს განსხვავებული ახსნა მოუძებნოს. ამიტომ წერს ჯოკონდაზე, მის მომნუსხველ ღიმილს თავისებურად აფასებს, გატაცებით ხატავს ფიროსმანს. კოლხური პეიზაჟების თანამდევ თოვლს მართლაც პირველქმნილი სისპეტაკე ახლავს.

შთამბეჭდავი პარიზული ციკლის მიუხედავად ჩვენში კოლხურ პეიზაჟს მეტი გულშემატკივარი დაებედა. მშობლიური ბუნების ასახვისას სხვაგვარი შთაგონება გვატყვევებს ან სულაც ობოლი, მიუსაფარი მგოსნის სულივით სპეტაკ თოვლს კოსმიურ ფიქრებში გადავყავართ.

ვინძლო კოლხური პეიზაჟის შექმნისას მხატვარს ტერენტი გრანელის აჩრდილი მოუშორებლად თან სდევდა, აფორიაქებდა. მანამდე უჩვეულო შეგრძნებებით

ავსებდა, თითქოს ტერენტის სულის მარცვალი ხელშეუხებელი თოვლის სიღრმიდან იმზირება უსაზღვრო სივრციდან ჩამოთოვლილ მოხეტიალე ფიფქს გარიყული პოეტი. დიახ, ეს ის ტერენტია, რომელსაც მაცხოვრის ხსენების გამო პროლეტმწერლები მათხოვრად ნათლავდნენ, მის დასამცირებლად ერთიმეორეზე ტლანქ, უსახურ და უნიჭო სტრიქონს აკოწიწებდნენ. უღმერთობით გაჯერებულ კაცობრიობას კოსმიური სევდით შეპყრობილ გრანელისთვის ერთი წრფელი ცრემლიც არ გაუმეტებია.

გაცვეთილ მაზარაში გამოხვეული მგოსანი ბარბაცით მიაბიჯებდა სასაფლაოსკენ, რომელსაც კოსმიური ელფერი აიდუმალებდა. გარშემომყოფნი ახირებულ კაცად თვლიდნენ. ტერენტის არაერთი უცნაური ქცევა მისმა თანამედროვეებმა შემოგვინახეს. თუნდაც ის რად ღირს, ახალგაზრდა ირაკლი აბაშიძეს საჯაროდ სილა რომ გააწნა: პირველი საბჭოთა თოვლი რა უბედურებაა მის გაფაქიზებულ ყურთასმენას საბჭოთა თოვლი სასიკვდილო განაჩენივით ჩაესმა. კონიუნქტურას არავის პატიობდა, რადგან თვითონ ამა ქვეყნის ძლიერთათვის ქედის მოდრეკა არ სჩვეოდა. ხმაურიან სახელსა და დიდებას ერჩივნა კიბის ქვეშ უპატრონოსავით გაეთია ღამე. ეს ლეგენდად ქცევისთვის მოგონილი პოზა არ იყო.

გრანელის სულის თავისებურების ამოკითხვა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც არნახული ტკივილის გავლით აღიქვამს სამყაროს, მის მიწიერ წესრიგს ვერაფრის დიდებით ეგუება, რადგან კოსმოსი თავისას ითხოვს.

ტერენტის სულში დავანებული სივრცის თაღი ნაღვლიან ვარსკვლავთა ციაგითაა მოჭიქული.

“ტერენტი გრანელის სევდა-მელანქოლია და ცრემლი კოსმიური სისხლის წვეთები იყო უცნაური... ყოველმხრივ განსხვავებული მწუხარებით და უწყვეტი ფიქრებით სევდამორეული მგოსანი, მძაფრად განიცდიდა მიწიერ მანკიერებას...”- წერს რეზო ადამია. მართლაც, მიწა, როგორც საპყრობილე, ისე ამძიმებს გრანელს, თავის დახსნა კი სიკვდილის დაუხმარებლად შეუძლებელია. სიკვდილზე გამუდმებული ფიქრი სევდანაპკურებ ლექსებს განუმეორებელ სურნელს სძენს. მასში უკვე აღარ იკითხება ხალისიანი, მომავლის რწმენით თვალანთებული ჭაბუკი, რომლის პუბლიცისტურ წერილებს შეურიგებელი ბრძოლის პათოსი ასაზრდოებს. სამშობლოს სიყვარულს მოწყურებული მგოსანი დედაქალაქში ჩამოდის, სადაც ღმერთის ხსენება აკრძალულია და მამულისთვის თავგანწირვა სიკვდილით ან სამუდამო გადასახლებით ისჯება.

ამგვარ სინამდვილეს ეხლება იგი, კოსმოსის უძღები შვილი, დედამიწაზე ბოროტი შემთხვევის წყალობით მოვლენილი, უნიჭო მედროვეებს უკიდურესად რომ აღიზიანებს. გულწრფელი ცრემლის გამო არაერთგზის დასჯილსა და ათვალწუნებულს ისღა დარჩენია, კვლავ სივრცეს მიეკედლოს, ქარიან ღამეს დაუმმობილდეს, ჟრუანტელის მომგვრელ სინანულს დანებდეს, რათა მბორგავი სული ოდესმე ვინმეს უანდერძოს, მასავით მგრძნობიარე შემოქმედს გადაულოცოს, გულიდან გამოწურული სისხლის წვეთები, უმისამართოდ რომ არ განქარდეს.

ერთგან რეზო ადამია მხატვრისთვის დამახასიათებელ დაკვირვებას გვთავაზობს. აღწერს რა ტერენტის გარეგნულ პორტრეტს, დასძენს, რომ “ჰაერივით გამჭირვალე სხეულის მქონე მგოსანმა” დატვირთვას ვეღარ გაუძლო. მართლაც სად არის დანთქმული სიმართლე? ვის ძალუძს ხელოვანის სულის ლაბირინთი დაუბრკოლებლად განვლოს და შთამომავლობას რაიმე ხელშესახები ცნობა ან შტრიხი დაუტოვოს სამომავლო განსჯისთვის.

რეზო ადამია იდუმალ განზომილებასთან მიახლოებას ელტვის და საკუთარ მოსაზრებას ნახატებით ამშვენიერებს.

ისღა დაგვრჩენია ტერენტი გრანელს- სიცოცხლეშივე სიკვდილთან დანათესავებული პოეტის გულის კარნახს მივყვეთ, რათა შევიცნოთ ის მესამე, ხელშეუვლებელი განზომილება, სადაც ტერენტის არაამქვეყნიური სულივით ჯვარცმული კოსმიური მარადისობა ილანდება.

2008წელი

ერთი დღე პოეტების ცხოვრებიდან

ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ. სახიფათოა მას მეგობარი ვუწოდო, რადგან გაუთვალისწინებლად დაკისრებულ პასუხისმგებლობას უმეტესად ცუდი ბოლო უჩანს. თანამოაზრეები უფრო გვეთქმის. დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, თუმცა ჩვენს საქმეს აქამდე ცალ-ცალკე ვეჭიდებოდით. საერთო მეგობრების გრძელ ჯაჭვში ჩაბმულნი იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს.

მე თანამებრძოლებს თანდათან ჩამოვშორდი, გავნაპირდი. მან ჩემ ყოფილ მეგობრებთან ადრინდელი ურთიერთობები შეინარჩუნა. ურიგო როდია შენში შესიხლხორცებული წარსული გადაარჩინო. სამწუხაროდ, მე ეს ვერ შევძელი, ურიგო გლოვას კი სიყალბის ათინათი ჟანგივით ეკიდება და უთუოდ ამახინჯებს. ამიტომ შორეულ ჰორიზონტს საკუთრი თავის იმედად მივაშურე. ისიც თავის გზას დაადგა.

დროდადრო შემთხვევით აკინძული ამბების ექო გვედგა შუამავალად.

და აი, ბედისწერისა თუ შემთხვევის მოწადინებით ერთმანეთის პირისპირ კაფეში ვსხედვართ, სადაც სულის მოსათქმელად შემოვაირეთ.

ის მაგიდაზე გაშლილი ფურცლების დალაგებითაა გართული, მე მორიგი წიგნის დასაგემოვნებლად ვემზადები. მზერა საათისკენ გამირბის. დრო! შეშლილი რიტმის დაუდგრომელ სუნთქვას კეფიდან ვგრძნობ.

ახალგაზრდებით გადაჭედილი შენობა ზანზარებს.

ჩვენს უღვთოდ გამახვილებულ ყურთასმენას ჟარგონის ნაირსახეობა შეუსვენებლად ეხლება.

ეს ადგილი ამაოების ბაზარს წააგავს. სიჭრელეში დანთქმულ ახალ თაობას უგემოვნობას ვერ დასწამებ. მათ ცინცხალ სახეებს მიმზიდველობის მიუხედავად იაფფასიანი გამომეტყველება აუბრალოებს. უშინაარსო გამოხედვა აუშნოებს, სიცარიელის ზეგავლენა ჩაგრავს. ერთმანეთს ისე მიმართავენ კუპრის ქვაბში მოხვედრილი ცოდვილივით ვიტანჯები. გულისყური მღალატობს, ნებიაყოფა მეურჩება. წაკითხულის გააზრებაზე ოცნება სიშლეგის ტოლფასია. იქ, სადაც სიტყვას ჩალის ფასი ადევს, მკრეხელობა სრულქმნილების საიდუმლოს ეზიარო.

თავს გაჭირვებით ვერევი. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ცივი სასმელის დალევა არ აუკრძალავთ. ჩემი თანამოსაუბრე საშინელ დღეშია, თუმცა არ იმჩნევს. მშვიდი პირსახე იმედგაცრუების კვალს მალავს, მაგრამ მე რას გამომაპარებს! უშედეგოდ ცდილობს ჩემი წერილის აზრს ჩასწვდეს. ნაწერს კეთილსინდისიერად ჩასჩერებია. აკრძალულ წერილს ბედი არ უწერია. ყველა ცეცხლივით თავს არიდებს. გამბედაობა არავის ჰყოფნის, სიმართლეს თვალი გაუსწოროს. ხმამაღლა ვერსად აღიარებენ, რომ შედევრია, თუმცა ნაღმივით ფეთქებადია და თავქუდმოგლეჯილნი

გარბიან.

ახლაც, საერთო ხმაურის ზეგავლენით ჩემი თანამოაზრე ნაწერს გულს ვერ უდებს. იმდენ ნაწილად იხლიჩება, აზრს თავს ვერ უყრის.

რა გასაკვირია, ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენ გვითვალთვალებს. იმდენი წყვილი თვალი გვცხრილავს, თავი ბრძოლის ველზე დაღუპული ოფიცრების დენთისუნიანი მუნდირი მგონია. გამოგიტყდებით, წრეგადასულ ყურადღებას ადრეც არ ვემდუროდი, თუმცა ესოდენ უკიდეგანო ცნობისწადილისა და აღშფოთებამდე მისული ჯგუფური დამზერის ქარცეცხლში ბოლოს როდის აღმოვჩენდი, ნამდვილად ვერ ვიხსენებ.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ თავს რა ხდება? ასეთი მტრული მოურიდებლობით რატომ გვათვალიერებენ?

ვთქვათ, მაგიდაზე დახვავებული წიგნები და ფურცლები ეხამუშებათ ან იქნებ ჩვენი კონტრასტული ტანისმოსი აგდებთ საგონებელში?

მას ჩემგან განსხვავებით ძალიან სადად აცვია. ამ გარემოს ხაზს განგებ უსვამს. ჭინჭების ზეობის ეპოქაში გამოწვევაა ჩვეულებრივ სამოსს თავი არ დააჩაგვრინო. ის მოიხდინო, რაშიც გარეთ გამოსვლას ვერ გაბედავს. ჩემი თანამოაზრე ამის ცოცხალი მტკიცებულებაა. მისი მისამართით გამოტყორცნილ მზერას თუ დავუჯერებთ, ცხოველმყოფელად აცხადდება "შუბი ხალთაში იცნობა".

ჯოჯოხეთის მაშხალა მეც არ გახლვართ, თუმცა თვალთვალის მიზეზის ჩაწვდომისას ესოდენ ზედაპირულ გარემოებას ვერ დავეყრდნობი.

ჩვენ შუბლზე გვაქვს ამოტვიფრული, რომ სხვა განზომილებას ვეკუთვნით, ძარღვში სხვა შემადგენლობის სისხლი გვიჩუხჩუხებს. იერი და მიხვრა-მოხვრა უნებლიეთ გაგვთქვამს, რომ რაღაც საბედისწეროდ ჩვენეული, თავისთავადი რამ გვაბადია. ის, რაც უთქმელობის მიუხედავად საჯაროდ ბობოქრობს და რასაც ვერც მოდური სამოსი თუ სამკაული ჩქმალავს თუ აცდუნებს.

ახალგაზრდები ამას გუმანით გრძნობენ. ზერელე, არაფრისმთქმელ საუბრებში გახლართულები ჩვენ შორის არსებულ უსიტყვოდ შეთანხმებულ უცხოობას დაძაბულდ აღიქვამენ. მათ სიმარტოვით დალაქავებული იერით ვაფრთხობთ. სიცოცხლით სავსე, უმისამართო განცდებით შემსუბუქებულ ადამიანებს ულაპარაკოდ ვაძრწუნებთ. ვაიძულებთ ხმაურში ჩაძირული ამოებიდან წამით მაინც ამოყვინთონ. ჯერ მარტო ჩემი დძაბული მზერა რად ღირს! თანამოაზრის მზემოკიდებული, მოჩვენებითი სიმშვიდით მოპირკეთებული პირისახეც საპასუხო ცეცხლითაა გაჩირაღდნებული.

ხმურიან გარემოს ანტიკური ქანდაკებებივით უადგილოდ ვერწყმით და შეუნელებელი ყურადღების შუაგულში ამიტომ გადმოვინაცვლეთ. ყველას ერთი სული აქვს თავიდან მოგვიშორონ, ესოდენ გაუგებარი, აუხსნელი ტვირთისგან უმალ გათვისუფლდნენ, შებოჭვილობა განაგდოს. ძველებურად გალაღდნენ კიდეც.

ჩვენც არ ვნებდებით. მე კვლავ წიგნს ჩავცქერი, ის ჩემს აკრძალულ წერილს ჩაჰკირკიტებს, თუმცა ვატყობ, თვალშისცემად როგორ იცვლება.

ნაწერიდან თავს იღებს და ცნობისმოყვარე ახალგაზრდებს დაჟინებით აკვირდება: თითქოს სურს საპასუხო ხურდა უკან დაუბრუნოს.

ვგრძნობ შინგანი ამბოხით აღსავსე საცაა ყალყზე შედგება და …… უცებ სიცილი ერევა.

ჩემი გაოგნებული სახის გამომეტყველება უფრო ამხიარულებს. შეუსვენებლად იცინის, როცა მე აღშფოთებას ვერ ვმალავ. წარმოუდგენლად მიმჩნია: ის, რაც გაუნელებელ ტკივილშია გამოწრთობილი, საჯაროდ მასხრად როგორ უნდა აიგდო?

გული მწყდება უნებლიეთ მოხმაურე ახალგაზრდებს რომ უმეზობლდება. სიცილით ამტკიცებს, რომ ადამიანის სიმარტოვეს სიკვდილი არ უწერია. მოთმინება მღალატობს და წერილს ვეჭიდები. ხელიდან გამოგლეჯას ვლამობ, მაგრამ არაფერი გამომდის. უფრო გამეტებით თუ გავიბრძოლებ, ჯვარცმული წერილი ხელში შემომაკვდება. ბრაზი მიორკეცდება.

სასაცილოდ რასაც აიგდებ, პატრონს უყოყმანოდ უნდა დაანებო, შეწინააღმდეგება ფარისევლობაა.

ვერ შემიგნია, რომ ამ საგიჟეთში თავის გამოჩენა ცოდვის ტოლფასია. უღმერთოდ ვაშავებ, როცა თავი ისე მიჭირავს, თითქოს ირგვლივ არაფერი ხდება. უხილავი დაპირისპირების ექოს მოჩვენებითი გულგრილობის შენარჩუნებით ვერ აიცდენ.

ჩემი სიბრაზე უადგილოა, როგორც მისი გამომწვევი სიცილი. გულის სიღრმეში ვაცნობიერებ, რომ ჩვენს გარემომცველ შეუსაბამობას აქილიკებს ერთი სული აქვს რკალივით შემორტყმული გაუგებრობა გაფანტოს. ჯერ შუადღეა, გამაგრილებელ სასმელს ვსვამ და მხარზე ჩამოწოლილი გაუთვლისწინებელი ამბების წყება სასაპალნე ტვირთივით გვსრესს.

სიცილს როგორ შეიმაგრებ, როცა დილაადრიან გადაცემის ჩასაწერად მისულს ვიღაც მელოტი კაცი რიხიანად გამცნობს რომ თურმე ეს-ესაა კულულები გადაივარცხნა. კარს მიღმა ტომრები ჩასაფრდნენ და თავს სამშვიდობოს რომ დაიგულებ, საიდანღაც ჩამოშვებულ თოკებში იხლართები. მაშინ მივხვდი ის დღეE ჩვეულებრივ არ ჩაივლიდა. წინათგრძნობა წყევლასავითაა: როცა არ ელოდები, თავს მაშინ დაგატყდება. დერეფანში მზერით გადაცემისთვის მოწვეულ სტუმრებს დავეძებ და პირისპირ იმ ადამიანს ვეჩეხები, სულხან-საბას იგავ-არაკი მორიელს რომ უწოდებს.

ბოლო დროს გაუგონარი რამ ხდება: სადაც მივდივარ, მორიელის თანამეინახე დაბარებულივით წინ მესვეტება და ჩხუბში მითრევს. მოქიშპეს დავალებული აქვს ყველა ჩემს წინააღმდეგ აამხედროს, ისიც პირნათლად ასრულებს დავალებას. საამისოდ იმდენად გაცვეთილ ფრაზებს იყენებს, გულის სიღრმეში მებრალება.

წყალი არ გაუვა, მოქიშპესავით დაოსტატებულ ჯალთებს იოლად ვერ მოიგერიებ. შემოგზავნილთა ხელობაა სისხლი გაგიშრონ. მათზე რუსთაველის აფორიზმი: “გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი” პირუკუ ჭრის. ამისთანებთან დიპლომატიას თუ გააბამ, მთელი გამეტებით გერჩიან. ჩემი ჯალათი ამჯერადაც მტკიცედაა შემართული. ნაპოლეონის ვეტერანი ჯარისკაცივით გაჯგიმული საჯაროდ მაფრთხილებს, რომ საჩხუბრად არ გამოვიწვიო. განგებ ხმამაღლა გაჰყვირის, ყურები კედლებმაც რომ გამოისხან და მისი ტრიუმფის ამბავი სადაც ჯერ არს, იქ მოახსენონ.

მადლობა ღმერთს, ჩემი თანამოაზრე უკვე ოთახში ზის და არ იცის გადაცემის დაწყებამდე რა ელვისებური ომი გადამაქვს. რა უღმერთობაა, ვიღაცის უმადურობა უსასრულოდ ითმინო, მის იაფფასიან გამოხტომებს მუდამ გაწონასწორებული დაუხვდე, ბოლობოლო არამზადებთან ეტიკეტის დაცვა ვინ მომისჯა?

სახეზე ხანძარი მიკიდია, ხელებიც მიკანკალებს. არეულ-დარეული საუბრის ცდუნება მძლევს. გვიან ვაცნობიერებ, რომ მისი გადასაჭრელი არ არის პროვოკაციული საქმის გარჩევები ისმინოს, მაგრამ მეც ადამიანი ვარ. ვის გავენდო თუ არა მას, ვინც ჩემს შემოქმედებას ზედმიწევნით იცნობს და ჩემს პიროვნულ ხასიათსაც გარკვეულწილად სწვდება.

ამასობაში სტუმრები გროვდებიან. ჩვენი უძვირფასესი, რეპრესირებული

პოეტისა და მწერლის ხსოვნის დღეა და შეუფერებელ აზრს მოუსავლეთში ვლაგმავ. მოულოდნელობების ნაკადი მაინც არ წყდება. ჩვენი სასიქადულო პოეტი რატომღაც ვერ მცნობს და ხმამაღლა ანგელოზს მადარებს. მას არც მეორე, არანაკლებ ღირსეული კოლეგა ჩამორჩება და ჩემი თანამოაზრის მისამართით ქებას არ იშურებს. ჯიშიან ახალგაზრდებზე ჩამოაგდებს სიტყვას. მეღიმება. გადაცემა იწყება. თამამად მოკაშკაშე ნათურა წამით გვაბრმავებს.

სურპრიზივით დამეცადინებული დრო-ჟამი შეუსვენებლად გვცდის.

თანამოაზრე წერილს კითხულობს. აღტაცებულს სუნთქვა მეკვრის. ეს წერილი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ავ-კარგზე საფუძვლიანი მსჯელობაა. ის გზაა ერთეულები რომ მოიყვებიან და ძვირფასი მგოსნის ბრძოლას ბუნებრივად აგრძელებენ. მართლაც განუზომლად მნიშვნელოვანია, რას ვირჩევთ და ვის ვემსახურებით.

მოწვეული სტუმრები ჩემს აღტაცებას უყოყმანოდ იზიარებენ. მათი თანდასწრებით ახალგაზრდა შემოქმედი გადაიბარებს იმ უმადურ უღელს, ქართული მწერლობა რომ ჰქვია.

მრავალტანჯული რწმენით, ეს ახალგაზრდობა სამშობლოს საჯიჯგნად არავის დაანებებს.

საოცარია რომ სადღაც თაობთა ჩანაცვლება უმტკივნეულოდ ბუნებრივად განხორციელდა.

სიხარულს მოულოდნელობა ჩრდილავს. გადაცემის დასრულებამდე ირკვევა, რომ 12 წუთის გარდა ყველაფერი წაშლილია. ჩვენი მგოსნის შვილს, რომელიც აქვე ისმენდა ყოველივეს, სახეზე მკვდრის ფერი ადევს. უღონოდ შევცქერით ერტმანეთს. ძალას ვიკრებ და სტუმრებს უკან, სტუდიაში ვაბრუნებ. დაძაბულობისგან ძარღვი მიტოკავს. ბედისწერას ხაფანგში მომწყვდეული იოლად არ ვნებდები, უფრო გულახდილად და მწვავედ ვსაუბრობთ. იმპროვიზაციაზე მინდობილებს გამეორებისა და მოყირჭების შიში არ გვემუქრება.

აშკარად ჯალათმა გვცა თვალი. აქამდე აზრად არ მომსვლია, საათს ვამოწმებ. ორი საათის შემდეგ მეგობრის თხოვნით ერთ-ერთ შეხვედრაზე სიტყვით უნდა გამოვიდე. თანამოაზრე თანახმაა ჩემი ტვირთი გაინაწილოს. კაფეში შესვლაც მან გადაწყვიტა, თუმცა მანამდე ეკლესიში შევდივართ: სანთელს ვყიდულობ და უხმოდ ვუწვდი. ვიღაც მეძახის, გაკვირვებით ვუმზერ. ძველი ნაცნობი არ იბნევა და ზოგადი მოკითხვის შემდეგ დასძენს, რომ ჩემი წიგნი წინა დღით გადაიკითხა. ნაუცბათევად მოფიქრებულ სიყალბეზე მეცინება, მას მღვდელთან დასალოცად მივყავართ. იგი პოეტ მანდილოსნებზე ამზერით საუბრობს. წამდაუწუმ მათრახს ახსენებს. ერთი სული მაქვს მის უტიფარ მზერას თავი დავაღწიო. თანამაზრეზე ვბრაზობ. ვერ გამიგია, აქ რისთვის მომიყვანა. ორივე მისი ნაცნობია, მაგრამ მე რა დავაშავე უტაქტო შეკითხვებით, რომ შემაღონეს?!

მე გრიგოლ ხანძთელზე ვარ გაზრდილი, თორნიკე ერისთავის ხატება წამითაც არ მშორდება. უდიდეს ქართველ წმინდანთა ღვაწლს სასოწარკვეთის ჟამს არაერთგზის ვიხსენებ. მსოფლიოში სახელმოხვეჭილ სასულიერო პირთა ნაშრომებსაც გამუდმებით ვკითხულობ... ანაზდად დავით აღმაშენებლის მიერ შერისხული ქვაბ-ავაზაკები მახსენდება და ჩვენი ეპოქის სიბნელე ჭინჭარივით მსუსხავს. თავი ჯოჯოხეთში მგონია. თანამოაზრე რაღაც მანქანებით ჩემს დაყოლიებას ახერხებს, კაფეში სიკვდილმისჯილივით შევდივარ და აი, შედეგსაც ერთად ვიმკით. ახალგაზრდების დაუცხრომელი თვალთვალით შევიწროვებულებს გონება გვებინდება. თბილისში დილაუთენიე ჩამოსულს უეჭველად შია, უარს

სიგარეტის მოწევაზეც არ იტყოდა, მაგრამ მე მღელვარებისგან კრიჭა მაქვს შეკრილი.

- ამათთან მარტო მტოვებ? – სასოწარკვეთილების დამალვა უკვე ჩემს ძალებს აღემატება და ისიც იძულებულია სიგარეტის მოწევა გადადოს.

- აქ ჩვენი ადგილი არ არის! – როდის-როდის უხალისოდ აღიარებს.

გამოდის ბრბომ გვძლია?! მაგიდაზე ჭიქებს ვდგამთ და შენობიდან გავდივართ. გულში ფიცს ვდებ, რომ ამ კაფეში ცოცხალი თავით აღარ შევალ. სასაცილოა არაა? შენობას რა მნიშვნელობა აქვს, სადაც არ უნდა გამოვჩნდეთ, ყველგან კეთროვანებივით გვზვერავენ. როგორც ჩანს მთელი თბილისი შეთქმულა, საკმარისია ნაბიჯი გადავდგათ, ყველგან ათასი წლის უნახავი ნაცნობები გვეგებებიან.

ერთ-ერთს ჩემი ვაჟკაცის თანატოლი საყვრელი ბიჭი ახალავს. ნაკოცნ ლოყას ისე გულდასმით იწმენდს, მზად ვარ უსასრულოდ დიდხანს მივეფერო.

საღამო წიგნის მაღაზიის ფერად სამყაროში გრძელდება. მეგობარ პოეტებს ჯალათის ხრიკებზე ვუამბობ და მოსალოდნელი უსიამოვნების შესახებ ვაფრთხილებ.

დროა თავს უფლება მივცე და შვებით ამოვისუნთქო. მყუდრო გარემო შეუმჩნევლად მაწყნარებს. ყველა გამომსვლელლის მსჯელობას გულდასმით ვისმენ. წიგნის ავტორი მოყვარული ხელოვანია და მღელვარებისგან ადგილს ვერ პულობს. რა ბედნიერებაა, როცა გზას გულთბილად დაგილოცავენ. აუცილებელი არ არის ადამიანი ჯვარს აცვა თუ თავისი ნააზრევის საჯაროდ გამოტანა გაბედა.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ჯვარცმა რჩეულთა ხვედრია. ვისაც ტანჯვის გზაზე შეაყენებენ, დროს ის გაუძლებს. დევნილობის სუსხი გაიძულებს თვითკმაყოფილების ჭაობში ნებაყოფლობით ჩაიძირო. რილკე ერთგან შენიშნავს, რომ ნამდვილი ხელოვანის დასამარცხებლად გონიერი მტრები ქებასა და მქუხარე ტაშს არ იშურებენ. ხოტბა-დიდებით ათვინიერებენ მას, ვისი განადგურებაც განუზრახავთ.

პოეზია მარტოხელათა სამსხვერპლოა. ამაზე საუბარი არ მწყინდება. ანაზდად მახსენდება, რომ დიდი ხნის წინ სურათის გადაღებისას უცნაური რამ მოვიმოქმედე. ვიღაცას ჯაჭვი აღმოაჩნდა. მე ხუმრობით ეს სათამაშო ბორკილი თანამოაზრესთან ერთად მოვირგე. ფოტოზე ასე ბორკილდადებულები აღგვბეჭდეს. ის სურათი ხელში დღემდე არ ჩამვარდნია. სამაგიეროდ ჩვენი სიტყვა თანდათან მტკიცდება, ძალას იკრებს, უთვალავ წინააღმდეგობას ოდნავადაც არ ეპუება. უკანდახევა არ გვეხერხება და ეს მხოლოდ თეატრალური პოზა ან თვალსასეირო სურვილი როდია, არამედ ცხოველმყოფელი სინამდვილე. ჩვენი საქმე ამაზე მოურიდებლად ღაღადებს.

არ გიფიქრით თანამოაზრეებს როგორ უძნელდებათ განშორება? მადლობა ღმერთს, ორივეს ჩვენ-ჩვენი სიმარტოვე გვძალავს და გვდარაჯობს. ჩვენი მოუარშიებელი მოურჯულებელი სიძლიერე, რომელიც სიმარტოვიდან იღებს დასაბამს.

2008 წელი.

მარტოობის ტრაგედია

ოცდაოთხი წლის ილია ენით აუწერელ სასწაულს დაუმუნჯებია.

სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის კუთვნილ რვეულს ათრთოლებული თითებით ესათუთება. ჩვეული სიდინჯე ყელში ებჯინება. სულში აბორგებული ქარაშოტი ღამეებს თეთრად ათენებინებს. უსაზღვროდ აფორიაქებული მზადაა მთელი ქვეყნიერება შეძრას: მან მარტომ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ განჭვრიტა და ამოიცნო ტიტანი. ვისაც თანამედროვეები მოჩვენებითი თანაგრძნობით უფრთხოდნენ.

ილიას ნიკოლოზ ბარათაშვილის სწორუპოვარი პოეზიის აღმოჩენა გაძევებულ სამოთხეში დაბრუნებად ესახება.

ჭაბუკი წინაპრის ძალმოსილება სტიქიის ტალღებში ჩაკარგვის საშიშროებას ქმნის. ის, ვინც უკიდეგანო სიღრმეს არ უფრთხის, თავადაც უკვდავების მადლით ნაპკურებ სიტყვას ეთაყვანება.

უიღბლო ბარათაშვილს სიკვდილის შემდეგ უღვთოდ გაუმართლა. მის ჯვარცმულ სულს შემწედ მოვლენილი რაინდი მემკვიდრე საკადრის პატივს მიაგებს.

“მერანი” ილიას დაბადების წინასწარმეტყველური ხილვის აცხადებაა. ტატოს “ჟამი ჩემი და ჟამისა მე ვარ იმედი” თერგდალეულმა გენიოსმა სინამდვილედ გარდასახა. შორს, ბარათაშვილის დაღუპვამდე ორი წლით ადრე გერმანიაში სიგიჟეს ებრძვის ფრიდრიჰ ჰოლდერლინი, რომლის ფილოსოფიურ-ელეგიური ჰიმნების ლირიკა ტატოს შინაგან წიაღსვლებს უჩვეულოდ ეხმიანება.

საუკუნემ უნდა განვლოს, რათა ჰოლდერდინის მემკვიდრეობა სათანადოდ დაფასდეს.

ნიცშეს დამსახურებაა, რომ კერძო მასწავლებლის შემოქმედებაში უდიდესი პოეტისა და რომანისტის სული ამოიკითხა.

ბარათაშვილს ოჯახის ხელმოკლეობამ შესაფერისი განათლების მიღების საშუალება მისცა და კანცელარიას შესისხლხორცებულ უსულგულო, წვრილფეხა ჩინოვნიკთა გარემოცვით სულშეხუთული აუხდენელ ოცნებებს უხმოდ გლოვობს.

ჰოლდერლინი მასთან შედარებით ბედის ნებიერაა. სახელგანთქმულ თეოლოგიურ სემინარიაში ჰეგელსა და შელინგთან ერთად იკლავს ცოდნის წყურვილს. ფილოსოფიის მაგისტრის წოდებას დაუბრკოლებლად ანიჭებენ, მაგრამ მღვდლობა მისი მოწოდება არ არის. ამის გამო თავისუფალ არჩევანს სჯერდება და თავს მასწავლებლობით ირჩენს.

ტატო ავბედითი კანცელარიის რიგითი გადამწერია და რუსეთის იმპერატორის უმაღლეს ჯილდოს კარადის მტვრიან უჯრაში დაუდევრად ივიწყებს.

ჰოლდერლინი მოგზაურობისას შილერს გაიცნობს და სულის სიღრმეში გამოზრდილ მარტოსულობას აღფრთოვანება ენაცვლება.

სულით ობოლი ბარათაშვილის გულის მესაიდუმლე მასზე არანაკლებ უბედური და უიღბლო მაიკო არობელიანია. სამარცხვინო გარიგების უნებლიე მსხვერპლი, შეურაცხყოფას ხანმოკლე სიცოცხლით რომ გამოისყიდის.

ყოფიერების სივიწროვეში მომწყვდეული ტატო ბობოქრობს, ღირსებაშელახული სამშობლოს დაცემა გულს უკლავს, სამეფო სისხლის ყივილს ნაძალადევი მხიარულებითა და ზედაპირული გართობით იგერიებს.

გერმანიის დაქუცმაცებას ჰოლდერლინიც ვერ ეგუება. ბუნებით რომანტიკოსი სამშობლოს დამაქცევართ მისთვის უჩვეულო სისასტიკით ამათრახებს.

მათი იდეალი ძლიერი, გაერთიანებული, თავისუფალი ქვეყანაა. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ღვიძლ ბიძას, რუსეთის არმიის სახელმოხვეჭილ გენერალსა და პოეტს, გრიგოლ ორბელიანს გულახდილად შესჩივის, რომ სამოქმედოდ ფართო ასპარეზი სწყურია, გული ეთანაღრება, რომ შესაფერისი ადამიანი დროულად არ გამოუჩნდა, ვინც გზას გაუკაფავს, უიღბლო აწყმოს დაძლევაში დაეხმარება, უკიდეგანო თვალსაწიერს უფრო მეტად გაუსხივოსნებს.

უბედური შემთხვევის წყალობით მისთვის სამსახურებრივი წინსვლა დახშულია. ვინ უწყის, ასე რომ არ მომხდარიყო, ჭაბუკი გენიოსი რას მოიმოქმედებდა?

ეგებ ღმერთმა დაიფარა, ბიძის მსგავსად მტრის სამსახურში ჩამდგარი ჩინ-მედლების შეგროვებას, რომ არ გადაჰყოლოდა!

რუსეთის იმპერიის თუნდაც კეთილშობილი ოფიცერი პოეტი ილიას გულს ვეღარ მოიგებდა. მის ძლევამოსილებას ჩრდილი მიადგებოდა. იმდროინდელი გენიოსი მგოსნები ბაირონის მეთაურობით ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლებს გმირულად ეწირებოდნენ.

ჰოლდერლინის ჰიპერიონიც ამ უსამართლო ომის ერთ-ერთი მონაწილეა და თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ თავდაუზოგავად იბრძვის.

თავისუფლების დასამკვიდრებლად სიცოცხლეს თმობენ პოეტები.

ანტიკური საბერძნეთის მოტრფიალე გერმანელს თავისი თანამედროვეებისგან სული ეხუთება. მათი მეწვრილმანე ბუნებისა და დაქსაქსულობის გამო უზომოდ იტანჯება. აღაშფოთებს “ — ყოველივესთან შერწმის ხარბი წყურვილი ეტნის ტიტანის დარად რომ გააფთრებული მოიწევს ხოლმე ჩვენი სულის სიღრმიდან. გარეთ, თუმცა კი ვის არ ურჩევნია, გავარვარებული ლავასავით გრძნობდეს ამ წყურვილს, ვიდრე ისა თქვას, რომ მათრახისა და უღლის მსხვერპლად იშვა ამქვეყნად? განა რომელია კეთილშობილი — საომარი რაში, თუ ყურებჩამოყრილი ჯაგლაგი ცხენი?!”

ჰოლდერლინის სასოწარკვეთილი შეძახილი ყურთასმენას ძაბავს. მართლაც, სიხარბის დაუოკებელი ლტოლვა მეფესაც მიწად აქცევს, თუმცა გვირგვინოსანნი მაინც “იმავ მიწისთვის აღიძვრიან”... რომელსაც ადრე თუ გვიან მიებარებიან.

“მერანი” უსაზღვროების დასამარცხებლად ძალ-ღონეს იკრებს. კანცელარიის ნესტიან ოთახში განმარტოებული ტატო მოყვასისთვის უვალი გზის გაკვალვაზე ოცნებობს. იმის ხორცხშესხმა სწადია, რაც მას სიცოცხლეში გამიზნულად არ აღირსეს!

საქართველოში გაუტანლობა და გულგატეხილობა ჩამოწოლილა. 32 წლის შეთქმულების დაღი დამონებულ ქვეყანას სამუდამოდ ატყვია და ამ დროს გარეგნულად უზრუნველი, მხიარულ თავყრილობათა სული და გული ქმნის “მერანს”, გაუტეხელი ნება კარნახობს გამომწვევად წარმოთქვეს:

“ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!”

პირადი ტრაგედიის შარავანდედი ლეგენდარულ ბურუსში ხვევს. ულამაზესი ქალისადმი უიღბლო, შმაგი სიყვარული თანდაყოლილ ობლობას უკიდურესად უმძაფრებს. მას არაფრად უღირს იმპერატორის მიერ ბოძებული უმაღლესი ორდენი, რომლის მოსაპოვებლად მონადქცეული ქართველები სამშობლოსა და თანამემამულეებს არ ზოგავენ! უზომო გავლენის ნივთიერ მტკიცებულებას უჯრაში ამწყვდევს და უგულებელყოფს. სამაგიეროდ, მისი გულის რჩეული ვერ თმობს

ძალაუფლებას და გენიოსი პოეტის ცოლობას სადედოფლო გვირგვინსა და ზღაპრულ სიმდიდრეს ამჯობინებს.

ჭაბუკი მგოსნის შინაგანი სიღრმე მიჯნურობაშიც უკიდეგანოა. მას სიცოცხლის ბოლომდე ერთადერთი ქალი უყვარს. ჩვეულებრივ მამაკაცებს ამ თვისებითაც არ ჩამოჰგავს. თავგანწირვაშიც ვერავინ შეეცილება, ისევე, როგორც სრულყოფილი პოეტური ნიმუშების შეთხზვაში არ მოეპოვება ბადალი! მისი გული სამუდამოდ სამეგრელოს უკანასკნელ დედოფალს ეკუთვნის, ერთადერთ ქალს დაუპყრია, რომელიც სიცოცხლეში უარყოფილ სატრფოს უკვდავებით აჯილდოებს. ჰოლდერლინსაც ერთადერთი სატრფო ჰყავს: მდიდარი ბანკირის ცოლი, ოთხი შვილის დედა — მგრძნობიარე და განათლებული ზუზეტე გონტარი უყვარს. ტრაგიკული ურთიერთობის თანამდევი მარცხი შინაგან მიუსაფრობას უღრმავებს. განშორებას უბედურება ერთვის. პოეტზე ადრე მისი მიჯნური იღუპება.

ზუზეტე გონტარი — "ჰიპერიონში" დიოტიმად გარდასახული ჰოლდერლინის ერთადერთი მიწიერი საყრდენი აღარ არსებობს. სწორედ მაშინ იჩენს თავს მგოსნის მემკვიდრეობით მიღებული სნეულება-შიზოფრენია. ჰოლდერლინს ავადმყოფობა ერევა. მისი აღმომჩენი ხელოვანი ნიცშეც ამ სენს ეწირება მსხვერპლად. ვინ უწყის, ბარათაშვილი სინანულით როგორ დასჩერებოდა დასახიჩრებულ ფეხს. უსამართლო ბედისწერამ მისთვის უშურველად რომ გაიმეტა. სატრფოზე ადრე ახლობლებისაგან დაუტირებელი მიებარა უცხო მიწას მგოსანი, რომლის გულისშემძვრელი წინასწარმეტყველება ზებუნებრივი ნიჭისა და მადლის დასტურია.

ტრაგიკულად აღესრულა ტატო ბარათაშვილი: უნათესაო, მიჯნურისგან გულმოკლული, სამშობლოდან გაძევებული. მან არ იცოდა, რომ სულით ნათესავი ჰოლდერლინი 41 წლის ასაკში სიგიჟით შეპყრობილი განუდგა ყოფიერებას.

იქნებ, იქ, ჩვენთვის მიუწვდომელ განზომილებაში სულით ობოლი პოეტები ერთმანეთს ხვდებიან? ეკატერინე რომ ჟორჟ სანდივით მოქცეულიყო, რომელმაც შოპენის ბოლოდროინდელი ქმნილებები პირადი შურისძიების ნიადაგზე გაანადგურა, ტატოს მემკვიდრეობა ჩვენამდე ვერ მოაღწევდა.

მარტოსულთათვის სამყაროს არსი მარადიული სიმშვიდის დასამკვიდრებელ ბრძოლასა და ძიებაში ვლინდება. სულით ობოლი ყოფიერებას სანთელივით ჩამოქნის და მისი კეთილსურნელებით აიძულებს კაცობრიობას სიკვდილის შემდეგ მაინც გაუწიოს ანგარიში პიროვნებას, ვისაც სიმარტოვის არ ეშინია, ვისაც მარადიული ობლობა აქვს მისჯილი და მაინც სხვისი გზის გაკვალვაზე ოცნებობს!

2008 წელი
გაზეთი "რაეო" №7, 2008 წელი

ჩვენში ჩარჩენილი მეამბოხე გმირები

შენ ჩემს მეამბოხე გმირებს დაუღალავად უთანაგრძნობ, ხელსაყრელი შემთხვევა გამოგიჩნდება თუ არა, პერსონაჟთა ფათერაკებით აღსავსე თავგადასავალს გაზეთში უყოყმანოდ აქვეყნებ.

სიმართლე გითხრა, თავდაპირველად გაოცება ვერ დავმალე, ძველი, გადავიწყებული გმირები ხელახლა რომ გაცოცხლდნენ. დღეს დიდი ფუფუნებაა, ვინმემ საკუთარი ნება-სურვილით მოთხრობა ან ლექსი დაგიბეჭდოს, ხვეწნა-

მუდარის, დაპირების, დამუქრების თუ გამიზნული ანგრების გარეშე გცნოს და გაღიაროს.

საუკუნეა ამ უმადურ ხელობას ჭაპანწყვეტით მივდევ. დროდადრო მზად ვარ ყველაფერზე ხელი ჩავიქნიო, ერთხელ და სამუდამოდ გავნაპირდე, მაგრამ ბოლო წამს უხილავი ძალა მაკავებს ესოდენ მძიმე და სანუკვარი საქმე მედროვე ინტრიგანებს უბრძოლველად გადავაბარო.

უჩემოდაც კარგად მოგეხსენება, რომ ნაწარმოების გამოქვეყნება ჯოჯოხეთურ გამძლეობასა და ნებისყოფას მოითხოვს: ამ დროს ძალაუნებურად უამრავ ნაცნობსა თუ ამხანაგ- მეგობარს ცდი, თითქოს ადვილ საქმეს მოჰკიდებიხარ: წესით რედაქციაში თხზულებების მიტანასა და დაბეჭდვას წინ რა უდგას?

უშეღავათო ბრძოლა სწორედ მაშინ ჩაღდება, გზადაგზა იმდენ წვრილმან მახეში გაებმები, თავბედს იწყევლი, პარნასის მოლიპულ გზაზე რომ შემოგიცდა ფეხი. ბედნიერია, ვინც დემაგოგებს ბრმად ენდობა, მათ ცრუ "სიბრძნისმეტყველებას" ხარბად ისრუტავს მათი საცეცებიდან გამოტყორცნილი ცინიზმით უფასოდ იკვებება, სწამს, რომ ნიჭიერ ხელოვანს ყველგან დაფნის გვირგვინით ელოდებიან. თურმე მთავარი მონდომებაა და გზას საკუთარი ძალ-ღონით თავისთავად გაიკაფავ. ადრე თუ გვიან "ობლის კვერი თავისით გამოცხვება". ვინ უწყის ამ ფუჭ დაპირებებს რამდენი პატიოსანი, გულუბრყვილო შემოქმედი უსახელოდ ემსხვერპლა! დღე არ გავა, ამ მცდარი შეხედულების სიმრუდე პირადად არ ვიწვნიოთ.

დემაგოგების გამოდევნება მარცხთან ნათესაობას მოასწავებს. მათ ყველგან სახიფათო მოქიშპეები ელანდებათ და ქვეწარმავლებივით სარსალა ენებს დაუღალავად ფერავენ, მარადიული მღვიძარებით აღჭურვილ-სმენაგამახვილებულნი მუდამ სასიკვდილო ნახტომისთვის შემართულან: მათ ბანაკს ვინმე უცხო მოყმე არ შემოეპაროს!

შენ კი რა ძალა გადგას მეამბოხე გმირები ერთად შეკრიბო და გაუფასურებული ეპოქის თვალწინ საჯაროდ გამოფინო.

ჩემი არ იყოს შინაგან აღშფოთებას ვერ უმკლავდები. მონების ერთსულოვანი დარაზმულობა გაიძულებს საპირისპირო რამ მოიმოქმედო. ამავე დროს გასიგრძეგანებული გაქვს, რომ წეღან ნაღმს ფეხი რომ წამოჰკარი, იქ ერთ დროს პირფერ მაქებართა ურდოა ჩასაფრებული.

უნიჭოები ერთმანეთს სამარის კარამდე ერთგულობენ, მათი შემაკავშირებელი ძალა ამოუცნობ სიძლიერეზეა დამყნობილი. პირად სურვილებსა და ახირებებს საერთო მტრის გასანადგურებლად შესაშურად იყენებენ. გამღიზიანებელს მოწერიგებულად უტევენ და წარმატებით იგერიებენ.

ახლახანს ერთობ გამოცდილმა ბიბლიოთეკარმა ნიშნის მოგებით მითხრა, რომ მწერლები დაუნდობლად ვებრძვით ერთმანეთს, წესით ამ ჭეშმარიტებას წყალი არ გაუვა, მაგრამ მისი შეხედულება სადავოა: სამყარო უბრძოლველად ვერ იარსებებს. კეთილისა და ბოროტის ჭიდილში სიმართლე იწრთობა. ეს ოდითგან ასეა დადგენილი. უაზრობაა აქ სიახლე ეძებო, თუმცა ბიბლიოთეკარს ერთი საგულისხმო "წვრილმანი" გამორჩა, განურჩევლად ყველა ყველას არ ებრძვის. ამ თითქოსდა რკინისებური დებულების გასათვალისწინებლად ერთეულები იშვნენ. მკრეხელობაა ამგვარ მოღვაწეთა ამაგი არაფრად მიიჩნიო და ღრმად გწამდეს, რომ კაცობრიობა შენიდან იწყებს დასაბამს. ეს ძველმოდური დემაგოგიის უნიჭო გადამღერებაა და თუ მაინც ვთქვათ და ის ორი პატიოსანი ხელოვანიც გაწყდა, აქამდე რა მანქანებით მოვაღწიეთ? ვისი დამსახურებაა მავანთა უსირცხვილო საქმიანობას თუნდაც დროულად რომ უპირისპირდები. იმას ეურჩები, ვისაც ყველაფერზე ხელი

მიუწვდება და ულაპარაკოდ დაგმარხავს. ისე გაგაცამტვერებს, სანამ ცოცხალი ხარ, მიუკერძოებელ ბწკარსაც ვერავინ შემოგაშველებს, ვერავინ გაბედავს შენ კი არა, სამართლინობს მიემხროს, მის დასამკვიდრებლად გაიხარჯოს.

ჩვენს გმირებში ჩვენვე ვთვლემთ და ვმღვიძარებთ, შესაფერისი ჟამის ჩამორეკვასაც მოუთმენლად ვუცდით, თუმცა ხშირად, ე. წ. ხელსყრელ დროს თვითონვე ვახშობთ, რაიმე ისეთს მოვიმოქმედებთ, რომ ჩვენივე აღიარებამ განუსაზღვრელი ვადით კვლავ უკან გადაიწიოს.

ვიღაც შემოგვედავება დ არტისტიზმში დგვდებს ბრალს.

საფუძვლინად თუ ჩაგვეძიება, იმედგაცრუებული უკუიქცევა და შეგვაჩვენებს; რადგან კეთილდღეობის მისხალსაც ვერსად ჰპოვებს, ვერ წარმოიდგენს, რომ წლობით ნალოლიავებ ოცნებას ერთი მოკრძალებული გაზეთის გამოცემას რომ უკავშირდება ღმერთმა უწყის, ახდენა როდის უწერია. მაშინ, როცა არაერთი გამომცემლობა ყვავის და ძლიერდება, ყალბი გმირების კოლექციონერობით დაკავებულ მაგნატებს ჩვენ დანახვაზე დამრეცად ეღიმებათ: უკვირთ, რომ ჯერ კვლავ ვცოცხლობთ და ბრძოლის ჟინი არ გაგვნელები. გამჭრიახი გონება კრნახობთ, რომ უსახსრობის მიუხედავად უკანდახევა აზრადაც არ მოგვდის. ბოლოსდაბოლოს ყველაზე მძიმე, ანგარიშგასაწევი არტილერია ჩვენი ნამუშაკევია და არა გავლენიანი სტამბა ან მაკულატურით დანაგვინებული მეასე რიგისა თუ ჯურის ჟურნალ-გაზეთები.

მათი მიზანია ყველა ერთმანეთს გადაკიდონ, ვინც გზაზე თუნდაც უნებლიეთ გადაეღობება. ამას ვერავინ შეიტყობს: ჩვენ ტელესამყარო არ გვიცნობს, გამომცემლობები კი უსიტყვო შეთანხმებით გვერდს გვიქცევენ. საეთერო სხივი ჩვენს ძარღვებამდე არ ატანს, ტელეღიმილის ხიბლი ჩვენთვის იმდენად მიუწვდომელია, როგორც რიგითი მოქალაქისთვის ძვირადღირებული მანქანის პრეტენზიული საბურავი.

დღეს თუ ხელი მოგეცარა, ხვალ ჩვენი წიაღიდან ნაშობი გმირი ვიღაცას მიიმხრობს. მისი სიტყვა სხვის გულს დაეწვეთება და ამოშანთავს.

ვინ მოთვლის ხელი რამდენჯერ გაგვცუდებია! რამდენ ნაქანდაკევ პერსონჟზე უკეთეს ადამიანს ინახავს სინამდილე. ჩვენ კი თვლისჩინდაკარგულებივით იმას ვკოწიწებთ, რაც ჩვენამდე და ჩვენ შემდეგ უდავოდ იარსებებს და რასაც ჩვენი ერთი მუჭა ძალისხმევით ბოლომდე ვერასდროს ჩავწვდებით და ვერ ამოვიკითხავთ.

მეამბოხე გმირებს დაუღალავად ვძერწავთ და ვცდილობთ მათ დავემსგავსოთ: ზოგჯერ ისინი ჩვენ გამბედაობას გვართმევენ, მაგრამ მაინც არ ვნებდებით: თითოეული შტრიხის გადსარჩენად ქანცის გაწყვეტამდე ვომობთ.

მაშინ იმარჯვებ, როცა მკითხველი უშეცდომოდ ხვდება, რომ ხელში ყალბ გმირს არ აჩეჩებ, არ თვალთმაქცობ, სხვის ჯიბრზე ქულებს არ იწერ, რომ შენს პერსონაჟს შენივე ხასითის ტვიფარი ათბობს. მას თუ ახლობლად იწამებენ, შენ სიძულვილის ნიაღვარი არ გემუქრება.

კვლავ გამოცდილი ბიბლიოთეკარის ნათქვამი უნდა მოვიშველიო. ცნობილი პოეტის შეფასებისას მან შენიშნა, რომ პიროვნული თვისებებიდან გამომდინრე ის არავის უყვარს და ამის გამო მისი წიგნები ვრცელი ტირაჟის მიუხედავად მაღაზიებში ჩამოფასებულია. დიახ, უარყოფილი წიგნები ბერდებიან და იმტვერებიან.

საგულისმო "წვრილმანს" გადავეყარეთ: ყველზე რთულ და მტკივნეულ ბექობს მივადექით, სადაც არაერთმა ტიტანმა ძალაუნებურად ჩაიჩოქა. მკითხველს მარტოოდენ მაღალმხატვრული ოსტატობით ვერ ამოპირავ: რასაც ფურცელზე დაუღალვად ქადაგებ და სინამდვილეში ღალატობ, მკრეხელობაა მისი შესრულებ

სხვას მოსთხოვო. მოტყუებულ მკითხველს დაფასება და წინამძღოლად არჩევა რა პირით უნდა აიძულო? სიტყვისა და საქმის განხეთქილება არ ხორცდება.

მკითხველის მეხსიერება შესაშურად წამახულია: შეუძლებელია მისი არჩევანი არ გაითვლისწინო: მაღალ იდეალებზე თეორიულ მსჯელობას ცხოვრებისეული სინამდვილიდან აღებული მაგალითებით აცამტვერებს: ხელოვანს იმას არ პატიობს, რაც თვითონ არ გააჩნია და რისკენაც მას ჯიუტად უბიძგებს, რათა ზურგს უკან ხელების ფშვნეტით საკუთარი ძალმომრეობით დატკბეს და მიზანში მორიგი მსხვერპლი ამოიღოს. ამგვარი თვითტკბობისგან არავინაა დაზღვეული, ვინ მოთვლის ჩვენ თვალწინ რამდენი ნიჭიერი შემოქმედი მედროვეთა ბანაკში ზარ-ზეიმით გადაბარგებულა, რამდენ უსამართლო მსხვერპლშეწირვას შევსწრებივართ და რამდენი დაცემა-აღზევების თვითმხილველებად ვქცეულვართ!

ხმურიან სახელს და კეთილდღეობას გამოდევნებულ ხელოვნთა რიცხვი ყოველწამიერად იზრდება, ძალაუფლებისკენ დაუოკებელი სწრაფვა არავის ინდობს.

მაშინ გამიხსენე, იგივე საფრთხე თუ დაგემუქრა, მაშინ ამიმხედრდი, მამხილე, იქნებ ძველი, გადავიწყებული გმირების გაცოცხლება ამისთვის გვჭირდება?

აუცილებელია ვინმემ დროულად გამოგვაფხიზლოს. თუ ასე არ მოხდა, ე. ი. ჩვენ პერსონაჟებს ჩვენვე განვუდექით, ეს იგივეა მარჯვენა მოიკვეთო, თვალსაჩინი ნებაყოფლობით დაიშრიტო.

სამართლიანობის დაცვა უსაშველოდ რთული გზისკენ გვიტყუებს. აქ შეღავათის მოთხოვნა უადგილოა.

მხოლოდ საკუთარ უნარს ემყარები.

ვინძლო რამდენი პერსონაჟი დაგვისხლტა ხელიდან!

რამდენი გამოგვრჩა, რამდენს განგებ ავუარეთ გვერდი. საყოველთაო გუგებრობისა და უხერხულობის სიმძიმემ რამდენჯერ გაგვშოლტა!

ყველაზე სანატრელი ის წამია, როდესაც შენ, როგორც გამოუსწორებელი პერსონაჟი, შენივე თვალწინ იბადები და ვითარდები. სიმძიმე შემდეგ ჩამოწვება. ადამიანურ ურთიერთობათა თანამდევი სისუსტე, მუდამ რომ გვაფრთხობს და ერთმანეთისკენ გზას გვიჭრის.

დუკითხავად შემოსახლებულ გმირს ერთმანეთის თანდასწრებით რამდენჯერ ვებრძვით, უკან დახევას ვაიძულებთ, შემდეგ ჩვენივე საქციელით დარცხვენილები ვითომც არაფერი, მაღალ იდეალებზე ვსაუბრობთ.

ქმნადობისას რაღაც ადამიანურად ცხოველმყოფელი მუდამ კვდება ჩვენში და ხელახლა იდგამს ფეხს, იქნებ ამიტომაც მოსაწყენ ადამიანებს ვერ თანავუგრძნობთ. სიცარიელეში ჩანთქმულებთან შეხების წერტილი არ გაგვაჩნია. ჩვენი წარმოსახვა იმდენად სავსეა, დროდადრო შიში გვიპყრობს, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე საკმარისი არ არის ყოველივე განიცადო, სხვასაც გაუზიარო.

თუმცა ამ უსახელო სიმძიმეს რა მოვუხერხოთ?

მეამბოხე გმირებს თავისი ბედი აწერიათ. ჩვენივე იღბლი უთავბოლო ბრძოლებში კნინდება და იზრდება ამავდროულად იქნებ ერთხელ მართლაც მომბეზრდეს ჩემისთანას დახმარების ხელი გავუწოდო?

შენც ეს საფრთხე გამძიმებს და მაინც, ჯიუტად ცდილობ მეამბოხე გმირები შეკრიბო და გააერთიანო.

ჩვენში დარჩეს, მართლაც საკითხავია, ვინ ვისზე მეამბოხეა?!

პოეტი პოეტის სასჯელია?!

“მსგავსი მსგავსს ეძებს
და ხალისით უკავშირდება”.
ჰომეროსი

ოდესმე ვინმეს ცნობისწადილი წასძლევს და ენის წვერზე ხანგრძლივად შეყოვნებულ შეკითხვას შემომბედავს: რატომ არ გაჰყევით ცოლად პოეტს?

მონათესავე სულები ერთმანეთს უკეთ უგებენ, ადვილად ეთვისებიან, ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს ავსებენ.საყოველთაო წესისა და რიგის უპირატესობაზე ყურს გამოგიჭედავენ, თავდაპირველ უხერხულობას უბოდიშოდ დათმობენ, თავიანთ ნათქვამს მაცდურ ღიმილს თან დაატანენ და სასურველი პასუხის მოლოდინში თვალდაუხამხამებლად დამაცქერდებიან, მრავლისმეტყველად გაინაბებიან. ცნობისმოყვარეობით დატანჯულები უჩვეულოდ გალაღდებიან, რადგან იდუმალების ჯოჯოხეთური სიტკბოთი თავდავიწყება მაცდურია. და მაინც, რატომ არ გავყევი ცოლად პოეტს?

ჩემი სახლი ხომ წლების მანძილზე ნაირგვარი ჯურისა თუ გაქანების მგოსანთა საამქროს უფრო წააგავდა, ვიდრე ყოველდღიურობით დაჩაგრულ სამყოფელს.

დღე არ გავიდოდა, ჩემთან სულ მცირე, თხუთმეტ კალმოსანს მაინც არ მოეყარა თავი. დაჯგუფებათა მრავალფეროვნების შიგთავსს სქოლატიკოსი ბიზანტიელი გადამწერიც ვერ აღნუსხავდა!

საბრალო კედლები გაუთავებელი კამათისა თუ მრავალფეროვანი მსჯელობებისგან შეუსვენებლად ზანზარებდნენ მხოლოდ საღამო ჟამს ეძლეოდათ დამთქნარების ნება.

ცინცხალ სიტყვას არცთუ ურიგო საკვები დროულად ენაცვლებოდა. საღამოობით პოეტთა სერობებით ჯვარცმულ დედაჩემს თვალს ვეღარ ვუსწორებდი. პირობას ვდებდი, რომ მეორე დღეს ყველას ერთდროულად დავიფრენდი. ნანატრ სიმარტოვესა და სიმყუდროვეს უძღები შვილის სინანულნარევი მორჩილებით დავუბრუნდებოდი, მაგრამ დაუზარელი ფიცი არ მშველოდა.

მეორე დღეს ზღურბლგადმობიჯებულ მგოსნებს ახალ-ახალი შემართებით გაჯერებული ლექსები, გაუგონარი ამბები, არნახული წამოწყების ჟინი და თავბრუდამხვევი გეგმები არ ელეოდათ. და მეც უიალქნო გემივით დაუოკებელ ხმაურში ვიძირებოდი, უკან უსიტყვოდ ვიხევდი.

წყვდიადსა და უსასოობაში ჩაფლულ დედაქალაქზე იატაკქვეშა დღესასწაულით ვიძიებდი შურს. ულმობელ სინამდვილესთან გაჯიბრებული ჯიუტად ვცდილობდი ძმათამკვლელი ომით გამოფიტულ სამშობლოში არსებობის უფლება ხელოვანს მაინც შეენარჩუნებინა. ურყევად მწამდა, რომ სისხლის გუბეებს გადარჩენილ პიროვნებებს უნარი შესწევდათ სიძულვილით დასახიჩრებული ადამიანები ხელახლა შეეკავშირებინათ.

ამასობაში მგოსნები თავს არ ზოგავდნენ, მეათასე არშემდგარ სტრიქონის თუ ნოვატორობის პრეტენზიით აყვირებულ შეუასაბამო რითმას სულს უდგამდნენ, პოეტური შეჯიბრებების ულმობელ კანონს ადამიანურ ურთიერთობებს უყოყმანოდ სწირავდნენ, შთაგონებით გაფიცხებულები შეუსვენებლად გრგვინავდნენ, მუდმივი შეხლა-შემოხლით დაღლილ სულს ძლივსძლივობით ითქვამდნენ.

პირველობის მოსაპოვებლად ქანცის გაწყვეტამდე ეცილებოდნენ ერთმანეთს. უმაღლესი შეფასების მისასაკუთრებლად არაბული ბედაურებივით მოუსვენრად ტოკავდნენ, ესოდენ მცხუნვარე პაექრობისას აღარავის ახსოვდა, რომ მეც მგოსანთა ამალის წევრად ვიწოდებოდი. წინაწარ შეთანხმებულებივით უადგილოდ მაწყვეტინებდნენ სათქმელს, ზოგჯერ მათ შორის უფრო გონებაგამჭრიახი დაუდევრად დასძენდა, რომ ჩემს ლექსებს სამომავლოდ მოისმენდა თუ განიხილავდა და როცა ამის ჟამი ჩამორეკავდა, ჯოჯოხეთურ წინააღმდეგობათა რკალი სწორედ მაშინ იკვრებოდა!.

ხეიანად ახლაც ვერ მივმხდარვარ, ვინ რატომ ან ვის საზიანოდ ირჯებოდა, რისთვის ჭექდა და გრგვინავდა.

მგოსნები თავიანთ აზრსა თუ იდეას უადგილოდ მთავაზობდნენ, მათი ჭკუითა თუ გემოვნებით ჩასწორებული სტრიქონის გადასხვაფერებლად ხელები უღვთოდ ექავებოდათ. ყურებს არ ვუჯერებდი, წამის წინ მეოცნებე პოეტი უცბად ისეთ მიუწვდომელ, სუსხიან ადეპტად გარდაიქმნებოდა, ნუგბარით გამოვსებულ პირს საავდროდ მოკუმავდა, მრისხანედ შეჭმუხნულ წარბებს სივრცისკენ აისვრიდა, კალამმომარჯვებულ ხელს მოსამართლის უროსავით მომაკვდინებლად შემართავდა, რაც მთავარია ნაძალედევ დუმილსაც ისე ოსტატურად ჩაასაფრებდა, მეც სხვა რა გზა მქონდა, სიტყვა ბანზე უნდა ამეგდო, კვლავ განყენებულ სამყაროს უნდა შევფარებოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში “მიუკერძოებლობით” განთქმული შემოქმედნი ჩვენს “ხალას”, თითქოსდა ძალდაუტანებელ ურთიერთობას ისე ძაბავდნენ, მგოსნების საამქროში შემთხვევით შემოსწორებულ, გაუწაფავ კაცს უეჭველად უჰაერობის საფრთხე დაემუქრებოდა.

მიზეზ-საბაბთა ნიაღვარი თანდათან მატულობდა მათ გაუთავებელ ბრალდებებს ბოლო არ უჩანდა, ზოგი იმაზე ეჭვიანობდა, რომ სხვაზე ნაკლებად შევაქე და ჩემი უპატიებელი შეცდომის დასამტკიცებლად წიგნაკში ჩანიშნულ სტატისტიკურ ცხრილს ცხვირწინ საზეიმოდ მიფრიალებდა, მავანი ქრონიკულ თავშეყრას უჩიოდა, დაუსრულებელი კამათი და შერკინება აღიზიანებდა, პოეტურ სარბიელზე განავარდება მარტოდმარტოს ეწადა. სიმყუდროვეში დანთქმულს დანაღმული აზრების ქადაგება გაცილებით უკეთ გამოსდიოდა.

ერთხელ ერთ-ერთმა მათგანმა ჩვეული პაექრობა ხმამაღლა გააპროტესტა, უკანმოუხედავად გაიჯახუნა კარი და რადგან მეც აღარ გავდევნებივარ, ძალიან მალე იკადრა მობრუნება.

ხშირად მომხდარა, რომ ჩემ ყოფნას ივიწყებდნენ, ვისაც სკოტ ფიცჯერალდის “დიდი გეტსბი” წაუკითხავს, უმალ მიხვდება, როგორ მასპინძელს ვგავდი. ხალხმრავლობით მოყირჭებული გეტსბი ჩრდილში ყოფნით კმაყოფილდებოდა, რასაც მე ვერ ვეგუებოდი. ამ პერსონაჟს იმით ვენათესავებოდი, რომ სტუმრები მისი სასახლით ისე სარგებლობდნენ, ზოგს მასპინძელი ნანახიც არ ჰყავდა. სახლში მობრუნებული რამდენჯერ გადავყრივარ ნაცნობ მგოსანს, რომელსაც ნებისმიერი ახალი წევრი ახლდა თან. ვინ აღწერს ერთდროულად რამდენგვარი ადამიანური ვნება იძერწებოდა თუ იმსხვრეოდა! რამდენი მგოსნის ოცნება ფრთას ისხამდა. ამასობაში თანამოკალამეთა უყურადღებობით დასჯილი ლექსები თუ მოთხრობები უჯრაში უხმოდ გამოვამწყვდიე. სხვათა მოჩვენებითი ტრიუმფის ფონზე აღარაფერი მაკლდა წერაზე ხელი ამეღო და თუ სული წამძლევდა (ბუნებით მებრძოლი ვარ და ეს მშველის) რომელიმე ოფიციალურ საღამოზე ჩემი შემოქმედება საჯაროდ გამომემზეურებინა, გარეულ მაქებართა უშურველ ტაშსა და დაინტერესებას შინაური კრიტიკოსები დაუნდობლად ახშობდნენ. ამგვარ ანგარიშსწორებას ჩვეულებისამებრ

უჩუმრად ახორციელებდნენ. გამომგონებლობის უნარს ვერ დაუკარგავდი, იმდენად ვირტუოზულად მოქმედებდნენ, ალბათ უკეთესი იქნებოდა მსგავსი უზადობა სალექსო სტრიქონებშიც ასახულიყო, თუმცა ამას ზოგადი მსჯელობით არ წყვეტენ. აქ ნიჭსაც უნდა დავეკითხოთ.

და მაინც, ჩემი როლი მეც მერგო. წაკინკლავებულ პოეტებს უმანდილოდ ვარიგებდი. აღრენილ მგოსნებს ვაიძულებდი ერთმანეთისთვის პარნასი დროებით მაინც დაეთმოთ. და აი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებული თანამოკლამეები რომელიღაც მნიშვნელოვან თავყრილობაზე ხელგადახვეულები გამოდიოდნენ და წინა ღამით ნაგინებ ლექსებს ცრემლნარევი აღტაცებით აქებ-ადიდებდნენ.

ხმაურიანი ტრიბუნა ჩემთვის ეზედმეტებოდათ, თორემ თვითონ ტორეადორებივით შემართულნი იოლად როდი თმობდნენ სანუკვარ ალაგს.

ზღურბლს მიღმა აბობოქრებული ვნებების ექო ჩემამდე ნაგვიანევად და დამახინჯებულად აღწევდა.

უხმო დუელი, ხმაურიანი გაწევ-გამოწევა თუ ფარული გარიგება თავს მოულოდნელად იჩენს და თუ საამისოდ მოუმზადებელი აღმოჩნდი ან დროულად ვერ აუღე ალღო, შედეგი მუდამ სხვას არ უნდა გადააბრალო. ყველაზე მტკივნეულია მარცხი საკუთარ ნიადაგზე იწვნიო, მარცხი, შენივე ასპარეზზე უსინდისოდ შეგავიწროვონ და შენი კუთვნილი უსირცხვილოდ დააგემოვნონ. თურმე როგორ ვგავდი სამშობლოს, რომელსაც უფლება ჩამოართვეს თავისთვის რამე მცირედი მაინც გადაენახა!

მკითხველო, გგონია ვერ ვაცნობიერებ, რაოდენ ულამაზოა იმ მგოსნებს ვემართლებოდე, ვისთანაც ყველაზე მძიმე დროს პური გამიტეხავს და ავად თუ კარგად ლექსის ჭაპანი გამიწევია?

და მაინც, მე მათთვის სანაცვლოდ არასდროს ერთი ღერი ყვავილიც არ მომითხოვია, რადგან ჩემს სულში აღმოცენებული ბაღნარი სავსებით მყოფნიდა. მე მათ ლექსებს დაუყვედრებლად ვქომაგობდი, თუმცა ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია შემენიშნა, რომ უმრავლესობა მამაკაცურად შემწყალე ღიმილს არ იშურებდა, ფარულად კი დასცინოდა ქალ-პოეტს, ვინც მათ რიგებში გარევა გაბედა.

უამრავ ლექსს მიძღვნიდნენ, თუმცა სისულელეა საკუთარი "გენიით" აღტაცებული ჭკუისდამრიგებელი სატრფოში აგერიოს! ყველა საკუთარ თავს განადიდებდა!

არ ვიცი, მკვდარი, ყალბი ლექსის აკლდამაში რისთვის გამომამწყვდიეს!

თანდაყოლილ სიფიცხესაც სწორედ მაშინ ვწვრთნიდი. მათზე მეტად საკუთარ თავს ვცდიდი. შინაგანად მაშინ ვნადგურდებოდი, როცა წამით მეც მათ ვემსგავსებოდი. გამოგიტყდებით, არცთუ იშვიათად მჯაბნიდნენ! მაიძულებდნენ სულის სიღრმეში მიჩქმალული სისასტიკე ოდნავადაც არ მომედუნებინა.

ადამიანური თვისებაა, თავისივე მოდგმის ანასხლეტში მაინცდამაინც სამოთხეში შეპარული მცურავი ამოჩხრიკოს. ერთხელ ორ მგოსანს შორის გაჩაღებულ კამათის მომსწრე შევიქენი. ხმამაღლა, მოურიდებლად ბჭობდნენ ჩემს გულს საბოლოოდ ვინ მოინადირებდა. ესოდენ უსირცხვილო ვაჭრობისა თუ გარიგების უადგილო მოწმე წრეგადასულმა აღშფოთებამ მომიცვა. ეს მგოსნები ერთმანეთს ზედაპირულად რქენდნენ.

კეთილშობილი რაინდის როლის გათამაშება პოეტებს განუყოფელ სამკაულად მიაჩნდათ.

არაერთგზის დავრწმუნებულვარ, რომ მათი ჯოგური სოლიდარობა გაცილებით მტკიცე და შეუვალი იყო, როდესაც საერთო მტრის, ქალი-პოეტის წინააღმდეგ ხმაშეწყობილად ილაშქრებდნენ.

გულში ღმერთს რამდენგზის შევვედრებივარ რომელიმე ნაცნობ პოეტთაგანს ჩემთვის ერთადერთხელ მაინც თანაეგრძნო, საქმით თუ არა სიტყვით მაინც გავემხნევებინე, წამით დავიწყებოდა, მეც მათებრ მგოსნად რომ გავეჩინე მამაზეციერს!

ერთადერთ საღამოზე მაინც დამდგომოდნენ გვერდით. დანაღმულ ასპარეზზე გამოსვლისას რომელიმე სიტყვიერად თუ არა, უწყინარი მინიშნებით გავეფრთხილებინე მოსალოდნელი ჯვაროსნული ლაშქრობის თავიდან ასაცილებლად. კოსმოპოლიტთა ურდოს ისე უსინანულოდ შემატოვებდნენ ხოლმე, წარბიც არ უტოკავდათ! უხმოდ შემომეცლებოდნენ, ქურდულად შველოდნენ თავს. ვინ მოსთვლის რამდენი ფიცხელი ბრძოლა განგებ გაამწვავეს თვალსასეიროდ!

მეორე დღეს პარმაღთან გაჭიმულები მოკრძალებით მიღიმოდნენ, თითქოს წინადღით ჩემს მოქიშპეებს მათ ნაცვლად სხვები მფარველობდნენ!

იმ ორ მგოსანს მშვიდად შევესიტყვე, რომ მესამე გზა მხოლოდ პოეზიაში არ არსებობს. მათგან სწორედ მანამდე უხილავი თუ ჩრდილსშეფარული მესამე მიხსნიდა. სანამ თვითტკბობით შეპყრობილი პოეტები ახალ ხაფანგს დააგებდნენ ან მორიგი ლექსის თამასუქს შეთხზავდნენ.

რა მათი ბრალი იყო, თუ მხოლოდ სიმარტოვისთვის ვემეტებოდი, მხოლოდ მარტოობა მიაჩნდათ ჩემს განუყრელ მეგობრად.

რომელიღაცამ მწარე სიმართლე პირში მომახალა, რომ პოეტი პოეტისთვის სასჯელია.

ზურგს უკან ეს სასჯელი ყველამ ერთდროულად ამკიდა, რადგან პოეტურ სერობათა სივრცე სინამდვილეში ავისმომასწავებელ ქუფრს სცემდა თაყვანს!

პოეტი პოეტის სასჯელია?!

უდავოდ მომაკვდინებლად ჟღერს. მაგალითებს თუ მოვიხმობთ, უარესად დავფრთხებით.

ამერიკელმა პოეტმა სილვია პლათმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მგოსანმა ქმარმა ბედნიერება, რა თქმა უნდა სხვასთან ჰპოვა.

პოეტი პოეტისთვის სასჯელია?!

სპარსელ პოეტ ქალს ფორუყ ფაროხზადის გაბედული ლექსების გამო ჯვარცმა არ აკმარეს (უჩადროდ სიარულიც ცოდვად ეთვლებოდა!) და ერთადერთი შვილის დედობის უფლება ჩამოართვეს. პოეტი დედობის ჩაკვლას ვერ შეეგუა და პატარა ბიჭის გადასარჩენად უფრსკულში მანქანით გადაიჩეხა.

პოეტი პოეტისთვის სასჯელია?!

საქართველოში ლეგენდა პოეტები შეუღლდნენ და თითქოსდა უხმაუროდ დაშორდნენ ერთმანეთს — ერთმა მეორე ცოცხლად დამარხა. პირადი უიღბლობის გამო შური იმით იძია, რომ თავისზე არანაკლებ ღირსეულ თანამოკალმეს აღიარების ყველა გზა მოუჭრა!

პოეტი პოეტისთვის სასჯელია?!

თბილისში შიო არაგვისპირელის გამო შიო მღვიმელის ძმიშვილმა მტკვარში თავი დაიხრჩო.

ეკატერინე გაბაშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარბაზში ქართველი ინტელიგენციის სრული მხარდაჭერით არაგვისპირელს განაჩენად გამოუტანა დავიწყება.

ყველასგან გარიყული, ზურგშექცეული შემოქმედი “გაბზარული გულის” ავტორი საკუთარ ეჭვთან განმარტოვდა.

ყალყზე შემდგარ თბილისს დიდხანს ახსოვდა მიჯნური ქალის უბედური აღსასრული, შიო არაგვისპირელი კი თავის ნოველებსა თუ მოთხრობებში ქალის სახით მუდამ მოღალატეს ძერწავდა!

პოეტი პოეტისთვის სასჯელია?!

საბედისწერო სერობად დამრჩა დღე, როცა კალმების გასაწაფავად მაგიდას სამნი შემოვუსხედით. ერთმა სახელდახელო სიტყვები მიმოაბნია. ქაოსიდან გამოძერწილი ლექსი უნდა მოვლენოდა ქვეყანას. რიგითი შეჯიბრი იყო. სტრიქონების წრთობით თავს არცთუ იშვიათად ვიქცევდით და როცა ჩემი ჯერი დადგა, გაჭიანურებულ, დაძაბულ სიჩუმეში მგოსნის მეოცნებე თვალებში ანაპერწკლებული ავისმომასწავებელი ათინათი ტყვიის დახლასავით ვიწვნიე.

უსიტყვოდ მივხვდი, არასდროს მაპატიებდნენ იმ წამს, მათზე უკეთესად რომ გამოვხატე სათქმელი.

ულაპარაკოდ ვაჯობე. ეს რა თქმა უნდა, უნებლიეთ მოხდა, ისევე, როგორც მათ მზერაში დავანებულ კეთილმოსურნეობას მტრული მძვინვარება ჩაენაცვლა. მე მათში გავცამტვერდი, მოვკვდი, როგორც ქალი და სწორედ ამის გამო ღირსეულ პოეტად ცოცხალი თავით არ მაღიარებდნენ, რას არ მოიმოქმედებდნენ, მაგრამ არ გატყდებოდნენ, რომ თანასწორმა შემოქმედმა დაჯაბნა!

ანტიკური საბერძნეთის მგოსნები, საფო და ალკეოსი ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ. ჩვენამდე შემორჩა ალკეოსის მიმართვის ნაწყვეტი საფოსადმი. სიმართლე ათასწლეულთა მეხსიერებაში უკვალოდ შთაინთქა.

მისი გულისთქმა რამდენად ემთხვევა მისტიკურ წყევლას: პოეტი პოეტისთვის სასჯელია?

მე რა მალაპარაკებს, იოლად გადავრჩი და მწარე გამოცდილებას მომავალი ქალ პოეტებს მზითვად ნამდვილად არ ვუსურვებ!

პირიქით! ერთი სული მაქვს ოდესმე დედამიწაზე ქალი-პოეტი გულახდილად გამოტყდეს, რომ თანამოკლამე მეუღლის ჩრდილში არ დაიმარხა მასთან ჭიდილისას ჯალათად არ იქცა შეუმჩნევლად არ დათმო ის მოურჩენელი ნიჭი, პოეზიად რომ სახელდება.

ვინმემ გულწრფელად აღიაროს, რომ უდანაკარგოდ გადარჩა და ყოველ დილით თუ არა, თუნდაც იშვიათად მგოსანი მეუღლის მიერ მიძღვნილი ლექსით ბედნიერება!

რომ მას ყველანაირი სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე მეტად გულწრფელად მიძღვნილი ლექსი მფარველი ანგელოზივით დაუყვედრებლად იცავს და აცოცხლებს.

გულით ნაჩუქარი ლექსი ხომ უფლის ათინათია, უმაღლესი თავისუფლებითაა ნაკურთხი, როდესაც მგოსანს ღვთის საქმეში გარევა ადამიანური სიამპარტავნედ მიაჩნია.

მართლაც, სად გაგონილა პოეტად დაბადებული ადამიანი ვიღაცის სურვილისა თუ ახირებას დაუქვემდებარო?

უფლის ნების ხელყოფა უთანასწორობის ნაღმად გვაქცევს და ყოველივე ღირსებას მუსრს ავლებს. და მაინც, ძნელია ცრუმორწმუნეები აურაცხელი მაგალითის მოშველიებით მოიარშიო, ისინი კვლავ დაუღალავად აყივნებენ, რომ პოეტი პოეტის სასჯელია!

ყველაფრის მიუხედავად მაინც მჯერა, რომ ამგვარი რამ ვინმეს აუცილებლად გადახდება (თუ არ გადახდენია) და არასდროს ინანებს, რომ ცხოვრება პოეტს დაუკავშირა!

დაჩაგრული ნიჭის ტრაგედია

(მარსიანის შემოქმედების შესახებ)

ნაადრევ სიკვდილს არავის უსურვებ. მით უფრო წიგნს, კაცობრიობის კულტურულ გზამკვლევს, შეუცვლელსა და უბერებელს. ფაქტია, მას ტექნიკური პროგრესი ხელშესახებს ვერაფერს დაუხვედრებს. და მაინც... წიგნის თვითმკვლელობაც მოსალოდნელია, როცა ზურგს არავინ გიმაგრებს, მტერ-მოყვარეს პირში წყალი თანაბარი გულგრილობით ჩაუგუბებია, სიტყვას ზრდილობის გამოც არ შეგაწევენ, წლობით ნალოლიავებ გულს ვერ დაუდებენ, როცა შენს სახელს ვიღაც მიზანმიმართულად ახშობს და მეორეხარისხოვან ავტორადაც არ გაღიარებს.

ამ დროს გაუცხადებელ თვითმკვლელობას წინ რა უდგას?

ევროპულ მასშტაბს ადევნებულ ქართულ მწერლობას საუკუნეა ცრუკრიტიკოსთა ურდო მეურვეობს. ყალბი პრემია-გვირგვინებიც ათასგზის გამობრძმედილი მედროვეების ხელშეწყობით მფლანგველი წინდაუხედაობით რიგდება. საქმეს არც ერთეულთა ბასრი კალაში შველის, არც ხმაურიანი ამბოხი, რაც მუდამ მტრის ბანაკში გადაბირებითა და შერიგების ფარისევლური რიტუალით მთავრდება.

საჯარო მოწოდებების პათეტიკა: ხელოვანი ხელოვნის ტყავს არ დახევს – რა ხანია მუზეუმის არქივს ჩაბარდა. თვითრეკლამით განებივრებულ გრაფომანთა ბრბოს ნამდვილი ნიჭის აღიარების თაობაზე გადაკრული სიტყვაც სიკვდილივით აფრთხობს.

დონ-კიხოტობა ჩვენი დროის შეუსაბამო საქმიანობაა (თავშესაქცევს ვეღარ ვუწოდებთ) მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვიღონოთ, ხელოვნური სიცარიელე გავბზაროთ და გაკრისტალებულ ჰაერს დავეწაფოთ. კრიზისის მოყვარულმა დრომ ავტობიოგრაფიის კვალდაკვალ ავტორეცენზიის შექმნის აუცილებლობა განაპირობა. ორაზროვან გამოთქმებსა და გამქირდავ ღიმილზე ორიენტირებული, ქართული სინამდვილისათვის მიუღებელი თვითგამოხატვისა და თვითდადგინების ფორმა ხელში შემოგვაჩეჩა.

ამგვარი "სიკეთით სარგებლობა" წმინდა წყლის ლიტერატურულ გამბედაობას მოითხოვს. გაუმართებელი რისკის საფასურსაც ღირსეული იმკის, მედროვეებს ლანგრით მირთმეული წყალობა სავსებით აკმაყოფილებს. ჩვენში კეთილგონივრულ სიახლეს დიდი გასავალი არა აქვს და მარსიანმაც ნაფიც კრიტიკოსთა ორგანიზებული რისხვა დაიტეხა თავს, როცა საზოგადოების წინაშე ავტორეცენზიით ხელდამშვენებული წარსდგა.

ჩვენში დარჩეს, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მას სხვაგვარი არჩევანის უფლება წაართვეს.

წლების მანძილზე ჩრდილში მოქცეული შემოქმედი თავის კრიტიკოსს მოთმინებით ელოდა. ქართულ მწერლობაში ფანტასტიკის ჟანრის ერთ-ერთი

წარმომადგენელს სიზმრადაც ვერ მოელანდებოდა, რომ მისი აღიარება გალაქტიკურ სამყაროსავით დაუსრულებლად გადავადდებოდა. ადრე თუ გვიან ვიღაც ქრისტიანი, მოუსყიდავი პუბლიცისტი შეკვეთილ სტატიებს დროებით გვერდზე გადადებდა და მის ნაღვაწს სხვისი კარნახის გარეშე, ნებაყოფლობით ჩაუღრმავდებოდა.

როგორც ჩანს, კვლავ ვიღაც ზემდგომმა უნდა გვიბრძანოს ან დაგვავალოს ხელი რას მოვკიდოთ, ვისი ნაწერი განვსაჯოთ ან რომელი ხელოვანი დავაფასოთ.

მარსიანი სწორედ ამგვარ მსხვერპლთა ავანგარდშია. ალბათ ეს გარემოება აიძულებს გამომწვევად განაცხადოს, რომ არავის თანამედროვეა. დიდი ვერაფერი ბედენაა, თანამედროვეებმა სიცოცხლეში ანდერძი აგიგონ, მაგრამ სანამ სიღრმისეულ პერიპეტიებს მივყვებით, ორიოდე სიტყვით შემოქმედის ბიოგრაფიულ შტრიხებს გაკვრით შევეხოთ. იგი ქუთაისელ მწერალთა ჯგუფს განეკუთვნება. ე. წ. დასავლური ნაკადის წარმომადგენელია, რაც მის თხზულებაში ორიგინალური იუმორისა და გონებამახვილური პასაჟების სიუხვით აისახება.

ქართულ მწერლობაში დასავლურ "ექსპანსიაზე" ყურადსაღები, თუმცა გარკვეულწილად სადავო შეხედულებებით ცნობილი მკვლევარი, სოსო სიგუა გამოირჩევა.

თბილისის, როგორც ბაბილონის გოდოლისათვის დამახასიათებელი სიჭრელით გულშეღონებული მეცნიერი ასკვნის, რომ სუფთა ქართული ნაკადი სწორედ დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულმა მწერლებმა შემოიტანეს. საეჭვო აღრევით ხარისხდადაბლებული დედაქალაქი კულტურულად "გაწმინდეს", მშობლიურ ენას ძველებური დარბაისლობა და სიცინცხალე დაუბრუნეს, საუკუნოვანი ტოლერანტობით დანაგვიანებულ-შერყვნილი ეროვნული ცნობიერება ხელახლა ააღორძინეს.

ძნელია საფუძვლიანი ანალიზი ხელაღებით უკუაგდო, თუმცა ეს თემა ძალიან ტევადია და მთავარ სათქმელს რომ არ ავცდეთ, კვლავ მარსიანს დავუბრუნდეთ, რომელიც დედაქალაქის დასაპყრობად გაცილებით გვიან გამოემართა. მანმადე იგი ქუთაისის ლიტერატორებს ერთად შემოკრებს და ახალ გაერთიანებას "ურანს" აყალიბებეს. ჯგუფი ოფიციოზის ტენდენციურობას უპირისპირდება და ნოვატორული ძიებებით თვითდამკვიდრებას ესწრაფვის. ეს რა თქმა უნდა სერიოზული განაცხადია, თუმცა 90-იანი წლების ქაოსმა ყველაფერი შეაფერხა და თვითგადარჩენის ინსტიქტით შეპყრობილ საზოგადოებას ლიტერატურული სიახლეებისადმი გაღვიძებული აზარტი კარგახნით გადაავიწყა.

მარსიანი თავის ნაწარმოებებში შეუფერებელი ჟამის გააზრებას დიდ დროს უთმობს. საყოველთაო განხეთქილების არსი პიროვნული პლასტების ხვეულებში იძირება და ხშირად შემაძრწუნებელი რაკურსით შემოტრიალებულ სინამდვილეს აშიშვლებს.

მარსიანის პირველი რომანი "ანამაისი" 1981-86 წლებით თარიღდება. გარდაქმნის მომლოდინე უძრაობაში ჩაჭედილი იმპერიის სიღრმეში იშვა თხზულება, სადაც გულისამრევი ძმობის ცრულეგენდა გადაკრულადაც არ არის გადამღერებული. ეს გარემოება ნაწარმოებს განსხვავებულ ღირებულებასა და ღირსებას მატებს.

სოცრეალიზმის ჩაკირულ ყალიბს გარიდებული რომანი მოაზროვნე ადამიანების მიწიერ-მისტიკურ ვნებებს ააშკარავებს. პიროვნების ამოუხსნელი და რთული საიდუმლო ფსკერს უღრმავდება, ათასგვარი ჯურისა და მიდრეკილების ადამიანთა ეპოპეას ქმნის.

“ანამაისის” მეშვეობით მწერალს საუკუნეთა სიღრმეში დანთქმული გაუხუნარი ლეგენდის რეკონსტრუირება სწადია. სახელმოხვეჭილი მგოსნისა და სწორუპოვარი დედოფლის დაუვიწყარი სიყვარულის ამბის თანამედროვე ქარგაში გაცოცხლება განუსაზღვრავს. იგი კლასიკური ტიპის რომანის ახლებურ ვარიანტს გვთავაზობს. ფორმის თვალსაზრისით პოსტმოდერნიზმისკენ იხრება, თუმცა ენობრივი სტრუქტურით უფრო ტრადიციულია, ვიდრე ექსპერიმენტული. “ანამაისი” იმავე საკითხებს უბრუნდება, რასაც მანამდე არაერთი კლასიკოსი მწერალი ასახავდა. რომანი გარკვეულწილად “გველის პერანგსა” და “დიონისოს ღიმილს” ენათესავება, რაჟდენ გვეტაძის “ლაშაურ საღამოებსაც” ეხმიანება და ცივილიზაციასა და კულტურას შორის არსებული უფსკრულის ამოვსებას მძლეთამძლე პაროდიზმის განიარაღების ხარჯზე ცდილობს. ცალკე საკითხია ავტორი დაბრკოლებას თავს როგორ ართმევს, მაგრამ მცდელობა (ჭიდილი) მრავლისმეტყველია და შექებას თუ არა შესწავლას აუცილებლად საჭიროებს. მარსიანი მსოფლმხედველობის გარდამტეხ გზაჯვარედინთან შეყოვნებულსა და გამომსახველობის უჩვეულო ხერხს აყალიბებს.

მთავარი საყოველთაო ნიჰილიზმთან გამკლავებაა. მარადიული ღირებულებების გაუფასურების სანაცვლოდ დაბნეული კაცობრიობის წინ სიცარილელეა გადაჭიმული, ეჭვით, ცინიზმითა და უხარისხო “პროდუქციით” დაჩაგრული ადამიანები ულმობელი დილემის წინაშე დგანან: მათ ან მატერიალიზმის ჭაობი ითრევს ან არსებულ უსამართლობას ეგუებიან, ჩამოქვეითებულ მასკულტურას, მათ შორის ნაგავსაყრელივით ულაზათოდ რომ აღმართულა და მარტოოდენ დაცინვით გააქვს ლელო. ბუნებრივია, ნებისმიერ ჩვენთაგანს აღელვებს ხსნა რაში მდგომარეობს. რომანის მთავარი გმირის, ანამაისის შეკითხვაზე, თუ რატომ მართებს ტკივილის დამალვა, სოგრატი – თანამედროვე ლუციფერის მრავალხარისხოვანი პროტოტიპი (მასში ავი და კარგი თითქოსდა თანაბარზომიერად მონაცვლეობს და ხშირად ზღვარდაუდებელ სიკეთეს ბოროტებად ხსნის და ა. შ.) ბრძნულად განუმარტავს: “რატომ და დაცინვისა და შეურაცხყოფისაგან რომ დავიცვათ, დედიშობილა და უმწეო არ დავტოვოთ ნიჰილისტთა, ცინიკოსთა ბრბოს გასათელად. დიახ, ასე, დავცინოთ, რათა აქეთ არ დაგვცინონ, ნიჰილიზმს ნიჰილიზმისავე ნიღბით ვებრძოლოთ”.

პერსონაჟთა პირით თავად ავტორი მეტყველებს. ჩვენი ეპოქის ნიშნეული პოსტულატე გამოკვეთილია – ნიჰილიზმი დასწრებაზეა. თანამედროვეობის მნიშვნელოვანი სიღრმე გაშიშვლებულია. ვინც თამაშის წესს არ აჰყვება, ჩაიძირება. განდგომილს უარესი ხვედრისთვის გასწირავს განგება. მას დავიწყების სიმძიმე ჩაფლავს.

ბიბლიური სიბრძნე ღაღადებს, “ღორს მარგალიტი ფერხთით არ უნდა დაუყარო”. ცინიკოსებთან თავის არ გაყადრება მიყრუების პოზიციას წააგავს; მაშასადამე უნდა იომო. მაგრამ თუ იმას დაემსგავსე, ვისაც ებრძვი, საბოლოოდ მარცხდები. მარსიანისთვის გადარჩენის გზაა ნიჰილიზმი ნიჰილიზმის წილ. იმის შიშით, რომ ცინიკოსებმა მასხრად არ აგვიგდონ, ღირებულის დაცვა მარტოოდენ ფროიდული ელფერის ჯავშნით არ უნდა შევჭურვოთ. ამაღლებული იდეები განგებ არ დავამდაბლოთ, ბრბოს თვაშესაქცევად არ დავანებოთ, სკანდალური აღიარების სანაცვლოდ ნაწარმოებმა კომპრაჩიკოსთა მიერ დასახიჩრებული ბავშვის ბედი არ უნდა გაიზიარონ. ხელოვანის ჩამოქვეითება ბრბომდე ყველაზე საშინელი სასჯელია. მარსიანს წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება და ბოლოს, ნიჭი არ მისცემს ამის საშუალებას, თუ რადიკალურად განსხვავებული რამ არ მოიმოქმედა.

ლიტერატურა პარადოქსებზე ნადირობს.

ნიცშეს “ზარატუსტრამდე” თვისობრივად განსხვავებული ხელწერა ახასიათებდა. მსოფლმხედველობის ცვლამ სტილური მეტამორფოზაც გამოიწვია. მარსიანის შემოქმედება ანალოგიურ მიდრეკილებას არ ამჟღავნებს. იგი ერთგულია გზისა, რომელიც ბეწვის ხიდს ეთანადება და რაფირინებული მკითხველის ინტელექტუალურ-ქვეცნობიერების შუქჩრდილთა თამაშში ჩათრევას ლამობს. მწერალი მხატვრული ფანდების ნაირსახეობის გამოყენებით იდუმალ სამყაროს ძერწავს. ცხოვრებისეული რეალიზმისაგან განდგომილი ახალ სინამდვილეს ქმნის – ხილულსა და უხილავის ავბედით გზაჯვარედინს ადგას. გაბედულად უარყოფს ყოფითს, რათა ზედ დაშენებული კოსმიური ციხე-სიმაგრით შემოისაზღვროს ალაგი, რაც მხოლოდ მის რჩეულ კასტას ეკუთვნის. წარსულის ნანგრევებიდან აღდგენილი ძლევამოსილების ახალი არქეტიპი აამეტყველოს. მკითხველი ზებუნებრივი არსების ფარნაოზ მარსიანის უჩვეულო ბუნებასთან თანაზიარი გახადოს. ფარნაოზი – განმარტოებით მცვხოვრები მონადირე, მამაღმერთის უხილავი ძალმოსილებით სუნთქავს გმირში, მათ ქმედებასა და ბედს დაუსწრებლადაც წარმართავს. გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ მასზეა. ზებუნებრივი გოლიათის უპირატესობა იმდენად საცნაურია, რომ მასთან შეტოქებას განთქმული მგოსანიც ვერ ბედავს.

ფარნაოზი უძველესი სიღრმიდან ამოზიდული კულტურის სახე-სიმბოლო ფიზიკურად ხელშესახები აბსურდოს ილუსტრირებაა.

ავტორი ფარნაოზ მარსიანის ძლევამოსილების წარმოსაჩენად ერთიმეორეზე დაუჯერებელ ამბავს თხზავს, შესაფერის ნიადაგს ამზადებს, პერსონაჟთა შორის წარმოებულ დიალოგსა თუ მონოლოგში მის უმნიშვნელო თვისებასაც სკურპულოზულად ასახავს. მას ყველა უფრთხის. ცივილიზაციაზე გადამტერებული გოლიათის ცხოვრების წესი აუხსნელი თავსატეხია: იგი თითქოსდა კარჩაკეტილად ცხოვრობს, ჯიხვის მწვადებს შეექცევა და ჭერამდე დაზვინულ წიგნებს გულდასხმით კითხულობს. მან ყველაფერი იცის და ყველას იღბალს განაგებს. ფოცხვერსა და შვლის ნუკრს თანაბარი პედანტიზმით უვლის. ანამაისის ბატონიშვილს უწოდებს და გენიალურ პოეტს სანადიროდ მიუძღვის, სატრფოს გულის მოსაგებად რაინდულ წეს-ჩვეულებას აზიარებს.

რომანში მითოსური საწყისი აბსურდთან ერთად უშურველად თანაარსებობს. დასავლეთში მითოლოგიური ტიპის ნაწარმოები დიდი ხანია სიახლედ აღარ მოიაზრება. სამაგალითოდ თუნდაც აპდაიკის “კენტავრი” დავასახელოთ; თუმცა რატომღაც აღარავის ახსოვს, რომ უძველეს შრეს ბოლშევიკთა ბატონობის ხანაში მიხეილ ჯავახიშვილის “თეთრი საყელო” უბრუნდება. მოწადინებულ მკითხველს კარგად მოეხსენება კლასიკოსის მიერ ასახული მითოლოგიური სიახლე რა კუთხით აღიქვამს: “ტილების რადიოდ” შერაცხეს და განაწყენებული ხევსურები აუმხედრეს გაოგნებულ მწერალს, რომელმაც შეუფერებელ დროს გაუგონარი რამ გაბედა.

სოცრეალიზმმა დანარჩენ ჟანრებს განვითარების გზა მოუჭრა და ამიტომ ხელოვნებაზე პაექრობისას მანანა დეიდას გამომწვევი პასუხი “რა გვჭირდა ვინმეს სამოწაფეო” გულს ეფონება.

ერთ-ერთი კოლორიტული პერსონაჟის რიტორიკული შეძახილი მარტოოდენ პაროდიულ მინიშნებას როდი შეიცავს. ძველის დაცინვით გამოწვეულ გულისტკივილს ოდინდელი სიამაყე გადასწვნია. კულტურული ერისთვის დამახასიათებელი თავმომწონეობა გასდევს, რასაც ასე მიზანმიმართულად ძირკვავენ.

უამრავი წელი, არნახული ძალისხმევა და სისხლიანი ანგარიშწორება დასჭირდა იმას, ქართული კულტურა დამდორებულიყო.

და აი ოთხმოციანელთა უძრაობაც გაიბზარა, თუმცა არა იმდენად, თვისობრივად განსხვავებული ჟანრისა და მსოფლმხედველობის ნაწარმოები შეუფერხებლად დაებეჭდათ. ძნელია სისტემასთან ჭიდილი, ორმაგად რთულია ხელოვანის ბედი, ვის თამამ წიაღსვლებსაც მუდამ ორჭოფული ღიმილითა და დამასამარებელი უარით იგერიებენ.

“ანამაისი” მაინც დაიბეჭდა, თუმცა კრიტიკოსთა უყურადღებობით დაჩაგრული რომანი მკითხველამდე ვერ მივიდა. მაშინ, როცა ყინული დაიძრა და მითოლოგიურმა “სენმა” მკითხველიც ჩაითრია, მარსიანის ნაწარმოების არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

“ანამაისი” დავიწყებას ნამდვილად არ იმსახურებს. მწერალი რომანს თავბრუდამხვევ სიუჟეტს ძალდაუტანებლად თხზავს. გამონაგონსა და სინამდვილეს ერთმანეთს ოსტატურად უხამებს.

თავად სათაურიც მრავლისმეტყველია, ერთგვარი გასაღები რომანის მსოფლმხედველობის გასაგებად. ავტორი ახალ კომპოზიტს ქმნის და მხოლოდ მოგვიანებით შეატყობს, რომ ძველქართული სახელია. ადვილი როდია სიახლე აღმოაჩინო, ორგზის საფრთხილოა კლასიკური მემკვიდრეობის გამგრძელებლად გადასდო თავი. შექმნის ნგრევა-გაბიაბრუება გაცილებით მომგებიანია.

მარსიანს მხოლოდ თავისი გზის გაკვლევა დაუსახავს მიზნად. “ანამაისი” ამის დასტურია.

პარიზიდან საგანგებოდ ჩამოსული ქალწული ბაგრატიონთა შთამომავალია და ცისფერ სისხლს შავი ღვინით “იმუქებს”. მწერალი დაუფარავად მიგვანიშნებს, რომ სამეფო გვარის დრო წარსულში ჩარჩა და მის მეკვიდრეს ოდინდელი ძლევამოსილების შესატყვისი ლეგენდა უწევს მზითევის სამაგიეროს.

რომანში არაერთგზისაა ხაზგასმული, რომ ანამაისი “უპატრონო”, “უსახლკარო” და “უსამშობლოა”. ქალწულის ბედის განსაზღვრისას ეს გარემოება მუდამ დომინირებს.

ქართულ მწერლობაში გადაშენებული არისტოკრატიის პრობლემის ხელახალი სიმწვავით დასმა განმეორების საფრთხეს ქმნის. თუმცა გარდა იმისა, რომ საკითხი ამოუწურავია და ნებისმიერ დროს ეხმიანება, ავტორი დამაჯერებლად ახერხებს “უხერხემლო მეოცნებეების” სულიერი სამყაროს ასახავს, თავისი გმირები ყალბად ნაქადაგები ჰუმანიზმისა და ყოვლისმომცველი ბიწიერებისთვის ენანება. მას არც “ქრისტიანული ადლით” გაზომილი ხელოვნებაა და არც აბსოლუტური ნიჰილიზმის ბატონობის სწამს. მესამე გზა – ივერ მინდელის, სწორუპოვარი მგოსნის პოემებით სულჩადგმული პრეისტორიული სინამდვილეა – ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად არსებული სამყაროს მიუწვდომელი სიმაღლე, ის შეუბღალავი სიზვიადე, რომელიც ოდნავ გადაცდენასაა და სისუსტეს არავის პატიობს.

ხელოვნების ზემოქმედება არ უნდა მინავლდეს და საამისოდ ყველამ მსხვერპლი უნდა გაიღოს. რომანის თითოეულ პერსონაჟს თავისი მისია გაცნობიერებული აქვს. ანამაისის სიმბოლური სიკვდილი და შემდეგ მკვდრეთით აღდგენა საყოველთაო განახლების ნიშანია, ხელოვნების უკვდავების დასტური. ივერ მინდელის მერვე პოემა – მომაკვდავი ანამაისის კეთილშობილური სისხლით განბანილი საკრალური სამყარო – ახალი სინამდვილის დასაბამია. მწერალი თითქოს ამოწმებს რუსთაველის მიერ დანერგილი იდეალი რამდენად ცხოველმყოფელია, თანამედროვე ადამიანს თეორიულად მაინც თუ ძალუძს ამ სრულყოფილ სიმაღლეს მისდიოს. ივერ მინდელი თავისი უკომპრომისო ბუნებით თხემიდან ტერფამდე სრულქმნილების გამოხატვითაა შეპყრობილი. საკუთარი გენიის შეგრძნება სულში

მყარად აქვს გამჯდარი და თვალთმაქცურ მოკრძალებას გარიდებული ხმამაღლა აცხადებს, რომ რუსთაველი ლეგენდარულ მეფეზეც აღმატებულია, ვინაიდან უბადლო ხელოვანს თვით უმაღლესი ხელისუფალი, მონარქიც ვერ გაუტოლდება. რომ არა გენიოსი მგოსანი, - დედოფალს ვერავინ უკვდავყოფდა. აქედან გამომდინარე, ივერ მინდელი განმარტავს, რომ რუსთაველს ღრმა საფუძველი ჰქონდა თამარისთვის ესაყვედურა, რომ ორივეჯერ სხვა მეტოქე ამჯობინეს. ბევრისთვის ამგვარი მოსაზრება სადავოა. ამ თვალსაზრისით მარსიანი ვასილ ბარნოვის "ტრფობა წამებულს" ეხმიანება. პიროვნული სიყვარულის ტრაგიზმის წარმოჩენისას ადამიანის არჩევანის განუსაზღვრელობას აღიარებს. თუმცა, როცა მეფის ბიოგრაფიას განიხილავს, მოვალეობასა და პირად გრძნობას შორის მუდამ პირველი იმარჯვებს. თამარის ქორწინება ორჯერვე მისი სურვილის გაუთვალისწინებლად მოხდა. ის, როგორც ქალი, დაიჩაგრა, სამაგიეროდ აღზევდა როგორც გვირგვინოსანი, მსოფლიო ისტორიაში ერთადერთი ქალი, ვისაც მეფის და არა დედოფლის ტიტული უბოძეს.

მარსიანს რეალიზმი ნაკლებად იზიდავს და ლეგენდის საბურველში გახვეული ამბის თხრობა ემარჯვება. სწორედ ამ მიზეზით ივერ მინდელს ფსიქოლოგიურ პორტრეტს შესაშური გულახდილობით აღწერს. გაუაზრებული გრძონით შეპყრობილი პოეტი მიჯნურს სამაგიეროს იმით უხდის, რომ ანამაისის ფიზიკურ სიკვდილს დაუვიწყარ ლეგენდარულ დღესასწაულად გარდასახავს. იგი თვალისმომჭრელ მისტერიას გაითამაშებს, რაც მისი არნახული აღიარების დასაწყისია. ზღაპრული შემთხვევის გარეშე სასურველ ტიტულს ვერავინ მოიპოვებს.

ივერ მინდელი ხელოვნებას სწირავს სულს, თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ მისი შედევრები უსიყვარულო სრულყოფილებითაა აღსავსე. რაოდენ განსხვავდება თანამედროვე ადამიანის ხედვა რუსთაველის გმირების ან კონსტანტინე არსაკიძის, მსოფლმხედველობისაგან რომელიც თავიდან ბოლომდე გაიხარჯა და თავის ქმნილებას ყველაფერი შესწირა. მინდელისათვის ამგვარი თავგამეტება უცხოა, რადგან ნიჰილიზმით დაკნინებული ჟამი ადამიანს თვითშეწირვის სურვილს უქარწყლებს. იგი მზად არის ყველაფერი გაიღოს საკუთარი სიცოცხლის გარდა. სატრფო შთაგონების წყაროა, ამიტომაც მის ფიზიკურ გარდაცვალებას სულწასულად ელის. მზადაა სხვისი მსხვერპლი მიითვალოს. ძველებური გაქანება ახალი ეპოქის შვილებს სანახევროდაც არ მოსდევთ. ნიჰილიზმმა რომანტიკული ხედვა მიუღებლად დასახა, განაქიქა, ამიტომ თანამედროვე ადამიანს ენატრება რაიმე ღირშესანიშნავი შეემთხვას, რათა მნიშვნელოვანი მოვლენების შუაგულში ადრინდებურად თავი მოიწონოს.

ივერ მინდელის ბიოგრაფია იდუმალებითაა შელამაზებული. იგი ქმარგაშორებული ქალის, მარიამის გაუმხელელი ცოდვის ნაყოფია. აკრძალული სიყვარულის სირცხვილნარევი ტანჯვის ფიზიკური გამოვლენა. შემზარავი საიდუმლო ადრე თუ გვიან გაცხადდება. ივერი ანამაისის ძმაა. სისხლის აღრევის თემატიკაც არ არის ახალი. ავტორი აკრძალული ტრფობის ჩვენებით მკითხველს ძაბავს, ერთი შეხედვით სიუჟეტს ამძაფრებს, თუმცა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ლეგენდა ყოფითი ორნამენტით არ გაეუბრალოებინა ტაბუს შემოტანით ივერისა და ანამაისის სიყვარული იბღალება შარავანდედს კარგავს. ეს ხაზი ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ზედმეტი ადამიანის ტრაგედია რომანის ქვაკუთხედია. გადაშენებული ჯიშის ნოსტალგია ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. ივერ მინდელის პოემა "დინოზავრი" გადაჯიშებული მოდგმის უკანასკნელი სიმღერაა. იგი სასიკვდილო დამღად გასდევს

უძველეს კულტურულ ერს, რომელსაც თანამედროვე კაცობრიობის ზედაპირული "წესრიგი" შინაგან ანაქრონიზმად ატყვია.

ეპოქასთან შეურიგებლობა ზედმეტობის განცდას ბადებს. ჩვეულებრივ კონტექსტთან მიმართებაში „ანამაისის" თითოეული გმირი ნაკაცარია, უზარმაზარი შინაგანი პოტენციის არამიზნობრივი ხარჯვა მხოლოდ ჭორებით დახუნძლულ პატარა, პროვინციულ ქალაქში რომ უწევს.

შემთხვევითი როდია, რომ ბაგრატიონთა ნაშიერი საბედისწერო სენითაა დაავადებული. რომანის გააზრებისას სოგრატის დასკვნა გადამწყვეტია. ჭლექისა და სისხლის გათეთრების შედარებისას იგი ამტკიცებს, რომ ორივეზე უარესი სისხლის გაცისფრებაა. გალურჯება". კვლავ დაწყევლილი სისხლის ავბედით მემკვიდრეობას მივადექით. დემნა შენგელაიას „სანავარდოში" თავადი ბონდო ჭილაძე თავის მოდგმას გამოუსადეგარი სისხლის გამო დაუფარავად შეაჩვენებას. ახალ საუკუნეში ხელისშემშლელ დაბრკოლებად ექცა სისხლი, რომლის ყივილმა კალაპოტი იცვალა.

„ჯაყოს ხიზნებში" თეიმურაზ ხევისთავის საგვარეულო სიამაყე ბოსტნის საფრთხობელადაც გამოდგება.

„გველის პერანგიც" ამ „გაწყალებული" არისტოკრატიული სისხლის მონატრებითაა სავსე.

რა გასაკვირია, გაცილებით გვიან, პროვინციულ ბაგრატისში მოვლენილი ტახტის მემკვიდრე მარტოოდენ ლეგენდად აღექვათ, მისი მეფური სისხლის წყურვილით შეპყრობილებს ერთი სული ჰქონდათ, ამ დაწყევლილი ტვირთისაგან გათავისუფლებულიყვნენ. სოგრატი თავს ბერძენ ბაგრატიდად ასაღებს. კაცმა არ იცის, ბასტარდია თუ უზომოდ გონებაგამჭრიახი, მოხერხებული თვითმარქვია.

ანამაისი და ივერი ამ ცოდვით მოწამლული სისხლით უკავშირდებიან ერთურთს – აქ ავტორი შეფარულად დასცინის ქართულ თვისებას, როცა ყველას საკუთარი თავი მეფის შთამომავალი ჰგონია.

ანამაისის გაცნობისთანავე ყველას თვალში ხვდება ქალწულის სქელი ნაწნავი, ავტორის თქმით "ეპოქის სტილიდან ამოვარდნილობის და გარდასულ სურნელების ასოციაციას აღძრავს".

აქ უნებლიეთ "მთვარის მოტაცებასთან" ჩნდება პარალელი: დედაქალაქში ჩამოსული თამარ შერვაშიძე ამ ძველებური ნაწნავის გამო თავს უხერხულად გრძნობს და თმას მოდურად იჭრის. თარაშ ემხვარის გაუცხოება სათავეს აქედან იღებს. მას თმამოკვეცილ სატრფოზე გული აუცრუვდება, რადგან ხვდება, რომ სასურველ ქალს უნარი არ შესწევს თავისთავადობა შეუნარჩუნოს, ნაწნავის – პირველქმნილი სიძველის სიმბოლოს ოდნავი ზეწოლისთანვე შეელევა. უფრო ღრმა შრეს თუ ჩავეძიებით, ნადირობის ქალღმერთ დალის გავიხსენებთ, მაგრამ აქ თვისობრივი სხვაობაა: დალის თმას მოტყუებით შეჭრიან, ჯადოქრულ ძალმოძლეობით ართმევენ, რის გამოც იგი იღუპება. თამარ შერშვაშიძე ძველთაძველ ფასეულობას ნებაყოფლობით თმობს და ამრიგად, დროის ფეხისხმას აყოლილი, ორმაგად განწირულია. დაკარგული სიყვარულის წილ სიცოცხლეს ეთხოვება. ის, ვინც უმაღლეს ღირებულებას უბრძოლველად თმობს, უნდა მოკვდეს, მისი დანიშნულება ამოწურულია.

ანამაისის თავის თვალშისაცემ ნაწნავთან გამომშვიდობება აზრადაც არ მოსდის. ეს ქალწულის სამკაულზე მეტია. ფესვისა და ცისფერი სისხლის გარეგნული გამოძახილია, თუმცა ულმობელი ჟამი მასაც არ ზოგავს. მშობლიურ ქვეყანაში მას ბედნიერება არ უწერია, უალაგოა და მარტოსული, უსახლკარო. უამრავ უცხო თვალს

სამტროდ უფრო იზიდავს, წარსულის ნიადაგზე აღმოცენებულს ისღა დარჩენია, ლეგენდის საბურველს შეაფაროს თავი.

სიმბოლოებით დატვირთულ რომანში მანანა ერისთავს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი ბედი თვალშისაცემად ტრაგიკულია, თუმცა თვითონ საკუთარ უიღბლობაზე ოსტატურად შეზავებული იუმორით საუბრობს. მანანა დეიდა – ულამაზესი ქალი. ბავშვობიდანვე ძალადობის მსხვერპლად დასახეს. ქალობაწართმეულს ობლების აღზრდა დააკისრეს. შემთხვევითი როდია, რომ მას მაინცდამაინც ლეკი მწყემსი გააუპატიურებს, ნაადრევად დამშვენებული უამრავი თაყვანისმცემლის ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ უღირსის ნადავლი ხდება. შერცხვენილ ახლობლებს თავადური ღირსების შესანარჩუნებლად მისთვის სასტიკი განაჩენი გამოაქვთ: უჯიშო, საეჭვო წარმოშობის მემკვიდრის დაბადებას ურჩევნიათ ქალს დედობის უფლება სამუდამოდ წაჰგვარონ, გაბერწებულს თავისი ახლო ნათესავების პატრონობა მიუსაჯონ.

მანანა ერისთავი – ულამაზესი, ღრმად განათლებული, მიტოვებული ქალი დათრგუნვილი ქალურობის საწყისია. იგი ევასა და ამავდროულად ფატმანს განასახიერებს. სხვაზე მეტად შესწევს ერთგულებისა და სიყვარულის უნარი, მაგრამ განგება მის გამრუდებულ იღბალს მოუღლელად დარაჯობს. "მაჭანკლად" გარდაქმნილი ივერისა და ანამაისის დაახლოებით ბედს უჯანყდება, ფარხმალს არ ყრის. სასიკვდილოდ განწირულ ანამაისის თავის სხეულში ჩაბრუნებით – ეს მეტად გამჭვირვალე სიმბოლური აქტია – ხელახალ სიცოცხლეს შთაბერავს, საკუთარ ცხოველმყოფელობას უშურველად სთავაზობს. ანამაისის სასიკვდილო სარეცელთან თავმოყრილ ექიმებსა და ცნობისმოყვარე ახლობლებს ზიზღნარევი გამოწვევით იგერიებს: იგი მიწიერების განსახიერებაა და ხელშესახებ გარდაცვალებას არ ცნობს.

მოაზროვნე ადამიანების თავყრილობის ადგილი მანანა ერისთავის იისფერი ქოხია. ცნობისმოყვარე ხალხის გამქირდავ მზერას მოშორებული მყუდრო ალაგი, სადაც თავბრუდამხვევი მოვლენები ვითარდება. სამყაროს ცენტრი აქ არის გადმოტანილი. ლეგენდის თანამდევი წვრილმანებიც გულდასმით იგეგმება, ყველაფრის სულისჩამდგმელია მანანა დეიდა – ბუნების მრავალსახოვანი ცვლილებების მატარებელი, ადამიანის ქომაგი და დამსჯელი ამავდროულად. მარადიულ წინააღმდეგობათა საწყის-სასრული.

რომანში არაფერია უმნიშვნელო და ხელოვნურად მიტმასნილი. მარინე, ნინო, მამუკა, გურამი და თავად მთხრობელი რამაზ მინდაძე სტატისტებად ნამდვილად არ აღიქმებიან. თითოეულ მათგანს კონკრეტული მისია აკისრია, შემთხვევით დიალოგსა და უაზრო ჩანართს ვერსად წააწყდები, რაც მწერლის ოსტატობაზე მეტყველებს. ჯერ მარტო მარსიანის მიერ დახასიათებული კარიერისტის ტიპი რად ღირს! ე. წ. მეცნიერებათა კანდიდატი, ისტორიკოსი (პროფესია საგანგებოდ ხაზგასმულია) ლევან ცინცაძე, ზედაპირულად ყველანაირი ღირსებით შემკული ახალგაზრდა, სინამდვილეში სხვის ქონებასა და სახელზე მონადირე პატივმოყვარე ყალთაბანდი, ყველაფერზე ხელისმომწერი ცრუჯენლმენი. "ეს ლევან ცინცაძეები მართლაც ჭკვიანები არიან, უზადოდ მორგებულნი როგორც ცხოვრებას, ასევე მეცნიერებას; მათი ნაშრომები მათსავე ჰალსტუხებს ჰგავს: ერთიბეწო ხინჯს ვერ უპოვი ვერცერთს. ყველაფრით ამგვარი ხალხი: ნიჭით, გონებით, ქონებით, წარმოსადეგობით, სიტყვა-პასუხით და რა ვიცი, რით არა..."

ესოდენ შესანიშნავ დაკვირვებას კომენტარი არ სჭირდება.

ბაგრატის ტაძარი – რომანის მამოძრავებელი ღერძი – უძველესი კულტურის გამოხატულებაა. იგი ქუთათური მოაზროვნეების პოეტური ოლიმპოა. აქ შეკრებილი

ხელოვანები საჭირბოროტო საკითხებზე ბჭობენ. ჩამონგრეული გუმბათის აღდგენაზე მსჯელობს დაუცხრომელ კამათში გადაიზრდება.

ივერ მინდელი გუმბათის აღდგენის წინააღმდეგია. ერთ-ერთი პერსონაჟის, თენგიზის ნათქვამზე "ისტორიასაც და კულტურასაც მოვლა და შენახვა სჭირდება" იგი გამომწვევად პასუხობს: " – ნანაგრევებზე ამოსულს სხვა სილამაზე აქვს მაინც. იქ ბუნება და ისტორია ჰარმონიულად თანაარსებობენ, თქვენ კი თქვენი სულელური გუმბათებითა და სანთლებით ორივეს სპობთ და ბუტაფორიას აზეიმებთ". მასში პოეტური მსოფლმხედველობა მძლავრობს, რომელიც თანამედროვე ყაიდაზე გარდაქმნილ უძველეს შედევრს ვერაფრით შეეგუება და წარსულის ხელუხლებელი მნიშვნელობის შებღალვას სიკვდილივით გამოიტირებს.

ახლა საკამათო საკითხებზე გადავიდეთ.

მარსიანი პოეტების დახასიათებისას სტერეოტიპულ შეხედულებას ვერ ასცდა. იძულებული ვარ შემოქმედს შევახსენო, რომ ნიჭის განსაზღვრისას სქესი ნაკლად არ ითვლება. ქალი პოეტების მისამართით გამოტყორცნილი ნაღმების მოსაგერიებლად ციტატას მოვუხმობ: "საერთოდ, ქალის პოეტობას თუ შეეგუები, ყველაფერს უნდა შეეგუო ალბათ". ან "შენ პოეტი ქალები დროის გიმნაზიელი გოგონები ხომ არ გგონია. მაგარი გამოთქმები მაგათი მოგონილია".

ამას დასაბუთება სჭირდება.

უფალი მგოსანი აქ აღმოსავლელ მუტრიბად გვევლინება. მისი შეფასების საზომი ტრადიციულად დაბალია და თუ ვინმემ ეს ტაბუ დაარღვია, ავტორს ეს გარემოება აღაშფოთებს. "ლეკვი ლომისა სწორია" თანამედროვე მეტრებს ოდნავაც არ ეპიტნავებათ. რუსთაველის თვალსაზრისი მათთვის იმდენად მიუღებელია, გარემოების კარნახად და არა შინაგან ხედვად მიაჩნიათ. სამწუხაროდ "ანამაისს" მწერლის ამგვარი შეხედულება მასშტაბურობას უკარგავს. არ ვიცი აქ მამაკაცური საწყისის პრიმატი დომინირებს თუ უნებლიე "აზიატობა" გამოსჭვივის.

უფრო მეტიც, ფარნაოზ მარსიანთან თავისი ფეხით მისული ივერი მინდელი ქალწულის დაუფლების საიდუმლოს გამოსატყუებლად მეუასვი მსჯელობს და სხვის ნათქვამს იშველიებს, რომლის დასკვნით "მაგ დროს კახპა და ანგელოზი ერთია".

დასანანია, ამგვარი კლიშეს გადასინჯვა ქართველმა მწერლებმა რომ არ მოიწადინეს. მათი ჯიუტი გაანგარიშებით ქალი მარტოოდენ მაცდურია და ეს მოსაზრება მიხეილ ჯავახიშვილისა და ლევან გოთუას გარდა ვერავინ დათმო. ნოვატორობაზე ორიენტირებული ხელოვანები უდავოდ მოიგებდნენ, ევროპულ დონეს თუ ვერ ასცდებოდნენ, გაშინაურებული რუსთაველისთვის მაინც დაეგდოთ ყური.

პირადად ჩემთვის ივერ მინდელის გენიოსობა ერთობ საჭოჭმანოა, - ვინაიდან მისი ფსიქიკა რიგითი მამაკაცის მტაცებლური ინსტინქტებისაგან არ განსხვავდება.

ანამაისის მისტიკური გარდაცვალება არაესთეტიკური წვრილმანებითაა აღსავსე. შესაძლოა მწერალი გამიზნულ ეფექტს ემყარება, მაგრამ რომანი ამის გამო ბევრს აგებს. იქ, სადაც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, მოულოდნელი სკანდალის თანამდევი პიკანტობა უკურეაქციას იწვევს.

მარსიანს თითქოს ეშინია ზედმეტი სიფაქიზით მკითხველი არ დააფრთხოს. თავბრუდამხვევ სიუჟეტზე ზრუნვა სანაქებოა, მაგრამ გადაჭარბება პირუკუ შედეგს ბადებს. ან იქნებ მისი აზრით სულაც ... რაფინირებისა და სიტლანქის შერწყმით თუ გაქ არწყლებით იქსოვება აბსურდი, რომლის ლაბირინთში მოხვედრილი მკითხველი თავსატეხის ამოხსნას ვერ აუვა.

გარდამავალი გრადაცია ჭარბობს რომანში, თუმცა ფინალი მართლაც შთამბეჭდავია. ერთი შეხედვით კლასიკური ნაწარმოები სინამდვილის დამთრგუნავ ამბავს გვთავზობს, ავტორს ვერაფრისდიდებით დავეთანხმები, რომ "ანამაისი" ადვილად წასაკითხი თხზულებაა. ყურადღების მოდუნება საკმარისია, რომ ძირითადი ტექსტის თანამდევ მრავამხრივ პასაჟებსა და ალუზიებს ასცდე და ხელოვანის მიერ მოქსოვილ მხატვრულ ტილოს მისთვის ნიშნეული ფერი გაუხუნო.

შემოქმედის ოსტატობა თვალშისაცემია. მარსიანს თხრობა ძალდაუტანებლად ეძლევა, მომგებიან ფაბულასა და სიუჟეტს მკვრივად კრავს, პერსონაჟთა გალერეაც საკმაოდ მრავალფეროვანია, ფილოსოფიურ მსჯელობებს დიდაქტიკური სიყალბის არაფერი სცხია. მარსიანი სიტყვას შესაშურად ფლობს, მის შესაძლებლობებს სრულად იყენებს. ორიგინალურ ნააზრევს დასავლური დიპლომატიისთვის დამახასიათებელი სილბოთი გაპარებს. "ანამაისი" ამის საუკეთესო ნიმუშია.

უამრავი რამ დარჩა უთქმელი, თუმცა მთავარი გამოიკვეთა. რომანი მაღალ შეფასებას იმსახურებს. "ანამაისი" სერიოზული განაცხადია და დროა კრიტიკოსებმა უხერხული ტაბუ გადალახონ, კულტურისა და ცივილიზაციის დაპირისპირების მიზეზი ხელახლა ამოიკითხონ.

"ანამაისი" იმედიანად მთავრდება. ომის ღმერთის მსგავსი არწივი ცივილიზაციის შუაგულიდან (ქალაქიდან) უვნებელი უბრუნდება თავის სამფლობელოს. იგი მოულოდნელად ჩნდება და ჭადრის კენწეროზე დაბრძანებული თავის არსებობას შეახსენებს სამყაროს. შემდეგ (სოგრატი მას რევოლვერით აფრთხობს) კვლავ უსასრულობას ერთვის.

მითოსი არ კვდება. მისი უგუვებელყოფა ცდომილებების ჯაჭვს წარმოქმნის. კაცობრიობის უძველეს წიაღს დავიწყება არ უწერია. "ანამაისი" ამის თვალსაჩინო ნიმუშია.

"პეპლოშის თვე" 1982-83 წლებში დაიწერა. ავტორი მასზე "ანამაისის" პარალელურად მუშაობდა.

მომდევნო რომანი შერისხულ წიგნთა ნუსხაში მოხვდა. ოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა რედაქციების თაროზე იმტვერებოდა. მისი გამოქვეყნება ვერცერთმა ჟურნალმა ვერ გარისკა.

"პეპლოშის თვე" ჟანრული მრავალფეროვნებითა და სათქმელის სითამამით მართლაც დიდ გამოხმაურებას ჰპოვებდა, მაგრამ ოთხმოციანი წლების სპეციფიკურ გარემოში მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

მარსიანი აღიარებს, რომ ჟურნალ "ცისკრის" რედაქტორს ჯანსუღ ღვინჯილიას უთქვამს – "ჩვენ ამერიკაში კი არ ვცხოვრობთ, ასეთი რამეები რომ ვბეჭდოთო".

"პეპლობის თვე" მართლაც არაორდინარული წიგნია, თუმცა მხოლოდ იაფფასიან კრიტიკაზე რომ არ იყოს გეზმიმართული, სნობთა ლაშქარი უყოყმანოდ აიტაცებდა და ნანატრი აღიარებაც არ დააყოვნებდა, მაგრამ მარსიანი ნომენკლატურად სივრცეში დამკვიდრებულ შემოქმედთა რიგს არ განეკუთვნება ამიტომ ეს გარემოება სერიოზულ დაბრკოლებად ექცა.

რომანი თემატური თვალსაზრისითაც უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენს. ქართულ მწერლობაში ფანტასტიკური ჟანრის თხზულება კვლავ ახალი ხილია და მის ათვისებას არაფრით დაადგა საშველი. მავანთა თავხედობამ იქამდე მიაღწია, რომ ესოდენ შესამჩნევი სიცარიელის ამოსავსებად მორიგი ამაზრზენი თეორია გამოაცხვეს. გრაფომანები ხმაშეწყობილად აწუწუნდნენ, თითქოს ქართული ენა ამ ჟანრს ვერ მოერგო და ჩვენს მკითხველს ფანტასტიკის "მოსაშინაურებლად" შესაბამისი კულტურა აკლდა. მეორე მხარე საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. მისი

აზრით ეს ჟანრი სერიოზულ ლიტერატურულ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა და ყურს თუ წაუყრუებდნენ, არაფერი დაშავდებოდა. ობიექტურად არსებული პრობლემა ყველას რატომღაც მხედველობის არედან გამორჩა. ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფი ერის გამოსაფხიზებლად ქართველ მწერალს ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება-გატანა შეუმსუმსუბუქებელ ტვირთად დააწვა. აქედან გამომდინარე, ფანტასტიკურ-სიურეალისტური ჟანრების გრადაციის განსავითარებლად ნიადაგიც ნაგვიანევად შემზადდა. ამ მიმართულებით ახალი გზის გაკვლევა არავის უცდია. მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს მკითხველი თარგმნის მეშვეობით ეცნობოდა და ეს ცალმხრივი შეხება ქმნიდა სტერეოტიპს: ხელები შორს არატრადიციული ჟანრისგან!

გაუცხოებით წარმოქმნილი სიცარიელე მავანს ხელს აძლევდა დასავლური ლიტერატურის ძალმოსილებით გამსჭვალულთ ეპიგონობითაც არ შეეწუხებინა თავი. მიდგომა უცვლელი დარჩა. რუსული კლასიკა "მოძველდა", გაუმარჯოს მოწინავე ევროპა-ამერიკას!

საინტერესოა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ფანტასტიკის სფეროს რამდენი ყურებდაცქვეტილი კრიტიკოსი ადევნებს თვალყურს? ასე რომ იყოს, ამერიკელი ფანტასტების შესაშურ პატრიოტულ მსოფლმხედველობას ქართულ სკეპტიციზმის ესოდენ თამამად და გადაუმოწმებლად ვერ დაუხვედრებდნენ, ევროპელთა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ წიაღსვლებსაც გულდასმით ჩაეძიებოდნენ და განქიქების ნაცვლად ქართული სინამდვილისათვის სასურველ მოდელს შეიმუშავებდნენ. ამ თვალსაზრისით "პეპლობის თვე" წყვდიადში გაჭრილ სარკმელს ჰგავს, მოები-ოდისეა, როგორც მწერალი უწოდებს, კინემატოგრაფისთვის მართლაც მდიდრული ნადავლი იქნებოდა. კრიტიკოსთათვისაც საკმაოდ მრავალფეროვანი საკბილო, ათასი უსაფუძვლო თუ დამაჯერებელი თეორიული კოშკების აგების მიზეზ-შედეგობრივი პლასტების დაუსრულებელ სურათს ქმნის. რომანის ცენტრში ადამიანი დგას, ადამიანის სულია აქცენტირებული, რომელსაც სახელგანთქმული ფსიქოლოგი იუნგი ქალის სახით (anima-სული) გამოსახავს. მარსიანისთვისაც ამგვარი ხედვაა ნიშნეული, თუმცა მას ფსიქოლოგის ნაშრომი არ წაუკითხავს. არქეტიპი ხატი ცნობიერიდან არაცნობიერში გადაინაცვლებს და მეტამორფოზის დროს არაერთ ქვენა ვნებას ააშკარავებს, რაც თავის დროზე უდავოდ შოკის მომგვრელი იქნებოდა, მაგრამ დღეს "პეპლობის თვის" ეროტიკა უწყინარი გარასრთობია მოზღვავებულ გრაფომანთა წრეგადასული უხამსობისა და უნაპირო უნიჭობის გვერდით.

მარსიანს ისღა დარჩენია ფარად პაროდია მოიშველიოს, თუმცა გარკვეული ზომიერება აქაც იჩენს თავს და თუ ოდესმე პაროდიის აკადემიზმად მიჩნევის საჭიროება დადგება, დავძენდი, რომ პაროდიზმის აკადემიურ მიმდევრად შერაცხავენ.

ასე თუ ისე, აკრძალული რომანი თავის დროზე მკითხველის ხელში ვერ მოხვდა. დროს გამოდევნებულმა მავანმა 90-იანი წლების შემდეგ ხელოვნებას დათვური სამსახური გაუწია: ლიტერატურულმა "ხალტურამ" სკანდალური ეფექტების წამიერი ფეირვერკით გამოწვეულ ცრუ ტრიუმფს გაუხსნა გზა. როგორც წესი, გამარჯვებულს არ ასამართლებენ. მითუმეტეს, კასტური წესით არჩეულ ფსევდოშემოქმედს, რომელიც ხეირიან სიტყვა-პასუხზეც მწყრალადაა, წერაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

საბჭოთა სინამდვილეში გატარებულმა ინდუსტრიალიზაციამ ფორმაცია იცვალა და ლიტერატურაში ჟარგონიზმის სახით გადმოინაცვლა. ამ გარემოებამ

ნაწარმოების მხატვრული იდეაც კი ეჭვქვეშ მოაქცია. შესაბამისად, უხარისხო "პროდუქციაზე" მოთხოვნა გაიზარდა.

"პეპლობის თვე" მდარე რომანებს დღესაც ვერ გაუწევს ჯეროვან "კონკურენციას", რადგან იქ, სადაც შენი დონე გაცილებით მაღალია, აკრძალვის საფრთხე ერთიორად იზრდება.

მწერალი საკუთარი თხზულების შეფასებისას კატეგორიულია და კრიტიკოსებს უგემოვნობისა და უვიცობისთვის ამუნათებს. შესაბამისი კრიტერიუმის არქონაზე მიუთითებს, რაც სხვათაშორის საფუძველს მოკლებული არ არის.

უშუალოდ რომანის განხილვისას დავსძენ, რომ იაფფასიან პოპულარობაზე დამეცადინებულ ავტორებს მსგავსი ეფექტის მისაღწევად მუხლჩაუხრელი შრომა მოუწევთ, თუმცა მწერალს ვერ დავეთანხმები, რომ "პეპლობის თვე" "ანამაისზე" ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია. ექსტრავაგანტურობითა და ჭარბი ეროტიზმით უდავოდ აღემატება, მაგრამ სიფაქიზითა და ლირიზმით მას ვერ გაუტოლდება. სხვაგვარი გაქანებით შეპყრობილი ხელოვანი გეზს მკვეთრად ცვლის. გამბედაობა დასაძრახი არ არის, თუმცა შედეგზე ისე არ აისახება, როგორც თავად გეგმავს. მაგრამ, როგორც ჩანს, მარსიანს უჩვეულო სიმაღლის დასაკუთრება განუზრახავს და საამისოდ ძიებას არ წყვეტს. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ "პეპლობის თვე" ჟანრული ეკლექტიზმის არცთუ ურიგო ნიმუშია. ავტორმა შეძლო მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ფანტასტების მიერ ათვისებული სივრცე დაეძლია და სანაცვლოდ ორიგინალური სამყარო შემოგვთავაზა. არა უხორცო, ნასესხები, სქემატური პერსონაჟებით დასახლებულ-გაჯერებული, არამედ ქართულ ნიადაგზე გადმოტანილი იდუმალ საიდუმლოთი აღსავსე სამფლობელო, ბრმა მიმბაძველობას გარიდებული გმირები, ახალ პლანეტაზე მათთვის დამახასიათებელ ღირსებას რომ ინარჩუნებენ.

მარსიანი ეროვნული ღირებულებების ხმამაღალი აფიშირებით არ გამოირჩევა, პირიქით, ჭირის დღესავით სძაგს ხმაურიანი მოწოდებები და ყალბად შეკოწიწებული ურასტრიქონის ეროვნული "გაქანება", მაგრამ ვინც მის სათავდაგასავლო რომანს წაიკითხავს დარწმუნდება, რომ ხელოვანი მოულოდნელი სვლების დაუღალავი სულისჩამდგმელია. მისი სიძლიერე გაუთვალისწინებელ სიახლეთა შეხამებისას ვლინდება. პლანეტა მარსზე გადასახლებულ უძველეს კულტურულ ერებს ამორძალთა დედოფალი, სვანი მარეხი წინამძღოლობს, მსოფლიოს ყველა დროის რაინდი მას ემორჩილება: უძლეველი რომაელი ლეგიონერებს, მამაც ვიკინგებსა და ინდიელებს, სამურაებსა და სამუდამოდ გადაშენებულ მეომრებს ხევსური ეფხია-ჯარჯი მარსიაული მუდამ ამარცხებს. ხმალდახმალ კენჭაობაში ქართველ გოლიათს ვერავინ შეეტოქება. რომანის მთავარი გმირი პეპელა (იგივე პელაგია) თანდაყოლილი სილამაზისა და ვაჟკაცობის წყალობით რჩეულთა რიცხვს განეკუთვნება: სწორედ მან უნდა იხსნას დედამიწა (და შესაბამისად თავისი მოდგმა კაენი და აბელი ამავდროულად) დაღუპვისაგან. მოძალებული ცივილიზაციის განუკურნელი ცოდვა დაუსრულებელ ომებსა და ეპიდემიებში მჟღავნდება: ადამიანთა დაუცხრომელი სწრაფვა ძალაუფლებისაკენ ერთიმეორეზე მახინჯ ფორმებს ბადებს. უძველესი ერების შეძრწუნება სახიერ პროტესტში აისახება: ბომბზე კონცეტრირებულ კაცობრიობას უნარი აღარ შესწევს საკუთარი ენერგია რაინდულ ორთაბრძოლებსა და პატიოსან შეჯიბრში დახარჯოს და კარზე მომდგარ უბედურებას უარესი განსაცდელი არ დაუხვედროს.

მარსის მცხოვრებლებთა სულიერი წყობა დედამიწელებისას არ ემთხვევა. ომის მოტრფიალეები მტერს უღირსი მეთოდებით არ ებრძვიან. სევერიანეს მოდგმა

განურჩევლად ყველას ერჩის, ყველას სისხლით იკვებება. ცოდვით დამძიმებული არავის ინდობს, მსოფლიოს დიქტატორები მისი წიაღიდან იშვნენ, ეშმაკეულის ნიშნით დადაღულნი მართავენ კაცობრიობას, თითოეული მათგანი სათავისოდ ირჯება, უნაპირო სიცრუესა და ძალადობაში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ.

ნაწარმოების მთავარი გმირი პეპელა სიზმარში აპოკალიფსურ სურათს ხედავს: ბაგრატისელ პერსონაჟებთან ერთად დევი ვერლუგანი ჩნდება, სალვადორ დალის ქარავანს ვინ არ ამშვენებს. ცირკის კლოუნების კვალდაკვალ ჟიულ ვერნი მიაბიჯებს. უხილავ მხატვარს დედამიწა, მარსი და ვენერა ერთად მოუთავსებია. ნაკადი ნაკადს ცვლის: ღმერთები, ტარტაროზები, დემონები და ანგელოზები ჩნდებიან და უჩინარდებიან. სალვადორ დალის სიურეალისტურ ფუნჯს არგაგონილი ხილვების ქარცეცხლი აბნელებს. დედამიწა – გაბზარული გლობუსი-კვერცხი სისხლისგან იცლება. კარზე მომდგარი გადაგვარების საფრთხე იმდენადაა მოახლოებული, რომ პეპელა და მისი მიწიერი ქმარი, ხომლელი გამომგონებელი რამაზ მინდაძე სიზმარს ცხადად აღიქვამენ და შემზარავი მომავლით შეძრწუნებულები მუდმივ ფორიაქსა და დაძაბულობას განიცდიან.

აპოკალიფსი – დროის მიღმა არსებული უწყვეტ თამაშს დაფუძნებული ზმანება ყველა დროისა და ჯურის დემონსა თუ წმინდანს განსაცდელს უმზადებს და რომანის გმირებს ისღა დარჩენიათ უჩვეულო გამოსავალი ეძიონ. ღმერთთან მისასვლელი გზა უსაშველოდ დამძიმებულა, ცნობისმოყვარე საზოგადოება მხოლოდ სენსაციებზეა დაგეშილი. უკვდავ ჭორს დაუღალავად ავრცელებს და ახალი კერპების მოლოდინში მორიგ მსხვერპლს იღებს მიზანში.

პეპელა და რამაზ მინდაძე, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ჩვეულებრივი სტუდენტი, რომელიც ხალხის თქმით "ქერის ორმოში ჩავარდა", ღამღამობით დედამიწის ყოველდღიურ კვდომის სიზმრებში აკავებენ. ძალზე საინტერესოა ეფხია-ჯარჯი მარსიაულის გარდასახვა, როცა ის რამაზის ფიტულისაგან თავისუფლდება და სატრფოს წინ პირვანდელი სახით ცხადდება. ლეგენდისა და აბსურდის გასაყარზე შემოქმედი სინამდვილის უგუვებელყოფას პლაკატურად როდი ახორციელებს, პირიქით, მრავამხრივი ხერხების თანაბარზომიერი მონაცვლეობით უცნაურ დამაჯერებლობას ანიჭებს.

მარსიანი ტოტალიტარული სისტემის გამოსააშკარავებლად გზას უხსნის მხატვრის წარმოსახვას. ექსტრავაგანტური მონასმებით ხატავს დიქტატორების, განსაკუთრებით ჰიტლერს, უბნელესი წიაღიდან წარმოქმნილ ძალას. ცენზურისაგან თავდასაღწევად იგი წითელ ვეშაპებს ერთხელაც არ ახსენებს, თუმცა მკითხველისთვისაც ინტერესმოკლებული არ იქნებოდა მწერლის მიერ გააზრებული პროლეტბელადების პორტრეტები. ბუნებრივია, ავტორი არც აქ დაიშურებდა შესაბამის ფერსა და სიტყვას.

ნამგალა ტყავით შემოსილი მარსიაული სივრცეს სერავს. მასთან შერკინებისას პეპელა იორდანიშვილი სანთებელას იყენებს. პაროდიული ხერხია: პეპელა — › ამირანი — › ცეცხლი — › და მისი თანამდროვე ატრიბუტი სანთებელა ირონიულ ქვეტექსტს სცილდება.

კაცობრიობის ბედი ბეწვზე ჰკიდია. მწერალი ამას აცნობიერებს და პერსონაჟთა მეშვეობით მოსალოდნელ საფრთხეს ფანტასმაგორიულ ბურუსში წარმოაჩენს. წარსულის რეტროსპექტივა მომავლის სურათს გადაწვნია, გაქვავებულ დროს უხილავი ძალა აბრკოლებს და მიაქანებს ამავდროულად. "პეპლობის თვე" სასურველი მომავლის მოდელია. ხსნა იმ პლანეტიდან მოდის, რომელსაც სიყვარული ნაცვლად ომი სწყურია. დედამიწის უბედურებაც აქედან მომდინარეობს.

უსიყვარულო მოდგმა მხოლოდ ცოდვას სჩადის, მას უნარი აღარ შესწევს ღვთის მიერ ბოძებული სამყარო შეინარჩუნოს. გადაშენებული მარსელები სიზმრებით მართავენ დედამიწას, პეპელამ ახალი პირმშო უნდა შვას, რომელიც ორივე პლანეტის საუკეთესო თვისებებით იქნება დაჯილდოებული. მან უძველესი კულტურისა და უახლესი ცივილიზაციის დაშორიშორება უნდა გაამთლიანოს, პირველქმნილი კავშირი აღადგინოს, ზებუნებრივსა და მიწიერის ნაერთი შემოინახოს.

”პეპლობის თვის” ღრმააზროვან შინაარსს ეროტიკული წიაღსვლები საგრძნობლად აკნინებს. ეროტიკის წინააღმდეგ არც არავინ ილაშქრებს. უბრალოდ, ამგვარ რომანს შესაბამისი ესთეტიკური ორნამენტი სჭირდება. ჩემთვის გაუგებარია ავტორის გაუმართლებელი სვლა მაინცდამაინც ამ სფეროში ასე შეუსაბამოდ რატომ მჟღავნდება. მომგებიან, საგანგებოდ შერჩეულ პასაჟებს თვალშისაცემად დაუხვეწავი სცენები ენაცვლება. ნოვატორული ექსპერინტების გზაზე არსებობს თვალშეუდგამი ზღვარი, რომლის გადალახვაც უდიდეს რისკს უკავშირდება: ყველაფერი არ გადმოიცემა, ოდნავი გადაცდენაც საკმარისია და მწყობრად ნაგები შენობა ჩამოშვავდება. ზოგჯერ დიდოსტატიც უძლურია ყოველივე თავის ყაიდაზე გარდაქმნას და დაიმორჩილოს.

”პეპლობის თვეს” მაღალი რანგის ეროტიკა დაამშვიდებდა. რომანის ეს სფერო ჩავარდნილია. უხამსობის კასკადი შინაარსს თვალშისაცემად აუბრალოებს. გულდასაწყვეტია, რომ მარსიანი ამ მხრივ თანამედროვეობას გარკვეულ ხარკს უხდის. ეს ეროტიკული ”გაშინაურება” დროსთან თვალშისაცემია. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ავტორის შემოქმედება მამაკაცური საწყისის პრიმატს ეფუძნება, რაც სავსებით ბუნებრივია და სამწუხაროდ გაიშვიათებული, რადგან გრაფომანები გარდამავალ ხაზს ამ შემთხვევაშიც მისდევენ და ორიენტაციაშეცვლილი პერსონაჟების ნაძალადევი დახვავებით ცდილობენ სახელის მოხვეჭას. მარსიანი ამ მხრივ ტრადიციას მისდევს, თუმცა მის მიერ დახატული ეროტიკული სცენები შემოქმედის ხელწერას არ თანხვდება; კონკრეტულ მაგალითს მოვიშველიებ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ წერს იგი საცვალს და მდაბიური სიტყვის გამოყენებით ტექსტს აუშნოებს. სხვათაშორის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილშიც იმავე ხერხს იყენებს, რაც მას საზიანოდ უბრუნდება.

ეფხია-ჯარჯი მარსიაულისა და პეპელას (პელაგიას) სასიყვარულო ურთიერთობა ულაზათო ნატურალიზმითაა გაჯერებული, არადა, მისტიკური ხიბლით მოვარაყებული პერსონაჟების შეხვედრისას მკითხველი მათი დაახლოების სხვაგვარ სურათს ელის. ეგებ ავტორმა ეს გარემოებაც პაროდიზმის დაძლევის ხერხად წარმოაჩინოს, მაგრამ ვერაფრისდიდებით დავეთანხმები ადამიანის ინტიმური დამოკიდებულების ასახვას სარკაზმი ან გროტეკი მის შინაგან ბუნებას ამცირებს და აქცენტი მარტოდენ უარყოფით მხარეზე გადააქვს. თუნდაც შურისძიებით ელფერშეცვლილი სიყვარული დიდი გრძნობაა და იგი უადგილო ნიუანსით (პაროდია იქნება ეს თუ ეფექტისთვის გამიზნული თამამი ელემენტი) არ უნდა შებღალო, წუთიერ ვნებად არ ჩამოაქვეითო.

მიწიერების წინააღმდეგ გალაშქრებაში ბრალს თუ დამდებენ, რუსთაველის ცნობილი ფრაზა გაიხსენონ, სადაც სიყვარულსა და ვნებას შორის ამოუვსები ზღვარია გავლებული და რადგან ტექსტი გვამცნობს, რომ ეფხია-ჯარჯი მარსიაულსა და პელაგიას ერთმანეთთან არც თუ სახუმარო სიყვარული აკავშირებთ, გრძნობის გადმოსაცემად სიფაქიზე და სინაზე უნდა წარმოჩენილიყო. მარტოოდენ ცეცხლოვანი განცდის სიღრმე ფიზიკურ მიზიდულობაზეა გათვლილი. ქალ-ვაჟს კი ერთმანეთთან მტანჯველი და ამავდროულად დაუვიწყარი სიყვარული ადუღაბებს.

ძალზე ტლანქადაა გადმოცემული პეპელას "კონკურენტი" გოგოს მიერ მარსიაულთან გამართული სასიყვარულო თამაშის სცენა. პირადად ჩემთვის ურთიერთობის ასახვის ამგვარი ფორმა მიუღებელია. გასაგებია, რომ ავტორი ავხორცი ქალის ჭირვეულობას ააშკარავებს. იმ თვისებას უსვამს ხაზს, რომლის პარტნიორიც მიზნის მისაღწევად ძალდატანებისა და სულმდაბლობას არ ერიდება, აქ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი მჟღავნდება, მაგრამ მე ავტორს ვურჩევდი ნატურალიზმის გადმოცემით ესოდენ არ გართულიყო, "პეპლობის თვე" ამით აშკარად აგებს და იაფფასიან ბესტსელერს ემსგავსება. ძნელია ჩვენს დროში ასერიგად გაშიშვლებულ-დამახინჯებული ინტიმური ურთიერთობის აღწერისას ნანატრი ზომიერება შეინარჩუნო, მაგრამ მარსიანმა "ანამაისში" დამტკიცა, რომ მას ოქროს შუალედით "სარგებლობა" ემარჯვება.

კლასიკოსები ეროტიკასაც მათთვის დამახასიათებელი რაფინირებით ასახავენ. ვისაც რილკესთვის დამახასიათებელი ეთეროვნება არ მოსწონს, ეგებ კეხი შემომიბრუნოს და რობაქიძისა და ჯავახიშვილის, ან გამსახურდიას სტილი შემახსენოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ზომიერების დაცვა კლასიკურობის საწინდარია. ზოგჯერ ერთი გადამეტებული სიტყვა, თამამი სცენა ყველაფერს აუბრალოებს, უზარმაზარ ტილოს მთლიანად ჩრდილავს და ყურადღება არაარსებით წვრილმანებზე გადააქვს.

სხვა მხრივ მარსიანთან არაფერი მაქვს სადავო და მიმაჩნია, რომ "პეპლობის თვე" ქართულ მწერლობაში ახალი, ღრმააზროვანი და მრავაფეროვანი რომანის ნიმუშია. დაე მკითხველმა დააგემოვნოს ერთდროს შერისხული ნაწარმოები, რომელმაც ხანგრძლივი ოდისეის შემდეგ მაინც მოაღწია ჩვენამდე.

"პეპლობის თვე" ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი თვისებების შერწყმას ოსტატურად ართმევს თავს და აქ სიყვარულის ჰიმნი მიუმსგავსებელი უნდა იყოს, ძალდაუტანებლად ჟღერს, როგორც რომანის არაერთი პასაჟი.

შემოქმედის მრავალმხრივი ნიჭი ამის საშუალებას იძლევა. შემაჯამებელ სიტყვას სინანულად გასდევს დაუხვეწავი ეროტიკის ექო. ეგებ მარსიანმა მოგვიანებით ჩემი რჩევა გაითვალისწინოს და ესოდენ მიმზიდველ რომანს შესაბამისი ინტიმური ქსოვილი მოარგოს.

ძალდატანება კარგს არაფერს გვიქადის და თუ ავტორი განზრახვას შეიცვლის, რომანი ამით მოიგებს.

სიმართლე გითხრათ, მისი პოეზიის გაცნობამდე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ კლასიკურ ყალიბს დაშორებულ შემოქმედთა მსგავსად სათქმელის გადმოსაცემად ავანგარდისტულ ექსპერიმენტებს უფრო მიმართავდა. საბედნიეროდ, ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა. ტრადიციული საზომი დიდოსტატის ხელში უცნობ მწვერვალს დაუბრკოლებლად იპყრობს. მარსიანის დაუდგომელი, მაძიებელი ბუნება ამ თვალსაზრისით გარკვეულწილად სიმდგრადეს ინარჩუნებს, თითქოს თვალშისაცემ სიახლეს არ გვთავაზობს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი უმალ მიხვდება, რომ ორიგინალური რითმების შეთხზვით დაკავებული პოეტი იმედს რ გაგიცრუებს, ფუჭი მოლოდინით არ აგავსებს და უცნობი მომხიბლაობით გაჯერებულ პოეტურ სამყაროში შეუმჩნევლად შეგიტყუებს.

განსაკუთრებით სამიჯნურო ლექსებს ემჩნევათ ის "ძველმოდური" მოწიწება, რაც შესაძლოა პროზაულ ნაწარმოებებში დათმო, საბედნიეროდ ლექსებში ამგვარი კომპრომისი არ გვხვდება და მარსიანიც მგრგვინავი ლომის სიმბოლოს ამოფარებული ელის თავის სატრფოს, ხშირად არწივად რომ წარმოუსახავს. მას

სუსტი, უღონო "ქალური" გულისსწორი ვერ მოინადირებს. ლომისა და არწივის ორი თანასწორი პიროვნების ურთიერთობაზეა დაფუძნებული. მსგავსის მონატრებითა და სიახლოვითაა გაჯერებული. კლასიკისთვის დამახასიათებელი პერსონაჟების მონოლითური ბუნების შეცნობითა და გადმოცემით დაკავებული ხელოვანი შინაგან ცეცხლსა და ძალმოსილებას შესტრფის, უმაღლეს გრძნობას ეთაყვანება. სიღრმისეულ სირთულეს ნატიფი ფერებითა და შეგრძნებებით ამკობს. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე სტრიქონის მოხმობაც საკმარისია.

"აქ დაბინადრდი! უკვდავება მოგეფერება,
ცით ნათესავი გესტუმრება მფრინავი თეფშით,
გალაქტიკების იდუმალი, ყრუ დაჟღერება
ელექტრონებად განიბნევა შენს ლამაზ თმებში".

"სონეტი კოშკზე" კოსმიურ ზმანებათა ნაკადითაა ნასაზრდოები. საერთოდ, მეტაფიზიკური წვდომა მარსიანის შემოქმედების ქვაკუთხედია და შემთხვევითი როდია, როცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუბლიცისტურ წერილში ოპონენტს მეტაფიზიკის შესახებ დაწვრილებით ესაუბრება. იგი თავს კოსმოსის პირმშოდ მიიჩნევს და გალაქტიკური ფესვით გალაკტიონსა და გიორგი კორნაპელს, ჩვენთვის უცნობ პოეტს ენათესავება.

უდავოდ მისასალმებელია, რომ პოეტი არქეტიპთა მორევში უსახელოდ არ გაიმქვრევა, არამედ საკუთარ სარტყელს ქმნის და კოსმიური შეგრძნებებით დამუხტულ სტრიქონებს უცხო ელვარებითა და გამჭვირვალებით ალამაზებს.

თუმცა მის პოეზიაში იმგვარი ლექსებიც აღმოვაჩინე, სადაც კლასიკური სალექსო საზომის განდგომილი შინაარსი დისონანსის შთაბეჭდილებას ქმნის. მკრეხელური ელფერით შეზავებული სტრიქონები ჩვენზე მძიმედ ზემოქმედებს, თუმცა ეს გამიზნული დემონურობა როდია, არამედ უკიდურესად თავისუფალი ნების შემოქმედის აღსარებაა. ხელოვანის, რომლისთვისაც საგანი არ არსებობს და ლექსი თვითგამოხატვის უზენაესი უფლებაა.

მე აქ ქრისტესადმი მიძღვნილი საოცარი ლექსი გამახსენდა. მასში იმდენი სითბო, მოწიწება და მონატრებაა, ძნელია აუღელვებლად ჩაიკითხო, თუმცა მარსიანი საკუთარ თავს არ ღალატობს, იგი უკიდურესად თამამი ხელოვანია და აქაც მისი ორიგინალური ხელწერა წინასწარ გაუთვლელი ქმედებითაა განპირობებული.

პუბლიცისტიკას რაც შეეხება, დავძენდი, რომ მარისანის რანგის კრიტიკოსი ნებისმიერმა შემოქმედმა უნდა ინატროს. დროის კონსტექტიდან ამოვარდნილ ხელოვანს მართლაც ნაკლები საერთო აქვს თანამედროვეებთან, ვინაიდან ტკბილ-მწარე სიტყვას შეუმცდარად გაწვდის და უტყუარი ალღოს მეოხებით არ ესწავლება, რომელი მწერალი ვისი გორისაა, რისი უნარი შესწევს, მკითხველს იაფფასიან ატრაქციონზე სააშკარაოდ იწვევს თუ ჭეშმარიტ ხელოვნებას აზიარებს.

მან მშვენივრად უწყის, რომ ძალზე ადვილია მედროვეთა კოჰორტები სიმართლის გამჟღავნებით გადაიმტერო. იცის, რადგან განკვეთილის მანტიას რა ხანია უხერხული მოთმინებით ატარებს და გულის სიღრმეში იმედოვნებს, რომ ესოდენ უსამართლო ხვედრს ოდესმე ბოლო მოეღება.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია "ცნობად სახეებზე" დაგეშილ ყურდავსებულ და თვალდაშრეტილ საზოგადოებას თამამად განვუცხადოთ: გამოიღვიძეთ, დროულად გამოფხიზლდით, თქვენს წინაშე დიდი ნიჭიერებით დაჯილდოებული ხელოვანი აღმართულა და თუ იწამებთ, მანამდე უნახავ სიმაღლეს გაზიარებთ!

2008 წელი

ქვიშის მონოლოგი

ქვიშის ორბიტაზე რაიმე გსმენიათ?

მას, ვინც ქვიშის ცხედარზე დააბიჯებს, მუდამ სამყაროს უცნობი განზომილება ენატრება. ეს მე ვარ: ქვიშის პოეტი. ბავშვობაში ჩუმი, დამჯერი. დილიდან საღამომდე სახეზე წიგნაფარებულს ხუმრობით მემუქრებოდნენ, რომ უყურადღებობისთვის სამაგიეროს აუცილებლად გადამიხდიდნენ და რადგან ჩემი ხმის გაგონება მძაფრად სწყუროდათ, გარე სამყაროსთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ლექსების წერა მოვიმიზეზე.

ახლა გული მწყდება, რომ თოჯინებით არასოდეს მითამაშია, თუმცა ჩემი უნებლიე ბრალეულობა ლექსით "გამოვისყიდე", უკმარისობის გრძნობას მაინც ვერ გავექეცი.

ოჯახის ნებიერი ერთადერთხელ დავისაჯე. სანიმუშო ბავშვის ტიტული მაშინ დავთმე, როცა უფროსები სილის ჭამაში გართულს თავზე წამომადგნენ.

აი, ასე დავუმოყვრდი ქვიშას, რომელიც ჩემი თვითგამოხატვის უნივერსალურ საშუალებად იქცა.

გულწრფელად ვაღიარებ: ჯერ კიდევ 3 წლისა ჯიუტად ვამბობდი, რომ "პოეტი უნდა გამოვსულიყავი". ახლაც ვამტკიცებ, რომ პოეტობაზე უკეთ არაფერი მეხერხება.

სიტყვად გარდაქმნილ ქვიშის მარცვალს ვინმემ სათანადო ხოტბა ხომ უნდა შეასხას?

ჰოდა, ისმინეთ ქვიშის საგალობელი.

ჭირის დღესავით ვუფრთხი, ვინმეს დავემსგავსო, თუმცა ყურით მოთრეული ორიგინალობაც უსაშველოდ გაცვდა რა ხანია!

ვერ ვიტან ხალხს, ვისაც სხვისი დიდება თავში აქვს ავარდნილი.

სხვისი სახელით ტკბობა რა ბედენაა?

ვიღაცის ღვაწლის შეფასებისას მავანს ჰგონია, რომ რომელიმე გენიოსის ყველა ღირსება მას მემკვიდრეობით გადაეცემა.

დღეს ამ წრეგადასულ პატივმოყვარეობას ერთხმად ამბიციურობას უწოდებენ.

სახელის მოხვეჭის უნარი ძველთაგან არცთუ უსაფუძვლოდ მოგვდგამს, მხოლოდ დანაქადნს შესრულება სჭირდება.

თავს თუ დააღალატებ, სიტყვამ რა დააშავა?

მკითხველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნაფიც კრიტიკოსებს, თანამოაზრეებსა და გულშემატკივრებს რა პირით ეჩვენები?

დღევანდელი გადასახედიდან საყოველთაო რისხვას ნიჭიერი განდეგილი უფრო "იმსახურებს", ვიდრე თანამედროვეობის საცეცებში გახლართული პროვოკატორი.

თავი თუ გიღირს, ბრძოლის ორომტრიალში გადაშვება სტიქსის ტალღებთან ჭიდილის ტოლფასია. ვისაც არ ეზარება, ყველა უყოყმანოდ გაგიმეტებს. ყველა დიდების დაფნის გვირგვინს ეპოტინება. საკუთარი სამყაროს შექმნის ახირებითაა

ატაცებული, სულწასულობს, გამომცემლობების საალყო იერიშის პარალელურად გავლენიან თანამოკალმეებზე მოუღლელად ნადირობს, მაამებლურ წერილებსა და ლექსებს დაუსრულებლად ახვავებს, დარბის, პოპულარულ ჟურნალში მოსახვედრად ცხრაპირ ტყავში ძვრება და ყურმოკვრითაც არ იცის, რომ სადღაც "დაუსტამბავი" მწერლებიც არსებობდნენ, ისინი რედაქციებს კარს არ უმტვრევენ, ინტრიგების ხლართვაში გაუწაფავებს წინასწარ ჩაწყობილ კონკურსებში მონაწილეობა გულზე არ ეხატებათ, ხშირად ტექნიკის ანბანსაც დაუდევრად ეკიდებიან და ხელსაყრელ წამს იმპროვიზაციულ მიგნებებზე "ფლანგავენ".

დროს ვინც განგებ ან უნებლიეთ გამორჩა, იმ მოდგმას რა ვუყოთ?

კადრს მიღმა დარჩენილ ტალანტებს ხმა როგორ მივაწვდინოთ?

ჩრდილს შეფარული ნიჭიერება ორგანიზებული უგულებელყოფისგან როგორ დავიცვათ?

ვისაც თვითგანდიდება არ მოსდევს, რამდენი საუკუნით მივივიწყოთ?

ჯობდა თქვენთვის ჩემს მოკრძალებულ ტრიუმფსა თუ წარუმატებლობაზე მესაუბრა, მაგრამ ჩემი ოცნება იმდენად ძველისძველი და ნაცნობია, უმწეობაზე მეტად მიმბაძველობის შიში მბოჭავს.

თავის დროზე ჰოლდერლინმა ინატრა: "მინდა ჩემი საქმე ვაკეთო და სული შიმშილით არ ამომხდეს".

კეკლუცად შეფუთულ პათეტიკურ რჩევა-დარიგებას გულახდილობა მუდამ გადასწონის.

შემოქმედს უზენაესი თავისუფლებისაკენ ლტოლვა ქმნადობის ნიჭის გარდა ყველაფერს ართმევს. ქვეცნობიერად ეჩვევი, რომ სიტყვის მსახურებისას იძულებული ხარ უამრავი ადამიანის კეთილგანწყობა დაკარგო, ბევრი რამ დათმო, სანაცვლოდ ახალი პიროვნება აღმოაჩინო. ადრე თუ გვიან ნამდვილ აღიარებას ეღირსო, თუმცა მე თუ მკითხავთ, მკვდრადშობილი სიტყვის გაცოცხლება ბევრად ადვილია, ვიდრე ირგვლივ მყოფი ადამიანების გულის მოგება.

საკითხავია, სიტყვის ხარჯზე ვის რა დასცალდება!

ქვიშაში ეფლობი. თუ შებედე, გასაქცევი გზა მოჭრილია, მისი წიაღი უსიტყვოდაც გშთანთქავს.

ქვიშას აზრის სიმჩატე სძაგს და ჩიტირეკია სნობებს ფეხქვეშ ჩაეშლება.

უნიადაგოდ წარმოქმნილ სიცარიელეს თავის სახელს არქმევს და ...

"წყალნი წავლენ და წამოვლენ,

ქვიშანი დარჩებიანო..."

დროა ჩემი სტრიქონებიც შემოგაშველოთ. ახლახანს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სისხლშიც ქვიშათა სიმძიმე მიღრენს....

სამყაროს მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარა უნდა წარუდგე. ტიტანების თანმდევ დიდებას რომ არ დაეჩაგვრინო, უმჯობესია გზა სხვის დაუხმარებლად გაიკაფო. ადამიანის მეხსიერებაში აღბეჭდვა ამად ღირს.

ქვიშა შემთხვევით აღზევებას ვერ ეგუება.

დაწერილია ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული პროექტისთვის – "მონოლოგები"

2008 წელი

თეთნულდის მთვარე

“ახლა ღმერთს ვგავდი —
ვტივტივებდი ჰაერში,
სული მქონდა ახალი,
ყინულივით მჭრელი და წმინდა”.
სილვია პლათი.

I

სივრცე არ იკითხება ყიამათში. მთვარე? მთვარეს აჩქარება არ სჩვევია. მით უფრო მაშინ, როცა პაემანი დროსთან აქვს დათქმული.

ხმელეთი ქარაშოტისგან ახვეტილ მტვერს წააგავს წყვდიადთან სტუმრობისას.

— იყო და არა იყო რა, იყო მთვარე... —

— მთვარე ყოველღამე ანათებს? — დაკოჟრილი ხელისგულებიდან ფერგამდინარე ბავშვობამ ამოყვინთა.

— ყური მიგდე და გაიგებ! — მძივივით გამწყდარი სათქმელი მეხსიერებიდან უხმაუროდ წამოიკრიფა.

ხმელ საგებზე ტუჩმომტვრეული დოქივით წაპირქვავებულს სიბნელესთან შეხებისას ფიქრი მოუზღვავდა. ახლაც ძველებურად სწამდა: მთვარე ადამიანებისათვის დამახასიათებელი სიზარმაცით იტანჯებოდა და გაუმხელელი სევდის გასაქარვებლად ფერად ვარსკვლავებს მზესუმზირასავით აკნატუნებდა.

ამჯერად მთვარე უძღები შვილივით უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყო. მასპინძელს არც ჭრაქი შეუთავაზებია, არც სანთელი, ერთგულ მოკავშირედ წყვდიადში გაბლანდული ფიქრი შეატოვა მხოლოდ.

— აქ საკუთარი თავის გარდა ვერავის წააწყდები! — უმოქმედობით დაბუჟებული ტანი შენელებული მოძრაობით წამოსწია. ტანსაცმელზე უფრო ღრიჭოდან უკითხავად შემოცოცებული, ჩალის სურნელით გაჟღენთილი მდუმარება მიკვროდა სხეულზე. ამ დროს საკუთარ სუნთქვას უხილავი საათის მოზომილ წიკწიკად აღიქვამდა.

— სულ შინაბერა მთვარის ოინებია! — უწესრიგოდ მოარული ფიქრი კვლავ წყვდიადში შთანთქმულ სიჩუმეს მიეხალა.

მასპინძლებს ზორბა აღნაგობის თანმხლები, მათთვის დამახასიათებელი უთქმელობა სძლევდათ, მკვეთრი მახვილით წარმოთქმულ სიტყვებს ოქროსავით უფრთხილდებოდნენ, სასმელსა და ოხშივარადენილ ხინკალს აძალებდნენ სამაგიეროდ.

მომჟავო არაყი ოსტატურად აირიდა, ხინკალი გიყვარდეს, უპატივცემულოდ ერთიც არ გაუშვია.

მასპინძლის გამოხედვამ დაარწმუნა, გულდასმით აკვირდებოდნენ. ჭროღა თვალებიდან ატკეჩილი ხანძრის სიმხურვალე მთის თავშეკავებასთან იყო გაზავებული.

დაძაბულობისგან სხეული დაეჭიმა, თუმცა როგორღაც ტავს მოერია და სვენებ-სვენებით ალაპარაკდა. თავადაც ვერ შეამჩნია, საუბრის დროს დამხვდურთა აუჩქარებლობა როდის გადაედო.

მოტკაცუნე ცეცხლის ფონზე ირეალურ გოლიათებად მოჩანდნენ მასპინძლები. მხარ-ბეჭის ახოვანება თავადაც არ აკლდა, მაგრამ იქაურების მიხვრა-მოხვრაში ცხოვრებსი სეშლილი რიტმისადმი დაუფარავი უპირატესობა გამოკრთოდა, ძლივსშეფარული დაუდევრობით გაჟღენთილი თუ განგებ შენიღბული სიზანტე, რომლის სიმდგრადე ცისკენ მიმავალი, დაღრუბლული ბილიკების ჩასუნთქვისთანავე იგრძნობოდა.

საუბარს ძალდაუტანებლად შეჰყვა. აზრს არავინ აწყვეტინებდა, შეკითხვებსაც არ უსვამდნენ. ქალაქში პირიქით არნახული ძალისხმევის ფასად ახერხებდა თავისი სათქმელი ვინმეს ყურამდე მოეტანა, თითქოს ცხოვრება დაუსრულებელი გადაყვირებებისაგან შედგებოდა: თავისი, სხვისი, ვიღაცის...

კვლავ საიდუმლოებით იყო მოცული წუთისოფლის გადაყვირების შნო ოდითგან რამდენ კაცს მოსდგამდა? აქ სიტყვას საჭურვლის ფორმა მიეღო, რამაც აჩქარებული რიტმის კალაპოტიდან ამოაგდო და იძულებული გახადა ყველაზე არაფრის მთქმელი ბგერისთვისაც მკაცრად განსაზღვრული ადგილი მიეჩინა. გულიც სხვა სამრეკლოდან რეკდა: ათას გაურანდავ ფერს ფქვავდა შეუჩერებლად.

— როგორ მომაღორეს! ვთქვათ, ესენი მცდიან, დავიჯერო, მთავრეც ამათთანაა შეკრული? — ამის გაფიქრებიათანავე ყიამეთში შემთხვევით ნასროლ ტყვიასავით გამოანათა მთვარემ

სინათლესთან გაუფრთხილებელმა შეჯახებამ გარინდებიდან გამოარკვია. იდაყვები ხმელ ნაგებზე მილურსმვოდა. სათოფურიდან მძევალივით მოიპარებოდა მომინანქრებული შუქი. გამახვილებულ ყურთასმებას შრიალის ხმა მისწვდა.

უთქმელობით დაბუჟებული სხეული უხერხულად აზიდა... და ადგილზე გახევდა. დაუპატიჟებელი სტუმარივით გაიშვიათებულ მთვარეს ქალის ტანსაცმელი მოერგო.

სტუდენტობისას ჰომეროსის ტროას ომი კონსპექტიდან ჰქონდა ამოკითხული. ყველაზე კარგად ერთი დეტალი დაამახსოვრდა: უსინათლო დიდოსტატი ამ დაუსრულებელი ომის მიზეზს: მშვენიერ ელენეს სილამაზეს პირდაპირ არსად აღწერდა. თითქოს პოემის გმირებს უნარი ჰქონდათ დაკარგული ამ საბედისწერო ქალის გარეგნული პორტრეტი სიტყვიერ ქსოვილში მოექციათ.

— დალოცვილმა ჰომეროსმა ჩვენზე იფიქრა? ასეთი რა ქალი იყო ეგ ელენე, ცხრა წელი ზესახელმწიფოები რომ აომა? პატარა შტრიხით მაინც მიენიშნებინა., — ოფლში გახვითქული ჯგუფელის სახე მეხსიერებიდან ამოტივტივდა.

მაშინ თანატოლის მოუთმენლობა სასაცილოდ არ ეყო. საზეპირო ტექსტში ჩამარხული ლეგენდარული ქალის საზღაპრო სილამაზე ახლოს არ ეკარებოდა.

— თანამედროვეობა ყველაფრის დაზუსტებას ითხოვს! — ინტელექტუალი მეგობრის ხმა დროულად წაეშველა.

— როგორც ჩანს, ბაბუა ჰომეროსს ფოკუსები ჰყვარებია, — წარსულიდან გამოხმობილი მოგონება გასაქანს არ აძლევდა.

— ლამაზმანი ელენე ელინთა გადასახედიდანაა ეგეთი დასაფეთებელი. ჰომეროსს დეტალურად რომ გაეშიფრა, ეგრევე გაბანძდებოდა, ფაიზაღი. მაგ მექალთანე ბერიკაცმა თავისი საქმე ხუთიანზე იცოდა! იცოდა, ყველა საუკუნეს რომ თავისი კუმირი ყავს.

დავიდა თქვენამდე თუ არა! — მეგობარი გამარჯვებას ზეიმობდა.

— ჰომეროსი ბრმა იყო, შე ჩემა! — ჯგუფელი ხმარებისაგან გაყვითლებულ კალამს ღრღნიდა.

— მუღამიც იმაშია თვალდათხრილი ერთი მოძრაობით მიხვდე შენ წინ ქაჯი დგას თუ მზეთუნახავი. ეგ რომ არ ესქესა, ჩვენამდე ვეღარ მოაღწევდა! სადაო საკითხი ასე უნდა გადაწყდეს! -

— ვითომ? — მეგობრის თავდაჯერებამ კანი აუწვა.

— ჰომეროსი კაცურად მოიქცა. თავისი აზრი თავზე არ მოგვახვია, პირიქით, საშუალება მოგვცა ჩვენ-ჩვენი ელენე დამოუკიდებლად, სხვების გარეშე ამოგვერჩია. ამ ქალის გარეგნობაც ამიტოა გასაიდუმლოებული.

— ე. ი. ვინც ყველაზე მაგრა დაგვევასება, ელენე მაინცდამაინც იმას ჰგავს? — ჯგუფელს კალამი შემოეჭამა.

მეგობარმა სიგარეტს მოუკიდა, კვამლი სახეში შეაბოლა და დუნედ გამოსცრა:

— კამათში რატომ არ ერევი? შენი უმოქმედობა მაშინებს. ღმერთი არ გაგიწყრეს, ოდესმე ქალში ღმერთი არ დაინახო. ეგ ჭირი თუ შეგეყარა, ულაპარაკოდ დამიწდები!

მეგობრის ხუმრობანარევი გაფრთხილება თითქოს იმ წამს უნდა აცხადებულიყო, როცა მთვარის შუქიდან აღმოცენებულ ქალწულს მეტყველებაწართმეული უმზერდა, როცა ქალაქიდან რიხით ჩამოტანილი დაქადნება თვალსა და ხელშუა ნაადრევი თოვლივით შემოადნა. უცებ აუხსნელმა გაუბედაობამ შეიპყრო, საკუთარ ჩრდილად გარდასახვა ინატრა. ვინ იცის, იქნებ სხვის ჩრდილქვეშ მეტს მოიგებდა?

მხარზე ხელის შეხებამ ფიქრებიდან გამოარკვია. მთვარისფრად შემოსილმა ქალწულისგან მონაბერმა სიგრილემ ერთიანად გამოაფხიზლა. ხელები ისე რალატობდნენ, როგორც ძველ ქსოვილზე დაკერებულ თვითმარქვია ჯიბეს ემართება ხანგამოშვებით.

ქალიშვილი თვალს არ აშორებდა; თითქოს ჭაბუკის მზერაში შეღწევა განეზრახა, იმ სიღრმეში შეჭრა ეწადა, სადაც სულისა და ხორცის გამყოფმა იდუმალი სამანი ცარცივით იფშვნება. მოზღვავებულმა შიშმა ყველა მხრიდან შეუტია. იგრძნო, ქალწულის შეხებისთანავე ამირანის მიერ ოდესღაც მოპარული ცეცხლივით წალეკავდა ქვეყნიერებას. ყველაფერს გაანადგურებდა, რასაც მთაში ჩაკარგული სივრცე შემოწერდა. არაფერს დაინდობდა გარეთ სათოფურიდან უკითხავად ჩამოპირქვავებული სინათლისა, გულში ხიჭვივით რომ შესობოდა.

ხმელ საგებამდე ბორძიკით მიაღწია, ზედ მოწყვეტით დაეშვა. შუაში გაწვართულ სატევარს მომთვინიერებელივით შეახო ხელი, ლითონიდან ასხლეტილმა სიგრილემ თითებზე უკბინა.

— ეს ხანჯალი მურმანის ეკალივით იკბინება, — გახუმრება სცადა, ახლა ლაპარაკი თუ უშველიდა, ძველებური ღვინოსავით უშლიდა საღერღელს, დაკარგულ წონასწორობასაც აღუდგენდა უთუოდ, მაგრამ ქალწულმა მისი რეპლიკა უპასუხოდ დატოვა და უხმოდ დაიკავა საწოლის ნახევარი.

აქაურ ღამეზე ბნელი სიჩუმე მარყუჟივით შემოეჭდო კისერზე.

— მომისმინე! — როგორღაც თავს სძლია და ქალიშვილისკენ მოწყვეტით შებრუნდა.

არ მეგონა, ასე მალე თუ დავმარცხდებოდი. აქ ნიძლავის მოსაგებად ამოვედი, — სიტყვები ხორხში ჩაეჩხირა.

ალბათ გეზიზღები, — ხმას ვეღარ იმორჩილებდა.

— ხელოვნური სამყაროს შვილები ჩემნაირები არიან, გაჩენის დღიდან ჩაგვჩიჩინებენ, რომ ცისქვეშეთში ყველაფერი გადაკეთებულა შეპუდრულ-

შერემონტებული. რაც თავი მახსოვს, ამას გვასწავლიან. ჰოდა, აქ მოსულს მოქმედების უნარი წამერთვა, მოკარნახე არ მყავს, ვინც მეტყვის რა როგორ გავაკეთო, ამიტომაც უაზროდ ავყმუვლდი. თავის მართლებაც არ მეხერხება მაინცდამაინც. აქ ქალური ლაქლაქი მიუღებელია. ხომ ასეა? ყველა ცოტას ლაპარაკობს, არ ვიცი, რა ვქნა. — მოულოდნელად ქალწულის გულისცემა მკერდზე გაუხმოვანდა. ანგარიშმიუცემლად შეიხსნა საყელო. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ყიამეთიდან გამოღწეულ მთვარეს გრილი ნიავი ქალწულის ხშირ თმაში მიავიწყდა. სიღრმიდან ამოხეთქილამ ვნებამ მხნეობა შემატა, სხეულს შესისხლხორცებული ეჭვის ექო შეუმჩნევლად დაეხშო. მთვარისფერი სამოსის შრიალმა თავგზა დააკარგვინა. ზვავივით წინ გადაქანდა, შემხვედრად ნაჩუქურთმალი წარბებიდან ნაკვესი ელვა წამოიწია. ჭაბუკმა უკან დაიხია, თითქოს სულში მოხმაურე ცეცხლზე წყალი გადაასხეს, ყალყზე შემდგარ სხეულს ჯერ კიდევ იმორჩილებდა, თუმცა ქალწულის ტუჩებს მოუშორებლად რომ დააკვდა, მიხვდა, ცეცხლზე მედეგ ძალასთან უხდებოდა ჭიდილი.

ალერსად დაღვრილი ქალი ამჯერად თვითონ უკუაგდო, ღონიერი მკლავები მუხლზე შემოიჭირა და ყრუდ წარმოთქვა:

— ხვალ შენს ხელს ვითხოვ!

— წაწლის შერთვა წესად არ გვაქ!

ქალის ხმიდან სატევრის ლაპლაპი გამოკრთა.

— გამომყვები? — საცაა ძალით დაურვებული სხეული აიწყვეტდა.

— მოგკლავენ! — ქალის მზერა შემთხვევით ნასროლ ტყვიასავით განათდა.

— უშენოდ აქედან ფეხს არ მოვიცვლი, — თვითონაც ვერ გაიაზრა, ისეთი სიმტკიცით აივსო. შემიყვარდი, ჩემი სიყვარული სიკვდილთან რა მოსატანია. შენ ხომ თავისუფლებაზე ოცნებობ. იქნებ...

უეცრად სათქმელი გაუწყდა, დაუოკებელი აღმაფრენის სურვილს აყოლილი კვლავ მიწაზე დაეშვა.

მე ჩემსას გავიძახი, შენთვის არც მიკითავს, რას განიცდი...

სათოფურიდან ჩამომდგარი სიჩუმე მიწაზე ჩასრიალებულ სამოსის შრიალმა დაარღვია. შიშველი ქალწულის დანახვისას იგრძნო, რომ სულის მიერ ნაძალადევად დათრგუნული სხეული შურს აუცილებლად იძიებდა.

— მე მძულს მთვარე! – იდუმალი გამოძახილი ადამის მიუწვდომელი ექოსავით გულზე შემოასკდა.

მთვარის ძახილი ქალწულის თვალებშიც ამოიკითხა. ნათლად გააცნობიერა, რომ თავისი საქციელით საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე დებდა. ერთი სული ჰქონდა, რაც მთვარის კუთვნილებად მიაჩნდა, ყველაფრისგან თავი დაეღწია. მთვარის სიახლოვის განცდა თავისუფლების სურვილს უხშობდა თითქოს.

მთვარისფერი სამოსი უხმოდ წამოკრიფა.

მამლის ყივილამდე ერთმანეთს მიკრულები უმზერდნენ მთვარეს. ინათლა თუ არა, ფხიზლად წამოდგა, ქალწულს თითქმის მოზომილად აკოცა, ამ დროს ქალის მთვარისფერი მკლავები შამბნარად ექცნენ, სუნთქვა შეუბორკეს, მიწიერი ვნებით ღამენათევი სხეული არშემდგარ ალერსთან გაამზითვეს.

— რაც უნდა მოხდეს, აქედან წადი! — ზღურბლზე გახევებული დაუმთავრებელი სიტყვა თოფის გრიალმა გადაფარა. მოხუცებმა ქუდები მოიხადეს, უხმოდ გადაიწერეს პირჯვარი. უამინდობით ჩაგუბებული მდუმარება ჯინსის შარვალზე დაწვეთებულ სისხლის შხეფს შეერია.

II.

— ეს რა არი, ამას მატენი? ანტენა სად დაკარგე, ა? — წესით ლადის შეძახილი არ უნდა გამკვირვებოდა.

— ნაღდი ამბავია. ის ბიჭი ნათესავად მერგებოდა, — ენთუზიაზმის გარეშე შევეწინააღმდეგე.

— არა, ძმაო, ამ კოშმარის წამკითხავი აღარა ვარ. თუ გინდა ორი სიტყვით გამიიასნე.

— თუ არ გაწყობს, წავალ! — ფურცლები ნერვიული მოძრაობით წამოკრიფა.

— მოიცა, ლადი უცბად მოლბა.

— რა მალე ავარდი, ბრატან! ეგზოტიკა საჩემოა, თანაც თუ ეს ისტორია ნაღდად მოხდა, მაგარ პრიკოლად გადავადნობთ. მოდი, გაგრძელება ჩამოყაჭე! ჰა, მოდი, თავს ნუ იფასებ!

მართალი გითხრათ, მისი "ზადნით" მეც ნასიამოვნები დავრჩი. ამ პროექტის განხორციელება ორივეს მაგრა გაგვქაჩავდა.

— აღარ ამოშაქრავ? — ლადიმ მოოქროვილი სანთებელა ზედ ცხვირწინ გაატკაცუნა.

მეც სხვა რა ჩარა იყო, დავიქოქე.

— ამ ამბის გაგრძელება ისაა, რომ ეს გოგო მართლა არსებობს.

— რა ქვია? — მოუთმენლად გამაწყვეტინა.

— დამაცა, გავიხსენო,. — მეხსიერება დავძაბე, ჰო, თეთნულდი...

— რაა? — ლადის სიგარეტის კვამლი სასულეში გადასცდა, სული რომ მოიბრუნა, თავისებურად აღრიალდა:

— შენ ჩემი მოშორება გინდა, თორემ ასე მოშნად არ გამეკაიფებოდი.

ამიხსენი მაგ პრეისტორიული დევკას გულისთვის ქალაქელმა ბიჭმა თავი როგორ დაიბრიდა? მე მაგის...

— თეთნულდის მეორე წაწალიც მოკლული იპოვეს, — ფაქტები გამომძიებლისთვის დამახასიათებელი სიმშრალით გადმოვულაგე.

— დეტექტივის გასცენიურებას მთავაზობ? — ლადიმ ახალ ღერს მოუკიდა და ბეჭდიანი თითი საფეთქელთან დაიტრიალა.

— თუ არ მოკეტავ, აქედან ავითესები! — ულტიმატუმის წამოყენების ხასიათზე დავდექი.

— სდაიუს, ფრენდ! — ლადიმ მაცივრიდან გამოსახლებული ობლად შემცივნული ბოთლი მომაწოდა.

ამ შემთხვევას, რაც მოგეპრიანება, ის დაარქვი, ძვირადღირებული ლუდი ნება-ნება მოვსვი და შემპარავად გავაგრძელე: ჩემი ენის ტლაშუნს გერჩივნა მასალას თვითონ გაცნობოდი, რახან გეზარება, მოკლედ მოვჭრი: მეორე წაწალმა ქალზე ძალადობა დააპირა.

— მერე, კაცო? — ლადის გაყინულ ძარღვებში აზარტი აბობოქრდა.

— ვიცი, რაც გაინტერესებს, — სიტყვებს განგებ ვწელავდი.

ეს მკვლელობა იმ გოგოს არ დაუმტკიცდა, არც კვალი, პატარა ანაბეჭდიც ვერ გააიმასქნეს. კარობე, ვერ გაიგეს სინამდვილეში რა მოხდა, ასეა!

— ვაა, მისტიკაც ასეთი უნდა! ლადიმ მაცივრიდან ახალი ბოთლები გამოაწყო.

— გადავიღოთ? — ეჭვიც არ მეპარებოდა, ულაპარაკოდ დავითანხმებდი.

— დამაინტრიგე რომელია, მარა მე სხვა პლანი მაქვს.

— რა დაგეგმე? — ბოთლი მაგიდაზე დავახეთქე.

შენმა პრეტენზიებმა კუჭის წვენი გამომადინა! ოქროს თევზი ხელში ჩაგიდე, შენ კიდევ მარიაჟობ! — თავშეკავებამ მიმტყუნა.

— ნუ ბუინობ, პროსტა ტაკ არ გეკაჩავები, მომყევი, არ წააგებ! ლადიმ თვალი ჩამიკრა და მბრძანებლურად დააზუსტა:

— წადი, ხაბაკი ჩაალაგე, მოვდივართ!

III

შვეულმფრენში რობოტივით გაშტრინკული ვიჯექი. ლადი პირიქით, ჩვეულებისამებრ ხმაურობდა, ნაცნობ-უცნობი რეპერტუარით იკლებდა ყველაფერს. ეგ იყო, ზევიდან გადაშლილი პანორამისთვის არცერთს გვეცალა. ლადის ბუნება ფეხებზე ეკიდა, მე კი უცნაური წინათგრძნობა საშუალებას არ მაძლევდა მთების სილამაზე "ლოჟიდან" შემეფასებინა.

— ყურები რას ჩამოგიყრია? — ბოლოს ჩემთვისაც მოიცალა და მაგრად შემანჯღრია.

— მომეშვი! — ზურგი შევაქციე.

— ვახტანგ, მაინცდამაინც ვიღაცის ნახმარი ტაჩკით უნდა გვეჯაყჯაყა ჰაერში? ნახე, რა მურტალი გზებია!

— მთის არაფერი გაგეგება! — ჩემთვის ჩავიბურტყუნე.

— ეხლა მთის რომანტიკაზე არ დამიწყო ბაზარი! თუ ძმა ხარ, აზრზე მოდი, ბიჭო! რახან მთაა, კომფორტი კაპუტ? ვაი, რა გამოუსვლელი ხარ, ვახტანგ ჩემო! მთა არ მევასება. ეგ პრეისტორიული დევკა რომ არა, მანდ ცხვირს არ შევყოფდი. თუ მაინცდამაინც წამო ალპებში ან ანდებში მოვხიოთ! იქ არ გაიყინები. ესენი ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძისდროინდელი ტროიკებით დახოხავენ! — ამრეზით ჩაიცინა.

— რა ჩაიფიქრე? — დროულად გავაწყვეტინე, თორე მოჰყვებოდა მილეთის ამბებს.

— მაგას ადგილზე გაიგებ!

სიფათიც ასეთი უნდა! ვინ თქვა მამაკაცებში გარეგნობის გამო შურის მომენტი არ არსებობსო. ჰო, როგორაა, კაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზიც ასატანიაო. ეს შინაბერა ქალების მონაჩმახია თორე ლადის გადამკიდე ყველას ეგრევე სარკეში ჩახედვის მოთხოვნილება უჩნდება, მათ შორსი თქვენს მონამორჩილსაც, არადა მახინჯი ნაღდად არ მეთქმის. ლადი სულ სხვაა. ახლა ალენ დელონის დახვეწილი სილამაზე მოდიდან გადავიდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ახალგაზრდა ალენ დელონის სახეს პლიუს სუპერმენის ფიგურა!

რაც მართალია, ლადი ბუნებისგან ყველაფრით უხვადაა მომარაგებული, ფულიც ბლომად უჭყავის ჯიბეში, ქალები ხომ ისე ეხვევიან, თაფლწასმული ცოტნე დადიანისა და მისი მეგობრების სატანჯველად მოწვეული ბუზების აღლუმი რა ახლოს მოსატანია!

— შე ჩემა, რას წრიალებ, კენგურუს ჩანთაში ხარ გაკეთებული? — ხმამაღლა ეს ფრაზა ჩავურტყი.

— ეგეც გშურს? — პირდაპირ მიხვედრილობის ბუშტი გაუსკდა. შენთვის ისიც ზედმეტია, რუსეთი თავისი საბჭოთა რესპუბლიკებიანად რომ დაითრიე!.

— შენ თუ სინდაბადივით მსოფლიო გადაჯეგე, ჭკუა მოგემატა? — ვალში არ დავრჩენილვარ.

ბიჭო, უფროს-უმცროსობა არ გასწავლეს?

— რა ასი წლის ბეხრეკივით მევაჭრები, 4 წელი რაა შე ჩემა! მეც ჩემ ჭკუაზე გატარებ! — ყველაზე მეტად ამის გაგონებას ვერიდებოდი, მაგრამ იმდენი ვიხტუნე, კატა ჩემივე კლანჭებით გამოვთხარე. წყალი არ გაუვა, ლადი სიმართლეს ამბობდა. ამიტომაც ჩემი რეაქცია სულ არ ანაღვლებდა. თავი ვაიძულე ილუმინატორიდან ზრდილობის გულისთვის მაინც გამეხედა. ტანში უსიამოდ გამცრა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს გველეშაპის მიერ ჰაერში ასროლილი ვირთხის მუცელში ვიპრესებოდი. გარეთ კი მთები კოსმოსზედაც აღმატებულიყვნენ და მწყობრად იცინოდნენ, უეჭველად ჩვენ დაგვცინოდნენ. ჰაერში მოთუხთუხე ვირთხა კი შეუსვენებლივ მიფრინავდა.

— ვასო, ლადის ხმამ გამომარკვია.

— რა იყო, ძმაო, კოშმარში გადავარდი? კინაღამ განგრეული ავარია გვაჭამე! რა გაღრიალებდა?

— უკან გავბრუნდეთ! — ოფლში გახვითქულმა წამოვიწიე. ჩემს სახეზე აღბეჭდილმა შიშმა მასზე სათანადოდ ვერ იმოქმედა.

— ერთხელ დამიჯერე, ლადი!

არ ვიცი, რამ წამომიარა, ხაფად კი ვბღაოდი.

— ეს ნაფრონტალი კაცი როდის გადედლდი? - მისმა გაღიზიანებამ პიკს მიაღწია.

— გამოთქმები შეარჩიე! — უკანდახევა არც მიფიქრია.

— აბა, რას ხიპიშობ, ტვინში სკვაზნიაკი გიქრის, ამხელა ხარჯი გავწიე და შენს ხუშტურებზე უკან დავგაზო? მერე ზარალს ვინ ამინაზღაურებს? ვირო მადლიო...

წამოგათრიე, მაყუთს გახარჯავ, ეს სცენარიც შენ არ შემომტენე. ოპერატორობაში გიხდი, ჰოდა, შენს ადგილზე მოჯექი!

— აქედან თუ გავაღწიე, მერე მე ვიცი! — კბილების ღრჭიალმა დამამუხრუჭებინა.

ეს ახვარი ნაღდად დაუკრეფავში გადავიდა!

მე რომ სამაჩაბლოში და აფხაზეთში ვიბრძოდი, ეგ დედიკოს ბიჭი ფირმაში გულაობდა, იქ ნარკომანობაც აიკიდა, იგრიალა კიდეც, მოპარული ფულიც ჩაიჯიბა და ახლა, ჭკუას მაწავლიდა!

— არ დაგავიწყდეს, მე დაგიქირავე!

— უხ, შენი! — მუშტები პირში ჩავიტენე, მისთვის რომ არ გამერტყა.

ასეთ ყოფაში დანიშნულების ადგილსაც მივაღწიეთ.

IV

ოპერაცია იწყება! — მიწაზე ფეხი ჩამოვდგი თუ არა, ლადი უცერემონიოდ გამიშინაურდა თითქოს მთელი გზა მედლებზე დაგეშილი ნაგაზებივით ერთმანეთის დასაგლეჯად არ ვიწევდით. საცალფეხო ბილიკზე ფეხი წამდაუწუმ გვიცურავდა, თუმცა ერთმანეთს ამოსუნთქვსი საშუალებას არ ვაძლევდით,

— იმ გოგოსთან მე ვიწაწლებ! — ამ სიტყვებზე მიწას ათასწლიან კოშკად ჩავედუღაბე.

— შენ შუამავლობა იკისრე, მოსულა? — ლადი ცხვირწინ ეიფელივით ამიბდღვიალდა.

— მე აქ ჩემი საქმის გასაკეთებლად ჩამოვედი, რამდენადაც მახსოვს. ფულს ოპერატორობისთვის მიხდი. მაჭანკლობა სულ არ მევაჟკაცება. მაგ გოგოს ჭკუათმყოფელი არ გაეკარება. ჯეიმს ბონდობა არ გამოგივა, ლადი, გენაცვალე, აქ არც

ჩიკაგოა, არც სინგაპური. დანაღმულ ველზე ტასაობა შენი საქმე არაა, ძმაო! — გული სანახევროდ მაინც მოვიოხე.

— დამეხმარები თუ არადა...

მოჰყვა ისევ თავისებურად! როცა კაცს ძალა ერჩის ბოევიკობანა ითამაშოს, თავზეით ძალა არაა, ნებაზე უნდა მიუშვა. ლადის ლოგიკის ნატამალიც არ გააჩნდა, ყოველთვის კანქვეშა იმპულსებით მოძრაობდა, სიზმარასავით ერთ ფეხს აღმოსავლეთში არტყამდა, მეორით — დასავლეთს აბურთავებდა.

თავი ასე რომ გამოიდო, ვიღაცა ან რაღაცა ზურგს უნდა გიმაგრებდეს. ვიღაცეები არასდროს მწყალობდნენ, რაღაცის იმედად თავს კამიკაძეც არ დაიგდებს.

— საყურე ჩამოიხსენი, თორემ აქ ქალს ვერ იშოვი, — უემოციოდ გავაფრთხილე შეკამათება არც მიცდია, ლადი თავისას მაინც არ გადათქვამდა. ახალი როლი სწრაფად მოირგო: მაინცდამაინც არ ღელავდა, სამაგიეროდ მე ვბობოქრობდი. მასპინძლებთან გალექსვა მე მევალებოდა, გარდა ამისა, საქმე უნდა მომეგვარებინა. ათასი გათვალისწინებულ-გაუთვალისწინებელი წვრილმანი გამომეთვალა, ეს ვაჟბატონი კიდევ თავსიი ბეჭდიანი, პიანისტის თითებით ჰოლივუდურ მანერაზე მოუკიდებდა სიგარეტს.

— ღმერთი არ გაგიწყრეს, პლანი არ მოითხოვო! — მკაცრად გავაფრთხილე.

— აუ, აქაურ მასტერკებს მაგრა აქებენ! — სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

— წესები დაიცავი, ნამცეცა სიამოვნება თუ არ დათმე, ნეტარებაც არ გეღირსება! — საცაა ავფეთქდებოდი.

— ო ქეი, გნებდები, ფრენდ! მგონი ძველები ამბობდნენ: “ჩიტი ბდღვნადა ღირსო” აბა?

— იეს, ფრენდ! — ლადის ქრონიკული ცინიზმი გადამდები აღმოჩნდა და მეც ავყევი.

მოსალოდნელი შეტაკება ინდური ფილმის დასასრულივით, უვადოდ გადაიდო, რადგან უკვე მასპინძლების ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით. და მეც ჩემი ხელობა შევიფერე. ალღო არასდროს მღალატობდა: როგორც კი წაწლობაზე ჩამოვაგდე სიტყვა, მასპინძელმა ხელი ხანჯალზე იტაცა:

— თეთნულდ აღარ წაწლობს! — ავბედითად შემომიბღვირა.

— ქალაქელების გეშინიათ? — სხვა გზა არ იყო, ვაბანკზე წავედი.

— აბაიმე! — უცებ წამოეგო ანკესზე.

განზე გამდგარი ლადისკენ უხმოდ მივანიშნე. ზორბა მასპინძელს სუპერმენის აღნაგობის სტუმარი აშკარად თვალში მოუვიდა, ერთხანს ლადის ქორბუდა მზერით საჯიშე ბედაურივით ათვალიერებდა, ბოლოს თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და თავისიანებს შეერია.

— აბა, შენ იცი, რამე თუ შეგეშალა, ულაპარაკოდ აგხანჯლავენ, შენი გრანტები კი მზითვად აქაურ ტურებს დარჩებათ! — ხუმრობანარევი შეშფოთებით დავარიგე.

სადღაც ჩემი ეჭვი უსაფუძვლო მეჩვენა. ყველა ყველა და ლადი ქალებთან ურთიერთობას დანატრებული ნაღდად არ იყო. პირიქით, ზოგჯერ ზედმეტიც მოსდიოდა. ერთხელ წაგვეტრაბახა, ზანგ ქალთან ვარო ნაწოლი. საბედნიეროდ, გემოვნებაზე დავა უშედეგოა.

— ჰა, დაყრუვდი? შენ სიგრძე ყანწები მოაქვთ. — ლადიმ ნიდაყვი გამკრა. დღეს ჩემ მაგივრადაც უნდა დაბოლდე, ხომ იცი, ხვალ მეც შემოგიერთდები!.

მის სახეზე აღელვებას ვერ ამოიკითხავდი. მე გაცილებით ვნერვიულობდი, სასმელს გიჟივით ვისხამდი, ეგ კიდევ ხინკლებს მიაძღა. თურმე ნუ იტყვით და ლაპარაკიც მოეგუნება. თავის მოგზაურობაზე ჩამოაგდო სიტყვა.

თავშეკავებული მასპინძლები ცუდად შენიღბული ინტერესით უგდებდნენ ყურს. მართალია დღეს ჩვენგან უკეთესი მომავლის გამოსაჭედად საზღვრებს გარეთ ყოველი მეორე ადამიანი გაედინება, მაგრამ იმათი რიცხვიც დაუთვლელია, ვინც საკუთარ კარ-მიდამოს არ გასცილებია, ჰოდა ლადიმაც გაიჯეჯილა! მაგისვე ტერმინს რომ დავესესხოთ, უდარზე მყოფს ციდან მთვარის ჩამოფურთხებაც შეეძლო. ჩვენში დარჩეს, ასეთ მორიდებულს პირველად ვხედავდი. უცხო გარემო მასზე მაგნიტივით მოქმედებდა. ამ წუთას ძნელად იფიქრებდი, სინამდვილეში რა პიჟონ ტრესტი ბრძანდებოდა. თავისი ნარწყევიანი ლექსიკონიდან ჟარგონები მაქსიმალურად აფხიკა, ხმის ტემბრს აღარ იკითხავთ?

ეგ ახვარი ჯერ სამსახიობოზე სწავლობდა, სარეჟისოროზე მერე გადავიდა, აქაოდა აქტიორულ ტექნიკას მოშნათ მისცა გასაქანი, ვითომ უცხოელებს არ აქებდა, მათ კომფორტზე სასხვათაშორისოდ ბაზრობდა, მაგრამ მაგის მდარე აფიორას რას ვჭამდი! ამიტომ გულზე მომეშვა, მასპინძლები რომ წამოიშალნენ. ყველასგან განცალკევებულ კოშკში ისე გაიყვანეს, გამოლაპარაკების საშუალება აღარ მოგვეცა.

V

იმ ღამეს მთვარემ საჭიროზე მეტად დაიფასა თავი. პალატკაში ნგდებმა ტანმა ახალი საგები ვერ იგუა, თვალი წამითაც ვერ მოვხუჭე. ორი კოლოფი სიგარეტი რომ შემომეხარჯა, გარეთ გამოვედი. იქამდე ვიბოდიალე, სანამ ადამიანს არ გადავაწყდი, მწკლარტე თუთუნით არ ჩავითუთქე ხორხი. ძილი რომ გამიკრთა, აგრესია მომეძალა, აღარ ვიცოდი ბრაზი ვისზე დამენთხია, ხან ჩემს თავს ვაგინებდი, ხან მასპინძელს ვუტრიალებდი მკვდარსა და ცოცხალს. უარით რომ გამოვესტუმრებინე, ამ ავანტიურას ერთხელ და სამუდამოდ მოეღებოდა ბოლო, მარა ლადის ქალს ვინ დაუკავებდა!

სულიერად უჯიშოს ისეთი ჯიშიანი გარეგნობა დაებედა, წარმართ ღმერთსაც გულზე გახეთქავდა!

თვალი რომ გავახილე, ლადის კარგად გამოძინებული სიფათი შევამჩნიე. სიცივის მიუხედავად როკერივით ტყავებში იყო ჩამარხული, კიდევ კარგი, საყურე ჩემს ჯიბეში ინახებოდა, მაგრამ რა დროს საყურეა...

— რა როჟა გაქვს, მყარაულობდი? შევცდი, სანთლის დასაჭერად უნდა წამომეყვანე! — თავისებურად გაუბერა.

— რა მოხდა? — ყვირილით გავაწყვეტინე.

— რა გაღრიალებს, ბელაია გარიაჩკა აიკიდე? უ მენია ვსიო ოკ. რასაც შენზე ვერ ვიტყვი.

— გოგო სად არის? — ხმელ საგებს მიუჩვეველი ხერხემალი ამიჯანყდა.

— ვინ გოგო? — მისი თვალებიდან გადმოღვრილმა სიცივემ თითქოს ყელში წამიჭირა.

ახლაღა მივხვდი, ჩემი დამცირება როგორ სიამოვნებდა! ჯერ შუამავლობ მაიძულა, გადაღებაზე კრინტი არ დაუძრავს, თითქოს მე მისი თანმხლები ხელზე მოსამსახურე ბიჭბუჭა ვიყავი და არა...

— კარგი, ნუ იღრინები! გოგო მალე, ასე ათ წუთში წავიდა.

— ეს როგორ? — საგებიდან დამდუღრულივით წამოვვარდი. წაწლობის სპეციალისტად ვერ ჩავითვლები, მაგრამ გაგონილი მქონდა, წყვილს ერთმანეთი მთელი ღამის განმავლობაში უნდა აეტანათ.

— ახლავე გამოტყდი გოგოს რა დამართე, თორემ შენი გრანტებიანად ფეხებზე გიკიდებ. ჩემს დაკომპლექსებას არ შეგარჩენ, აქ შესტიორკად კი არ წამოგყევი!

ნავარჯიშევი კი იყო, მაგრამ ჩემს მარყუჟს მაინც ვერ გაუძლო.

— იმ დევკასთვის არაფერი გამიჩალიჩებია, მართლა, გამიშვი! — ცოტაც და მკლავს ამოვუგდებდი.

არაამქვეყნიურად მურტალი სიფათი მქონდა, ამან ლადი აიძულა ჯიბიდან კასეტა ამოეცოცებინა.

— შენ... იქ კამერა დაამონტაჟე? - ჯოჯოხეთური ჩანაფიქრის არსი ნელ-ნელა დადიოდა ჩემამდე.

ასეთი სუპერტექნიკით ციდან მთვარესაც უხმაუროდ ჩამოხსნი და ჯიბეში ისე გაჭყლეტ, კაციშვილი ვერ გაიგებს. ზევიდან ღმერთიც აღარაა მიწის გამკითხავი. ხმელეთს ვიღა დაეძებს, თანდათან კოსმოსიც ხელიდან ეცლება.

ჩემგან განსხვავებით ლადი ჩვეული თავდაჯერებულობით ელოდა მთვარეს, მის მოლოდინში ჩემსავით ბოლთას კი არ სცემდა, საწოლზე გაშოტილს მკლავები თავქვეშ ამოედო, დროდადრო იმ თავის ძვირფას სიგარეტსაც ნებიერად აბოლებდა. ეს ოხერი კამერა სულ არ ეპუებოდა სიბნელეს, ლადიზე იყო დაცენტრილი, მაგის არაადამიანურ მზერას აფიქსირებდა, ბევრ სხვა რამესაც ააშკარავებდა. მაგალითად, გულთამპყრობელის საგანგებოდ შერჩეულ პოზას. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ლადის არაფრის რცხვენოდა. როცა ცხოვრებას შენ თვითონ დგამ, მოსარიდებელი არაფერია. მასაც ასე დემართა: რასაც აიხირებდა, ისრულ;ებდა კიდეც. ჰოდა, ახლაც რაღაც ოხრობა ჰქონდა აჩემებული და კაცმა არ იცის, ბოლო წუთს ვისი როლის გათამაშება მოეპრინებოდა. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, შექსპირსაც რომ ვეკურთხებინე, ლადის სანჩოს ვირის როლსაც არ ვაღირსებდი. თვითონ დონ-ჟუანის უბედური მსხვერპლის კომანდორის ქანდაკების აჩრდილადაც არ ამიყვანდა, თუნდაც ხოხმის გულისთვის.

ამნაირებისთვის ლოდინი საუკეთესო საშუალებაა საკუთარ თავში უფრო ღრმად ჩაყვინთონ. ვერასდროს მიხვდები, კატას ელოდება თუ მთვარეს, მით უმეტეს ქალს, რომელსაც...

მთვარემ გამოჩენა ისინდისა.

ოპერატორის პროფესია ქალებისადმი გულგრილობას გვინერგავს. ვინ მოთვლის რამდენნაირი ქალი უნდა აღბეჭდო, შენს ჭკუაზე ათამაშო, ან სხვის ხოშზე ატარო. საცაა ტექნიკის დახმარებით ადამიანის სახსენებელი თანდათან იშლება.

ოპერატორს პიროვნება თავს თუ დაამახსოვრებს, ტექნიკის ტრიუმფი ჯერ კიდევ ნაადრევია. ასეთი გარემოება კატასტროფულად მცირდება.

ტექნიკა ადამიანზე სწრაფად და შედეგიანად ვითარდება. ამჯერად გადამწყვეტი სიტყვა მას ეკისრება და არა ბუნებას, რომელიც ოდესღაც ღვთის კარნახით შემოგვეკედლა.

ოთახში შესულ ქალიშვილს რომ დავაკვირდი, ყველაფერი ყირამალა ამოტრიალდა. მე კიდევ არა მიშავს, ადამიანი მქვია, თანაც მამაკაცი ვარ, მაგრმ ტექნიკა სქესს მოკლებული რამეა და ნებისმიერ შეკვეთას მანქანური პედანტიზმით ასრულებს, დაკვეთით მუშაობს, ჩვენც მივეჩვიეთ, ახლა კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ობიექტივიც მწყობრიდან იყო გამოსული! სადაცაა გული მიმტყუნებდა, მართლა ლადი! პირველ რიგში მასთან კავშირი არ უნდა გამეწყვიტა, ძველებურდ ჰოლივუდურ პოზაში გარინდულიყო: მომაკვდინებლად ვაჟკაცური, ჩვენი დროსი შესაბამისად სექსუალური და რა ვისი კიდევ, კამერა ახლა მისკენ იყო მიმართული, მას ერჩოდა, ამ ვაჟბატონის გამძლეობას ამოწმებდა ათასმეერთედ, თუმცა რას ვროშავ? აქამდე მხოლოდ აწყვეტილ ლადის ვიცნობდი, მუდამ საკუთარი უპირატესობით აღსავსეა და უკიდურესად აღგზნებულს.

თავს დავდებ, თავშეკავებული ლადი დედის მუცელშიც არ მჯდარა. ახლა რას აპირებდა, რა უნდა ექნა?

უცებ თავში თითქოს ურო შემომკრეს, ტანში გამაზრიალა. ლადიმ იცოდა რომ კამერა ჩართული იყო, ჰოდა თავს არაფრისდიდებით გაამჟღავნებდა, ჯერ კიდევ აცნობიერებდა, რომ თამაშობდა. იმას აკეთებდა, რაც საკუთარ თავს წინასწარ ჩააგონა. ამ სულისკვეთებით უეჭველად გაიმრჯვებდა! სიმწრის ოფლი ბეჭებისკენ ჩაცოცდა. შეხვედრამდე რამდენი წამი დარჩენილი? აი, ორივე ერთმანეთს უყურებს, ლადის ცივი თვალები ეს-ესაა ქალიშვილის მხურვალე მზერას გადაკვეთს. არ შევცდარვარ! ქალი გარეგნულ სატყუარაზე უფრო ადვილად რეაგირებს, მაგრამ რა ხდება? ლადის მზერით მონუსხული ქალიშვილი ყინულისგან გამოკვეთილ ქანდაკებასავით აღმართულა. ვინ იცის ამ მოჩვენებითი უძრაობის მიღმა რა იმალება? ვერაფერი გამიგია. არც ერთის სახეზე ადამიანური არაფერი იკითხება. სიმართლის დასადგენად სულ ოდნავი ემოცია მჭირდება. მოუხელთებელი, უმნიშვნელო, ხელშესახები. დაძაბულობისგან სადაცაა შიგნიდან ავფეთქდები. ჩემი თვალსაწიერი უძლურია მათ გახევებულ სახეებზე ადამიანობის მიმანიშნებლად ფრაგმენტული შტრიხი მაინც ამოიცნოს. იდუმალი სურვილის გარღვევის წყურვილმა ჩემი წარმოსახვა წალეკა, საცაა არნახული ხმაურის თანხლებით შუაზე გავიხლიჩები. ერთხელ მაინც გამოგიცდიათ რას გრძნობს ოპერატორი შენელებულ კადრთან შეჯახებისას? სამაგიეროდ ტექნიკა გრძნობს და ადამიანის სულში ხელოვნურად გამოწვეულ მიწისძვრას თავის სასარგებლოდ აჯამებს. ამ გაუხმოვანებელი საბედისწერო შეჯახებისას ლადის სიტყვებს რექვიემსაც ვერ დაარქმევდი კაცი. ერთადერთი ფრაზა ითქვა, ერთადერთი მეთქი!

— თავს ნუ მოიტყუებ, ქალებთან სექსი არ მაინტერესებს! — კადრი ლადის ხარხარის თანხლებით გაწყდა, ის ახლაც თავზე დამხარხარებს, რა მიშლის ხელს ყელში ვწვდე? თუნდაც თეატრალური გადამლაშებისთვის ვუსაყვედურო, მამაკაცურად წავუთაქო კიდეც, ესეც თუ არ იკმარებს, ძალის დემონსტრირების წეღანდელი გაკვეთილი განვაახლო, თუთიყუშივით გავუმეორო რა ჩაიდინა, მაგრამ ჯოჯოხეთური სიმართლე წინააღმდეგობის უნარს მიჩლუნგებს.

— ეს ფარსი არ იყო, შენ მართლა... — გულისრევის შეგრძნება დამეუფლა.

— ცხოვრებას ჩამორჩი ბრატან! — უსიტყვოდ მიმიხვდა საითაც ვუმიზნებდი. ამის მიუხედავად ჩვეული თავხედობით გააგრძელა:\

კეისარი სუფთა პედიკი იყო! მაგათთან შედარებით სვიატოი გამოვდივარ. ბისექსუალობა მაგარი რამეა.

— იულიუს კეისრის ადვოკატობა გიშველის? — ჩემს ირონიას ყურიც არ ათხოვა, ისე გააჭენა:

— რა გადაშენებული მამონტივით მთირავ, საშველი შენისთანებმა ეძებონ! ერთი ეს მითხარი: პედერასტები და ბისექსუალები როდის არ იყვნენ? შე ჩემა, რა უნახავივით დვიჟენიობ: კეისარს და ალექსანდრეს ჰქონდათ უფლება ქვეყანა თავის ხოშზე ეტარებინა?

— ისინი მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობდნენ, — ჩემსას არ ვიშლიდი.

— გაგიმარჯოს! საქმეც ეგაა. მაგათ ჩალიჩს საუკუნეები დასჭირდა, ჩვენ კი დედამ,იწა რეკორდულ დროში მოვქესტეთ!

— ახლა რა ვქნათ? — როგორღაც თავს მოვერიე და სხვა რელსებზე გადავედი.

— ტრაგედიები მოძველდა, შეიგნე ვახტანგ! ის გოგო ადგა და სადღაც გაიქცა. მაგის გულისთვის საქათმეში და საღორეებში ძრომას არ ვაპირებ!.

თიხის გოლიათი რაა, მაგრამ ლადი ახლა პლასტმასისგან გაკეთებულ კოლოსს

ჰგავდა. უხარისხო მასალასთან შეხებისას გემოვნების გარდა ხელიც ფუჭდება, ჰოდა, უსიტყვოდ გავედი გარეთ. ჯიბეში ჩაჩხერილი კასეტა დროდადრო ტანზე მეხახუნებოდა. ბილიკების დაქსაქსულობამ უარესად დამაბნია. ალალბედზე დავეშვი. შემხვედრად პატარა ბიჭი მოდიოდა, ხელი დავუქნიე.

— არ მცალია, — უხალისოდ გამომელაპარაკა. თეთნულდ დაიკარგა, ყველა იმის საძებრადაა წასული. თქვენ რად არ ეძებთ? ხმაში სიმკაცრე დაეტყო.

— აბა რას ვაკეთებ, — ისე შევძრწუნდი, ბიჭი შეყოვნდა.

ბილიკზე ჩამოჯანღული უთქმელობა გაუბედავად ამოახველა, ვერ გადაეწყვიტა წლობით დაგროვილი ლაპარაკის მადა გამოეშკარავებინა თუ მტრული დუმილით დაკმაყოფილებულიყო.

— თქვენ გააპარეთ? — ეს რომ მაჯახა, ლამის შევხტი.

ბიჭი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აქაური საქმეების კურსში არ ვიყავი და სხარტად ალაპარაკდა.

— წაწლობა სულ არ უნდოდა, იმათ კიდე მაგისი გათხოვება არ უნდოდათ! — ქვეშიდან გამომხედა და ხმას დაუწია:

არავისთვის ემეტებოდათ. ეგ აქ გამჩერებელი არ არი, წავა. ვიღაცას გადაეკიდება და მთის სილამაზეს ბარად ჩაიტანსო. ქალაქჩი კიდე სილამაზეც ფულიც ფასდებაო ეგრე ამბობენ...

მე ჯვარზე გაკრული ავაზაკივით უხერხულად ვეკიდე სადაც დასალიერში.

— იმ ბიჭს თავი რომ მოაკვლევინა, ამაზე რას იტყვი?

— თეთნულდს ის ბიჭი უყვარდა, მის სიკვდილში ბრალი არ მიუძღვის, მკაცრად გამაწყვეტინა.

— ის მეორე? — ჩემს გულ-გვამში ჩასახლებულმა გამომძიებელმა ტავი იჩინა.

— ვინა? მოძალადეზე ამბობ? ეგ თეთნულდს არ მოუკლავს!

თითქოს ფიქრს მიმიხვდა, დამაჯერებლად განაგრძო:

— ისე წესის დარღვევისთვის უნდა მაეკლა!

— წესი ხომ იმ პირველმაც დაარღვია? — ნიშნისმოგებით ჩავეკითხე.

— აბა ეგ რჯულძაღლი ვინ მოკლა? — თითქმის ვუღრიალე.

— ვინ და... ბიჭმა კეფა მოიქექა. აქეთ-იქეთ გაიხედ-გამოიხედა, თითქოს ირგვლივ შემოჯარულ მთებს ადამიანებად ამეტყველების შნო შესწევდათ.

— მოძალადე თეთნულდის ძმადნაფიცმა გააგორა.

— ბიჭის მოზეიმე ხმის კილომ ფიქრიდან გამოარკვია.

— აბა, ძმადნაფიცი? — ერთიანად დავიბენი.

ახლა აქ აღარაა, სისხლის ასაღებად დასდევენ, მგონი მთიდან სულ აიყარა.

ცოტაც და გული უმისამართოდ ამომიფრინდებოდა, ბიჭის მონაყოლს თავი და ბოლო ვერ გავუგე, უწყვეტ ჯაჭვად, არა, დაუმთავრებელი კადრივით იწელებოდა მომხდარი. არც წარსულს ცნობდა, არც აწმყოს უწევდა ანგარიშს, მომავალზე ფსონის დადება ხომ რუსულ რულეტკაზე თამაშს უდრიდა.

— თეთნულდ ორჯერ გაიქცა, ორჯერვე უკან მოაბრუნეს, ეხლა მესამედ გაიქცა და ვნახოთ.

ბიჭის გამჭოლმა მზერამ შემაშფოთა.

— მერე? - უსიამოვნო წინათგრძნობამ ერთიანად შემიპყრო.

— თუ ვერ იპოვნეს, მოგკლავენ! — გულგრილად დააზუსტა.

— მაგრამ ჩვენ არაფერ შუაში ვართ!

— მოგკლავენ! — ბიჭმა ბოლომდე არარ მომისმინა, ზურგი შემაქცია და აღმართს აუყვა.

VI

ლადი როგორც დავტოვე, ზუსტად ისე დამხვდა. საქმე თუ არ ჰქონდა, ცხოვრება მოქეიფე რომალელივით მწოლიარეს მდგომარეობაში გაჰყავდა. მე კი ხმელ საგებამდე ძლივს მივაღწიე და ზედ ჩაფუშული პარაშუტივით უხმოდ დავეშვი.

— მთელი ცხოვრება ქალებთან ღლაბუცის მეტი რა გიკეთებია! — ყელში მოწოლილი ბოღმა გასაქანს არ მაძლევდა.

— მაგ გოგოსთან ზასაობას ღმერთთან ჩახუტება მერჩია, მშვიდად ამიხსნა და თავისი სვეცკი სიგარეტი გააძრო. შეპასუხების თავი აღარ მქონდა, ხელი მექანიკურად ჩავიქნიე.

— არა, როგორ ვერ ხვდები რა შარში გაეხვიე! აქ ტრუხა სიტუაციას ვერ გავითამაშებთ! — ისევ შევუტიე.

შენ, ძმაო, ჭურში ზიხარ, არ იცი გარეთ რა გველოდება, გოგო თუ გაიქცა, აგვხანჯლავენ! გესმის, აგვხანჯლავენ!

გონებასუსტ ბავშვებს რომ მიმართავენ, სიტყვა ისე დავუმარცვლე.

— ეგ გოგო ათესვას მანამდეც ხომ ჩალიჩობდა! — გრძელი მკლავები ჰაერში აიქნია და თვალი თვალში გამიყარა.

— ვინ გითხრა? — ზუსტ ინფორმაციას ოთახიდან გაუსვლელად ფლობდა.

— იასნია ეგრე იზავდა, მე ჯეიმს ბონდი კი არა ვარ, ტარტალიოტით გამეტაცა, ასე რომ იმაზე იოლად გამოვძვრებით, ვიდრე შენ გგონია!

— არც ეგრე მარტივადაა საქმე. გოგო შენგან გაიქცა, შენი ოთახიდან გაიპარა, ხვდები, ეს რას ნიშნავს? ეგ შენი მოსაჭმელი სექსუალურობა რაღა გუშინ გაგიქრა?

— მოკეტე! — აქამდე მშვიდობიან სახეზე მყოფი ფეხზე გიჟივით წამოხტა და ავტომატის ჯერივით მომაყარა:

— — მაგ თემაზე არარ მებაზრო, თავი გამანებე! რაც მოხდა, უკვე აგიხსნი! თუ ეგ დევკა აორთქლდა, კასეტას გავაძრობ და ბასტა, სვაბოდაზე გაგითრევ!

— ეგ არც იფიქრო! — უხეშად გავაწყვეტინე.

შენი ბჟუტურით საქმის მოყომარების მაგივრად უარესად დაგვერხევა. აქ პედიკებსა და ბისექსუალებს წითელ კოჭებს არ უგორებენ. სირცხვილი სულ დაკარგე, შე ჩემა!

ოთახში ბოლთის ცემას მოვყევი. ლადიმ ზურგჩანთიდან შავი დღისთვის გადანახული ლუდი გააძრო და ეგრევე მიიყუდა.

— შეთ! რა საგოიმეთში მოვხვდი!

ცარიელი ბოთლი კუთხეში მოისროლა.

— ტრუხას ბაზრობ! აქ კიდევ რაღაც დარჩა გასარკვევი!

ახალმა აღმოჩენამ სულით ხორცამდე შემძრა.

— ყველაფერს მივხვდი! — სიტყვებს საგანგებოდ შენელებული რიტმით ვტკეპნიდი.

- რას მიედ-მოედები? — ლადის ნერვიულობა დაეტყო.

— კომპლექსები როდის აქეთ გაწუხებს?

ომში თავდასხმა სხვაზე უკეთესად მეხერხებოდა.

ბისექსუალობა იმიტომ დაიბრალე, იმ გოგოს დანახვაზე შენმა მამაკაცურმა ღირსებამ გიმტყუნა!

საზეიმოდ დაბოლოებულ განაჩენს ჩემი მისამართით ნასროლ ბოთლი ხმა დაჰყვა აკორდად.

- იქნებ ერთიცაა და მეორეც? — ბოთლი მოხერხებულად ავიცილე და

მეფისტოფელივით ჩავიქირქილე.

— რა პადონაკი ყოფილხარ! — ლადის რეაქციამ ჩემი ეჭვი ათასი პროცენტით დაადასტურა. დროა დარწმუნდე, შენს ენაზე ბაზარი შიგადაშიგ მეც კარგად გამომდის.

წამის მემილიონედში ერთმანეთს უხმოდ ვზვერავდით, კრიტიკულ სიტუაციებს გაუმარჯოს! მოსალოდნელი საფრთხის შიში დროებით მაინც შლის სოციალურ ზღვარს, რომლის ჩასასწორებლადაც იმ კრეტინმა მარქსისტ-ლენინელებმა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ტყუილად გაწყვიტეს.

სოციალური ნიშნით მარკირებისგან მარტო საფრთხე ან სიკვდილი დაგიხსნის. აბა ისე ლადი ჩემგან ამეებს მოისმენდა? ახლა კი დგას და ისმენს კი არა ითმენს რომელია!

— კაცები ამნაირ რამეებზე არ ბრაზობენ! — როგორღაც იქნა ხმის ამოღება მოაფიქრდა.

— უარესებზეც ბაზრობენ და საჯაროდ უფრო ცუდ რამეებსაც აკეთებენ. შენი არეულ-დარეული ორიენტაცია ჩემი პრობლემა არაა, გარკვევას მერეც მოვასწრებთ. წინ უფრო სერიოზული ამბავი გველოდება!

— ბუნებას როდის გადაიღებ? — ეს რომ მაჯახა, ჩემი დამემართა. ათასმეერთეჯერ დავრწმუნდი, ლადისთანა ტიპებთან შეთანხმება წყლის ნაყვას უდრიდა. ასეთებს მთელი ცხოვრება მდგომარეობის ბატონ-პატრონად მოაქვთ თავი.

— გარეკე? შენი მხეცური სურვილის დაკონტროლება ოდესმე გიცდია? - რაც ძალი და ღონე მქონდა, ვუღრიალე.

— სიცოცხლე როგორ გყვარებია! — იქედნურად შენიშნა.

— ნაბიჭვარო, შენ ამის რა გაგეგება! — მოთმინების ფიალა ამევსო.

სიცოცხლე როგორ არ მიყვარს, მე ბრძოლები გამომივლია! რამდენი შენისთანა კევივით ძირს მყავს გადაფურთხებული!

სამარცხვინო სიკვდილს არ ვაპირებ. შენ რა გენაღვლება, ისეთი ბლატები გაქვს, ჯოჯოხეთსაც ქრთამით აიცდენ.

კუპრის ქვაბშიც ჩემისთანა უპატრონო ჩაიხარშება! ან ისე მოიქცევი, როგორც გეტყვი, თუ არადა, რაც მოგივა, შენ თავს დააბრალე!

— ახლა შენი გაისწორე, მაგრამ მალე ძველებურად აგაბურთავებ!

— მოკეტე, თორემ შენს სიკვდილზე ხელს სინდისის ჩხვლეტის გარეშე მოვაწერ!

დამამთავრებელმა ფრაზამ ლადის შეწინააღმდეგების ხალისი საბოლოოდ დაუკარგა.

სული რომ მოითქვა, ვუბრძანე:

— ახლავე ჩაწექი, ვითომ რაღაცამ მოგწამლა, ოთახიდან უჩემოდ ფეხი არ მოიცვალო. ხიპიშის დროა არ არის, გარედან ინფორმაცია თუ არ შევაგროვე, ჩვენზე ცოდო მკვდარიც არ იქნება!

მასპინძლის ძებნას დრო ტყუილად შევახარჯე. ის დღე უშედეგოდ მიიწურა. თეთნულდის კვალს ვერსად მიაგნეს. ქვეყნიერების კიდეზე ამდენი მზვერავი დავით აღმაშენებელსაც არ ეყოლებოდა დაგზავნილი, მაგრამ რა გინდა?

— ოტო გახსოვს? — ლადი საწოლში საუზმობას მიჩვეული იყო როგორც ჩანს, ცხელი ხინკლისა და ლუდის გემომ ლაპარაკის იშტაზე მოიყვანა.

— ვინ ოტო, ბისმარკი?

ლუდი ჩემზე ანტიფრიზივით როდი მოქმედებდა.

— ბისმარკი ვიღაა? — ლადი მორიგი ხინკლის განადგურებით იყო დაკავებული.

— შენს ოკეანისპირა განათლებას ვენაცვალე! — ჭამში ჩავეზიარე.

— შენი დიპლომების კოლექცია ტუალეტში დაკიდე, იქნებ გეშველოს. ხიპიშის ლომკას თუ არ მოვიხსნით, ეს წყეული ავანტიურა გასკდეს, — გამაფრთხილებლად გამომხედა.

ლუდის სიმჟავე საფეთქლებამდე აღწევდა.

— ოტო სკორცენი ვიყო, -

ლადი ოცნებების ტალღაზე გადაერთო.

— ვაუუუ! — ზუსტად გამოვაბრაზე.

ეგ ნაცისტი ჯალათი როდის აქეთ შეიამხანაგე?

— ეგრე ნუ მიყურებ! — ლადიმ ჩემი გაოცება შეიფერა. ფაშიზმის მთელი დოკუმენტები შესწავლილი მაქვს. პროსტა თარგმნა დამეზარა. ჩაჯდომა უნდა, მე კი სულ დვიჟენიებში ვარ!

— უყურე შენ, ბიჭი აღარ ხუმრობს. ამ ფილმის გადაღებაზე ნაღდი არასამთავრობო ფაშიტური ორგანიზაციის გახსნა იქნება; — რატომღაც მარცხენა ქუთუთო ამითამაშდა.

— მეკაიფები? ისე, მაგარ პლანზე უარს არ ვიტყოდი! ლადი სანთებელას დასწვდა.

— ოტო ვაინინგერი გახსოვს?

მახსოვდა რომელია! ერთხელ შემთხვევით იმ ქალთმოძულე ღლაპის ნაცოდვილარს ჩემს ბიბლიოთეკაში წააწყდა და აფიშასავით ზედ აეკრა. არ მესმის, შემთხვევა ცხოვრების წესად როგორ უნდა გექცეს?

ამ ოტოების "პახაჟდენიების" გარდა სხვა არც არაფერი წაუკითხავს.

— ეგ ვაინინგერი რით ვეღარ დაივიწყე! — უხალისოდ გამოვეპასუხე. დედა-ბუდიანად აყრილ მასპინძლებს ვერსად მივაგენი. ჰოდა, ამ უსაქმურთან ლაყაფით ყბა მომეღრიცა. ჩემი პროფესიის გადამკიდეს სულ უდროობა მაწუხებს, მაგრამ ახლა, როცა საქმე გზიდან ჩამომეცალა, უარეს დღეში ჩავვარდი.

— ვაინინგერი მომავლის კუმირია, — ლადიმ კეთილი ინება და საწოლში წამოჯდა.

თანამედროვე პროცესები ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში მოტვინა. მაინც რა კაცურად დაასკვნა, რომ ქალი მცენარეზე უმნიშვნელო არსებაა და მასზე ნაკლები სარგებლის მოტანა შეუძლია!

— ახია იმ ქალზე, ვინც შენისთანასთან დაწვება!

ლუდის სიმჟავე ფურთხს შეერია.

— ქალების მხარეზე ხარ?

ვერ ვიტანდი თვალებს როცა წკურავდა, ამ მოძრაობით ვხვდებოდი, მის ტვინში ახალი ჩანაფიქრი როგორ იბუდებდა.

— ბავშვობაში დედაშენი ურჩხულის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, — ხმადაბლა შევნიშნე.

— დედაჩემი რა შუაშია? — ლადი ლოგინიდან წამოხტა.

მე ქალებს ვერ ვიტან, დედა სხვაა...

— ჭკუისკოლოფო, დედაშენიც ადამის ნეკნიდან გამორონინდა. აი, ასე!

ლუდის კათხით სიგარეტის კვამლში გაგუდული ოთახი შემოვხაზე.

— დედაჩემს ნუ ეხები! — ლადი ცოფიანივით მეცა.

მსუბუქი ხელის კვრით მოვიგერიე და პათეტიკურად წამოვიწყე:

— საბედნიეროდ, ვაინინგერი თავის თანამედროვეებს სამყაროს დირიჟორად არ დაუნიშნავთ. თუ მაინცდამაინც, ქალებს მაგისთანებმა ჩააცვეს შარვალი, თმა

შეკრიჭეს, სიგარეტიც მაგათმა მიაჩეჩეს და პოდიუმებზეც საეჭვო დიეტაც მაგ უსქესოებმა გამოუწერეს! მამაკაცებად ქცეული მდედრები აზრზე არ არიან, ძლიერი სქესი რა ოინს უმზადებს!

როგორც ჩანს ვაინინგერს დედიკოც ერთ-ერთი კაცად გადაკეთდა.

მაგარი ვინმე ბრძანდებოდა! არ შემაწყვეტინო! - ლადის ხმის ამოღების საშუალება არ მივეცი ისე გავაგრძელე: ვაინენგერის დამსახურებაა დედამიწა ასფალტის ქვეყნად რომ გადაკეთდა. ჩვენ ასფალტის სუნი გვიდის. ამას ყველაზე ძვირფასი ოდეკოლონის არომატიც ვეღარ გადაფარავს.

ქალი კაცად იქცა, კაცი ქალობაზეა ორიენტირებული. გამაგებინე, ამ ასფალტის ჯოჯოხეთში ვინ ჩაგვაბატონა? ასფალტის სამშობლოში ჩაბეტობებული სულები ბუნებრიობას გადაგვაჩვიეს.

თეთნულდს სწორედ ღმერთისგან მომადლებული ქალობა არ აპატიე!

მასთან შეხებისას კაცობა წაგერთვა, რაც ადრე არავისთან დაგმართნია. სრულფასოვანი მამაკაცი ასეთ მარცხს არასოდეს აღიარებს!

— აბა, რაში მამტყუნებ? — სახეშეშლილმა ლადიმ ოთახში ბოლთის ცემა წამოიწყო.

— ადამიანის მიმართ ზოგჯერ ოდნავი სიბრალული უნდა გამოძრავებდეს! სულისთვის თანაგრძნობაზე ნაღდი პროფილაქტიკა არ არსებობს! ცოდვისთვის ისჯები!

— სტოპ! - ლადი წინ გადამიდგა.

მე რომ მოგისვრი, ახალ სამსახურს ეგრევე დაითრევ. გპირდები ფსიქონალიტიკოსის მანდატს უპრობლემოდ გაგიჩალიჩებ!

— ჩათვალე, შენთან არასდროს მიმუშავია! შეიგნე, შენი არაფერი მინდა. ცნობისთვის, ვაინინგერმა ცხოვრება 23 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა.

— შენისთანების ჯიბრზე არ მოვკვდები! — ლადი შუშხანასავით აფეთქდა. თვითმკვლელობა შენისთანა იდიოტების შიკია! ღმერთმა წაგებულ პარტიად ჩაგიფიქრა. ვეჩნათ მაგარი სვლის მიუხედავად წაგებული ივლი, სულ თამაშგარეში იდგები! შენი სამყოფი არასდროს არაფერი გექნება, ვერაფერს მიაღწევ. მე კი საკმარისია თითები გავატკაცუნო, ორას შენისთანას ოპტავიზე ავიღებ!

გარედან შემოჭრილი ხმაური რომ არა, ჩვენი შეჯახება გარდაუვალი იყო.

VII

არ მეგონა ღვთისპირისგან მივიწყებულ პატარა სოფელში ამდენი ხალხი თუ ცხოვრობდა.

ყველა ქვევით ეშვებოდა. მეც მათ მივყევი, ლადიმ საბჭოთა ეპოლეტივით დამიმშვენა მხარი.

— რამხელა ჯოგი შეგროვილა! — ჩვეული უცერემონიობით აღნიშნა. პასუხის გასაცემად გამბედაობა არ მეყო. სხეულმა ერთბაშად მიმტყუნა, თითქოს ვიღაცას ოჩოფეხებზე ძალით ვყავდი შეყენებული და სეირისმაყურებლების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად ცირკის არენისკენ მიმიძღოდა.

— ამ ამბავს ცუდი პირი უჩანს, — ეს ფრაზა გაურკვეველი წინათგრძნობით შეპყრობილმა წარმოვთქვი.

ლადის ხმა არ გაუცია, თვალუწვდენელი მთების სიახლოვეს ზამბარასავით დაჭიმული კიდევ უფრო მაღალი ჩანდა. მისგან მომდინარე დაძაბულობა მეც გადმომედო.

უცებ წინ რაღაცამ გაგვირბინა.

— ფუი, ეშმაკს! - ნერვები აღარ მივარგოდა.

შავი კატის ნაცვლად ხელში ის პატარა ბიჭი შემრჩა. ამასწინათ წარბშეუხრელად რომ მომახალა, მოგკლავენო. ჩვენს დანახვაზე პირი იბრუნა. შეუმჩნევლად დაწინაურებული ლადი უკანმოუხედავად იკვლევდა გზას.

ხალხის ტალღა უცებ შუაზე გაიპო და ამაღლებულ ადგილას ყინულით დაფარული ქანდაკება გამოჩნდა.

— თეთნულდ! — ჩემ უკან ატუზული ბიჭი მკლავში ჩამაფრინდა. შუბლზე გამოჟონილმა ოფლმა სახეზე ყინულის შეუღწევადობა გადაიკრა.

თოვლის მომინანქრებულ სითეთრეში გადასული ქალწულს მზერა ავარიდე. მთვარისფერ სამოსზე უფრო ფერმკრთალი სახე უბზინავდა. მარმარილოსავით გრილი სრულყოფილება სიკვდილის გავლითაც ვერ აღწევს ადამიანამდე.

მთვარის ციაგი ყველაზე გვიან სულიერად წოდებულ არსებებში ვრცელდება, უხმაუროდ გუბდება, თანდათან კოსმიურ მოხაზულობას იძენს.

ნაბიჯი ამერია. კამერის ობიექტივშიც ასეთი იდუმალი გამომეტყველება უვარაყებდა პირისახეს. უნაკლო სხეულიც უსასრულობაში გადასაფრენად ჰქონდა შემართული.

არაამქვეყნიურისადმი შიში ყინულის ნატეხივით ჩამრჩა შიგნით, იგი ახლაც იმავეს ღარადებდა, რასაც ამ ავბედით, ქუფრ ღამეს როცა თეთნულდმა მშობლიური ადგილები დატოვა და უცნობი სიმაღლის შესახვედრად გაიქცა.

— ადამიანი კოსმოსის უძღები შვილია! — რაღაცამ ჩამძახა.

თეთნულდს ეს შეგრძნება ასულდგმულებდა, როცა ფეხშიშველი თოვლიან მწვერვალს აუყვა.

უკიდურესი დამცირების ჟამს მან ყველაზე სავსედ შეიგრძნო ღირსების მოზღვავება, რომელსაც ქოთნის ყვავილის მსგავსად სურვილისამებრ ყველგან ვერ გადარგავ.

ყინული კიდევ დაიძრება ქვეყნიერების შესახვედრად, ადამიანს საკუთარი თავის მიღმა ვერსად დაძრავ. თანდათან მიწასთან შეხების წერტილს ვკარგავდი.'

— აღსრულდა! — ექსტაზში ჩავარდნილი ლადის დანახვამ ჩემზე მათრახის დაკვრასავით იმოქმედა.

— რასაც ველოდი, ამიხდა! დღეის აქეთ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაНყეფს! ისეთი ფილმი გამოგვივა, პოპულარობა სიკვდილამდე გარანტირებული გვაქვს! ზუსტად გავთვალე, ტრიუმფი იწყება!

დამეხილივით დავაცქერდი. მღელვარებისგან აღგზნებული სახე ახალგამოზამთრებული მინდორივით უბიბინებდა. ცოტაც და ტაშს შემოჰკრავდა, ყირაზე გადავიდოდა, ერთს თავისებურად გაუტევდა.

— დროს ნუღარ ვკარგავთ, კადრები აკრიფე, ჩქარა! — ახლარა შევნიშნე, კამერის წამოღება არ დავიწყებოდა.

გველცემულივით შევტოკდი. ჩემს რეაქციაზე სახე დაუფარავმა ზიზღმა დაულაქავა.

— მშიშარა ხარ! — თავშეუკავებლად მომაყვირა და კამერა აამოქმედა.

— რას აკეთებ, ღმერთი არ გწამს? — კამერის წაგლეჯა დავუპირე.

— შენსავით შიშს არ მივეყიდები! - ჭკუაზე შეცდენილივით აღიალდა.

— ყველაფრის უფლება ვინ მოგცა? სიკვდილსაც შეკვეთას აძლევ?

ჩოჩქოლზე ყველამ ჩვენსკენ მოიხედა.

ნამდვილად ვეღარაფერი გადაგვარჩენდა, ვირაცას ეგზალტირებული ხმით რომ არ ეყვირა:

— დავარ მოსულა, გამოატარეთ!

მხრებში მოხრილმა შაოსანი დედაბრის ხილვამ ხალხს კამერის არსებობა გადაავიწყდა.

ყინვაში დამზრალი ბალახივით შემეჩხერებული აღნაგობის მოხუცს გზა უხმოდ დაუთმეს. ქალი სწრაფად მიუახლოვდა თეთნულდს, ყინულად ქცეულ შუბლზე სიბერისგან გამომშრალი ხელები ფრთხილად შეახო. ზვავივით ჩამომდგარი დუმილი მთებმაც შეისუნთქეს. დედაბერმა ერთი კაცივით დამუნჯებულ ხალხს თვალი მოავლო და იმდენად მშვიდად ამეტყველდა, თითქოს ყინულეთიდან ამომავალი მზის სანახავად იყო გამოსტუმრებული.

— თეთნულდს რად მომაშორეთ? — გაუბზარავი ხმა ზარივით რეკდა.

იმისდა მომკვეთედ, უჩემოდ სიკვდილისთვის შეგეწირათ?

ბედშავნო! შლეგად მრაცხდით, ის რაც ერთმა ვზარდე, უთვალავმა ვერ დაიცავით! ღვთისგან გამორჩეულს არ უპატრონეთ! რჯულძაღლებივით ჯიბრში ჩაუდექით! ყველაზე უკეთესს ყველაფერი აუკრძალეთ!

თქვენ ამ ცხოვრების არაფერი გაგეგებათ და იქაურობის რა მოგეკითხებათ! თამარ მეფესავით მარტოობისთვის გასწირეთ თეთნულდ! ოცნებას ვერ ბედავდით, გეშინოდათ იმის უმანკოება თქვენც არ გადმოგდებოდათ. გეშინოდათ მეთქი ქვეყნიერების ღველფს არ გამოსწყვეტოდით!

გათხოვებაც იმად აუკრძალეთ, თქვენგან უარყოფილს სულისა და ხორცის სიმრთელე სხვისთვის არ გაენაწილებინა, წყეულიც იყავთ, წყეულიც!..

— ეგ შლეგი დიაცია ქედან მოაშორეთ! — ვიღაცის ხმა საფეთქელზე დამეჭედა.

გარინდული ხალხი აზავთდა, უწესრიგოდ აირია.

— გამზრდელის ამაგი ალაპარაკებს, — ჩემამდე ვიღაცის ჩურჩულმა მოაღწია.

— შეთ! ეხლა ამის დრო იყო? დაიჭი?

ლადიმ კამერა ხუმრობით გავლენიან მეგობარს რომ ეძახდა— ხელში შემომაჩეცა.

სახეზე ძველებურად ირონიული ღიმილი უგიზგიზებდა. ხმის ამოღება აღარ დამცალდა ისე გაუჩინარდა. ალღომ მიკარნახა, მისი მარტო გაშვება არ ივარგებდა. ხალხის ტალღას ბრმად მივყევი. კამერა ქურთუკის შიგნით მქონდა დაფლული.

აყაყანებული ხალხი დაშლას არ ჩქარობდა. თავკაცები თეთნულდის გამზრდელთან მოგროვილიყვნენ, სახეზე ხანძარწაკიდებული რაღაცას უმტკიცებდნენ თუ ედავებოდნენ, ხეირიანად ვერ გავარჩიე. უცებ ჩემსკენ მომავალი ლადი დავლანდე. ვიღაცეების ირიბი მზერის თანხლებით გზას იკვალავდა. ერთ-ერთმა მათგანმა გააჩერა. გულმა რეჩხი მიყო. ნაბიჯი წინ წავდგი. ლადის რჩეული თავდაჯერებულობა სიზმარივით გამქრალიყო, ხელების ქნევით რაღაცას ამტკიცებდა.

მომხდარის შემდეგ მის გვერდით დგომა ჩემს ძალებს აღემატებოდა, მაგრამ არც ის შემეძლო, განვითარებული მოვლენებისთვის გულგრილად მედევნებინა თვალი. სანამ მე საკუთარ თავს ვებრძოდი, ლადი მკვეთრად შემობრუნდა: სახეზე იმ ჯამბაზის გამომეტყველება უელავდა, ბეწვის ხიდზე გავლას საკუთარ გულ-გვამს დაპატრონებული გაუცხადებელი ძალა რომ აიძულებს. მისი თვალებიდან უწესრიგოდ გამოტყორცნილმა ელ-ჭექმა ჩემამდე მოაღწია. სანამ რამეს გავიაზრებდი, მივხვდი: ლადი უკვე აღარ ეწერა ცოცხლებში, ელვასავით დაკლაკნილმა გუმანმა თითქოს სხეული გამირღვია: ამ დროს ლადიმ თავი სამშვიდობოს დაიგუდა, მხრებგაშლილი ისე გამოემართა, თითქოს საცაა ჰოლივუდის წითელ ხალიჩაზე უნდა გაევლო, სწორედ მაშინ გაისმა გრუხუნი. ახლაც გარკვევით მახსოვს:

გაუთვალიწინებელი გრუხუნის ძალამ ლადი ზედ უფრსკულის პირას მიაგდო: ტვინში თითქოს კამერა მქონდა ჩამონტაჟებული: ქვევით ჩაქანებული სხეულის გამოცალკავება სულისგან ლამის ვიგრძენი. ვინძლო მთებმა მხოლოდ დაახველეს, მათგან მომდინარე გრუხუნმა კი ქვესკნელში ქვესკნელში ჩაშვებული ადამიანის ვნება ჩაიტანა.

იმდენად დაუჯერებელი მეჩვენა მომხდარი, თავადაც საკუთარი კანიდან ამოვვარდი. გაუგონარმა სურვილმა წამომიარა: ერთი სული მქონდა მოჭრილი მარჯვენასავით ჩამოგდებული მკლავით უფრსკულისკენ მქროლავი ლადი გადამეღო: თვითონ უეჭველად ასე მოიქცეოდა, მაგრამ მე ლადი არ ვიყავი, საკუთარ ზრახვებშიც ვეღარ ვერკვეოდი საერთოდ: როცა თავს კარგავ, მზად ხარ ყველა და ყველაფერი შენ წინააღმდეგ ჩაფიქრებულ შეთქმულებაში დაადანაშაულო. ამ დროს გულში ღმერთის ჭაჭანებაც აღარ მოიპოვება. სიკვდილი ღმერთთან მორიგებას სულაც არ უწყობს ხელს. უფალთან დაახლოება მხოლოდ ადამიანური ბუნების განბიძგებისას ხორციელდება, რასაც თითქმის ვერასდროს ვახერხებთ. სასაცილოა, მაგრამ ყველაფრის მუხედავად უხმაურო დაღუპვისთვის თავი არ გვემეტება. მიწიერი ფეიერვერკი სივრციდან მომდინარე მოკრძალებულ სურვილს არასდროს თანხვდება და მაინც ლადი ქვეყნიერების თვალწინ ისე მოკვდა, საკუთარ თავთან შერიგებაც ვერ მოასწრო, მე კი იმაზე ვოცნებობდი, ეს ტიალი კამერა სრული პლანით როგორმე უფსკრულისთვის დამემიზნებინა.

დაჩხვლეტილმა ზურგმა მაიძულა კისერი უკან მომებრუნებინა: იარაღშემართული ადამიანების დანახვამ ჩემზე სათანადოდ ვეღარ იმოქმედა.

— ეგ სიკვდილის ყუთი დააგდე, თორო... — ჩემს ზურგზე დამეცადინებულმა სატევრიანმა მამაკაცმა ავბედითად შემომიღრინა.

იარაღიანის მიხვედრილობის უნარმა შემძრა: ეს ოხერი კამერა გულზე კუბოსავით მესვენა. მისგან თავის დახსნას დიდხანს სხვისი კარნახის გარეშეც ვაპირებდი, მაგრამ კაცების მუქარამ ვითარება დაძაბა: გარემოებით განპირობებულ ოპერატორს ჩემში დამარხულ მეომარს უკითხავად დაუთმო ადგილი. მყისიერად გავატარე. მათ ბრძანებას ცოხცალი თავით არ დავემორჩილებოდი

— ჩამოეცალეთ! — უხუცესმა ჩემი სულის სიღრმეში მიმდინარე მიწისძვრა შეუმცდარად ამოიკითხა.

თავისი საქმის თვითონ უკეთ იცის! დაიშალეთ! -

იარაღმომარჯვებულებმა ერთმანეთს გადახედეს, რაღაც გაუგებრად ჩაიბუზღუნეს და ვიწრო ბილიკს შეუყვნენ.

ქურთუკიდან გამოღებული კამერა სივრციდან ჩამოკლაკნილმა ელვამ ხელიდან გამაგდებინა. ცოტაც და ცა ფეხად ჩამოდიოდა.

ჩემში ცა ახლაც ფეხად ჩამოდის.

— მამაო ზოსიმე, აღსარებაზე მოგაკითხეს, — კარში ლანდი გაკრთა.

ადამიანი ძნელად მკვიდრდება წუთისოფლის ზიგზაგებში. მთვარე? მე მასავით აუჩქარებლად შევაბიჯებ კაცთა მიწიერ სადგომში, სადაც სივრცე უძღები შვილის დამახასიათებელი დაუდევრობით იკითხება.

2004

შეხვედრა

“საწუთროს სიყვარული
შენი ღალატია”...
ნეტარი ავგუსტინე “აღსარებანი”

I

მგზავრების დანახვაზე ტევრში მიმალულმა ყაჩაღებმა ერთმანეთს მხარი წაჰკრეს.

— როგორც იქნა ამ ვერანტიელში ადამიანები გამოჩნდნენ! —

სქელტუჩა მამაკაცს გაღიმებისას ტუჩის კუთხესთან ჩასაფრებული ნაოჭი მკაფიოდ დააჩნდა.

— დიდი ვერაფერი საკბილოა! — ხმელ-ხმელი ავაზაკი ამხანაგის აღფრთოვანებას არ იაზიარებდა.

კოჭებზე - ეტყობათ, ღარიბი წყვილია! თვალი თუ არ მატყუებს, საიდანღაც გამოქცეულებს ჰგვანან! ცხოვრება მართლაც გაუარესდა. ადრე ჯიბესავსე კაცს უწვალებლად წააწყდებოდი. ახლა ლუკმაპურის საძებნელად ყველას უცხო ქვეყნებისკენ აუღერია თავი! — გაღიზიანებით დააზუსტა გამხდარმა

— წუწუნით ვერავის გაამდიდრებ, — სქელტუჩა თავისას არ იშლიდა.

ზოგი თვალის ასახვევად განგებ ცუდად იცვამს, ძონძების ქვეშ კი ძვირფასეულობას მალავს. ერთიც ვნახოთ და ამ უცნაურ წყვილს ოქროს ზოდები უხერხულ ადგილებში ჩაულაგებიათ და ჩვენისთანა მწყალობლებს ელოდებიან! — ხმელ-ხმელი ყაჩაღი ამხანაგის უკბილო ხუმრობას ამჯერადაც არ აჰყვა.

პირსახეზე პირქუში გამომტყველება ისე ჩაჰკირვოდა, იოლად ვერავინ შებედავდა გაკენწვლას.

— დუმაქ, გაფრთხილებ, სისულელე არ ჩაიდინო! — სქელტუჩამ ღრმად ამოხვნეშა.

ამხანაგის უგუნებობა უნებლიერ მასაც გადაედო.

— ვისაც ჯერ არს შევატყობინოთ და მერე...—

— რაზმი აქ ზედმეტია, — ხმელ-ხმელმა მოუთბენლად გააწყვეტინა სათქმელი.

ორი კინკილა ადამიანია, ერთიც ახალშობილი, ჩვენც ვეყოფით, —

— ეშმაკს არ სძინავს, — სქელტუჩა არ ცხრებოდა.

მეთაურს თამაშგარე მდგომარეობაში ვერ დავტოვებთ! —

— ჯანდაბას, აცნობე! — დუმაქად წოდებულმა ზიზღით გადააფურთხა და გაოფლილი შუბლი მტვრიანი სახელოთი მოიწმინდა. ყელში მოწოლილ ბოღმას ვეღარ იკავებდა.

მეთაურის ხსენებაზე ისე დაიკლაკნა, თითქოს მახვილზე წამოაგეს. წლების მანძილზე დაგროვილი შური საცაა ფსკერიდან ამოხეთქავდა.

— ეს სულელიც ვერ გადავიბირე, ჯიუტად დგას თავის აზრზე. ერთხელაც იქნება, და საწადელს მაინც ავისრულებ! — მუქარით ჩაილაპარაკა.

შავბნელი ფიქრის მიუხედავად გზისთვის წამითაც არ მოუშორებია თვალი. ამღვრეული მზერა მგზავრების კეფას მიაბჯინა, თითქოს მათი ტვინის ამონთხევა

ამოეჭრა გულში. — წერას ატანილებივით აუჩქარებლად მიღოღავენ! — კბილებში გამოსცრა.

თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, ყაჩაღებმა ბილიკზე გაივაკეს და მოგზაურ წყვილს გზა მოუჭრეს.

ახალგაზრდა ქალი დაწინაურებულიყო. მკლავებზე ჩვილი გადაეწვინა. აუტანელი სიცხისა და ხანგრძლივი სიარულის მიუხედავად უღრუბლო პირსახეზე დაღლილობის ნიშანწყალიც არ ეცხო. შიშველ ფეხებს თითქოს მტვრიან შარას არ აკარებდა. ყაჩაღები მოკრძალებული ზომის ფუთას ამრეზით მიაჩერდნენ.

— აკი ვთქვი, ღატაკები არიან მეთქი! — დუმაქმა აგდებით ჩაილაპარაკა.

ხნიერი მგზავრის უშფოთველობამ უცბად ისე გაამხეცა, მსხვერპლს პირდაპირ ხელებში სწვდა. მამაკაცის თავდაჭერამ მიახვედრა, ეს უკანასკნელი შინაგანი უპირატესობით აშკარად ჯაბნიდა. ამის შეგრძნებამ წონასწორობა დააკარგვინა, მგზავრისგან მომდინარე უსიტყვო სიამაყემ აიძულა, გამძვინვარებული უყოყმანოდ გადასულიყო იერიშზე. კაცმა ფუთა არ დათმო და გათავხედებულ ავაზაკს ქიმუნჯი წაჰკრა.

— ყოჩაღ, ბერიკაცო! — სეირისმ ოყვარულ სქელტუჩას შუბლი გაეხსნა.

- ერთი ამას დამიხედეთ, ბებერს ძვრა ვერ უყო! ხომ გაგაფრთხილე, უცნაურ ხალხს გადავეყრებით მეთქი! ვინ უფრო ალღოიანი გამოდგა? — გავეშებულ ამხანაგს გამომწვევად ჩაეკითხა.

მეთაური ხელქვეითთა პაექრობაში არ ჩარეულა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. უცნაურ წყვილს დიდხანს დაჟინებით ზვერავდა.

ბოლოს ქალის სანდომიანი, სათნო პირისახიდან მზერა მამაკაცის ხმელ, ღონიერ ხელებზე შეაყოვნა. უეცრად ატეხილი ბრძოლით უხმოდ ტკბებოდა. ვერავინ იტყოდა, გონებაში რა უტრიალებდა.

დედის მკლავებზე გადაწოლილ ყრმას კი უდრტვინველად ეძინა.

— მორჩით ბღლარძუნს! — უსაგნო გაწევ-გამოწევა როგორღაც მობეზრდა და ლითონივით ცივი ხმით თავისიანებს დაუტია.

— ნადავლი ჩვენ გვრჩება. განაწილებას წინ რა უდგას! — მბრძანებლურად დაასკვნა.

— ჯიბეგახვრეტილებს პირადად მე დავხოცავ! — დუმაქმა ბოღმით გამშრალი პირი ხმამაღლა გააწკლაპუნა.

— ვინც ჩემს ბრძანებას დაარღვევს, ჯერ იმას დავსჯი! მერე დანარჩენებსაც ზედ მივაყოლებ!—

მეთაურმა ურჩი ხელქვეითი შეხედვის ღირსადაც არ ცნო. სქელტუჩა ავაზაკმა ხნიერ მამაკაცს მუდარით აღსავსე მზერა მიაპყრო. შეუხედავ პირსახეზე ცხოველური შიში გაუკრთა. მგზავრმა უსიტყვოდ გაუგო, ფუთას წამოავლო ხელი და უფროსს წინ დაუდო.

ავბედით სიჩუმეს თითოეული მათგანი თავისებურად შეეგება.

სასიკვდილოდ განწირული მგზავრები არ ახმაურებულან, შველასაც არ ითხოვდნენ. ერთმანეთი გამოსამშვიდობებელი მზერითაც არ შეუწუხებიათ. ქალი მძინარე ჩვილს უსიტყვოდ დასჩერებოდა. მშვიდ სახეზე საყვედურის ნასახსაც ვერ ამოიკითხავდა კაცი.

ხნიერ მამაკაცს ძლიერი, გამომშრალი ხელები ერთმანეთზე გადაეჯვარედინებინა და საუკუნეთათვის გამიზნული ქანდაკივით შეზრდოდა მიწას.

ყველაზე ადრე მეთაური გამოერკვა. მგზავრების არაადამიანურმა სიმშვიდემ დააბნია. ანაზდად უხმაურო წყვილისადმი უკიდეგანო შიში აღეძრა. გული დასწყდა, რომ მისთვის არავის არასრდოს არაფერი განუმარტავს, რომ ქვეყნიერება მარტოოდენ ამოუწურავი ქვესკნელისგან როდი შედგება. დასანანია, მაგრამ ადამიანები ერთმანეთს უმარტივეს წესებსაც არ უმხელენ. ის ყაჩაღური ჩვეულებისამებრ იქცეოდა: საქმის შესრულებისას მუდამ ნაუცბათევი, მოუფიქრებელი გადაწყვეტილება შველოდა. ახლა, უხილავი ძალის შთაგონებით დაეჭვებული ფიქრობდა, უცნაურ წყვილზე ხელის გასვრა არ ღირდა. მგზავრებს პირისახეზე მსხვერპლის იერი არ ედოთ.

მტანჯველი ყოყმანის დასაძლევად მეთაური ქალს მიუახლოვდა, უცხოდ შემოტმასნილი ეჭვი ხელახლა უკუაგდო. მგზავრის გაჩხრეკა განეზრახა. ის იყო ქალს ხელით უნდა შეხებოდა, ყრმამ გამოიღვიძა და უზარმაზარი თვალები ცნობისმოყვარედ შეანათა. ავაზაკი წაბარბაცდა. მოეჩვენა, თითქოს ვიღაც უხილავმა თვალშეუდგამ სიმაღლეზე ჩაგმანულ სარკმელს ხელი ჰკრა და სინათლეს პირისპირ შეატოვა.

უხმაურო ძალმოსილებამ ერთიანად გათანგა.

მეტყველებაწართმეულს წყვდიადში შთანთქმული გონება გაეხსნა, თითქოს საკუთარ თავში ჩამარხულ განძს მიაგნო. სიკვდილის კარიბჭეს ელოდა და მის წილ განუსაზღვრელ შუქს მიაკვლია. ფიზიკურად განიცდიდა გაყალბებულ სულიერ სამყაროს როდის შეენივთა ადამიანი!

სხივმოსილებით აღვსილს თანდათან მზერა დაეწმინდა, საომრად შემართული სხეული მოუდუნდა, მჭიდროდ მოკუმულ ტუჩებზე საამქვეყნო ღიმილმა გადაურბინა. მისი გადასხვაფერებით შეშფოთებული ყაჩაღები გალიაში მომწყვდეული მხეცებივით უხმოდ აწრიალდნენ. მეთაურის აუხსნელმა გარდასახვამ თავზარი დასცათ.

ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნილებს მომხდარის დაჯერებას მიწაში ჩანთქმა ერჩივნათ.

ჯერ მარტო გარინდული მეთაურის ამეტყველება რად ღირდა! მის მიერ უზომო სიმშვიდით გამსჭვალული სიტყვებს სასჯელივით აღიქვამდნენ!

მეთაური გაუგონარ რამეს ამბობდა:

— ქვეყნად ღმერთი რომ არსებულიყო, ვფიცავ, ამ ყრმასავით სრულყოფილი ვერ იქნებოდა! —

დამფრთხალმა ავაზაკებმა ყურს არ დაუჯერეს, უეცრად უკან დაიხიეს, ველარ გაბედეს ფეხებში გამობლანდული ფუთისთვის ხელი ეტაცათ, ონავრობის გამო დასჯილი ბავშვებივით მოკუნტულებს ერთი სული ჰქონდათ იქაურობას როდის გაშორდებოდნენ.

მორჩილად თავდახრილ მეთაურს პირველად ხედავდნენ. ახალგაზრდა ქალი მას ხმადაბლა შეესიტყვა:

— დღეს ავაზაკს გიწოდებენ, მაგრამ დაიმახსოვრე: მოვა დრო და ეს ჩვილი სიკეთეს დაგიფასებს! —

დედამ ყრმა გულში ჩაიკრა და გზა აუჩქარებლად განაგრძო, ხნიერი მამაკაცი ღრუბელივით უსიტყვოდ აედევნათ უკან.

II

— შურისგან ბორგავ! მე მათავისუფლებენ, შენ კი გაძაღლებულ სიცოცხლეს ჯვარზე გაკრული დაასრულებ! მე, ბარაბა, ხალხმა ამირჩია! დიახ, ხალხმა

გადამარჩინა! — ავაზაკმა ვეება მკლავები მოუხეშავად შეარხია და ბანჯგვლიანი მკერდი წინ გადმოზნიქა.

— იქნებ შური შენ არ გასვენებს? — კედელზე მიყრდნობილ მაღალ კაცს ფიქრიანი პირისახე ნაოჭებით დაღარვოდა.

— რაც თავი მახსოვს, სულ მეჯიბრებოდი! გამოტყდი, სულწასული დუმაქი ჩემ მოსაკლავად რამდენჯერ წააქეზე? მიპასუხე, ბარაბა: ავაზაკებს ერთმანეთთან რა აქვთ გასაყოფი? სისხლით ვერ გაძეხი, აბა, სხვა რა გაკლდა? - გამხდარ ტუსაღს ლითონივით ცივი ხმა გაბზარვოდა.

— შენ არავის მორჩილებდი, მე კი მბრძანებლობის ჭია მღრღნიდა. დაგავიწყდა, ყველას ჩემს დაკრულზე ვაცეკვებდი. შენ სულ განზე იწევდი. ადამიანის შესაძულებლად ეს არ კმარა? — ბარაბამ დოინჯი შემოირტყა.

დაბალ მიწურში უსაშველოდ მაღალი ჩანდა, თუმცა სინამდვილეში ჯმუხი აღნაგობის გამო შურისა და უმწეობის ნაზავი გულზე არაერთგზის შემოსწოლია.

— გულმავიწყობა როდის აქეთ დაგჩემდა? — მაღალმა ყაჩაღმა იჭვნეულად ჩაიცინა.

ვინ მოსთვლის ერთად რამდენი კაცის სისხლი დაგვიღვრია, რამდენის მზე დაგვიბნელებია ულაპარაკოდ! დღენიადაგ მხარდამხარ ვიბრძოდით და ერთმანეთისთვის არ გვიღალატნია!

— ღალატის შესაძლებლობა არ მომეცა და იმიტომ! — ბარაბამ კბილები ავისმომასწავებლად გააღრჭიალა.

— ამპარტავნებას სიკვდილის წინაც არ იშლი! გულახდილობა მძაგს, მაგრამ დროა სიმართლე პირში მოგახალო! ჭკუისკოლოფო, სწორად გამოთვალე, დუმაქი მე მოგიგზავნე, როგორ არ ვწვრთნიდი, მაგრამ მაინც ვერაფერი დაგაკლო! არ ვიცი, ვინ გადაგარჩინა. რა უნდა მექნა? საჯაროდ შარს ვერ მოგდებდი: ნამდვილი ყაჩაღის სახელი გქონდა გავარდნილი!

— მაინც რას მერჩოდი? რას მემართლებოდი მეთქი! — ტუსაღს გაბმულმა ხველამ სიტყვა გააწყვეტინა.

— ტიტე, ტიტე! — ბარაბამაც ხმას აუწია.

ყველაფრის მიუხედავად შენ სხვა ყაიდის ჩიტი ხარ!

დუმაქმა მითხრა, რომ ამასწინათ ვიღაცეები დაინდე და მშვიდობიანად გაუშვი. ეს სადაური წესია? ნამდვილ ავაზაკს ამგვარი სისუტე არ ეპატიება. არ ვიცი ყაჩაღობისკენ რამ გიბიძგა, მაგრამ მე ვერ გამაცურებ: ეს საქმე სისხლში არ მოგდევს. მე ჩემი საქმის დიდოსტატი ვარ და უკანდახევას არავის ვპატიობ! პირველობას რა ნამუსით მეცილებოდი? ჩემი მოდგმა უხსოვარი დროიდან თავს ავაზაკობით ირჩენს. შენისთანა შემთხვევით ჩიტებს უნებართვოდ ცხვირწინ არ ავიფრენდი. ბედმა გამიღიმა და მამაპაპური ხელობა ხალხმა დამიფასა.

— ნაძირალებს უფრო უმართლებთ, — ტიტემ თვალები დაცინვით მოწკურა.

- გამართლებას ამას ეძახი? - შენ ნაცვლად უდანაშაულო ადამიანს სჯიან! ნამდვილი ყაჩაღი სამადლო მოწყალებით არასდროს სარგებლობს!

გამომწვევი ქირქილის ფონზე ბარაბას პირი გაუშრა, სიტყვის მოსაბრუნებლად ყბებში გატრუნულ ენას ძვრა ვერ უყო. თანამოსაკნის საცემრად მუშტები ექავებოდა. მის გამხდარ ტორსს უტიფარი მზერით დიდხანს ბურღავდა.

— გამოდის, ავაზაკობას ტყუილად ვიბრალებ? — ტიტეს გაავებით შეუღრინა. თუმცა მომაკვდავის წყევლას რა ფასი აქვს! — ხელი აგდებულად ჩაიქნია.

- შენისთანების გულზე გასახეთქად ხალხის რჩეული ვარ. იუდეველთა მეფეს თუ მაწანწალას მამჯობინეს. დიახ, იმ ვიღაც მბრძანებელზე წინ დამაყენეს. - ამაზე

რას იტყვი? ჩვეული თავდაჯერებულობა აღიდგინა თუ არა, თანამოსაუბრეს სულთამხუთავივით წამოადგა თავზე.

— ეგ მღვდელმთავრების ბინძური ოინებია, — ტიტემ ღრმად ამოიოხრა.

ხალხს ფურთხად არავინ მიიჩნევს. შეიგნე, რომ შენისთანა არამზადებმა გადაგარჩინეს. რომაელებს ცოტა მეტად რომ გამოედოთ თავი, ამდენს ვინ გაყბედებდა? სინამდვილეში არაფერი გაგეგება და არც რაიმეს უნარი შეგწევს. საუბედუროდ, რომაელებმა ხელი დაიბანეს და ეს უღვთო საქმეც გაიჩარხა. ნამდვილ ყაჩაღს სხვის მახეში გაბმა ეთაკილება!.

— კმარა, თორემ ბოლოს მოგიღებ! — გაცოფებულ ბარაბას ამხანაგის ბრალდება ენიშნა. რატომღაც თავი დააჯერა, რომ სულის სიღრმეში ჩაბუდებულ ეჭვს სააშკარაოზე ვერავინ გამოიტანდა.

— ნუ მჩხვლეტ! — მრისხანედ დაიღრიალა.

რადგან მახვილი ჩამოგართვეს, უიარაღოდ დარჩენილი ენას იშველიებ? საცოდავო მატლო, ჩემს აღზევებას ვეღარ მოესწრები! ჯვარზე გაკრული გინებით ჩაძაღლდები. მე ხალხში მაშინ გამომატარებენ, ხელს ყველა ჩემსკენ გამოიშვერს და აღტაცებით აბღავლდებიან: ბარაბა, ბარაბა!

მათ თვალწინ ავაზაკთა ახალი მბრძანებელი დაიბადება!

შენ ვიღას ემახსოვრები? -

ბარაბას ჩასისხლიანებული თვალები არაჯანსაღად უელვარებდა.

— ვის ემახსოვრები მეთქი?

— ღმერთს, ვინც აქამდე ერთხელაც არ მიხსენებია! -

ტიტეს მტრის როყიო თავდასხმა აინუშშიაც არ ჩაუგდია, თუმცა ხმა დაუსევდიანდა, თვალის უპეებზე ჩაშავებულ ჩრდილს მიეკრა თითქოს.

— ღმერთს იესო ნაზარეველს ეძახი? — ბარაბა კინაღამ ჩაბჟირდა.

სული რომ მოითქვა, გულმოსული ალაპარაკდა:

ეგ იესო დევნილებისკენაა. წესიერ ხალხს ექომაგება. ამის გამო მას ღმერთად არავინ აღიარებს. ეგ კაცია თუ ღმერთი იმას ეპოტინება, რაც არ ეკუთვნის. შეშლილია მეთქი, შეშლილი, თვითმარქვია. ყველა ასე ფიქრობს, ნუთუ სიკვდილის წინ ვიღაც გზააბნეულს მიაბარებ სულს?

— უფლება არა მაქვს იესო ნაზარეველი განვსაჯო მე...

ტიტეს პასუხის გაცემა არ დასცალდა, საპატიმროში შემოსულმა ბადრაგმა, გაალმასებული ბარაბა წინ გაიგდო. მუჯლუგუნებს უშვერ გინებასაც უშურველად აყოლებდნენ. მისთვის ზედაც არ შეუხედავთ. გვერდზე ისე ჩაუარეს, თითქოს არც არსებობდა.

— მკვდრებში ჩაწერილ ცოცხალს თურმე ლანძღვასაც ამადლიან! — გულამღვრეულმა დაასკვნა და ნესტიან კედელს მძიმედ მიეყრდნო.

III

სიცხისგან გულშეღონებულ ტიტეს დროდადრო ეჩვენებოდა, რომ აუწერელი ხმაურის წიაღიდან ამოსროლილი უამრავი მსხვერპლი მისკენ ერთდროულად მიიჩქაროდა.

ისინი ერთმანეთს ასწრებდნენ, დასისხლიანებული ხელებით შემოფლეთილ სამოსზე ებღაუჭებოდნენ, შეუსვენებლივ ნერწყვადნენ. უჯერო გინებით იკლებდნენ მიდამოს. შიშითა და ზაფრით შედეგად გადმოკარკლული თვალებიდან ცრემლის ნაცვლად სისხლის ნიაღვარი სდიოდათ. ავაზაკის ნაწამებ სხეულზე მეტად მათი

მხრიდან წამოსული სიძულვილი აწუხებდა. ჯვარზე გაკრულს სიცოცხლის ნიშატი არ ეტყობოდა, თუმცა ხმამაღალი კვნესა მაინც დასცდა.

— ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ? — ნაცნობ ხმას არაადამიანური ძალისხმევით მიაყურადა.

ზმანებისა და სინამდვილის ზღვარზე მობორძიკეს ვეღარ გაურკვევია მიწისქვეშეთიდან უხმობდა ვინმე თუ რომაელი ჯარისკაცის იაფფასიანი ხუმრობის მომსწრე შექმნილიყო.

გამოუსადეგარი დარაბებივით დახეთქილი ქუთუთოები ზანტად გააღო. მხარმარჯვნივ ჯვარცმულ ავაზაკზე მიეყინა მზერა.

— შენც შეგიპყრეს? — ყოფილ ხელქვეითს უსიცოცხლოდ შეეხმიანა. სისხლში ამოთხვრილ ავაზაკს კვნესა აღმოხდა.

— ეეჰ, საამქვეყნო პირი აღარ გიჩანს, თორემ გემახსოვრებოდა: თითქმის დროულად დაგვიჭირეს და ერთადაც გაგვასამართლეს. ერთმანეთს სიკვდილის დროსაც ვერ ავცდით! ესოდენ ყოვლისშემძე ავაზაკები ჯვარცმულ მეზობლებად გაგვამწესეს! მიპასუხე, ასეთ მძიმე ხვედრს სიკვდილმისჯილი რატომ იმსახურებს. აჰა, დატკბი! დამაკვირდი და დატკბი მეთქი!

— ჩვენ ეს დავიმსახურეთ. ნუ გავიწყდება: წუთისოფელს უდროოდ რამდენი ადამიანი გამოვასალმეთ! — ტიტე გაშმაგებულ ყაჩაღს სინანულით დააცქერდა.

— გებრალები? -

— პირიქით, მიხარია მხნეობას სიკვდილის წინ რომ ინარჩუნებ, -

— ნუ დამცინი! ტანჯვისგან ღმერთმა დამიფაროს! გული მწყდება, ჯერ კიდევ ბევრი უნდა გამეგზავნა მარილზე! ახლა კი რა გამოვიდა? ნაცემ-ნაგვემი ცხვირწინ გამომეჭიმე. შენ გასანადგურებლად მთელი ცხოვრება ხელსაყრელ წუთს ველოდი, არ დამცალდა, თორემ ამაზე ოსტატურად დაგასახიჩრებდი!

ტიტემ გაავებულ ყაჩაღს ხმა აღარ გასცა.

— რაო, სიმართლე გეწყინა? სიტყვას თუ დამიხვედრებ, გგონია შევშინდები? აი, ამას შეხედე, წამების შედეგად ადამიანური იერი არ დაუკარგავს. უდრტვინველი პირისახით მაგიჟებს. შეხედე, ტიტე! თავზე ეკლის გვირგვინი ადგას. იუდეველთა მეფეაო, ერთხმად ამტკიცებენ. წეღან ბარაბამ ჩაიარა.

— ბარაბამ? — შავბნელ ზმანებებში ჩაძირულ ავაზაკს აღარაფერი ახსოვდა.

— ჰო, გმირივით ჩაისეირნა. მგონი შენ დაგეძებდა, რაღაცას გიყვიროდა, ხმაურში ვერ გავარჩიე. შენ კიდევ თვლემდი.

ბარაბა ამ კაცის თუ ვიღაცის ნაცვლად შეიწყალეს. ეს კაცი თუ მეფეა, რატომ არ გვეხმარება? თავისი თავი მაინც შეიცოდოს. წყეულიმც იყავ, თვითმარქვიავ! -

დუმაქმა ფურთხს ლამის გული ამოაყოლა.

ტიტემ შუაში ჯვარცმულ უცნობს შიშით გახედა. ეკლის გვირგვინიდან უცხოს პირისახეზე შეაყოვნა მზერა.

არაადამიანური ტკივილით გატანჯულს უნარი აღარ შესწევდა უდრტვინველი სიმშვიდეს მიღმა რაიმე სანუგეშო ან საგულისხმო ამოეკითხა. უზარმაზარ თაფლისფერ თვალებს გაორმაგებული ძალისხმევით შეხედა, და …… გულში რაღაცამ მძლავრად გაჰკრა. მივიწყებულ ზმანებასავით გაელვებული ხატება თითქოს დრომ შეაყოვნა. მტვრიან შარაზე მიმავალი ფეხშიშველი ახალგაზრდა ქალის სანდომიანი გამოხედვა ისე ცხადად იწვნია, შეტოკდა. ნალურსმალმა სხეულმა უმალ შეახსენა თავი. ენით აუწერელი ტკივილის მიუხედავად შეძლებისდაგვარად წამოიმართა. ეკლის გვირგვინით დამშვენებულ უნაკლო პირისახეს სიკვდილჩამდგარი თვალებით დააჩერდა.

— წყეულიმც იყავ, თვითმარქვიავ! — დუმაქის ხაფი შეძახილი საფეთქლებს უხვრეტდა.

— თავი დაანებე, მას ბრალი არ მიუძღვის. ჩვენ არაერთგზის შევცოდეთ, მაგრამ იგი უდანაშაულოა! ყრუდ ამოიგმინა.

— წყეულიმც იყოს! ღმერთი თუა რატომ არ გვეხმარება?

დუჟმორეული ავაზაკი საცაა სასიკვდილოდ ახროტინდებოდა.

— ღმერთო, მომიტევე, რამეთუ არ უწყიან, რას სჩადიან!

ტიტე უცნობის ხმამ უარესად შეაკრთო ეკლის გვირგვინოსანს ხელახლა შეაგება მზერა. დასახიჩრებულ სხეულში წამით არნახულმა სიმსუბუქემ დაუარა, ახალგაზრდა ქალის ნარნარი ხმით ნათქვამი სიტყვები უწინდელი სიცხადით ჩაესმა:

— დრო მოვა, და ეს ჩვილი სიკეთეს დაგიფასებს!

— ღმერთო! — გაუბედავად წაილუღლუღა, მაცხოვარო! მე მწამს შენი: ჯერ კიდევ ჩვილი ამოგიცანი და აი, ახლაც სიკვდილის პირს გაუგონარი ბედნიერება მხვდა წილად: ერთხელ და სამუდამოდ გაღიარებ. ღვთის განგებით, შენი უჩვეულო წამების თანაზიარი ვარ: გულით უმეცრები შენი ჯვარცმის მიზეზს ვერაფრით გაითავისებენ. ადამიანს სულსწრაფობა დასჩემდა: მას მხოლოდ ხელშესახები სასწაული იზიდავს: ხარბი სანახაობა თოკავს. უფალო ჩემო! წუთისოფლის საჩუქარი უფრო ეამება, ვიდრე ღვთის გამოცხადება. კაცობრიობა ასე მოთავბოლოობს და მეც ერთი გამოუსწორებელი ცოდვილი სიკვდილის ჟამს შენს გზააბნეულ მონად მიმითვალე. ნება მომეც, შენთან ერთად სასუფეველი ვიხილო. უკან ფეხაკრეფით აგედევნები. მწამს, ზუსტად ისე შემავედრებ უფალს, როგორც მაშინ, სიყრმისას, ღმერთო, გამიხსენე და მიხსენი, განსაცდელის ჟამს ნუ მიმატოვებ!..

სივრციდან ჩამოწოლილმა უკუნეთმა შთანთქა უკანასკნელი სიტყვები. ცა გადასხვაფერდა. წყვდიადს გარიდებული მზის პაწაწინა სხივიც არ კიაფობდა კაბადონზე.

თითქოს დაბრმავდა მზე და ტაძრის კრეტსაბმელი შუაზე გაიხსნა. ამ სანახაობით შეძრულმა თვითმხილველებმა ადიდეს უფალი და მკერდზე ხელის ცემით მოიბრუნეს ეჭვით დავსილი სული. მახლობლად ჩასაფრებულმა ასისთავმა ხმამაღლა აღიარა:

— ამაოდ ვაცვით ჯვარს, ჭეშმარიტად მართალი იყო ეს კაცი!

დაავიწყდა ეთქვა, რომ მართალ კაცში ღმერთი ვერ შევიცანით, რადგან ადამიანის მსგავსად წამებით აღესრულა იგი.

2008 წ.

გადაიცა საპატრიარქოს რადიო ივერიაზე

სურვილი — გამოუცნობი რეციდივი

სურვილის ქონა ფულის ქონას წააგავს, თუმცა სურვილას გააჩნია.

თანამედროვე ადამიანს გულმოდგინედ სწამს, რომ სამყარო მარტოოდენ მისი პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად იშვა.

და მაინც, ჩვენი საუკუნე სურვილების შეკავების რეფლექსს არნახულად აძლიერებს. აქ ღირებული წადილი იგულისხმება და არა ქირურგიული ჩარევის შედეგად მიღებული სუროგატი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, უხამსობაშია გადაზრდილი.

სურვილი, როგორც უძველესი ინსტინქტური მონაპოვარი, დღეს წინააღმდეგობრივ ცვალებადობას ემყარება.

ფარისეველი ადამიანი კეთილგონივრულ სურვილს კეთროვანივით გაურბის, საკუთარი თავის შემოწმება აშინებს. სურვილის დათრგუნვის ხარჯზე წვრთნის ნებისყოფას.

სინამდვილეში წადილი (იგივე სურვილი) სულაც არ გახლავთ სახიფათო რეციდივი, ვინაიდან მისი ახდენა ყოფითი სამყაროს ფარგლებში კურიოზულ გაუგებრობას ემთხვევა. და მაინც, რაოდენ პროვოკაციულად ჟღერს: სურვილი გაგაჩნია?

ეს იგივეა ბრმას უმტკიცო, რომ ყველაზე კარგად ხედავს. როდესაც საკუთარ თავს დავტყუებთ, რომ სურვილი ყველაზე ქმედითი იარაღია ცხოვრების შესალამაზებლად, ჩვენში თითქოს არაადამიანური შიში ისადგურებს. ადვილი როდია, აღიარო სინამდვილეში რა გსურს, რისი წადილი გკლავს, თუმცა სხვას ამ შეკითხვას გაცილებით იოლად ვუსვამთ და სათანადო პასუხსაც უმეტესად ჩვენთვის მისაღები ფორმით მოუთმენლად ველოდებით.

როცა სურვილი შესაძლობლობას ემთხვევა, მას განხორციელება არ უწერია. ამ დროს ადამიანს ისეთი პარალიზება ეუფლება, თითქოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

მოკლედ, სურვილის უფლება სატანის მზითევივითაა, ბოლომდე არავის შეერგება.

სურვილს სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ თუ დაისახავ, ულაპარაკოდ დამარცხდები. იგი მხოლოდ აზარტული ბუნების ადამიანების მოკავშირეა. ასეთი ყაიდის ხალხისთვის სურვილი ხელმისაწვდომი პროვოკაციაა, რომელსაც ნებისმიერ ვითარებაში საჭიროების მიუხედავად აუცილებლად გამოიყენებენ, ვინძლო გულში რამდენს დასცინიან, ვინც მათ სურვილს აჰყვა ან დაემორჩილა, თუმცა ყველას თავისი სურვილი აბადია და საყოველთაო აღრევის შემთხვევაში არავინ იცის, საბოლოოდ რის შედეგს მოიმკის.

კაცობრიობას დღემდე ვერ შეუგნია, რომ სურვილის უფლება სამოთხიდან გამოძევებულებს ჩამოგვერთვა. ღმერთის მხარდამხარ ყოფნა ყოველწამიერად ამას ადასტურებს. ჰოდა, რა ბედენაა სურვილი ბოლომდე ანაპერწკლდეს? საამისოდ თანდაყოლილი სიმსუბუქის საფანელი უნდა მოგვდგამდეს. მე კი თუნდაც სულ უმნიშვნელო სურვილის წინააღმდეგობად ჩამიფიქრა მავანმა.

რა თქმა უნდა, ეს ხმამაღალი განაცხადი გამოწვევასავით გაისმის, მაგრამ უხერხულ სიმართლეს ხშირად სიყალბისგან ვერ განასხვავებ.

რომ ჩაუკვირდე, ისეთი დრო დადგა, ყველა სურვილი უსულო ადამიანებს უსრულდებათ.

რა იქნებოდა ბრბოსგან მეტ-ნაკლებად გამორჩეულ პიროვნებას ერთადერთი ღირებული სურვილი მაინც ახდენოდა. ის მთელ სიცოცხლეს დათმობდა თავის სიღრმეში დაფლული თუნდაც ერთი სადარი სურვილისთვის შეესხა ხორცი.

ჩვენ ხომ რა ხანია მოვალეობის ბრმა აღმსრულებლებად ვიღვიძებთ, დასაბამიდან ასე გრძელდება. ვალდებულების უწყვეტი ჯაჭვი გვბოჭავს და უსაზღვროდ გვეხარბება მათი, ვინც თამამად ამბობს: სურვილი მაქვს, მსურდა, ვისურვებდი, მეწადა...

გვშურს, რადგან ჩვენი ლექსიკონიდან სურვილი რა ხანია ამოვარდა და მის დანაკლისს ვეღარ ვგრძნობთ.

ასეა, სურვილის ქონას გადავეჩვიეთ.

როცა ვცდილობ სურვილი სხვას ავუხდინო და ხელი მომეცარება, საკუთარი წადილის კვდომაზე არანაკლებ სხვისი სურვილის დასაფლავებას განვიცდი.

თუნდაც უმცირესი სურვილის განხორციელებას რომ დავაპირებ, შემხვედრად მუდამ შეუფერებელი ვითარება ან ადამიანი მოიჩქარის და რადგან უწადილო ცხოვრება ტროას ცხენივით გამიზნულად შემომატყუეს, ყოველდღიურობის კალაპოტიდან ამოვარდნას უთქმელი სურვილის მოძალებასავით განვიცდი.

იძულებული ვარ ფურცელზე სანახევროდ მაინც გამოვხატო, ნაწილობრივ მაინც დავტიო ის, რაც ჩემში შინაგანად დაგროვდა.

სურვილთან მორიგება შეუძლებელია: მასთან მიმართებაში უხეირო მოთამაშეს ვემსგავსები, რადგან გადამეტებული სიფრთხილე მახასიათებს. სურვილი კი უპირველესად სითამამის დაუდგენელ წესებს გვკარნახობს.

ასე რომ, სურვილის განხორციელება ჩემი აქილევსის ქუსლია, მის ხსენებაზე უწესრიგოდ იმიტომ დავბნელდი.

ჩემი გულახდილობაც ხომ კურიოზის ტოლფასია.

ვინძლო რამდენის სურვილი აგიფეთქებია ნაღმივით, თამაშს დაუფიქრებლად აჰყოლიხარ, არ დაჰკვირვებიხარ უთვალავი სურვილის გავლით სად მიექანები.

არასდროს გიცდია შენი წადილი სხვის სურვილთან შეგეჯერებინა ან მხოლოდ შენეული შინაარსი ჩაგექსოვა მის სიღრმეში?!

ღირებული სურვილი განმხოლოებას გვავალდებულებს, თუმცა თანაბარ სურვილთა შეჯახება მოკლე ჩართვასავით მოქმედებს. საიდუმლოს გაგიმხელ: მე ჩემში წარმოქმნილ სურვილთა მოდგმას მარტოობა მივუსაჯე.

საჯარო სურვილი სიკვდილივით დამღუპველია. მას ხალხის თვალწინ თუ გამოფენ, ე. ი. თავს ნებაყოფლობით იკლავ. თუ საკუთარი სურვილის გაყიდვა მოგეპრიანა, უკეთურ ძალას მსხვერპლად გაუმწესებიხარ.

სურვილის განაწესით სარგებლობას დაუპყრია ქვეყნიერება და ჩვენც უყოყმანოდ ავყევით.

როცა სურვილით ვაჭრობა გვძლევს ხოლმე, ჯერ კიდევ ხორციელების სანგარში გამომწყვდეულებს ფარული ძალა შეუსვენებლად შეგვახსენებს, რომ ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრების მოსარგებად ხელმისაწვდომი სურვილი უნდა ამოძრავებდეს.

მოპარულ სურვილზე რა აზრისა ხარ?

ადამიანთა უმრავლესობა სწორედ ამგვარ სურვილთა ახდენას ახმარს შეგნებულ სიცოცხლეს. ამ გზით ცდილობს პირველობით “მოპოვებული” დანაკლისის ანაზღაურებას.

აკრძალული სურვილის ახდენისას ვინც გვძულს, იმას ვემსგავსებით.

ჩვენ დანამდვილებით დღესაც არ შეგვწევს უნარი ღმერთის სურვილი ამოვიცნოთ.

ჰოდა, ადამიანური სურვილების სათავეს როგორ დავადგენთ? საიდან მოედინება სიტყვა მოვსულიერდი?

ვინ მოგვცა უფლება სხვისი (ან თუნდაც ჩვენი) წადილი გამოვაღვიძოთ ან პირიქით, გამოუფხიზლებლობა მივუსაჯოთ. სურვილთა დამხარისხებლად ვინ აგვირჩია?

ჩვენი მცდელობა სურვილი ბუნების შესწავლისა თუ განქიქებისა რას შეგვძენს ან რას ამტკიცებს?

სურვილზე ვიყო დამოკიდებული, ჩემთვის არ უსწავლებიათ. უთუოდ შენიშნეს, რომ ჩემი შინაგანი ბუნება საკმაოდ წინააღმდეგობრივია ბუნდოვანი წარმომავლობისა თუ დანიშნულების მარცვალი საკუთარ შიგთავსში მოაღონიეროს, საგაზეთო ქრონიკასავით დაზეპირებულად ჩანერგოს სურვილზე განლაგებული ყოველდღიურობა.

დიახ, სურვილზე განლაგებული და გადაგებული ყოველდღიურობა მოთმინოს.

ჩემი ცხოვრების წესი ამტკიცებს, რომ სანამ პირში სული მიდგას, ყოველდღიურობას არ დავნებდები.

სურვილი კი ყოველდღიურობის განუყრელი მეგზურია, ინტრიგასთან თუ წუთიერ სიამოვნებასთან წილნაყარი ფუფუნებაა.

შენ კი სურვილის ხსენება მაშინ გაბედე, როცა ჩვენს სიტყვებს ჯერაც უფლის ხშირი ხსენებით შუქშეუმშრალი სითბო ასულდგმულებდათ.

ამიტომ ნუ დამძრახავ სურვილების ასრულების თამაშში თუ ვერ აგყვები, მხარს ვერ აგიბამ, რადგან სურვილი სატანის მზითევივითაა: არავის შეერგება.

2005 წ.

შემინდეთ!

წიგნი გასრულდა. მე კი ჩემი გამზრდელებო, თქვენი ღვაწლის შესახებ ორიოდე ბწკარიც არ გამომიმეტებია. ვრცელ წერილს ვინ დაეძებს!

სხვებზე გადაგებულებს საკუთარ სიკეთეზე ხმამაღლა სიტყვა არასოდეს დაგცდენიათ. ისევ სხვების მონათხრობით ვიგებდი და დღესაც ვიგებ იმ ულევი ზრუნვის მაგალითებს ლეგენდასავით რომ აღწევს შთამომავლობამდე.

შემინდეთ, გამზრდელებო!

ჩემი ქართლელი ბებია ნინო წერუაშვილი რომ არა, დღეს პოეტობაზე ვერც კი ვიოცნებებდი, იგი ჩემს ყველა ნაცოდვილარს სათუთად ინახავდა და სჯეროდა, რომ ჩემს ქვეყანას აუცილებლად წავაშველებდი მართალ სიტყვას.

ჩემი გურული ბაბუა მიხეილ (ჭიჭიკო) მგალობლიშვილი თბილისის გაუხუნარი კოლორიტი, რომლის შესახებ დღესაც არ წყდება საუბარი თავის დროზე მოწინავე ინტელიგენციასთან ევროპა, რომ შემოიარა და აურაცხელი მოგონება დატოვა ტერენტი გრანელსა თუ გალაქტიონზე, ის რომ არა კოტე ხიმშიაშვილის თაობის ტრაგედიას ვერასდროს შევიტყობდი, მსოფლიო ისტორიაზეც სრულ წარმოდგენას ვერ შევიქმნიდი. გულში ხინჯად მაქვს ჩემი დაუდევრობა, მოგონებები ვერ ჩავიწერე, თუმცა მისი მონაყოლი მკაფიოდ მახსოვს და ადრე თუ გვიან ჩემს სულმნათ გამზრდელებს ჯეროვან ყურადღებას დავუთმობ. მათი უმთავრესი თვისება სხვებზე ზრუნვა იმდენად გადმომედო, ჩემიანების ამაგის გამოსამზეურებლად უპატიებლად დიდხანს ვიკავებდი თავს.

ჰოდა, შემინდეთ, შემინდეთ გამზრდელებო!

იკა ქადაგიძე

ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!

რედაქტორი	ზაზა მჭედლიშვილი
მხატვარი	რეზო (ემელიანე) ადამია
ტექ. რედაქტორი	ზაზა მჭედლიშვილი
ფოტოხელოვნება	თეა ღვალაძე

ფასი სახელშეკრულებო

ელ. ფოსტა: diaochi@hotmail.com

იკა ქადაგიძე - პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხელონებათმცოდნე, ოთხი წიგნის ავტორი, ლიტარატურულ სალონ „დიაოხის“ თავჯდომარე (1997). მწერალთა კავშირის წევრი. (2005). 2008 წლიდან საპატრიარქოს რადიოში უძღვება საავტორო გადაცემას: "ლიტერატურული საუბრები“